

# **ზიანის ანაზღაურება**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
**ადმინისტრაციულ საქმეებზე**

2019, №8

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Administrative Cases**  
(in Georgian)

2019, №8

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Verwaltungssachen**  
(in der georgischen Sprache)

2019, №8

Решения Верховного Суда Грузии  
**по административным делам**  
(на грузинском языке)

2019, №8

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

**ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი

**მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 299 04 18;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ყურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

## საკიეპელი

### 1. ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე

დისკრიმინაციის მოტივით მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობები .....	4
აღიარებული საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმი .....	41
ზიანის ანაზღაურების სახით მიუღებელი კომპენსაციის თანხის დაკისრების საფუძველი .....	57
საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ ფულადი კომპენსაციის მოთხოვნის საფუძველი .....	73
ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების გამო ზიანის ანაზღაურება .....	90
უკანონო მსჯავრდების შედეგად რეაბილიტირებული პირისათვის ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა .....	100
ზიანის ანაზღაურების პერიოდის განსაზღვრა .....	131

### 2. ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება

მკურნალობისათვის განეული თანხის გადახდის ვალდებულება .....	147
სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დასახიჩრების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება .....	166
სამედიცინო დანესებულებაში მკურნალობისას პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება .....	177

# 1. ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე

## დისკრიმინაციის მოტივით მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობები

### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-864-860(კ-17)

15 მარტი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** დისკრიმინაციული ქმედების აღმოფხვრა, მორალური ზიანის ანაზღაურება

#### აღწერილობითი ნაწილი:

2014 წლის 11 დეკემბერს ა(ა)იპ ..., კ. კ-ემ, ბ. ი-ემ და თ. ხ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართეს ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, ჟ. რ-ის, ა. ყ-ისა და ზ. რ-ის მიმართ.

მოსარჩელებმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ფიზიკური პირების – ჟ. რ-ის, ა. ყ-ის და ზ. რ-ისთვის ქ. ქობულეთში, ... ქუჩა №13-ში მდებარე ა(ა)იპ ... მართლზომიერ სარგებლობაში არსებული ქონების თავისუფალი სარგებლობის, მათ შორის, აღნიშნულ შენობაში მუსლიმი მოსწავლეებისათვის განკუთვნილი პანსიონის გახსნისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით განგრძობადი დისკრიმინაციული ქმედების აღმოფხვრის დავალდებულება (კერძოდ, მოპასუხე შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს მუსლიმი მოსწავლეებისათვის განკუთვნილი პანსიონის საქმიანობის აღდგენა და ფუნქციონირება. ამ მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს: 1. პანსიონის შენობის წინ აღმართული ბარიერის მოხსნა, მოსარჩელებისა და პანსიონთან დაკავშირებული პირებისათვის პანსიონის შენობაში უსაფრთხო და თავისუფალი შესვლა და საქმიანობა; 2. დაუყოვნებლივ აღკვეთოს მოსარჩელებისა და მუსლიმი თემის წარმომადგენლების მიმართ, პანსიონის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სიტყვიერი შეურაცხყოფის, მუქარისა და იძულების ფაქტები),

ასევე მოპასუხე უ. რ-ის, ა. ყ-ისა და ზ. რ-ისთვის პანსიონის გახსნისა და ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლის (რაც გამოიხატება მოსარჩელებისა და პანსიონთან დაკავშირებული პირების მიმართ საკუთრების უფლებით სარგებლობისა და პანსიონში შესვლისა და შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე გადაადგილების თავისუფლების ხელშეშლის შეწყვეტაში) შეწყვეტის დავალდებულება და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ფიზიკური პირების – უ. რ-ის, ა. ყ-ისა და ზ. რ-ისთვის სოლიდარულად მოსარჩელეთა სასარგებლოდ ერთი ლარის ოდენობით მორალური ზიანის დაკისრება მოითხოვეს.

სარჩელი ეფუძნებოდა იმ გარემოებებს, რომ ქ. ქობულეთში, ... ქუჩა №13-ში მდებარე საცხოვრებელი სახლისა და მიმდებარე საკარმიდამო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს, შპს „M...“ დირექტორს მ. ბ-სა და ა(ა)იპ „...“ თავმჯდომარეს რ. კ-ეს შორის, 2014 წლის პირველ აგვისტოს, 1 წლის ვადით დაიდო უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ქონება გადაეცა მოიჯარეს. ხელშეკრულების საფუძველზე ა(ა)იპ „...“ წარმოადგენს უძრავი ქონების მართლობიერ მფლობელს. აღნიშნულ შენობაში მოსარჩელე ა(ა)იპ „...“ მუსლიმი მოსწავლეებისთვის პანსიონის გახსნას გეგმავდა, რისთვისაც აგვისტოს თვეში ჩაატარეს მოსამზადებელი სამუშაოები და შენობის სათანადო ინვენტარით აღჭურვა. მართალია, ქობულეთში, ... ქუჩა №33-ში უკვე ფუნქციონირებდა 6 წლის წინ მუსლიმი მოსწავლეებისთვის გახსნილი პანსიონი, თუმცა ახალი პანსიონის გახსნის საჭიროება ძველი შენობის არასაკმარისმა სივრცემ და პანსიონის ეფექტური ფუნქციონირების გამო მის მომსახურებაზე მოთხოვნის ზრდამ განაპირობა.

მოსარჩელეთა აღნიშნით, მათ მიზანს წარმოადგენს მაღალმთიანი აჭარის სოფლებში მცხოვრები მუსლიმი ბავშვებისათვის 24-საათიანი მზრუნველობითი პირობების შექმნა და ხარისხიანი სამოქალაქო განათლების მიღების ხელშეწყობა. პანსიონი 40 მოსწავლეზე არის გათვალისწინებული. სასწავლო გეგმის შესაბამისად, დღის განმავლობაში პანსიონის მოსწავლეებს საათნახევრის განმავლობაში რელიგია (ისლამი) უნდა ესწავლათ და შეესრულებინათ ხუთგზის ნამაზის ლოცვა, დანარჩენ დროს კი საშინაო დავალებების მომზადებასა და სხვადასხვა სააღმზრდელო ღონისძიებებში მონაწილეობას დაუთმობდნენ. პანსიონის მოსწავლეები სასკოლო განათლებას საჯარო სკოლაში იღებენ, პანსიონის მომსახურება კი შემოიფარგლება მუსლიმი ბავშვებისათვის სასკოლო განათლების მიღების პროცესის ხელშეწყობასა და გაძლიერებაში. პანსიონი, სწავლის დასრულების შემდეგ, არ გასცემს რაიმე სერტიფიკატს. პანსიონის ფუნქციონირება დაკავშირებულია სასკო-

ლო პერიოდთან, შესაბამისად, მისი გახსნა 2014 წლის 15 სექტემბრისთვის იგეგმებოდა.

მოსარჩელეთა მითითებით, მოპასუხეები – ჟ. რ-ე, ა. ყ-ე და ზ. რ-ე მუსლიმი მოსწავლეებისთვის განკუთვნილი პანსიონის ფუნქციონირების წინააღმდეგ მიმდინარე პერმანენტული აქციების ორგანიზატორები არიან. აქციის მონაწილეები თავს მართლმადიდებელ მრევლს მიაკუთვნებენ და საკუთარი რელიგიური მსოფლმხედველობითა და იდენტობით ხსნიან პანსიონის საქმიანობისთვის ხელის შეშლის აუცილებლობას. აქციის მონაწილეების ქცევა კარგად ორგანიზებული და შეთანხმებულია. ისინი პანსიონის შენობასთან მორიგეობენ და თითქმის სამი თვის განმავლობაში, ფაქტობრივად აკონტროლებენ პანსიონის შენობაში გადაადგილებას. აღნიშნული აქციის გამორჩეული ლიდერები/ორგანიზატორები არიან ჟ.კ-ე და ნ. ყ-ე, რომლებიც მედიასთან ან მესამე პირებთან კომუნიკაციაში აქციის მონაწილეებს წარმოადგენენ და მათი სახელით აკეთებენ საჯარო განცხადებებს. აქციის ორგანიზებას ისინი ახდენენ. ჯგუფის ლიდერებს ასევე წარმოადგენენ ზ. კ-ე და დ. ყ-ე, რომელთაც პანსიონის თანამშრომლებთან აქვთ უშუალო კომუნიკაცია პანსიონის შენობაში გადაადგილების პირობებთან დაკავშირებით. მოპასუხეები და მათ მიერ ორგანიზებული ჯგუფი 2014 წლის 10 სექტემბრის მოვლენებამდეც ახორციელებდნენ პანსიონის თანამშრომლების დევნას რელიგიური ნიშნით. მოსარჩელე მხარის განმარტებით, ადგილობრივ მცხოვრებთა 7-8 კაციანი ჯგუფი მათთან ხშირად მოდიოდა და იმუქრებოდა, რომ მუსლიმი მოსწავლეებისთვის პანსიონის გახსნას ... ქუჩაზე არ დაუშვებდნენ. გამოვლინდა პანსიონის რემონტისთვის ხელშეშლის, მათ შორის, ინვენტარის შემოტანის შეზღუდვის ფაქტები. აღნიშნული პირები მათ მოლაღატებესა და თურქებს უწოდებდნენ.

მოსარჩელეთა განმარტებით, 2014 წლის 10 სექტემბერს, დაახლოებით 13:00 საათზე ქობულეთში, ... ქუჩა №13-ში შეკრებილმა აქციის მონაწილეებმა, რომელთა დიდი ნაწილი აღნიშნული ქუჩის მცხოვრებნი იყვნენ და თავს მართლმადიდებელ მრევლს მიაკუთვნებდნენ, მუსლიმური პანსიონის ფუნქციონირების ხელშეშლის მიზნით, პანსიონის შესასვლელთან ღორი დაკლეს და ცხოველის თავი დემონსტრაციულად შენობის კარზე მიაჭედეს. აქციის მონაწილეებმა საკუთარი მოქმედება ისლამში ღორზე, როგორც უწმინდურ ცხოველზე მოქმედ აკრძალვას განზრახ დაუკავშირეს. მოსარჩელების რწმენით, აქციის მონაწილეები ფიქრობდნენ, რომ ღორის დაკვლის შემდეგ ამ ადგილს უწმინდურად ჩათვლიდნენ და მუსლიმები შენობაში შესვლას აღარ მოისურვებდნენ.

მოპასუხეებისა და მათ მიერ ორგანიზებული ჯგუფის ქცევა

დემონსტრაციულად რელიგიურ ხასიათს ატარებდა. პანსიონის შენობის წინ მათ რკინის დიდი ჯვარი აღმართეს და რამდენჯერმე ლოცვის რიტუალიც შეასრულეს.

მოსარჩელეთა განმარტებით, 2014 წლის 10 სექტემბრიდან მოყოლებული, ადგილობრივი მოსახლეობის ორგანიზებული ჯგუფი 24 საათის განმავლობაში მორიგეობდა პანსიონის შენობასთან და განგრძობითად აკონტროლებდა როგორც პანსიონის შენობის ტერიტორიაზე გადაადგილებას, ისე უშუალოდ პანსიონის შენობაში შესვლას. გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვამ უფრო მეტად მკაცრი და ორგანიზებული ხასიათი 2014 წლის 15 სექტემბრის შემდეგ მიიღო, როცა აქციის მონაწილეებმა პანსიონის ეზოში შესასვლელი გზების კონსტრუქციებითა და მანქანის საბურავებით ჩახერგეს და ადგილზე მუდმივი მორიგეობა დაანესეს. ამ დღეს პანსიონში უნდა დაწყებულიყო სწავლა, რის გამოც შეკრებილი მუსლიმი მოსწავლეები და ადმინისტრაცია პანსიონის გახსნის ზეიმისთვის ემზადებოდა, თუმცა, ადგილობრივი მოსახლეობის ორგანიზებულმა ჯგუფმა მათ შენობაში შესვლის უფლება არ მისცა და რელიგიური შეუწყნარებლობის ნიადაგზე, მათ მიმართ იძულება და მიუქარა განახორციელა. 15 სექტემბრის შემდეგ ადგილობრივი მოსახლეობის ორგანიზებულმა ჯგუფმა, პანსიონში დარჩენის შესაძლებლობა პანსიონის 3 წარმომადგენელს მისცა, 27 სექტემბრის შემდეგ კი – მხოლოდ ერთ პირს. აქციის მონაწილეები, მათ შორის მოპასუხეები მედიასთან საუბრისას პირდაპირ ადასტურებენ პანსიონის თანამშრომლებისა და მოსწავლეებისთვის გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვისა და პანსიონის საქმიანობისთვის ხელშეშლის ფაქტებს. მოსარჩელეთა განმარტებით, მოპასუხეებისა და მათ მიერ ორგანიზებული ჯგუფის მხრიდან განგრძობითად ხორციელდება პანსიონის ადმინისტრაციისთვის, მოსწავლეებისა და პანსიონთან ან მუსლიმთემთან კავშირში მყოფი სხვა პირებისთვის პანსიონის შენობაში შესვლისა და გამოსვლის კონტროლი. მათ შორის, დაფიქსირდა სასმელი წყლის გადაკეტვის, მაღაზიაში მომსახურების მიღების ხელშეშლის ფაქტები. მოპასუხეებისა და მათ მიერ ორგანიზებული ჯგუფის მხრიდან გადაადგილების თავისუფლების კონტროლისა და შეზღუდვის ინტენსივობასა და მასშტაბს ადასტურებს შეზღუდვის არაერთი კონკრეტული შემთხვევა, რომელსაც მოსარჩელები, მოწმეები და უშუალოდ მოპასუხეებიც ადასტურებენ. ყველა შემთხვევაში მოსარჩელები და მოწმეები უთითებენ, რომ პოლიცია ადგილზე იმყოფებოდა გამოვლენილი ინციდენტების დროს, თუმცა უმოქმედობას ავლენდა და სიტუაციაში არ ერეოდა. აქციის მიმდინარეობისას მოპასუხეები და აქციის მონაწილეები გამოხატავენ ისლამოფობიურ და თურქოფობიურ დამოკიდებულებას მუსლიმების მიმართ.

აქციის მონაწილეების საჯარო განცხადებებში ჩანს აჭარელი მუსლიმების თურქებთან გაიგივება და ისლამოფობიასთან ერთად თურქოფობიის გამოვლინება. აღნიშნულ შეფასებას ადასტურებს აქციის მონაწილეების საჯარო განცხადებები და ახსნა-განმარტებები.

მოსარჩელეთა მითითებით, 2014 წლის 10 სექტემბრის აქციის შემდეგ, მოპასუხეთა და მათ მიერ ორგანიზებული პირების მხრიდან განგრძობითად ხდება მუსლიმთა დისკრედიტაცია მათ რელიგიურ კუთვნილებაზე მითითებით. 10 სექტემბერს, პანსიონის შენობასთან მიმდინარე აქციის დროს, რასაც ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან სადარბაზოსთან ღორის რიტუალური დაკვლა და ჭიმკარზე ცხოველის თავის დაკიდება მოჰყვა, შემთხვევის ადგილზე იყო მობილიზებული პოლიცია, თუმცა, არ აღუკვეთავთ აქციის მონაწილეების ძალადობრივი ქმედება. 10-15 სექტემბრის პერიოდში პოლიცია შემთხვევის ადგილზე პერიოდულად პატრულირებდა, 15 სექტემბრის მოვლენების შემდეგ კი პოლიციის ჯგუფი პერმანენტულად პანსიონის ახლოს მორიგეობდა და აკონტროლებდა სიტუაციას. ადგილზე პატრულირების მიუხედავად, პოლიცია არ რეაგირებდა გადაადგილების თავისუფლების, საკუთრების უფლებით სარგებლობის, მუქარის, იძულების ფაქტებზე. ისინი სიტყვიერ გაფრთხილებასაც კი არ აძლევდნენ სამართალდამრღვევებს. ამასთან, მუსლიმი თემის აღქმით, პოლიცია პირად ურთიერთობებში ლოიალობას ავლენდა ადგილობრივი მოსახლეობის (აქციის მონაწილეთა) მიმართ. არაეფექტურ პრევენციასთან ერთად პოლიცია არ უზრუნველყოფდა ეფექტური გამოძიების ჩატარებასაც. 2014 წლის 11 სექტემბერს პოლიციის მიერ დაკავებული სამი პირის მიმართ გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებაში (ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბრის დადგენილება) საერთოდ არ ჩანს რაიმე კავშირი დაკავებული პირების მიერ ჩადენილ სამართალდარღვევასა და პანსიონის შენობასთან მიმდინარე მოვლენებს შორის. შსს-ს თანამშრომლების უმოქმედობის ფაქტზე რეაგირებისა და რელევანტური საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით, 2014 წლის 20 ოქტომბერს, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა, როგორც მოსარჩელების წარმომადგენელმა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა, თუმცა, სამინისტროსგან პასუხი ორგანიზაციას ამ დრომდე არ მიუღია.

მოსარჩელეთა განმარტებით, მოსწავლეები, რომლებიც ახალ პანსიონში უნდა ჩარიცხულიყვნენ, ამ დროისთვის ... ქუჩა №33-ში (ქობულეთი) მდებარე პანსიონში ცხოვრობენ. აღნიშნული შენობა 10 მოსწავლისთვის არის განკუთვნილი, ამ დროისთვის კი პანსიონში 30-მდე მოსწავლე ცხოვრობს, რის გამოც შენობაში მწვავედ დგას გადატვირთულობის პრობლემა. მოსწავლეებს იატაკზე და-

ფენილ ლეიბებზე უწევთ ძილი. არსებული პირობები ართულებს განათლების მიღების პროცესს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ ..., კ. კ-ის, ბ. ი-ის და თ. ხ-ის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეებს ყ. რ-ეს, ა. ყ-ეს და ზ. რ-ეს დაევაღათ ქ. ქობულეთში, ... ქუჩის №13-ში მდებარე მოსარჩელე ა(ა)იპ ... მართლზომიერ სარგებლობაში არსებული ქონების თავისუფალი სარგებლობის, მათ შორის, აღნიშნულ შენობაში მუსლიმი მოსწავლეებისათვის განკუთვნილი პანსიონის გახსნისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით განგრძობადი დისკრიმინაციული ქმედების აღმოფხვრა, კერძოდ, ყ. რ-ეს, ა. ყ-ეს და ზ. რ-ეს დაევაღათ შეწყვიტონ პანსიონის გახსნისა და ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლა, რაც მათ შორის გამოიხატება მოსარჩელებისა და პანსიონთან დაკავშირებული პირების მიმართ საკუთრების უფლებით სარგებლობისა და პანსიონში შესვლისა და შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე გადაადგილების თავისუფლების ხელშეშლის შეწყვეტაში; მოპასუხეებს ყ. რ-ეს, ა. ყ-ეს და ზ. რ-ეს დაეკისრათ მოსარჩელეთა სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით. დანარჩენ ნაწილში მოსარჩელებს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ყ. რ-ემ, ა. ყ-ემ და ზ. რ-ემ, რომელთაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ა(ა)იპ ..., კ. კ-ემ, ბ. ი-ემ და თ. ხ-მა, რომელთაც გასაჩივრებულ ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 29 დეკემბრის განჩინებით სამოქალაქო საქმეს ცალკე წარმოებად გამოეყო ა(ა)იპ ..., კ. კ-ის, ბ. ი-ისა და თ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ ქმედების დავალდებულებისა და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით და ამ ნაწილში საქმე განსჯადობის წესების დაცვით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 18 აპრილის განჩინებით ა(ა)იპ „...“, კ. კ-ის, ბ. ი-ის, თ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ ქმედების დავალდებულებისა და მორალური ზინის ანაზღაურების შესახებ სარჩელზე უარის თქმის ნაწილში.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მხარეებს შორის სადავო არ არის, რომ ქ.ქობულეთში, ... ქუჩა №33-ში დღემდე ფუნქციონირებს ა(ა)იპ „...“ მიერ დაფუძნებული პანსიონი, რომელიც მიზნად ისახავს აჭარის მალაღმთიან სოფლებში მცხოვრები მუსლიმი მოსწავლეებისათვის განათლების მიღების ხელშეწყობას. პანსიონში ბავშვები ცხოვრობენ საჯარო სკოლებში სასწავლო პროცესიდან თავისუფალ დროს და სწავლობენ რელიგიის საფუძვლებს.

კ. კ-ე, ბ. ი-ე და თ. ხ-ი არიან მუსლიმი თემის წარმომადგენლები. ბ. ი-ე არის ქ.ქობულეთში, ... ქ №33-ში მდებარე პანსიონის მასწავლებელი, კ. კ-ე წლების განმავლობაში სწავლობდა აღნიშნულ პანსიონში და ამჟამად დასაქმებულია აქვე, ხოლო თ. ხ-ი არის მუსლიმი თემის წარმომადგენელი და სურვილი აქვს მისი არასრულწლოვანი სწავლობდეს ამ პანსიონში.

ა(ა)იპ „...“ გეგმავდა ქობულეთში, ... ქუჩა №13-ში შპს „M...“ კუთვნილ შენობაში მუსლიმი მოსწავლეებისათვის პანსიონის გახსნას. პანსიონის ფუნქციონირება დაკავშირებული იყო სასკოლო პერიოდთან, შესაბამისად, ა(ა)იპ „...“ მიერ ახალი პანსიონის გახსნა იგეგმებოდა 2014 წლის 15 სექტემბრისათვის. ამ მიზნით ა(ა)იპ „...“ მიერ დაიწყო ქ.ქობულეთში, ... ქუჩა №13-ში მდებარე შენობაში სარემონტო სამუშაოების ჩატარება და მისი სათანადო ინვენტარით აღჭურვა.

ქ.ქობულეთში, ... ქუჩა №13-ში პანსიონის გახსნის წინააღმდეგ გამოვიდნენ აღნიშნული შენობის მეზობლად მცხოვრები მოქალაქეები, რომლებმაც 2014 წლის სექტემბრის დასაწყისში შენობის წინ მოაწყვეს საპროტესტო აქცია, რამაც პერმანენტული ხასიათი მიიღო.

2014 წლის 10 სექტემბერს, დაახლოებით 13:00 საათზე, აქციის მონაწილეებმა, რომლებიც თავს მართლმადიდებელ მრევლს მიაკუთვნებდნენ, პანსიონის ფუნქციონირების ხელშეშლის მიზნით, პანსიონის შესასვლელთან ღორი დაკლეს და ცხოველის თავი დემონსტრაციულად პანსიონის შენობის კარზე მიაჭედეს. შენობის წინ კი რკინის დიდი ჯვარი აღმართეს. ... ქუჩის მცხოვრებნი ახორციელებდნენ 24-საათიან მორიგეობას პანსიონის შენობასთან და აკონტროლებდნენ ა(ა)იპ „...“ წევრების და სხვა მუსლიმი მოქალაქეების მიერ პანსიონის შენობის ტერიტორიაზე გადაადგილებას,

ასევე უზღუდავდნენ მათ პანსიონის შენობაში შესვლას.

2014 წლის 15 სექტემბერს კი, როცა პანსიონი ოფიციალურად უნდა გახსნილიყო, აქციის მონაწილეებმა პანსიონის ეზოში შესავლელი გზა ხის კონსტრუქციებით და მანქანის საბურავებით ჩახერგეს და ადგილზე მუდმივი მორიგეობა დაანესეს. 2014 წლის 15 და 16 სექტემბერს მიმდინარე საპროტესტო აქციის დროს ადგილობრივი მუსლიმები იმყოფებოდნენ შენობაში და მათ აქციის მონაწილეები, რომელთა შორის იყვნენ მოპასუხე ფიზიკური პირები, არ აძლევდნენ შენობის დატოვების უფლებას, ხოლო მუსლიმ მოსწავლეებს, რომლებიც გამოცხადდნენ სწავლის დასაწყებად, შენობის გვერდით მცხოვრებმა მეზობლებმა, მათ შორის ყ. რ-ემ, ა. ყ-ემ და ზ. რ-ემ არ მისცეს შენობაში შესვლის უფლება.

2014 წლის სექტემბრის თვეში ქ. ქობულეთში, ... ქუჩა №13-ში მდებარე შენობის წინ მიმდინარე აქციების დროს მოპასუხეები აკეთებდნენ ისლამოფობიურ განცხადებებს, ისინი ეწინააღმდეგებოდნენ პანსიონის გახსნას. 2014 წლის 10 სექტემბრის შემდეგ მოპასუხეების და მათ მიერ ორგანიზებული ჯგუფის მხრიდან განგრძობითად ხორციელდებოდა ა(ა)იპ „...“ წევრების, პანსიონის მოსწავლეებისა და პანსიონთან ან მუსლიმ თემთან კავშირში მყოფი სხვა პირებისათვის ქ. ქობულეთში, ... ქუჩა №13-ში მდებარე შენობაში შესვლისა და გამოსვლის კონტროლი, მათ შორის დაფიქსირდა სასამართლო წყლის გადაკეტვის, ასევე მალაზიის მომსახურების მიწების ხელშეშლის ფაქტები. სასამართლოს მითითებით, როგორც მოწმეების დ. ც-ის და რ. გ-ის ჩვენებებით დგინდება, ადგილი ჰქონდა პანსიონში დარჩენილი პირებისათვის საკვებით უზრუნველყოფაში ხელშეშლას, პანსიონში თავისუფლად გადაადგილების ხელშეშლისა და შეურაცხყოფის ფაქტებს.

2014 წლის 10 სექტემბერს დაბა ჩაქვიში მცხოვრებმა, შპს „M...“ წარმომადგენელმა მ. მ-ემ განცხადებით მიმართა ქობულეთის რაიონულ სამმართველოს აქციის მონაწილეების მხრიდან ქ. ქობულეთში, ... ქუჩა №13-ში მდებარე შენობის გადაწვისა და განადგურებისათვის განხორციელებული მუქარის შესახებ. აღნიშნული განცხადების საფუძველზე, მუქარის ფაქტთან დაკავშირებით, დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით დაიკითხა 100-ზე მეტი მოწმე და ამჟამადც მიმდინარეობს გამოძიება.

ქობულეთის გამგებლის ახსნა-განმარტებით და საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებებით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ აქციის მონაწილეებს, მათ შორის მოპასუხე ფიზიკურ პირებს და ა(ა)იპ „...“ წევრებს შორის, მორიგების მიღწევის

მიზნით, მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ქობულეთის გამგებელი და სახალხო დამცველის წარმომადგენლები. მხარეთა შორის არსებული კონფლიქტის აღმოფხვრის მიზნით, მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. სასამართლოს მითითებით, აღნიშნული გარემოება ასევე დაადასტურა სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე ა(ა)იპ „...“ თავმჯდომარემ, რ. კ-ემაც, რომელმაც განმარტა, რომ საკითხის მოგვარების მიზნით იგი არაერთხელ შეხვდა, როგორც ადგილობრივი მთავრობის, ისე ცენტრალური ხელისუფლებისა და სახალხო დამცველის წარმომადგენლებს. მიუხედავად აღნიშნულისა, მხარეები ვერ შეთანხმდნენ და ... ქუჩის მცხოვრებნი კვლავ ეწინააღმდეგებოდნენ პანსიონის გახსნას, რის გამოც ქ. ქობულეთში, ... ქუჩა №13-ში მდებარე შენობასთან, 2014 წლის 15 სექტემბრის შემდეგ, მობილიზებული იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, რომლებმაც სამართალდარღვევების თავიდან აცილების მიზნით დაიწყეს პრევენციული ზომების გატარება. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ქ. ქობულეთში, ... ქუჩა №13-ში მდებარე შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მორიგეობდნენ 2014 წლის 15 სექტემბრის შემდეგ და 2014 წლის 10 სექტემბრის ინციდენტის დროს, როცა ... ქუჩა №13-ში მდებარე შენობაზე ღორის თავი მიაჭედეს, პოლიციის თანამშრომლები ადგილზე არ იმყოფებოდნენ.

2014 წლის 15 სექტემბრის შემდეგ კი პოლიციის მხრიდან მუდმივად კონტროლდებოდა აღნიშნული ტერიტორია, მოსახლეობას შორის ფიზიკური თუ სიტყვიერი დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად. პოლიციის თანამშრომლებისათვის დასახმარებლად ამ პერიოდში არავის მიუმართავს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქალაქო სასამართლოს სხდომაზე დაკითხული პოლიციის თანამშრომლების განმარტებებით ირკვევა, რომ ქ. ქობულეთში, ... ქუჩა №13-ში მდებარე შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, 2014 წლის 15 სექტემბრიდან – თვის ბოლომდე, 24 საათის განმავლობაში მორიგეობდა პოლიციის მინიმუმ ორი თანამშრომელი. როგორც აღნიშნული მოწმეების ჩვენებებით დგინდება, ამ პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს აღნიშნულ ტერიტორიაზე არ შეუნიშნავთ რაიმე ინციდენტი, რომელიც გამოიხატებოდა წესრიგის დარღვევაში და რომლისთვისაც საჭირო გახდებოდა პოლიციის რეაგირება.

მოწმეების – დ. ც-ის და რ. გ-ის, ასევე მოსარჩელების – კ. კ-ის და ბ. ი-ის ჩვენებებით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ რამდენჯერმე ადგილი ჰქონდა პანსიონში დარჩენილთა საკვებით უზრუნველყოფის ხელშეშლას, ასევე მათ შეურაცხყოფას, თუმცა

მათ დასახმარებლად პოლიციისთვის არ მიუმართავთ.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ აპელანტები (მოსარჩელები) მიუთითებდნენ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობა კანონით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობაში გამოიხატა, რაც რელიგიური სიძულვილით მოტივირებული ქცევის შეწყნარებასა და დაშვებას განაპირობებს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, დისკრიმინაცია, როგორც გამორჩევა, შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება თანაბარი უფლებებისა და მათი დაცვის უარყოფის მიზნით, არის თანასწორობის პრინციპის შელახვა და ადამიანის ღირსების ხელყოფა. ადამიანთა გარკვეული კატეგორიის დისკრიმინაცია შეიძლება ხდებოდეს მათი რასობრივი კუთვნილების, ეროვნების, სარწმუნოების, პოლიტიკური მრწამსისა და სხვა ამგვარი ნიშნებითა თუ მოტივით. დისკრიმინაცია, რა ფორმითაც უნდა იყოს იგი გამოხატული, ეწინააღმდეგება სამართლიანობის პრინციპს და აკრძალულია როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ისე საერთაშორისო სამართლის ნორმებით. სახელმწიფოებს ეკისრებათ, როგორც ნეგატიური ვალდებულება (თანასწორად მოეპყრონ თანაბარ მდგომარეობასა და პირობებში მყოფ პირებს), ასევე პოზიტიური ვალდებულება (განსხვავებულად მოეპყრონ არათანაბარ პირობებში მყოფ პირებს, რათა მათ თანასწორი ხელმისაწვდომობა ჰქონდეთ უფლებებსა და თავისუფლებებზე). სახელმწიფოს როლი, ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განუზომლად დიდია დისკრიმინაციის ეფექტურ პრევენციაში.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის (მიღებულია 16.12.1966 წ) მე-2 და 26-ე მუხლები კრძალავს დისკრიმინაციას. პაქტის 2.1 მუხლით, მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას პატივი სცეს და მისი ტერიტორიის ფარგლებსა და იურისდიქციაში მყოფი ყველა პირი უზრუნველყოს წინამდებარე პაქტით აღიარებული უფლებებით, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა მრწამსის, ეროვნული და სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების თუ სხვა გარემოებათა მიხედვით ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე. 2.3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, პაქტის მონაწილე თითოეული სახელმწიფო კისრულობს ვალდებულებას ნებისმიერი პირი, რომლის წინამდებარე პაქტით აღიარებული უფლებები და თავისუფლებებიც დაირღვა, უზრუნველყოს სამართლებრივი დაცვის ეფექტური საშუალებებით იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს დარღვევა ჩაიდინეს ოფიციალურად მოქმედმა პირებმა. პაქტის 26-ე მუხლით, თითოეული ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე და ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, კანონით თანაბარი დაცვის უფ-

ლება აქვს. ამ მხრივ უნდა აიკრძალოს ყოველგვარი დისკრიმინაცია და კანონი უნდა უზრუნველყოფდეს ყველა პირის თანასწორ და ეფექტურ დაცვას რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული და სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების თუ სხვა გარემოებების გამო დისკრიმინაციისაგან.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის 26-ე მუხლით განსაზღვრულ ვალდებულებათა ანალიზისას გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტმა საქმეზე *Broeks v the Netherlands* (no.172/1984) დაადგინა, რომ მაშინ, როდესაც „სახელმწიფოები თავიანთი სუვერენული უფლებების ფარგლებში აგებენ კანონმდებლობას, პაქტის 26-ე მუხლი მოითხოვს, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლება თუ შეღავათი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს დისკრიმინაციის გარეშე“.

ამავე დროს, ადამიანის უფლებათა გაეროს კომიტეტმა თავის ზოგად კომენტარში განაცხადა, რომ 26-ე მუხლი სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას აკრძალონ და იმოქმედონ დისკრიმინაციის საწინააღმდეგოდ.

ამდენად, სააპელაციო სასამართლოს მითითებით, სახელმწიფოში არსებულ კანონმდებლობაზე, აღმასრულებელი და მართლმსაჯულების ორგანოების სწორ პრაქტიკაზეა დამოკიდებული თითოეული ადამიანის, მიუხედავად მისი სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობებისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების თუ სხვა სტატუსისა, თანასწორი ხელმისაწვდომობა სამართლებრივ გარანტიებზე. საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლით, სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. მე-9 მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის სრულ თავისუფლებას. მე-14 მუხლის მიხედვით, ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა. საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის შესაბამისად, ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფ-

ლება. დაუშვებელია ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, აღმსარებლობის ან რწმენის გამო, აგრეთვე მისი იძულება გამოთქვას თავისი შეხედულება მათ შესახებ. დაუშვებელია ამ მუხლში ჩამოთვლილ თავისუფლებათა შეზღუდვა, თუ მათი გამოვლინება არ ლახავს სხვათა უფლებებს.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავში მოცემული ადამიანის ძირითადი უფლებები, თავიანთი შინაარსის გათვალისწინებით იცავს „ყველა ადამიანს“ და „ყველა მოქალაქეს“, რაც ერთი შეხედვით მიუთითებს იმაზე, რომ ამ ნორმათა მოქმედების სფერო ვრცელდება მხოლოდ ფიზიკურ პირთა უფლება-თავისუფლებებზე, თუმცა კონსტიტუციის 45-ე მუხლი ადგენს, რომ „კონსტიტუციაში მითითებული ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, მათი შინაარსის გათვალისწინებით ვრცელდება აგრეთვე იურიდიულ პირებზე“. ეს კი ნიშნავს იმას, რომ იურიდიულ პირებს, მსგავსად ფიზიკური პირებისა, კონსტიტუციურად აქვთ გარანტირებული თანასწორობის ძირითადი უფლება და შესაბამისად, შეუძლიათ გამოიყენონ დისკრიმინაციისაგან დაცვის სამართლებრივი მეთოდები.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>2</sup> მუხლის პირველი ნაწილით, ნებისმიერ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს, სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დანესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა. სასამართლოსთვის სარჩელით მიმართვის სავალდებულო წინაპირობა არ არის საქართველოს სახალხო დამცველის, სხვა პირის ან ორგანოს მიერ საქმის განხილვა. 363<sup>2</sup> მუხლის მე-3 ნაწილით, პირს უფლება აქვს, ამ მუხლით გათვალისწინებული სარჩელით მოითხოვოს: ა) დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტა ან/და მისი შედეგების აღმოფხვრა; ბ) მორალური ან/და მატერიალური ზიანის ანაზღაურება. იმავე კოდექსის 363<sup>3</sup> მუხლით, სარჩელის აღძვრისას პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოსარჩელეებს მიაჩნიათ, რომ მუსლიმი თემის უფლებებისადმი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინდეფერენტულობითა და ზედაპირული დამოკიდებულებით განხორციელდა მათი დისკრიმინაცია რელიგიური ნიშნით. პანსიონში არსებული განგრძობადი დისკრიმინაციის შედეგად ხელი შეეშალათ კონსტიტუციური უფლებების

განხორციელებაში. მუსლიმი მოსახლეობის მიმართ მუქარისა და დევნის ფაქტებზე არ მომხდარა სამინისტროს მხრიდან დროული რეაგირება, მოპასუხე ვერ ასაბუთებს რამდენად სწორად იყო გამოყენებული მის ხელთ არსებული მექანიზმები მუსლიმი მოსახლეობის უფლებების დასაცავად. აღნიშნულ გარემოებებზე მითითებით აპელანტების მოთხოვნას წარმოადგენს – მოპასუხე შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს: მოსარჩელებისა და პანსიონთან დაკავშირებული პირებისათვის პანსიონის შენობაში უსაფრთხო და თავისუფალი შესვლა და საქმიანობა; დაუყოვნებლივ აღკვეთოს მოსარჩელებისა და მუსლიმი თემის წარმომადგენლების მიმართ პანსიონის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სიტყვიერი შეურაცხყოფის, მუქარისა და იძულების ფაქტები და დაეკისროს სამინისტროს მოსარჩელეთა სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურება ერთი ლარის ოდენობით.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასაბუთება, რომ სარჩელში მითითებული გარემოებები და წარმოდგენილი მტკიცებულებები არ ადასტურებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან კანონით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობას, რაც შესაძლოა განპირობებული ყოფილიყო დისკრიმინაციული მოტივით. ამდენად, ადგილი არ ჰქონია მოსარჩელეთა დისკრიმინაციას რელიგიური ნიშნით, გამონკვეთულს საქართველოს სახელმწიფო აღმასრულებელი ხელისუფლების – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად ნებისმიერი დაწესებულება ვალდებულია სავარაუდო დისკრიმინაციის ნებისმიერ ფაქტზე სწრაფი და ეფექტიანი რეაგირება მოახდინოს.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ სარჩელში მითითებულ ფაქტებთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან გატარდა რიგი ღონისძიებები, კერძოდ, 2014 წლის 10 სექტემბერს შსს ქობულეთის რაიონულ სამმართველოში შესული განცხადების საფუძველზე, რომელშიც მითითებული იყო ... ქუჩაზე მცხოვრები მოქალაქეების მხრიდან განხორციელებული ... ქუჩის №13-ში მდებარე შენობის გადანჯისა და განადგურების მუქარის ფაქტზე, დაწყებული იქნა გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ჩატარდა სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედება, დათვალაიერდა შემთხვევის ადგილი, დაიკითხა 100-ზე მეტი მონმე და ამჟამადაც მიმდინარეობს გამოძიება.

მხოლოდ ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საქმეზე გამოიძება ჯერ არ დასრულებულა, პალატის მოსაზრებით, არ შეიძლება ჩაითვალოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან დისკრიმინაციის განხორციელების ფაქტად, ვინაიდან საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ გამოიძების გააჩიანურება მოხდა განზრახ და იგი გამონვეულია რომელიმე მხარის რელიგიური კუთვნილების გამო. ასევე, სააპელაციო სასამართლო საქმის მასალებით დადასტურებულად მიიჩნია, რომ მითითებულ ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას წერილობით მიმართა ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა. გენერალურმა ინსპექციამ აღნიშნული საკითხი შეისწავლა და წერილობითი მიმართვები შემდგომი რეაგირებისათვის გადაუგზავნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურატურას, აღნიშნული ეცნობა ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრს.

გარდა აღნიშნულისა, თავად სარჩელშიც არის მითითებული იმის თაობაზე, რომ ამ მოვლენებთან დაკავშირებით პოლიციის მხრიდან გამოვლენილი იქნა სამართალდარღვევების ფაქტები და სამი პირის მიმართ სასამართლომ მიიღო დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ.

საქალაქო სასამართლოს სხდომაზე დაკითხული ქობულეთის გამგებლის ახსნა-განმარტებით და საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებებით სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ აქციის მონაწილეებს ანუ ქ. ქობულეთში ... ქუჩის მცხოვრებლებს, მათ შორის მოპასუხე ფიზიკურ პირებს და ა(ა)იპ „...“ წევრებს შორის მორიგების მიღწევის მიზნით მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ როგორც ქობულეთის გამგებელი, ასევე სახალხო დამცველის წარმომადგენლები. ასევე მხარეებს შორის მიმდინარე კონფლიქტის აღმოფხვრის მიზნით მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ როგორც ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე აჭარის მთავრობისა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. როგორც ქობულეთის გამგებელმა ს. ე-ემ განმარტა, პოლიციის ორგანოებს მან მიმართა რომ განეხორციელებინათ პრევენციული ღონისძიებები, რათა არ მომხდარიყო კონფლიქტი მყოფ მხარეებს შორის რაიმე დაპირისპირება.

პალატის მითითებით, დადგენილია, რომ ქ. ქობულეთში, ... ქუჩის №13-ში მდებარე შენობასთან 2014 წლის 15 სექტემბრის შემდეგ მობილიზებული იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები და მუდმივად კონტროლდებოდა ტერიტორია. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები ქ.ქობულეთში, ... ქუჩა №13-ში მდებარე შენობის

მიმდებარედ მორიგეობდნენ 2014 წლის 15 სექტემბრის შემდეგ და 2014 წლის 10 სექტემბრის ინციდენტის დროს, როცა ... ქუჩა №13-ში მდებარე შენობაზე ღორის თავი მიაჭედეს – პოლიციის თანამშრომლები ადგილზე არ იმყოფებოდნენ, ისინი გამოიძახეს აღნიშნული ინციდენტის შემდეგ. შესაბამისად, აპელანტების მტკიცება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო იჩინდა პასიურ დამოკიდებულებას მოსარჩელთა უფლებების დარღვევის მიმართ მათი რელიგიური იდენტობის გამო – უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი იყო.

სააპელაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს თვით აპელანტების განმარტებას, რომ პოლიციას დაწესებული ჰქონდა 24-საათიანი მორიგეობა შემთხვევის ადგილზე, რაც კოლეგიის აზრით, ადასტურებს სამართალდამცავთა მზადყოფნას – არ დაეშვათ მუსლიმი მოსახლეობის წარმომადგენელთა უფლებების დარღვევა და საჭიროების შემთხვევაში, მყისიერად აღეკვეთათ ამ მიმართებით მართლწესრიგის დარღვევის მცდელობის ფაქტები.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია, უზრუნველყოს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვა. საქართველოს პოლიცია არის აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სამართალდამცავი დაწესებულება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში ახორციელებს პრევენციულ და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად (მუხ. 3). იმავე კანონის 5.4 მუხლით, პოლიციის პრევენციული საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმების – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და ადმინისტრაციული რეალაქტის – გამოყენებით. მაშასადამე, პოლიციის დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი უსაფრთხოება და მართლწესრიგი.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი განმარტავს თითოეული მათგანის ცნებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოება – ეს არის პირთა უფლებების, სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და კონსტიტუციური წყობილების, საქართველოს კანონებისა და სხვა აქტების ურღვევობა, ხოლო მართლწესრიგი – საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ქცევისა და ურთიერთობების სისტემა, რომელიც წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობითა და იმ ადათ-წესებით, ტრადიციებითა და ზნეობრივი ნორმებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 8.1 მუხლის მიხედვით, პოლიციელი თავის საქმიანობაში განუხრელად იცავს ადამიან-

ნის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების, დისკრიმინაციის დაუშვებლობის, თანაზომიერების, დისკრეტული უფლებამოსილების განხორციელების, პოლიტიკური ნეიტრალობისა და პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპებს.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით უდავოდ დასტურდება, რომ მოპასუხე ორგანომ იმ ვითარებაში, როცა არსებობდა საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მოვლენათა მოსალოდნელი განვითარების შეუფერხებელი მსვლელობის შემთხვევაში დიდი ალბათობით ზიანი მიადგებოდა პოლიციის მიერ დასაცავ სიკეთეს (პირთა კანონით გარანტირებულ უფლებებსა და თავისუფლებებს) – საფრთხის თავიდან ასაცილებლად განახორციელა ადეკვატური საპოლიციო ღონისძიებები, პოლიციის საქმიანობის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპების, მათ შორის „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით გარანტირებული დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპის დაცვით.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, პოლიცია უფლებამოსილია დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები. სასამართლომ გაიზიარა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების განმარტება იმის თაობაზე, რომ სწორედ ასეთი პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით იქნა დაწესებული მუდმივი მორიგეობა და 2014 წლის 15 სექტემბრის შემდეგ პოლიციის მხრიდან მუდმივად კონტროლდებოდა ქ.ქობულეთში, ... ქუჩა №13-ში მდებარე შენობის მიმდებარე ტერიტორია, რათა არ მომხდარიყო რაიმე ფიზიკური თუ სიტყვიერი დაპირისპირება. ასევე საქმის განხილვისას დადგინდა იქნა, რომ პოლიციის თანამშრომლებს, რომლებიც მორიგეობდნენ 2014 წლის 15 სექტემბრიდან ქობულეთში ... ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე, მათი მორიგეობის განმავლობაში არ შეუნიშნავთ რაიმე ინციდენტი, რომელიც გამოიხატებოდა წესრიგი დარღვევაში და რომლისთვისაც საჭირო გახდებოდა მათი ჩარევა, ასევე მათთვის დახმარებისათვის არავის მიუმართავს.

ამდენად, პალატამ განმარტა, რომ ყველა ის მოქმედება, რომელიც განხორციელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან (მათ შორის სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, სამართალდარღვევის ფაქტების გამოვლენა და სხვა) და ის გარემოება, რომ დღეისათვის ამგვარი ფაქტები აღკვეთილია, მიუხედავად დაპირისპირებისა, მიუთითებს, რომ პოლიციის მხრიდან ყველა საჭირო ზომა იქნა მიღებული ეფექტიანი სამართლებრივი დაცვის განსახორციელებლად.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ასევე გასათვალისწინ-

ნებელია ის გარემოებაც, რომ საქართველოს კონსტიტუციისა და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო ასევე იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, შესაბამისად, შს სამინისტრო მოქმედებდა გამოხატვის თავისუფლებისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის ინტერესების დაცვით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ხელისუფლების როლი მდგომარეობს არა დაძაბულობის მიზეზის აღმოფხვრაში პლურალიზმის გამორიცხვის გზით, არამედ იმის უზრუნველყოფაში, რომ დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის დამკვიდრდეს შემწყნარებლური განწყობა. სახელმწიფოს ეს ფუნქცია ხელს უწყობს ტოლერანტობის პრინციპზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბებას – რელიგიური მშვიდობისა და შემწყნარებლობის დამკვიდრებას დემოკრატიულ საზოგადოებაში.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. 208-ე მუხლის პირველი ნაწილით, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან ამ ორგანოს სხვა სახელმწიფო მოსამსახურის ან საჯარო მოსამსახურის (გარდა ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული საჯარო მოსამსახურისა) მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. იმავე კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. ამასთან, იმავე კოდექსის 413-ე მუხლი იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნით იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ყველას აქვს უფლება აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს რელიგიისა და რწმენის შეცვლის თავისუფლებას და აგრეთვე თავისუფლებას, როგორც ინდივიდუ-

ალურად, ასევე სხვებთან ერთად საქვეყნოდ ან განკერძოებით გააცხადოს თავისი რელიგია და რწმენა აღმსარებლობით, სწავლებით, წესების დაცვით და რიტუალების აღსრულებით. ამაზე მიუთითებს „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-18 მუხლის პირველი პუნქტი.

აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება ნიშნავს, რომ პირი არ შეიძლება დაექვემდებაროს მოპყრობას, რომლის მიზანია აზროვნების წესის შეცვლა. იგი ნიშნავს, რომ პირს აქვს უფლება, არა მხოლოდ გამოავლინოს თავისი რელიგია და მრწამსი, არამედ ასევე თავი შეიკავოს მისი გამოვლენისაგან. აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლების უფლება მოიცავს თავისუფლებას, პირს ჰქონდეს ან არ ჰქონდეს რელიგიური მრწამსი და იყოს ან არ იყოს რელიგიის მიმდევარი.

სასამართლომ მიიჩნია, რომ კანონით გათვალისწინებული უფლება, რომლის სარგებლობაშიც მოსარჩევეებს ხელი შეეშალათ მოპასუხე სახელმწიფო ორგანოს ქმედებას არ უკავშირდება – ადგილი არ ჰქონია ხსენებული ორგანოს მიერ, მისთვის დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობას და ასეთი შეუსრულებლობით მოსარჩელეთა უფლების (გამოველინათ საკუთარი რელიგია და მრწამსი – სწავლებით, რაც, მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, ასევე კავშირშია საკუთრების უფლებასთან, განათლების მიღების უფლებისა და მშობელთა უფლებასთან – ბავშვებმა მიიღონ თავიანთი რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამისი განათლება და სწავლება) დარღვევას.

სააპელაციო სასამართლო მოიშველიებს ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საქმეზე *Nachova and other v. Bulgaria* (განცხადებები №43577/98 და 43579/98), სადაც ძირითადად განხილული იყო მტკიცების ტვირთისა და შესაბამისი ხარისხის ასპექტები დისკრიმინაციის დადგენასთან დაკავშირებით. ევროპული სასამართლო მეტად მაღალი ხარისხით ითხოვს განმცხადებლებისაგან დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურებას. მტკიცებულებათა შეფასებისას, სასამართლო ადგენს ყველაზე მაღალ სტანდარტს „გონივრული ეჭვის ზღვარს მიღმა“. სასამართლოს მტკიცებით, აღნიშნული აუცილებელია იმისათვის, რომ განხილულ იქნეს ხელშემკვრელი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი.

პალატის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩევეები ამტკიცებენ, რომ სახელმწიფოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ, რომლის ნაწილსაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო წარმოადგენს, ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება, გამოეველინათ მოსახლეობის ერთი ნაწილის რელიგიურ ნიშნულზე დისკრიმინაციის ფაქტი და დაეცვათ საქართველოს კონ-

სტიტუციის მე-9 მუხლით აღიარებული რწმენისა და აღმსარებლობის სრული თავისუფლება.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტი (მოსარჩელე) მხარის პოზიცია და დაეთანხმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს დასკვნას, რომ მოსარჩელებმა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 და მე-4 მუხლების (რაც ასევე მოქმედებს ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში) დებულებებიდან გამომდინარე ვერ წარმოადგინეს საკმარისი მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა, რომ ადგილი ჰქონდა „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის“ მე-2 მუხლით სახელმწიფოსთვის დაკისრებული ნეგატიური ვალდებულების დარღვევას დისკრიმინაციულ ნიადაგზე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 18 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ა(ა)იპ ..., კ. კ-ემ, ბ. ი-ემ და თ. ხ-მა, რომელთაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორთა მითითებით, მოცემული დავა შეეხება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიტიური ვალდებულებების განუხორციელებლობას დისკრიმინაციული მოტივით, რომელიც არსებითად განპირობებული იყო მოსარჩელეთა რელიგიური იდენტობით.

კასატორთა მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს არასათანადოდ აქვს შეფასებული ან თითქმის არ ფარავს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიტიური ვალდებულებების და განვითარებული მოვლენების კონტექსტში მისი რეაგირების ადეკვატურობას, განსაკუთრებით კი პრევენციული ღონისძიებების განხორციელების კუთხით, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული პრაქტიკის შესაბამისად გასატარებელი პოზიტიური ვალდებულებების კონტექსტში. ასევე, კასატორთა მოსაზრებით, სასამართლოს მიერ თითქმის არ არის შეფასებული და შესაბამისად, დასაბუთებული შინაგან საქმეთა სამინისტროს როლი მოპასუხე ფიზიკური პირების მიერ განგრძობადი დისკრიმინაციული მოპყრობისგან დაცვის კუთხით.

კასატორების განმარტებით, სასამართლოს არ დაუსაბუთებია, თუ როგორ გამოირიცხა შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებლობა მოქალაქეთა უფლებების დაცვის თაობაზე იმ პირობებში, როდესაც სახელმწიფოს თავიდანვე კარგად ჰქონდა გაცნობიერებული ქ. ქობულეთში, ... ქუჩა №13-ში განვითარებული მოვლენების საფრთხე და სწორედ ამის გამო იქნა მიღებული გადაწყვე-

ტილება 2014 წლის 15 სექტემბრიდან პოლიციის მუდმივი მორიგეობის თაობაზე, შესაბამისად, სასამართლო საერთოდ არ აფასებს შინაგან საქმეთა სამინისტროს პოზიტიურ ვალდებულებას მოახდინოს აღნიშნული შემთხვევის მსგავსი საფრთხეების პირობებში სამართალდარღვევების პრეზუმფცია, განტიერთვა, პირთა უფლებების პროაქტიული დაცვა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მთლიანად პასიური დაკვირვების ინსტრუმენტად აქცევს, რომელიც მხოლოდ რეაქციულ საქმიანობას ახორციელებს უშუალოდ დაზარალებული პირების მოთხოვნის საფუძველზე, სხვა მხრივ კი მთლიანად გამოთიშულია პროცესიდან იმის მიუხედავად, მისთვის აღქმადია თუ არა სამართალდამრღვევის ქმედება.

კასატორთა მითითებით, კანონიერ ძალაში შესული საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ მოსარჩელეთა მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან ხორციელდებოდა განგრძობადი დისკრიმინაცია რელიგიური ნიშნით, რაც ხდებოდა პანსიონის შესასვლელთან, იმ პერიოდში, როდესაც პოლიციის თანამშრომლები 5-10 მეტრის დაშორებით მორიგეობდნენ 24 საათის განმავლობაში, შესაბამისად, მათთვის აღქმადი იყო ეს ყველა მოვლენა, რის გამოც კასატორებს დაუსაბუთებლად მიაჩნიათ შინაგან საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებლობის გამოორიგება.

ამასთან, გამოძიების ეფექტურად ჩატარებასთან დაკავშირებით კასატორები აღნიშნავენ, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ სამი პირის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილება გამოტანილ იქნა სრულიად სხვა ეპიზოდთან დაკავშირებით, რომელსაც შემხებლობა არ ჰქონია მუსლიმების მიერ უფლებების სარგებლობასთან უშუალო ხელშეშლაში.

კასატორთა მითითებით, მოცემულ შემთხვევაში პოლიციის მხრიდან დანაშაულებრივ ფაქტებზე ოპერატიული და ეფექტური რეაგირება საერთოდ არ განხორციელებულა. კასატორთა მოსაზრებით, პოლიციის მხრიდან ხორციელდებოდა არაეფექტური მონიტორინგი.

კასატორთა მითითებით, მართალია, პოლიციის თანამშრომლები ახორციელებდნენ 24-საათიან მორიგეობას, მაგრამ მათ მიერ არ განხორციელებულა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8, მე-11, მე-16, მე-17 და 25-ე მუხლებით გათვალისწინებული ღონისძიებები. პოლიციის თანამშრომლები თავიანთ ჩვენებებში უარყოფენ 24-საათიანი მორიგეობის დროს პანსიონის ტერიტორიაზე რაიმე ინციდენტს. მსგავსი სახის უარყოფა კი მიუთითებს პოლიციის არაეფექტურობაზე, მიმდინარე პროცესების მიმართ ინდიფერენტულობასა და ადგილობრივი დომინანტი ჯგუფის წარმომადგენლების მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებაზე.

ამასთან, კასატორები აღნიშნავენ, რომ საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლითა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციით დაცულ სფეროში ექცევა მხოლოდ მშვიდობიანი შეკრება, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

კასატორები ასევე არ იზიარებენ სააპელაციო სასამართლოს მიერ დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე მტკიცების ტვირთის განაწილებას.

ამასთან, კასატორები მიუთითებენ, რომ მოსარჩელე მხარე დღემდე ვერ ახერხებს პანსიონის შენობის გახსნასა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 29 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული ა(ა)იპ ..., კ. კ-ის, ბ. ი-ისა და თ. ხ-ის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 7 დეკემბრის განჩინებით ა(ა)იპ ..., კ. კ-ის, ბ. ი-ისა და თ. ხ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ა(ა)იპ ..., კ. კ-ის, ბ. ი-ისა და თ. ხ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

თავდაპირველად საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელებმა წარმოდგენილი სარჩელით მოითხოვეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ფიზიკური პირების – ჟ. რ-ის, ა. ყ-ის და ზ. რ-ისთვის ქ. ქობულეთში, ... ქუჩა №13-ში მდებარე ა(ა)იპ ... მართლზომიერ სარგებლობაში არსებული ქონების თავისუფალი სარგებლობის, მათ შორის, აღნიშნულ შენობაში მუსლიმი მოსწავლეებისათვის განკუთვნილი პანსიონის გახსნისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით განგრობადი დისკრიმინაციული ქმედების აღმოფხვრის დავალდებულება (კერძოდ, მოპასუხე შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს მუსლიმი მოსწავლეებისათვის განკუთვნილი პანსიონის საქმიანობის აღდგენა და ფუნქციონირება. ამ მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს: 1. პანსიონის შენობის წინ აღმართული ბარიერის მოხსნა, მოსარჩელებისა და პანსიონთან დაკავშირებული პირე-

ბისათვის პანსიონის შენობაში უსაფრთხო და თავისუფალი შესვლა და საქმიანობა; 2. დაუყოვნებლივ აღკვეთოს მოსარჩელები-სა და მუსლიმი თემის წარმომადგენლების მიმართ, პანსიონის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სიტყვიერი შეურაცხყოფის, მუქარისა და იძულების ფაქტები, ასევე მოპასუხე ჟ. რ-ის, ა. ყ-ისა და ზ. რ-ისთვის პანსიონის გახსნისა და ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლის (რაც გამოიხატება მოსარჩელებისა და პანსიონთან დაკავშირებული პირების მიმართ საკუთრების უფლებით სარგებლობისა და პანსიონში შესვლისა და შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე გადაადგილების თავისუფლების ხელშეშლის შეწყვეტაში) შეწყვეტის დავალდებულება და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ფიზიკური პირების – ჟ. რ-ის, ა. ყ-ისა და ზ. რ-ისთვის სოლიდარულად მოსარჩელეთა სასარგებლოდ ერთი ლარის ოდენობით მორალური ზიანის დაკისრება.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილებით ა(ა)იპ ..., კ. კ-ის, ბ. ი-ის და თ. ხ-ის სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხეებს ჟ. რ-ეს, ა. ყ-ეს და ზ. რ-ეს დაევაღათ ქ. ქობულეთში, ... ქუჩის №13-ში მდებარე მოსარჩელე ა(ა)იპ ... მართლობიერ სარგებლობაში არსებული ქონების თავისუფალი სარგებლობის, მათ შორის, აღნიშნულ შენობაში მუსლიმი მოსწავლეებისათვის განკუთვნილი პანსიონის გახსნისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით განგრძობადი დისკრიმინაციული ქმედების აღმოფხვრა, კერძოდ, ჟ. რ-ეს, ა. ყ-ეს და ზ. რ-ეს დაევაღათ შეწყვიტონ პანსიონის გახსნისა და ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლა, რაც მათ შორის გამოიხატება მოსარჩელებისა და პანსიონთან დაკავშირებული პირების მიმართ საკუთრების უფლებით სარგებლობისა და პანსიონში შესვლისა და შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე გადაადგილების თავისუფლების ხელშეშლის შეწყვეტაში; მოპასუხეებს ჟ. რ-ეს, ა. ყ-ეს და ზ. რ-ეს დაეკისრათ მოსარჩელეთა სასარგებლოდ მორალური ზიანის ანაზღაურება 1 ლარის ოდენობით. დანარჩენ ნაწილში მოსარჩელებს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს როგორც ჟ. რ-ემ, ა. ყ-ემ და ზ. რ-ემ, ასევე ა(ა)იპ ..., კ. კ-ემ, ბ. ი-ემ და თ. ხ-მა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 29 დეკემბრის განჩინებით სამოქალაქო საქმეს ცალკე წარმოებად გამოეყო ა(ა)იპ ..., კ. კ-ის, ბ. ი-ისა და თ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ ქმედების დავალდებულებისა და მორალური ზიან-

ნის ანაზღაურების მოთხოვნით და ამ ნაწილში საქმე განსჯადობის წესების დაცვით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 18 აპრილის განჩინებით ა(ა)იპ ..., კ. კ-ის, ბ. ი-ის, თ. ხ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ ქმედების დავალდებულებისა და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელზე უარის თქმის ნაწილში.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ მორალური ზიანის ნაწილში არსებითად სწორად გადაწყვიტა მოცემული დავა და აღნიშნულ ნაწილში მიღებული გადაწყვეტილება შესაბამისობაშია და არ ეწინააღმდეგება, როგორც ეროვნულ კანონმდებლობას და სასამართლო პრაქტიკას, ასევე ევროსასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტებს.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასარჩელო მოთხოვნა მორალური ზიანის ნაწილში ეფუძნება **დისკრიმინაციის მოტივით** შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობას. შესაბამისად, აღნიშნულ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობაზე მსჯელობისას კუმულაციურად უნდა შეფასდეს, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან პოზიტიური ვალდებულების განუხორციელებლობა, ასევე აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა დისკრიმინაციის მოტივით. განსახილველ შემთხვევაში დისკრიმინაციის ფაქტის დაუდასტურებლობის პირობებში, მხოლოდ პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობა არ ქმნის მორალური ზიანის დაკისრების ნაწილში წარმოდგენილი მოთხოვნის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით დადგენილია, რომ ა(ა)იპ „...“ გეგმავდა ქობულეთში, ... ქუჩა №13-ში შპს „M...“ კუთვნილ შენობაში მუსლიმი მოსწავლეებისათვის პანსიონის გახსნას. პანსიონის ფუნქციონირება დაკავშირებული იყო სასკოლო პერიოდთან, შესაბამისად, ა(ა)იპ „...“ მიერ ახალი პანსიონის გახსნა იგეგმებოდა 2014 წლის 15 სექტემბრისათვის. ამ მიზნით ა(ა)იპ „...“ მიერ დაიწყო ქ. ქობულეთში, ... ქუჩა №13-ში მდებარე შენობაში სარემონტო სამუშაოების ჩატარება და მისი სათანადო ინვენტარით აღჭურვა.

ქ. ქობულეთში, ... ქუჩა №13-ში პანსიონის გახსნის წინააღმდეგ გამოვიდნენ აღნიშნული შენობის მეზობლად მცხოვრები მოქალაქეები, რომლებმაც 2014 წლის სექტემბრის დასაწყისში შენობის

ნინ მოაწყვეს საპროტესტო აქცია, რამაც პერმანენტული ხასიათი მიიღო.

2014 წლის 10 სექტემბერს, დაახლოებით 13:00 საათზე, აქციის მონაწილეებმა, რომლებიც თავს მართლმადიდებელ მრევლს მიაკუთვნებდნენ, პანსიონის ფუნქციონირების ხელშეშლის მიზნით, პანსიონის შესასვლელთან ღორი დაკლეს და ცხოველის თავი დემონსტრაციულად პანსიონის შენობის კარზე მიაჭედეს. შენობის წინ კი რკინის დიდი ჯვარი აღმართეს. ... ქუჩის მცხოვრებნი ახორციელებდნენ 24-საათიან მორიგეობას პანსიონის შენობასთან და აკონტროლებდნენ ა(ა)იპ „...“ წევრების და სხვა მუსლიმი მოქალაქეების მიერ პანსიონის შენობის ტერიტორიაზე გადაადგილებას, ასევე უზღუდავდნენ მათ პანსიონის შენობაში შესვლას.

2014 წლის 15 სექტემბერს კი, როცა პანსიონი ოფიციალურად უნდა გახსნილიყო, აქციის მონაწილეებმა პანსიონის ეზოში შესავლელი გზა ხის კონსტრუქციებით და მანქანის საბურავებით ჩახერგეს და ადგილზე მუდმივი მორიგეობა დაანესეს. 2014 წლის 15 და 16 სექტემბერს მიმდინარე საპროტესტო აქციის დროს ადგილობრივი მუსლიმები იმყოფებოდნენ შენობაში და მათ აქციის მონაწილეები, რომელთა შორის იყვნენ მოპასუხე ფიზიკური პირები, არ აძლევდნენ შენობის დატოვების უფლებას, ხოლო მუსლიმ მოსწავლეებს, რომლების გამოცხადდნენ სწავლის დასაწყებად, შენობის გვერდით მცხოვრებმა მეზობლებმა, მათ შორის ყ. რ-ემ, ა. ყ-ემ და ზ. რ-ემ არ მისცეს შენობაში შესვლის უფლება.

2014 წლის სექტემბრის თვეში ქ. ქობულეთში, ... ქუჩა №13-ში მდებარე შენობის წინ მიმდინარე აქციების დროს მოპასუხეები აკეთებდნენ ისლამოფობიურ განცხადებებს, ისინი ეწინააღმდეგებოდნენ პანსიონის გახსნას. 2014 წლის 10 სექტემბრის შემდეგ მოპასუხეების და მათ მიერ ორგანიზებული ჯგუფის მხრიდან განგრძობითად ხორციელდებოდა ა(ა)იპ „...“ წევრების, პანსიონის მოსწავლეებისა და პანსიონთან ან მუსლიმ თემთან კავშირში მყოფი სხვა პირებისათვის ქ. ქობულეთში, ... ქუჩა №13-ში მდებარე შენობაში შესვლისა და გამოსვლის კონტროლი, მათ შორის დაფიქსირდა სასმელი წყლის გადაკეცვის, ასევე მაღაზიის მომსახურების მიღების ხელშეშლის ფაქტები. როგორც მოწმეების – დ. ც-ის და რ. გ-ის ჩვენებებით დგინდება, ადგილი ჰქონდა პანსიონში დარჩენილი პირებისათვის საკვებით უზრუნველყოფაში ხელშეშლას, პანსიონში თავისუფლად გადაადგილების ხელშეშლისა და შეურაცხყოფის ფაქტებს.

2014 წლის 10 სექტემბერს დაბა ჩაქვში მცხოვრებმა, შპს „...“ წარმომადგენელმა მ. მ-ემ განცხადებით მიმართა ქობულეთის რაიონულ სამმართველოს აქციის მონაწილეების მხრიდან ქ. ქობულ-

ლეთში, ... ქუჩა №13-ში მდებარე შენობის გადაწვისა და განადგურებისათვის განხორციელებული მუქარის შესახებ. აღნიშნული განცხადების საფუძველზე მუქარის ფაქტთან დაკავშირებით დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისათვის. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით დაიკითხა 100-ზე მეტი მონმე.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს ქობულეთის გამგებლის ახსნა-განმარტებით და საქმეში წარმოდგენილი სხვა მტკიცებულებებით დადგენილ იმ გარემოებაზე, რომ აქციის მონაწილეებს, მათ შორის მოპასუხე ფიზიკურ პირებს და ა(ა)იპ „...“ წევრებს შორის მორიგების მიღწევის მიზნით მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ ქობულეთის გამგებელი და სახალხო დამცველის წარმომადგენლები. მხარეთა შორის არსებული კონფლიქტის აღმოფხვრის მიზნით, მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. აღნიშნული გარემოება ასევე დაადასტურა სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე ა(ა)იპ „...“ თავმჯდომარემ – რ. კემაც, რომელმაც განმარტა, რომ საკითხის მოგვარების მიზნით იგი არაერთხელ შეხვდა როგორც ადგილობრივი მთავრობის, ისე ცენტრალური ხელისუფლებისა და სახალხო დამცველის წარმომადგენლებს. მიუხედავად აღნიშნულისა, მხარეები ვერ შეთანხმდნენ და ... ქუჩის მცხოვრებნი კვლავ ეწინააღმდეგებოდნენ პანსიონის გახსნას, რის გამოც ქ.ქობულეთში, ... ქუჩა №13-ში მდებარე შენობასთან, 2014 წლის 15 სექტემბრის შემდეგ, მობილიზებული იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები, რომლებმაც სამართალდარღვევების თავიდან აცილების მიზნით დაიწყეს პრევენციული ზომების გატარება. 2014 წლის 15 სექტემბრის შემდეგ პოლიციის მხრიდან მუდმივად კონტროლდებოდა აღნიშნული ტერიტორია, მოსახლეობას შორის ფიზიკური თუ სიტყვიერი დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად. პოლიციის თანამშრომლებისათვის დასახმარებლად ამ პერიოდში არავის მიუმართავს.

საქალაქო სასამართლოს სხდომაზე დაკითხული პოლიციის თანამშრომლების განმარტებებით ირკვევა, რომ ქ. ქობულეთში, ... ქუჩა №13-ში მდებარე შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე, 2014 წლის 15 სექტემბრიდან – თვის ბოლომდე, 24 საათის განმავლობაში მორიგებდა პოლიციის მინიმუმ ორი თანამშრომელი. როგორც აღნიშნული მოწმეების ჩვენებებით დგინდება, ამ პერიოდში შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებს აღნიშნულ ტერიტორიაზე არ შეუნიშნავთ რაიმე ინციდენტი, რომელიც გამოიხატებოდა წესრიგის დარღვევაში და რომლისთვისაც საჭირო გახდებოდა პოლიციის რეაგირება.

მონმეების – დ. ც-ის და რ. გ-ის, ასევე მოსარჩელებების – კ. კ-ის და ბ. ი-ის ჩვენებებით დადგინდა, რომ რამდენჯერმე ადგილი ჰქონდა პანსიონში დარჩენილთა საკვებით უზრუნველყოფის ხელშეშლას, ასევე მათ შეურაცხყოფას, თუმცა მათ დასახმარებლად პოლიციისთვის არ მიუმართავთ.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი განსაზღვრავს საქართველოს პოლიციის საქმიანობის ძირითად პრინციპებს, პოლიციის ორგანიზაციული მოწყობის სამართლებრივ საფუძვლებს, პოლიციის ფუნქციებს, საპოლიციო ღონისძიებებსა და პოლიციის მიერ საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების სამართლებრივ ფორმებს, პოლიციაში სამსახურის გავლის წესს, პოლიციელის სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიებს, პოლიციის საქმიანობის კონტროლს. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზანია, უზრუნველყოს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვა. საქართველოს პოლიცია არის აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი სამართალდამცავი დაწესებულება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში ახორციელებს პრევენციულ და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად (მუხ. 3). შესაბამისად, პოლიციის დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი უსაფრთხოება და მართლწესრიგი. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი განმარტავს თითოეული მათგანის ცნებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოება – ეს არის პირთა უფლებების, სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობისა და კონსტიტუციური წყობილების, საქართველოს კანონებისა და სხვა აქტების ურღვევობა, ხოლო მართლწესრიგი – საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ქცევისა და ურთიერთობების სისტემაა, რომელიც წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობითა და იმ ადათ-წესებით, ტრადიციებითა და ზნეობრივი ნორმებით, რომლებიც არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობას.

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პოლიცია უფლებამოსილია დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილებისა და აღკვეთის მიზნით განახორციელოს პრევენციული ღონისძიებები. ამავე კანონის 5.4 მუხლით, პოლიციის პრევენციული საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმების – ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისა და ადმინისტრაციული რეალაქტის – გამოყენებით. საკასა-

ციო სასამართლო იზიარებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მითითებას იმის თაობაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში სწორედ ასეთი პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით იქნა დაწესებული მუდმივი მორიგეობა და 2014 წლის 15 სექტემბრის შემდეგ პოლიციის მხრიდან მუდმივად კონტროლდებოდა ქ. ქობულეთში, ... ქუჩა №13-ში მდებარე შენობის მიმდებარე ტერიტორია, რათა არ მომხდარიყო რაიმე ფიზიკური თუ სიტყვიერი დაპირისპირება.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო მოსარჩელეთა უფლებების დაცვას ახორციელებდა გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფის პარალელურად. საქართველოს კონსტიტუციისა და „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო ასევე იცავს სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას, შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისას უნდა დაეცვა ბალანსი ორი დაპირისპირებული უფლების გათვალისწინებით, გამოხატვის თავისუფლებისა და დისკრიმინაციის აღმოფხვრის ინტერესების დაცვით.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის II თავით განსაზღვრულია პოლიციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები, კერძოდ, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პოლიციელი თავის საქმიანობაში განუხრელად იცავს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის, კანონიერების, დისკრიმინაციის დაუშვებლობის, თანაზომიერების, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების, პოლიტიკური ნეიტრალობისა და პოლიციის საქმიანობის გამჭვირვალობის პრინციპებს. მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პოლიციის საქმიანობის განხორციელების ფორმები, მეთოდები და საშუალებები არ უნდა ხელყოფდეს ადამიანის პატივსა და ღირსებას, არ უნდა არღვევდეს ადამიანის სიცოცხლის, ფიზიკური ხელშეუხებლობისა და საკუთრების უფლებებს და სხვა ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, გაუმართლებელ ზიანს არ უნდა აყენებდეს გარემოს. ამასთან, მე-12 მუხლი ეხება თანაზომიერების პრინციპს, რომლის თანახმად, საპოლიციო ღონისძიება უნდა ემსახურობდეს ლეგიტიმური მიზნის მიღწევას. შერჩეული საპოლიციო ღონისძიება უნდა იყოს გამოსადეგი, აუცილებელი და პროპორციული. მე-13 მუხლი კი ეხება დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პრინციპს, რომლის თანახმად, 1. პოლიცია თავისი ფუნქციების შესასრულებლად მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, კანონით გათვალისწინ-

ნებულ შემთხვევებსა და ფარგლებში; 2. პოლიციელი უფლებამოსილია გადაწყვიტოს, განახორციელოს თუ არა საპოლიციო ღონისძიება; 3. პოლიციელს მინიჭებული აქვს თავისუფლება, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რამდენიმე საპოლიციო ღონისძიებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები, თანაზომიერების პრინციპის შესაბამისად; 4. საფრთხის აღკვეთისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული რამდენიმე საპოლიციო ღონისძიების არსებობისას საკმარისია ერთ-ერთის გამოყენება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პოლიცია პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისას მოქმედებდა რა დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, საფრთხის თავიდან ასაცილებლად განახორციელა საპოლიციო ღონისძიებები, ახორციელებდა 24-საათიან მორიგეობას და პოლიციის მხრიდან მუდმივად კონტროლდებოდა ტერიტორია, რათა მხარეებს შორის არ მომხდარიყო ფიზიკური და სიტყვიერი დაპირისპირება. პოლიციის 24-საათიან მორიგეობას კი არ დაუშვია დაპირისპირება მოდავე მხარეებს შორის. სწორედ პოლიციის დამსახურებაა, რომ ერთჯერადი დაპირისპირების შემდეგ, პოლიციის მხრიდან პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შედეგად, უფრო მძიმე შედეგი არ დადგა და პოლიციის მობილიზაციის შედეგად მხარეებს შორის ფიზიკური და სიტყვიერი დაპირისპირების მცდელობას ადგილი არ ჰქონია.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, ევროპული კონვენციის შესაბამისად სახელმწიფო ვალდებულია გაატაროს კონკრეტულ გარემოებებში გონივრული ზომები და დაიცვას ქვედა ზღვარი, ექსტრემალურ შემთხვევებში სახელმწიფო შესაძლოა ვალდებული იყოს ამოავსოს ის სამართლებრივი ვაკუუმი, საიდანაც დისკრიმინაცია მომდინარეობს.

ამასთან, კონვენციის მე-3 მუხლით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებები ისეთი სახით არ უნდა იქნეს განმარტებული, რომ შესაბამის ორგანოებს შეუძლებელი ან არათანაზომიერი ვალდებულების ტვირთს აკისრებდეს (იხ. საქმე პანტეა რუმინეთის წინააღმდეგ, №33343/96, §189, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2003-VI (ამონარიდები)).

ევროსასამართლოს ხშირად გაუმახვილებია ყურადღება სახელმწიფოს, როგორც ნეიტრალური და მიუკერძოებელი ორგანიზატორის, როლზე სხვადასხვა რელიგიის, აღმსარებლობისა და რწმენის რეალიზებაში და განუცხადებია, რომ ეს როლი დემოკრატიულ საზოგადოებაში ხელს უწყობს საზოგადოებრივ წესრიგს, რელიგიურ ჰარმონიასა და შემწყნარებლობას (იხილეთ საქმე – ს.ა.ს. საფრანგეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], №43835/11, §127, 2014 წლის 1 ივ-

ლისი, მათში მოყვანილი დამატებითი მინიშნებებით და საქმე – სინდიკატულ „პესტორულ ჩელ ბუნ“ რუმინეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], №2330/09, §165, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო 2013 (ამონარიდები)). ევროსასამართლო ასევე თვლის, რომ სახელმწიფოს ვალდებულება, იყოს ნეიტრალური და მიუკერძოებელი, შეუთავსებელია სახელმწიფოს უფლებამოსილებასთან, რათა შეაფასოს რელიგიური რწმენებისა ან მათი გამოხატვის ფორმების კანონიერება (იხილეთ საქმეები – მანუსაკისი და სხვები საბერძნეთის წინააღმდეგ, 1996 წლის 26 სექტემბერი, §47, ანგარიშები 1996-IV; ჰასანი და ჩაუში ბულგარეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], №30985/96, §78, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 2000-XI; რეფა პარტისი (კეთილდღეობის პარტია) და სხვები თურქეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], №№ 41340/98, 41342/98, 41343/98 და 41344/98, §91, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 2003-II; და ფერნანდეს მარტინესი ესპანეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], №56030/07, §129, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 2014 (ამონარიდები)) და რომ ეს ვალდებულება სახელმწიფოსგან მოითხოვს დაპირისპირებულ ჯგუფებს შორის ურთიერთშემწყნარებლობის უზრუნველყოფას (იხილეთ საქმე – თურქეთის გაერთიანებული კომუნისტური პარტია და სხვები თურქეთის წინააღმდეგ, 1998 წლის 30 იანვარი, §57, ანგარიშები 1998-I და საქმე – ლეილა შაჰინი თურქეთის წინააღმდეგ [დიდი პალატა], №44774/98, §107, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია 2005-XI). შესაბამისად, ხელისუფლების ორგანოების როლი ასეთ გარემოებებში არის არა დაძაბულობის მიზეზის მოსპობა პლურალიზმის აღმოფხვრის მეშვეობით, არამედ იმის უზრუნველყოფა, რომ მოქიშპე ჯგუფები ერთმანეთის მიმართ შემწყნარებლურად იყვნენ განწყობილნი; ნაკლებად სავარაუდოა, რომ სახელმწიფოს ამ როლმა შეასუსტოს აღმსარებლობის ან ეკლესიის როლი, რასთანაც ისტორიულად და კულტურულად არის დაკავშირებული რომელიმე კონკრეტული ქვეყნის მოსახლეობა (იხილეთ საქმე იეჰოვას მოწმეთა გლდანის მრევლის წევრები და სხვები, №71156/01, §132, 2007 წლის 3 მაისი, მასში მითითებული დამატებითი მინიშნებებით).

რაც შეეხება კასატორთა მტკიცებას იმის თაობაზე, რომ პოლიციის მიერ გამოყენებული საშუალება არ ამართლებდა მიზანს და პოლიციის 24-საათიანი მორიგეობის მიუხედავად, მათ ვერ შეძლეს პანსიონით სარგებლობა, მიუთითებს პოლიციის მიერ მისთვის მინიჭებული დისკრეციის ფარგლებში გამოყენებული პრევენციული ღონისძიებების არასათანადოობაზე და არ ადასტურებს პოლიციის დისკრიმინაციულ მიდგომას კასატორთა მიმართ.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სწორედ დისკრიმინა-

ციის ფაქტის დადგენას აქვს მოცემული დავისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა, ვინაიდან აღნიშნული ფაქტის დადგენა უკავშირდება მორალური ზიანის დაკისრებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურება აღიარებული და გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურეობრივ მოვალეობას სხვა პირთა მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. ამასთან, ამავე კოდექსის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს, მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, პოლიციელი არის საჯარო მოხელე, რომელსაც მინიჭებული აქვს სპეციალური ნოდებები და დადებული აქვს პოლიციელის ფიც; ხოლო 48-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, პოლიციელი სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას არის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა მისი ორგანოების მიერ მიყენებული ზიანისათვის დადგენილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავის დებულებებით. ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, შესაბამისად, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამოწვევების გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული. ამასთან, აღნიშნული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის მიერ ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურეობრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვა ხორციელდება მიუხედავად ხელმყოფის ბრალისა, ხოლო თუ დარღვევა გამოწვეულია ბრალეული მოქმედებით, პირს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურებაც. ბრალეული ხელყოფის შემთხვევაში, უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაც. ამასთან, მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისგან დამოუკიდებლად.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მორალური ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყოველგვარი მორალური ზიანი (სულიერი ტანჯვა), თუნდაც ეჭვს არ იწვევდეს მისი ანაზღაურება, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის ანაზღაურებასაც პირდაპირ ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ კასატორები მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლად მიუთითებენ პოლიციის მხრიდან დისკრიმინაციის მოტივით პოზიტიური ვალდებულების განუხორციელებლობაზე. კასატორები (მოსარჩელები) აღნიშნავენ, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობა კანონით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობაში გამოიხატა, რაც რელიგიური ვალდებულებით მოტივირებული ქცევის შეწყნარებასა და დაშვებას განაპირობებს. კასატორები მიიჩნევენ, რომ მუსლიმი თემის უფლებებისადმი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინდეფერენტულობითა და ზედაპირული დამოკიდებულებით განხორციელდა მათი დისკრიმინაცია რელიგიური ნიშნით.

საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად, ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და ნოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა. საქართველოს კონსტიტუციის 38.1 მუხლის მიხედვით, საქართველოს მოქალაქენი თანასწორნი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულ-

ტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

დისკრიმინაციულ ფორმათა აღმოფხვრის, პრევენციისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ შესაბამისი დებულებები უფრო დეტალურადაა რეგლამენტირებული „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონში.

დისკრიმინაციის აკრძალვის თაობაზე ასევე მრავალ საერთაშორისო ხელშეკრულებაშია მოხსენიებული, კერძოდ, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-14 მუხლის თანახმად, ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა ნიშნისა. მითითებული მე-14 მუხლისაგან განსხვავებით, რომელიც კრძალავს დისკრიმინაციას მხოლოდ კონვენციით გარანტირებულ უფლებებთან მიმართებით, კონვენციის მე-12 ოქმის პირველი მუხლის თანახმად, კანონით დადგენილი, ნებისმიერი უფლებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონების, დაბადების ან სხვა ნიშნისა; დაუშვებელია საჯარო ხელისუფლების მხრიდან ვინმეს დისკრიმინაცია პირველ პუნქტში აღნიშნული რომელიმე საფუძვლით.

საკაცაციო სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაცია, როგორც გამორჩევა, შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება თანაბარი უფლებებისა და მათი დაცვის უარყოფის მიზნით, არის თანასწორობის პრინციპის შელახვა და ადამიანის ღირსების ხელყოფა. ადამიანთა გარკვეული კატეგორიის დისკრიმინაცია შეიძლება ხდებოდეს მათი რასობრივი კუთვნილების, ეროვნების, სარწმუნოების, პოლიტიკური მრწამსისა და სხვა ამგვარი ნიშნებითა თუ მოტივით. დისკრიმინაცია, რა ფორმითაც უნდა იყოს იგი გამოხატული, ეწინააღმდეგება სამართლიანობის პრინციპს და აკრძალულია როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ისე საერთაშორისო სამართლის ნორმებით. სახელმწიფოებს ეკისრებათ, როგორც ნეგატიური ვალდებულება (თანასწორად მოეპყრონ თანაბარ მდგომარეობასა და პირობებში მყოფ პირებს), ასევე პოზიტიური ვალდებულება (განსხვავებულად მოეპყრონ არათანაბარ პირობებში მყოფ პირებს, რათა მათ თანასწორი ხელმისაწვდომობა ჰქონდეთ უფლებებსა და თავისუფლებებზე). სახელმწიფოს როლი, ვალდებულებები და პა-

სუხისმგებლობა განუზომლად დიდია დისკრიმინაციის ეფექტურ პრევენციაში.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელები ამტკიცებენ, რომ სახელმწიფოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ, რომლის ნაწილსაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო წარმოადგენს, ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება, გამოეყვინათ მოსახლეობის ერთი ნაწილის რელიგიურ ნიადაგზე დისკრიმინაციის ფაქტი და დაეცვათ საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლით აღიარებული რწმენისა და აღმსარებლობის სრული თავისუფლება. ამასთან, კასატორები მიუთითებენ, რომ პოლიციის მხრიდან ყოველივე აღნიშნულს დისკრიმინაციის მოტივი ედო საფუძვლად.

დისკრიმინაციის ფაქტის დადგენასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებაზე და მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363<sup>1</sup> მუხლზე, სადაც მითითებულია, რომ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სარჩელი შეიძლება განხილულ იქნეს ამ თავით დადგენილი წესით, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ხოლო ამავე კოდექსის 363<sup>3</sup> მუხლის თანახმად, სარჩელის აღძვრისას პირმა სასამართლოს უნდა წარუდგინოს ფაქტები და შესაბამისი მტკიცებულებები, რომლებიც დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდის საფუძველს იძლევა, რის შემდეგაც მოპასუხეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაცია არ განხორციელებულა.

ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილ გადანყვეტილებაში საქმეზე *Nachova and other v. Bulgaria* (განცხადებები №43577/98 და 43579/98), ძირითადად განხილული იყო მტკიცების ტვირთისა და შესაბამისი ხარისხის ასპექტები დისკრიმინაციის დადგენასთან დაკავშირებით. ევროპული სასამართლო მეტად მაღალი ხარისხით ითხოვს განმცხადებლებისაგან დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურებას. მტკიცებულებათა შეფასებისას, სასამართლო ადგენს ყველაზე მაღალ სტანდარტს „გონივრული ეჭვის ზღვარს მიღმა“. სასამართლოს მტკიცებით აღნიშნული აუცილებელია იმისათვის, რომ განხილულ იქნეს ხელშემკვრელი სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი.

განსახილველ შემთხვევაში კასატორები ვერ ადასტურებენ, რომ რელიგიურმა სიძულვილმა განაპირობა პოლიციის მხრიდან მათ მიმართ არასათანადო მოპყრობა. საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით დასტურდება მოსარჩელეთა მიერ პანსიონით სარგებლობის შეუძლებლობა ფიზიკური პირების წინააღმდეგობის გამო. კასატორთა მიერ დასახელებული გარემოებები კი მიუთითებს პოლიციის ქმედებათა არასათანადოობაზე და არ ადასტურებს პო-

ლიციის დისკრიმინაციულ მიდგომას კასატორთა მიმართ.

აღნიშნულის საპირისპიროდ, საქმეზე დადგენილი ის გარემოება, რომ პოლიციის მხრიდან ხდებოდა მორიგეობა 24-საათიან რეჟიმში (რასაც არც მოსარჩელები უარყოფენ), ამასთან, ის გარემოება, რომ როგორც ადგილობრივი ხელისუფლება, ასევე ცენტრალური ხელისუფლება ჩართული იყო დაპირისპირებულ მხარეთა მორიგების პროცესში, ასევე ის გარემოება, რომ ქ. ქობულეთში, ... შეუფერხებლად ფუნქციონირებს მსგავსი ტიპის პანსიონი, გამორიცხავს შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან მოსარჩელეთა მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას.

ამასთან, განსხვავებით იეჰოვას მოწმეთა მიმართ განხორციელებული საყოველთაოდ ცნობილი ძალადობის არაერთი ფაქტისა (იხ. საქმე ბელელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, №28490/02, 2014 წლის 7 ოქტომბერი; ასევე საქმე იეჰოვას მოწმეების გლდანის მრევლის წევრები და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, №71156/01, 2007 წლის 3 მაისი), აჭარის რეგიონში წლებია თანაცხოვრობენ ქართველი მუსლიმები, სადაც განხორციელდა ათობით მეჩეთის მშენებლობა, რაც ასევე გამორიცხავს ხელისუფლების მხრიდან ქართველი მუსლიმების მიმართ დისკრიმინაციულ მიდგომას.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პოლიციის მიერ მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულებების სათანადოდ შეუსრულებლობის პირობებშიც, მოცემულ შემთხვევაში არ დასტურდება ამ ვალდებულების შეუსრულებლობა დისკრიმინაციის მოტივით, რაც გამორიცხავს მოცემულ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

მოსარჩელეთა მიმართ ფიზიკური პირების (თავდაპირველი მოპასუხეები) მხრიდან დისკრიმინაციული მოპყრობის ფაქტი კი დადასტურებულია სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით.

საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კასატორთა მითითებას ევროსასამართლოს გადაწყვეტილებებზე (საქმეები – ბელელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, №28490/02, 2014 წლის 7 ოქტომბერი; იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, №73235/12, 2015 წლის 12 მაისი), სადაც ადგილი ჰქონდა მოცემული დავისგან რადიკალურად განსხვავებულ ფაქტობრივ გარემოებებს, რასაც შედეგად მოჰყვა ევროსასამართლოს შესაბამისი შეფასებები. დასახელებულ საქმეებში, ერთ შემთხვევაში (იდენტობა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ) დადგინდა პოლიციის სრული უმოქმედობა, ხოლო მეორე შემთხვევაში (ბელელური და სხვები საქართველოს წინააღმდეგ) თავად პოლიცია ახ-

დენდა მომჩივანთა უფლებების დარღვევას. მითითებულ საქმეებში პოლიციის ორგანოებს არანაირი ზომა არ მიუღიათ მომჩივანთა ინტერესების დასაცავად, რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ არსებითად სწორი გადაწყვეტილება მიიღო მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს მოცემული დავის ფარგლებში სააპელაციო სასამართლოში აპელანტთა მიერ წარდგენილ სასარჩელო მოთხოვნაზე და აღნიშნავს, რომ თავდაპირველად შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ აპელანტთა მოთხოვნას წარმოადგენდა, როგორც მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრება დისკრიმინაციის მოტივით პოზიტიური ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, ასევე პანსიონით შეუფერხებლად სარგებლობის უზრუნველყოფა, რაც ასევე მოიცავდა შენობის წინ არსებული ბარიერების მოშლას. აღსანიშნავია, რომ სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე მოთხოვნის არაერთგზის დაზუსტების შედეგად, აპელანტების წარმომადგენელმა მოცემული დავის ფარგლებში საბოლოოდ მოითხოვა მოპასუხე შინაგან საქმეთა სამინისტროს უზრუნველყო მოსარჩელებისა და პანსიონთან დაკავშირებული პირებისათვის პანსიონის შენობაში უსაფრთხო და თავისუფალი შესვლა და საქმიანობა; დაუყოვნებლივ აღეკვეთა მოსარჩელებისა და მუსლიმი თემის წარმომადგენლების მიმართ პანსიონის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სიტყვიერი შეურაცხყოფის, მუქარისა და იძულების ფაქტები და სამინისტროს მოსარჩელეთა სასარგებლოდ დაკისრებოდა მორალური ზიანის ანაზღაურება ერთი ლარის ოდენობით. აპელანტებმა მოთხოვნა მხოლოდ ხელოვნური ბარიერების ნაწილში მოხსნეს, იმ მოტივით, რომ იგი მუნიციპალიტეტმა დაასუფთავა. ამასთან, აპელანტების წარმომადგენელმა სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე არაერთგზის აღნიშნა, რომ პანსიონით შეუფერხებლად სარგებლობას ვერ ახერხებდნენ. თუმცა აღნიშნულის მიუხედავად, სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში მსჯელობს მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნის ნაწილში და მსჯელობის გარეშე ტოვებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ პანსიონით შეუფერხებლად სარგებლობის უზრუნველყოფის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნას. იმ პირობებში, როდესაც აპელანტების წარმომადგენელი ადასტურებდა მოსარჩელეთა მიერ პანსიონით სარგებლობის შეუძლებლობას, სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ამგვარი ფაქტები აღკვეთილი იყო, რაც ადასტურებს საქმის

გარემოებების არასათანადო გამოკვლევასა და აღნიშნულ ნაწილში საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების აუცილებლობას. საკასაციო სასამართლოს მითითებით, წარმოდგენილი სარჩელის უმთავრეს მიზანს სწორედ პანსიონით შეუფერხებლად სარგებლობის უზრუნველყოფა წარმოადგენდა.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეთა მოთხოვნა მიმართულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რეალაქტის განხორციელებისაკენ. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, რეალაქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს ისეთი საჯაროსამართლებრივი ღონისძიება, რომელიც მიმართულია არა სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ, არამედ ფაქტობრივი შედეგების დადგომისაკენ. აღნიშნულ ნაწილში მოსარჩელეთა მოთხოვნა ეფუძნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლს, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციული ორგანოსათვის მოქმედების განხორციელების ან მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების დავალების მოთხოვნით სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის დაკმაყოფილების პირობებს ამავე კოდექსის 33<sup>1</sup> მუხლი შეიცავს, რომელიც სარჩელის დაკმაყოფილებას უკავშირებს სარჩელის დასაშვებობის რამდენიმე პირობას, კერძოდ, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ რაიმე მოქმედების განხორციელება ან უარი რაიმე მოქმედების განხორციელებაზე კანონს უნდა ეწინააღმდეგებოდეს, ამასთანავე, ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს უნდა აყენებდეს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს.

ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლით გათვალისწინებული მავალდებულებელი სარჩელის მოთხოვნა საქიროებს ადმინისტრაციული ორგანოს (მისი უფლებამოსილებიდან გამომდინარე) მოქმედების განხორციელების ან მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების ვალდებულების დადგენას.

ქმედების განხორციელების მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების განმსაზღვრელი ნორმა. უფლების სამართლებრივი საფუძვლის შემონმება კი შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება რაიმე მოქმედების განხორციელებაზე ან მოქმედებისგან თავის შეკავებაზე.

განსახილველ შემთხვევაში სამინისტროსთვის პანსიონით შეუფერხებლად სარგებლობის უზრუნველყოფის დავალების წინაპირობას წარმოადგენს საქმეზე არსებული ფაქტობრივი გარემოებების

დადგენა, ვინაიდან სამინისტროსთვის ქმედების განხორციელების დავალების ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობაზე მსჯელობისას საქმეზე უნდა დასტურდებოდეს დღეის მდგომარეობით მოსარჩელეთა მიერ პანსიონით სარგებლობის შეუძლებლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მითითებულ ნაწილში საქმის ხელახლა განხილვისას უნდა იმსჯელოს პანსიონით შეუფერხებლად სარგებლობის უზრუნველყოფის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობაზე, რა დროსაც სააპელაციო სასამართლომ უნდა გამოარკვიოს ამჟამად არსებული მდგომარეობა პანსიონით სარგებლობასთან დაკავშირებით და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე. შესაბამისად, აღნიშნულ ნაწილში იქმნება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტისა და 412-ე მუხლის საფუძველზე გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების საფუძველი.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა(ა)იპ ..., კ. კ-ის, ბ. ი-ისა და თ. ხ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 18 აპრილის განჩინება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ქმედების განხორციელების დავალების ნაწილში და საქმე აღნიშნულ ნაწილში ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს; ხოლო დანარჩენ ნაწილში უცვლელად უნდა დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 18 აპრილის განჩინება.

სააპელაციო სასამართლომ, თავის მხრივ, საქმის ხელახლა განხილვისას, საკასაციო სასამართლოს მითითებების გათვალისწინებით, საქმეზე უნდა მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 412-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა :**

1. ა(ა)იპ ..., კ. კ-ის, ბ. ი-ისა და თ. ხ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2017 წლის 18 აპრილის განჩინება.

ციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 18 აპრილის განჩინება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ქმედების განხორციელების დავალების ნაწილში და საქმე აღნიშნულ ნაწილში ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;

3. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 18 აპრილის განჩინება;

4. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო განწყვეტილების მიღებისას;

5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **ალიარეპული საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმი**

### **განჩინება საქართველოს სახელში**

№ბს-728-720(კ-16)

28 სექტემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**მ. ვაჩაძე,**  
**ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** ქმედების განხორციელება

**აღწერილობითი ნაწილი:**

გ. ა-მა 09.07.2008წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ მოპასუხის მიერ გაცემული წერილობითი პასუხის ბათილად ცნობისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 777392,6 ლარის ანაზღაურების დავალების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 14.07.2008წ. განჩინებით გ. ა-ს სარჩელზე დაუდგინდა ხარვეზი დაკონკრეტებული სასარჩელო მოთხოვნის არარსებობის გამო. მოსარჩელემ 10.09.2008წ. განცხადებით შეავსო ხარვეზი და მოთხოვნად მიუთითა მოპასუხის მხრიდან მისთვის 639757,5 ლარის ანაზღაურება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ არის თადარიგის პოლკოვნიკი, მსახურობდა სსრკ-ის შეიარაღებულ ძალებში. სსრკ-ის დაშლის შემდეგ იმსახურა საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო ძალებში და მონაწილეობა მიიღო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის გამართულ ბრძოლებში. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ სახელფასო დავალიანების დასაფარად გამოუყო 5 მლნ. საბჭოთა მანეთი, საიდანაც 3 010 000 მანეთის ექვივალენტი საქართველოს ბანკებმა საქართველოს რესპუბლიკის შინაგანი მომგებიანი სესხის სახით მისცეს. აღნიშნული სესხის ობლიგაციებს თან ახლავს სახელშეკრულებო პირობები, რომლის თანახმადაც ობლიგაციები 35%-ის დარიცხვით უნდა განაღდებულიყო 2002 წლის 1-ელ ოქტომბრამდე, რაც არ შესრულდა. 15.11.2004წ. მთავრობის მიერ შეიქმნა „საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია“, რომელიც უფლებამოსილია სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემების, მათ შორის ხსენებული ობლიგაციების აუნაზღაურებლობით წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის მექანიზმის შესამუშავებლად. მის მიერ სახელმწიფოსათვის გადაცემული თანხა – 3 010 000 მანეთი სარჩელის აღძვრის მომენტისათვის 390 096 ლარს შეადგენდა, რასაც მოგების სახით უნდა დამატებოდა ამ თანხის 35% და სარგებლის სახით 64%. მოსარჩელის მოსაზრებით, ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა უკვე დადგენილი იყო და სახელმწიფოს მხრიდან დამატებითი სამუშაოების ჩატარების და კომისიის მიერ დასკვნის მიღების აუცილებლობა აღარ არსებობდა. სსკ-ის 911.1 მუხლის თანახმად, „თუ ვინმე გასცემს დოკუმენტს, რომლითაც ის დოკუმენტის მფლობელს გადახდას ჰპირდება, მაშინ მფლობელს შეუძლია მოითხოვოს გადახდა დაპირების თანახმად“. აღნიშნული დანაწესისა და სსკ-ის 623-ე-625-ე მუხლების შესაბამისად, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ მისი მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 09.10.2008წ. განჩინებით საქმის წარმოება შეჩერდა საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, ხოლო 26.03.2015წ. განჩინებით საქმის წარმოება განახლდა.

გ. ა-მა 06.05.2015წ. სასამართლო მთავარ სხდომაზე დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოპასუხისაგან 702 992 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 06.05.2015წ. საოქმო განჩინებით, სასკ-ის 16.2 მუხლის თანახმად საქმეში მესამე პირად ჩაერთო სახელმწიფო ვალის

პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 03.06.2015წ. გადაწყვეტილებით გ. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაევალა ქმედების განხორციელება სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის მიერ დადგენილი სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმის საფუძველზე გ. ა-ისთვის მოთხოვნილი თანხის 702992 ლარის ანაზღაურების თაობაზე მსჯელობა, კანონით დადგენილ ვადაში.

სასამართლო კოლეგიამ აღნიშნა, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის 48.1 მუხლის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების შესაბამისად, სახელმწიფო საშინაო ვალად აღიარებულ იქნა მოსახლეობის მიერ ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაზღაურების ინდექსაციით წარმოქმნილი დავალიანება და საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების გამოშვებით წარმოქმნილი ვალდებულება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტებში მოცემული სახელმწიფო სავალო ვალდებულებების დაფარვა უნდა მოხდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს პრეზიდენტის 08.12.1997წ. №716 და №717 ბრძანებულებების შესაბამისად. ზემოაღნიშნული №716 ბრძანებულება ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს პრეზიდენტის 02.07.2001წ. №258 ბრძანებულებით. №717 ბრძანებულებით განისაზღვრა, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 02.11.1992წ. №1030 დადგენილებით საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების გამოშვებით წარმოქმნილი საქართველოს სახელმწიფოს ვალდებულებების მონესრიგების მიზნით შეწყდა აღნიშნული ობლიგაციების მოქმედების ვადა და 1998 წლის 1 სექტემბრამდე განისაზღვრა მათი დაფარვა, დადგინდა აგრეთვე კუპონის ლარზე გადაცვლის კურსი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 15.11.2004წ. №108 დადგენილებით სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემების განხილვის, გადაჭრისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისია, დადგენილებით განისაზღვრა, რომ კომისია შეიმუშავებს საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს და გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს მათ საქართველოს მთავრობასა და საქართველოს პარლამენტს.

მმართველობის ორგანოების მიერ პროპორციულობის პრინციპის საფუძველზე მოქმედება სამართლებრივი სახელმწიფოს მოთ-

ხოვნაა. თუ ქმედების განსახორციელებლად რამდენიმე გზა არსებობს, ორგანო ვალდებულია იხელმძღვანელოს იმ საშუალებით, რომელიც მოქალაქესა თუ საჯარო ინტერესებს მინიმალურ ვნებას მიაყენებს. სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა წარმოშობს პიროვნების კანონიერი ნდობის დაცვის პრინციპს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ფინანსთა სამინისტრომ უნდა იმსჯელოს მოსარჩელისათვის თანხის ანაზღაურების საკითხზე „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 03.06.2015წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.05.2016წ. განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 03.06.2015წ. გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სამართლებრივი შეფასება. დამატებით აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე შეეხება პირის ქონებრივ უფლებებს, რომელიც სახელმწიფოს მიერ აღიარებულია, როგორც ვალი და დადასტურებულია ნება უზრუნველყოს აღიარებული სავალო ვალდებულებების გადახდა. საქართველოს კონსტიტუციის და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან და ნორმებიდან გამომდინარე, საკუთრების უფლება წარუვალლი და უზენაესი ადამიანური ღირებულებაა. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, სადავო ურთიერთობა გაანალიზებული უნდა იყოს სწორედ საკუთრებით-სამართლებრივ ძრილში. პალატამ მიუთითა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს საპილოტო გადაწყვეტილებაზე (მანუშაქე რუტო და სხვები ალბანეთის წინააღმდეგ), რომელშიც ევროსასამართლო პრინციპულად მიიჩნევს კომპენსაციის ანაზღაურების ცალკეული ეტაპისათვის რეალისტური ვადების დადგენას.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებადი ვერ იქნება „მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის ლარის გაშვების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 16.09.1995წ. №3363 ბრძანებულება და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 24.03.1993წ. №246 დადგენილება, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა სახელმწიფო ვალის მანეთიდან კუპონზე, ხოლო შემდგომ მისი ლარზე ინდექსირება. ამას-

თანავე, საქართველოს პრეზიდენტის 08.12.1997წ. №716 ბრძანებულებას, რომელიც ითვალისწინებდა თანხის კუპონზე ინდექსაციის შესაძლებლობას, გამოცხადებულია ძალადაკარგულად.

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.05.2016წ. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომელმაც განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის 1-ლი მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ვალთან დაკავშირებით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულება გამოსახულ უნდა იქნეს მოქმედ ეროვნულ ვალუტაში. კასატორის აზრით, ვინაიდან 1993 და 1995 წლებში მოხდა ეროვნული ვალუტის შეცვლა, სსკ-ის 389-ე მუხლიდან გამომდინარე, ვალუტის შეცვლისას გადაცვლით ურთიერთობებს საფუძვლად უნდა დაედოს ის კურსი, რომელიც ვალუტის შეცვლის დღეს არსებობდა ფულის ამ ერთეულებს შორის. შესაბამისად, სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიმოქცევაში საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონების გამოშვების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 24.03.1993წ. დადგენილების მე-2 მუხლით, რომლის თანახმად თანაფარდობა კუპონსა და მანეთს შორის განისაზღვრა 1-1 და ასევე „მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის ლარის გაშვების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 16.09.1995წ. №363 ბრძანებულების მე-4 მუხლით, რომლის თანახმად, კუპონის ლარზე გადაცვლის კურსი განისაზღვრა შეფარდებით 1 000 000 (ერთი მილიონი) კუპონი: 1 (ერთ) ლართან.

კასატორმა მიუთითა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 03.06.2015წ. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე და აღნიშნა, რომ გაურკვეველია თუ რა ანაზღაურების მექანიზმის საფუძველზე უნდა იმსჯელოს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ კომპენსაციის გაცემისას, როდესაც არ არსებობს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის მიერ დადგენილი ანაზღაურების მექანიზმი და კომისიას უფლებამოსილების ვადა აქვს გაგრძელებული. შესაბამისად, გადაწყვეტილება აღუსრულებადია. კასატორმა აღნიშნა აგრეთვე, რომ გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მსგავს საქმეებთან დაკავშირებით დადგენილ პრაქტიკას.

სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განხილულია საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალების და საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლის შედეგად საკასაციო პალატა თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 1992 წელს ბანკში ფულის განაღდების დროს გ. ა-ზე გაიცა 3 010 000 რუსული რუბლის ოდენობის საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის შინაგანი მომგებიანი ობლიგაციები. აღნიშნული ობლიგაციებით წარმოქმნილი ვალდებულებები სამინაო ვალად იქნა აღიარებული „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის 48-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად. მოცემული კანონის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტით განისაზღვრა ვალდებულებების დაფარვის წესი, დადგინდა, რომ მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტში მოცემული სახელმწიფო სავალო ვალდებულებების დაფარვა უნდა მოხდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს პრეზიდენტის 08.12.1997წ. №716 და №717 ბრძანებულებების შესაბამისად.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც უცვლელად დარჩა სააპელაციო პალატის მიერ, არ პასუხობს პროცესუალური და მატერიალური სამართლის მოთხოვნებს. გადაწყვეტილება არ შეიცავს სასამართლოს დასკვნას სასარჩელო მოთხოვნასთან დაკავშირებით (სსკ-ის 249-ე მუხ.), ცდება სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს (სსკ-ის 248-ე მუხ.), საქმეზე არ დგინდება სასარჩელო მოთხოვნის შეცვლა, დაზუსტება ან ტრანსფორმირება გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილით შესაბამისი ფორმით.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელემ აღძრა მავალეზელი სარჩელი, კერძოდ მის მოთხოვნას შეადგენდა ქმედების განხორციელების დავალება (სასკ-ის 24-ე მუხ.) და არა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება (სასკ-ის 23-ე მუხ.). მავალეზელი სარჩელის აღძვრისას სარჩელის მიზანია ისეთი ქმედების განხორციელება ან ისეთი ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავება, რაც არ გულისხმობს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება მავალეზელ სარჩელზე გადაწყვეტილების გამოტანის წესს, ვინაიდან გადაწყვეტილებით დადგინდა არა ქმედების განხორციელების დავალება, არამედ მოპასუხეს დავალა მსჯელობა მოთხოვნილი თანხის ანაზღაურებაზე. საპროცესო კანონმდებლობა მოითხოვს მიკუთვნებითი სარჩელის არსებით გადაწყვეტას, ასეთად ვერ ჩაითვლება მსჯელობის დავალება. ადმინისტრაციული სამართალწარმოების ინკვიზიციური ხასიათის მიუხედავად ადმინისტრაციული

კატეგორიის საქმეში სარჩელზე უფლება არ კარგავს დისპოზიციურ ხასიათს, თუმცა პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება იმაზე, რომ სარჩელის სახის შერჩევა მოსარჩელის უფლებამოსილებათა რიგს განეკუთვნება, არ ადასტურებს სარჩელის ნაწილობრივი დაკმაყოფილების კანონიერებას. სასკ-ის 24-ე მუხლის საფუძველზე აღძრული მავალებელი სარჩელით მოსარჩელე მოპასუხისაგან მოითხოვს არა აქტის გაუქმებას ან გამოცემას, არამედ ქმედების (რეალაქტის) განხორციელებას ან ასეთი ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებას. სარჩელის აღნიშნული სახეობა შეცილებითი (სასკ-ის 22-ე მუხ.) და მავალებელი (სასკ-ის 23-ე მუხ.) სარჩელებისგან განსხვავებით, არ ითვალისწინებს ხელახალი განხილვისთვის საკითხის ადმინისტრაციული ორგანოსათვის დაბრუნების ან აღნიშნულის შედეგად საკითხზე მსჯელობის დავალების შესაძლებლობას. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე არ ითხოვდა სამართლებრივ მონესრიგებას, ის მოითხოვდა უბრალოდ ფაქტობრივი მოქმედების განხორციელებას, თანხის გადახდას, ამ მიზნის მიღწევის საპროცესო საშუალებას წარმოადგენს სასკ-ის 24-ე მუხლით გათვალისწინებული სარჩელის სახე. იმ შემთხვევაში თუ მოქმედი კანონმდებლობით ქმედების განხორციელებამდე აქტი უნდა გამოიცეს, რომლის გამოცემაზეც დაინტერესებულ პირს ეთქვა უარი, ასეთ შემთხვევაში დასაშვებია სასკ-ის 23-ე და 24-ე მუხლებით გათვალისწინებული კომბინირებული სარჩელის აღძვრა. განსახილველ შემთხვევაში აღძრულია მხოლოდ მიკუთვნებითი სარჩელი. მიკუთვნებითი სარჩელის (სასკ-ის 24-ე მუხ.) მიზანია რაიმე ქმედების განხორციელების დავალების მოთხოვნა ან ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავების დავალების მოთხოვნა. სასკ-ის 24-ე მუხლის საფუძველზე აღძრული სარჩელის გადაწყვეტით სასამართლო ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს მოქმედების განხორციელებას ან ამ მოქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებას და არა საკითხზე მსჯელობას. იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელეს ჰქონდა სახელმწიფოს საშინაო ვალის მექანიზმის დადგენის შემოღების დაჩქარების ინტერესი, ხოლო სასამართლო თვლიდა, რომ დავალიანების ანაზღაურების მოთხოვნა საჭიროებდა აგრეთვე დავალიანების ანაზღაურების კონკრეტული ნესის შემოღებას, უნდა მომხდარიყო სარჩელის დაზუსტება ან ტრანსფორმირება (სასკ-ის 28<sup>1</sup> მუხ.), რასაც ადგილი არ ჰქონია. სასარჩელო მოთხოვნის ტრანსფორმირება, შეცვლა ან დაზუსტება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მოსარჩელე მხარე ამგვარ პოზიციას გამოხატავს, რაც არ დასტურდება საქმის მასალებით.

სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის საპ-

როცესო ნორმების შესაბამისად ჩამოყალიბებას არსებითი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან აღსასრულებლად მიექცევა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, რომელსაც აღსრულებადობის თვისება უნდა ჰქონდეს, ანუ სასამართლო აქტი ისე უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რომ შესაძლებელი იყოს მისი აღსრულება. მოცემულ შემთხვევაში გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არის იმდენად ბუნდოვანი, რომ მისი ბუნდოვანების აღმოფხვრა განმარტების გზითაც შეუძლებელია, ვინაიდან გადაწყვეტილების განმარტება დასაშვებია სარეზოლუციო ნაწილის შეუცვლელად (სსკ-ის 262-ე მუხ.), ხოლო სარეზოლუციო ნაწილი არის ბუნდოვანი. პირველი ინსტანციის სასამართლოს სარეზოლუციო ნაწილით, რომელიც ძალაში დარჩა სააპელაციო პალატის გასაჩივრებული განჩინებით, ფინანსთა სამინისტროს დაევალა ქმედების განხორციელება – სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის მიერ დადგენილი სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმის საფუძველზე მოთხოვნილი თანხის ანაზღაურებაზე მსჯელობა. გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის ტექსტიდან გაუგებარია სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის მიერ საშინაო ვალის ანაზღაურების რა დადგენილ მექანიზმს გულისხმობს სასამართლო მაშინ, როდესაც ასეთი მექანიზმი კომისიას არ შეუმუშავებია. კომისიის მიერ საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმის საფუძველზე ფინანსთა სამინისტროსათვის მსჯელობის დავალება მოკლებულია საკანონმდებლო საფუძველს, რადგან კომისია არ ქმნის ასეთ მექანიზმს. ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ არ არის გაანალიზებული კომისიის უფლებამოსილების საზღვრები, შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების და საქართველოს მთავრობის 15.11.2004წ. №108 დადგენილებით შექმნილი კომისიის კომპეტენციის ურთიერთმიმართება. სააპელაციო პალატა შემოიფარგლა კომისიის მუშაობის ეფექტურობის შეფასებით და არ დაუდგენია გ. ა-ის მოთხოვნის დაკმაყოფილების კავშირი სახელმწიფო კომისიის საქმიანობასთან. საქართველოს მთავრობის 15.11.2004წ. №108 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის დებულების“ 2.1 და 4.7 მუხლების თანახმად კომისია შემუშავებულ რეკომენდაციებს გადაწყვეტილების მისაღებად წარუდგენს საქართველოს მთავრობას და საქართველოს პარლამენტს. რაც შეეხება „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დავალიანებას, რომელსაც ემყარება სასარჩილო მოთხოვნა, მისი დაფარვა კანონის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტის 08.12.1997წ. №717 ბრძანებულების შესაბამის

სად უნდა მოხდეს, „სახელმწიფო ვალის შესახებ“ 05.03.1998წ. კანონი ითვალისწინებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ სახელმწიფო სავალო ვალდებულებების დაფარვის წესის შემუშავებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 48-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ვ“, „ზ“, „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებში მოცემული სახელმწიფო სავალო ვალდებულებების დაფარვის წესის მიმართ (48-ე მუხ. მე-4 პუნქტი). ამდენად, დაუსაბუთებელია დასადგენი საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმის საფუძველზე სამინისტროსათვის დავალიანების ანაზღაურების თაობაზე მსჯელობის დაკისრება.

გაურკვეველია კონკრეტულად რა ვადას გულისხმობს სასამართლო გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში, როდესაც ავალეებს მოპასუხეს – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ანაზღაურების თაობაზე მსჯელობას კანონით დადგენილ ვადაში. საქმეში დაცული საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 23.06.2008წ. წერილობითი პასუხით დასტურდება, რომ თანხის ანაზღაურების შესახებ გ. ა-ის მოთხოვნაზე უარი სამინისტრომ დააფუძნა იმ გარემოებაზე მითითებით, რომ საქართველოს მთავრობის 15.11.2004წ. №108 დადგენილებით შექმნილ საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელი სახელმწიფო კომისიის მიერ ვალდებულებების ანაზღაურების მექანიზმის დამტკიცებამდე შეუძლებელი იყო თანხის ანაზღაურება. სააპელაციო პალატის გასაჩივრებულ განჩინებაში ყურადღება გამახვილდა „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის 48.1 მუხლით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავებასთან დაკავშირებით საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელ სახელმწიფო კომისიის ფუნქციაზე, აღინიშნა, რომ კომისია 2004 წელს შეიქმნა, ზემოაღნიშნული რეკომენდაციები შემუშავებული არ არის. სააპელაციო სასამართლომ კომისიის უმოქმედობაზე ყურადღების გამახვილებით აღნიშნა, რომ კომპენსაციის ცალკეული ეტაპებისათვის რეალისტური ვადები უნდა იქნეს დადგენილი, დროულად უნდა შემუშავდეს ის მექანიზმები, რომლებიც სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პირის უფლებას რეალობად აქცევს. საკასაციო პალატა იზიარებს ზემოაღნიშნულ მოსაზრებას, კონკრეტული ვალდებულების სახელმწიფო ვალად აღიარება საჭიროებს მის დროული და ეფექტური ანაზღაურების მექანიზმის შემუშავებას (საქართველოს მთავრობის 15.11.2004წ. №108 დადგენილებაში 08.12.2017წ. №534 დადგენილებით შეტანილი ცვლილებით გაგრძელდა კომისიის საქმიანობის ვადა), თუმცა მხედველობაშია მისაღები, რომ სახელმწიფო ვალის დაფარვის წესის შემუშავება უკავ-

შირდება სახელმწიფოს მხრიდან გასატარებელ მთელ რიგ პროცედურებს, დიდძალი თანხების მობილიზებას, რომლის არარაციონალურმა დახარჯვამ, ბალანსის დაუცველობამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას სახელმწიფოს ფუნქციონირებას, მის ფინანსურ და ეკონომიკურ უსაფრთხოებას. დასაფარი სახელმწიფო დავალიანების მასშტაბების გათვალისწინებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დავალიანების დაფარვის მექანიზმის რაციონალობას, გონივრულობას, დავალიანების პროცესის ორგანიზებულად წარმართვას, დაფარვის მექანიზმის ყველა პრობლემური საკითხის გათვლას და ა.შ. სახელმწიფოს მიერ აღიარებული სავალო ვალდებულების დაფარვის მექანიზმის შესახებ ნორმატიული აქტით მოსაწესრიგებელი საკითხის არაორდინალობის, საბიუჯეტო თანხების უკმარისობის, მოსაწესრიგებელი საკითხის რაციონალური ეკონომიკური მიდგომის აუცილებლობის, ეკონომიკურ-ფინანსური შესაძლებლობების დადგენის, ბიუჯეტის დაბალანსების საჭიროების და რიგი სხვა საკითხების მხედველობაში მიღებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ დავალიანების დაფარვის წესის შემუშავება საჭიროებს დავალიანების დაფარვის წესთან დაკავშირებული პრობლემატიკის ზედმინევითი შესწავლას, სათანადო რესურსების მოზიდვის სტრატეგიის შემუშავებას. ასეთი წესის შემუშავება რთულ საფინანსო დაანგარიშებებთან არის დაკავშირებული, რომელზედაც მუშაობს კომისია (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 07.02.12წ. გადაწყვეტილება საქმეზე „ო. ლანჩავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასკ-ის 24-ე მუხლით განსაზღვრული სარჩელის საფუძვლიანობის შემოწმება ხდება სასკ-ის 33<sup>1</sup> მუხლის მიხედვით. მოთხოვნილი რეალაქტის მატერიალური კანონიერების შემოწმებისათვის მნიშვნელოვანია მისი განხორციელების სამართლებრივი საფუძვლების დადგენა. ამდენად, დავის გადაწყვეტა საჭიროებს სარჩელის საფუძვლიანობის, სადავო სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების ანალიზს. „სახელმწიფო ვალის შესახებ“ 05.03.1998წ. კანონის 48-ე მუხლის 1-ელ პუნქტში მოცემულია სახელმწიფო საშინაო ვალად აღიარებული სავალო ვალდებულებების ჩამონათვალი. მოსარჩელის მოთხოვნა სწორედ 48-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დებულებას ემყარება, აღნიშნულ ნორმაზე დაყრდნობით დაკმაყოფილდა ნაწილობრივ სარჩელი ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ. საქართველოს მთავრობის 15.11.2004წ. №108 დადგენილებით შექმნილ საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემსწავლელ სახელმწიფო კომისიას „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის 48-ე მუხლის 1-ლი პუნქტით აღიარებული სახელმწიფო საში-

ნაო ვალის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებული რეკომენდაციის შემუშავება დაევალა, თუმცა „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტით ცალსახადაა განსაზღვრული, რომ საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების გამოშვებით წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა უნდა მოხდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს პრეზიდენტის 08.12.1997წ. №716 და №717 ბრძანებულების შესაბამისად. კანონის 48-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო საშინაო ვალად, სხვა დავალიანებებთან ერთად, აღიარებულ იქნა: მოსახლეობის მიერ ყოფილ სახელმწიფო კომერციულ ბანკებში შეტანილი ანაბრების იდექსაციით წარმოქმნილი დავალიანება (48.1 მუხ. „ა“ ქვ.პ.); საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების გამოშვებით წარმოქმნილი ვალდებულება (48.1. „ე“ ქვ.პ.). ხსენებული სახელმწიფო სავალო ვალდებულებების მიმართ აღნიშნული კანონის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს, რომ აღნიშნული დავალიანების დაფარვა უნდა მოხდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ საქართველოს პრეზიდენტის 08.12.1997წ. №716 და №717 ბრძანებულებების შესაბამისად. „მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების ინდექსაციის მექანიზმებისა და მისი განხორციელების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 08.12.1997წ. №716 ბრძანებულება, რომელიც მოსახლეობის ანაბრებზე რიცხული ფულადი სახსრების დაფარვას ეხებოდა, საქართველოს პრეზიდენტის 02.07.2001წ. №258 ბრძანებულებით ძალადაკარგულად ჩაითვალა. რაც შეეხება „საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების გამოშვებით წარმოქმნილი საქართველოს სახელმწიფოს ვალდებულებების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 09.12.1997წ. №717 ბრძანებულებას, აღნიშნული ბრძანებულება არ გაუქმებულა, ძალაშია და სავალდებულოა შესასრულებლად.

საქართველოს პრეზიდენტის 08.12.1997წ. №717 ბრძანებულებით დადგენილია სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების დაფარვის ვადა და წესი. ბრძანებულებით მკაფიოდ განისაზღვრა ობლიგაციების განაღდების მექანიზმი. ხსენებული ბრძანებულება ძალაშია, კანონის 48-ე მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ დავალიანების ანაზღაურება უნდა მოხდეს ამ ბრძანებულების მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტით უკვე დადგენილია ობლიგაციების განაღდების მექანიზმი, სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა მოცემულ სადავო სამართალურთიერთობაზე რა გავლენას მოახდენდა სახელმწიფო საშინაო ვალის პრობლემათა შემ-

სწავლელი სახელმწიფო კომისიის მიერ სამომავლოდ შესამუშავებელი რეკომენდაციები. მართალია, საქართველოს მთავრობის 15.11.2004წ. №108 დადგენილების თანახმად, კომისია შეიქმნა „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის 48.1 მუხლით აღიარებული სახელმწიფო საშინაო ვალის ანაზღაურების მექანიზმთან დაკავშირებული რეკომენდაციების დადგენის მიზნით, თუმცა „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბლანკეტური ნორმა ადგენს საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების გამოშვებით წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვის სპეციალურ დანანესს. ხსენებული ნორმის თანახმად, სახელმწიფოს ვალდებულებები ფინანსთა სამინისტრომ უნდა დაფაროს არა მის მიერ შემუშავებული წესებისა და რეკომენდაციების, არამედ საქართველოს პრეზიდენტის კონკრეტული ბრძანებულებების შესაბამისად. სააპელაციო პალატამ ხსენებული კანონის 48-ე მუხლის მე-2 პუნქტის ნორმატიული დანანესის შედარების, ხსენებული ნორმის უარსაყოფად რაიმე არგუმენტის მოყვანის გარეშე დააკმაყოფილა ნაწილობრივ სარჩელი. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაში მოყვანილი მითითება „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის დებულებებზე, კერძოდ ნორმატიული აქტის საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოქმედების, საკანონმდებლო აქტების უპირატესი ძალის, ნორმატიული აქტების იერარქიის, საკანონმდებლო აქტის პირდაპირი მოქმედების ძალის შესახებ სწორედ, რომ მიღებული გადაწყვეტილების საწინააღმდეგოს ადასტურებენ, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი არ შეესაბამება გადაწყვეტილებაში მოყვანილ მოტივაციას.

მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ის გარემოება, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 02.11.1992წ. №1030 დადგენილებით დამტკიცებული 1992 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის პირობების მე-8 პუნქტის თანახმად, მოგებახვედრილი და ასევე მოუგებელი ობლიგაციები, ექვემდებარებოდნენ შესყიდვას ნომინალური ღირებულებით და ექვემდებარებოდნენ გასანაღდებად წარდგენას 2004 წლის 1 იანვრამდე, ამ ვადის გასვლის შემდეგ ისინი კარგავდნენ ძალას და გასანაღდებად არ მიიღებოდნენ. ამასთანავე, საქართველოს პრეზიდენტის 09.12.1997წ. №717 ბრძანებულების 1-ლი მუხლით დადგინდა, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 02.11.1992წ. №1030 დადგენილებით გამოშვებული სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების მოქმედების ვადა შეწყდა და განისაზღვრა მისი დაფარვა 1998 წლის 1 სექტემბრამდე. განისაზღვრა აგრეთვე, ობლიგაციების დაფარვის კონკრეტული ზღვრული ვადა, ობლიგა-

ციების დაფარვა 1998 წლის 1 სექტემბრამდე უნდა მომხდარიყო. საქმეზე არ არის დადგენილი ამ ვადამდე მოსარჩელის მიმართვა, სასამართლოს მიერ არ დადგენილა საქართველოს პრეზიდენტის 09.12.1997წ. №717 ბრძანებულებით განსაზღვრული წესის შეუსრულებლობა (წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოს უნდა დაევალებინა მოპასუხისათვის ბრძანებულებით განსაზღვრული წესით დავალიანების ანაზღაურება, რასაც ადგილი არ ჰქონია), ხოლო მოსარჩელის მოთხოვნა ამკარად სცდება 09.12.1997წ. №717 ბრძანებულებით განსაზღვრულ რეგულაციას, კერძოდ 09.12.1997წ. №717 ბრძანებულებით განსაზღვრულ სპეციალურ კურსს ამკარად აღემატება ის თანხა, რომელსაც ითხოვს მოსარჩელე და რომლის ანაზღაურების (702 992ლ.) თაობაზე მსჯელობასაც ავალებს სამინისტროს სასამართლო.

საქმის მასალებით არ დასტუდება საქართველოს პრეზიდენტის 09.12.1997წ. №717 ბრძანებულების საფუძველზე დანაწესის შესრულებაზე უარი, საქმის მასალებით იკვეთება არა იმდენად ობლიგაციის დაფარვის და ანაზღაურების მიღების, არამედ საკომპენსაციო თანხების მიღების ინტერესი, რომელიც სადღეისოდ კანონმდებლობით დადგენილი არ არის, ხოლო ასეთი საკომპენსაციო თანხის გაცემის შემოღების მოთხოვნა საჭიროებდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე მავალბეული და არა მიკუთვნებითი სარჩელის აღძვრას. ამდენად გადაწყვეტილების კანონიერებას არ ადასტურებს სააპელაციო პალატის მითითება „მანუშაქე პუტო და სხვები ალბანეთის წინააღმდეგ“ („Manushaqe Puto and Others v. Albania“) ევროპული სასამართლოს 17.12.2012წ. გადაწყვეტილებაზე, რომელიც ქონების რესტიტუციის სანაცვლოდ ადმინისტრაციული გადაწყვეტილების აღსრულებას ეხება.

საქმეზე დადგენილად არის მიჩნეული, რომ ბანკში ფულის განაღდებას დროს 3010000 რუსული რუბლის ოდენობით მისცეს საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის შინაგანი მომგებიანი ობლიგაციები. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 02.11.1992წ. №1030 დადგენილების მე-5 მუხლი ადგენდა, რომ ობლიგაციების თავისუფალი მიყიდვა ხორციელდებოდა მკაცრ ნებაყოფლობით საფუძველზე იმ საბანკო დაწესებულებების საშუალებით, რომელთაც აქვთ ფასიანი ქაღალდებით ოპერაციების ჩატარების უფლების ლიცენზია. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელეს 1992 წელს გადაეცა 3010000 მანეთის ოდენობის სახელმწიფო ობლიგაციები, რაც სახელმწიფოს მიერ აღიარებულია სახელმწიფო საშინაო ვალად. „სახელმწიფო ვალის შესახებ“ კანონის 1-ლი მუხლის „ბ“ ქვეპუნ-

ქტის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო საშინაო ვალი არის ეროვნული ვალუტით გამოსახული საქართველოს სახელმწიფო ვალის შემადგენელი ნაწილი, იმ ძირითადი თანხების ერთობლიობა, რომლებიც წარმოიქმნა საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილი ხელშეკრულებებით განსაზღვრული შეუსრულებელი პირდაპირი ვალდებულებით, აგრეთვე საქართველოს სახელით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების განთავსებიდან მიღებული თანხებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ასანაზღაურებელი თანხა ეროვნულ ვალუტაში უნდა გამოისახოს. ეროვნული ვალუტის შეცვლა მოხდა 1993 წ. და 1995 წ. მოსარჩელემ თავისი მოთხოვნის მოცულობა საქსტატიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე განსაზღვრა. თანხის გადაანგარიშების აღნიშნული წესის გამოყენების მართლობიერება სააპელაციო სასამართლოს არ დაუსაბუთებია, ქვედა ინსტანციის სასამართლო აქტებში არ არის მოყვანილი რაიმე მოსაზრება საქართველოს პრეზიდენტის 08.12.1997წ. №717 ბრძანებულებაში მოცემული ობლიგაციების ნომინალების დაფარვის ნორმატიულად დადგენილ თანაფარდობაზე უარის თქმისა და მსყიდველობისუნარიანობის მიხედვით თანხის ოდენობის დადგენის დასადასტურებლად. სკ-ის 389-ე მუხლის თანახმად, ვალუტის შეცვლისას გადაცვლით ვალდებულებებს საფუძვლად უნდა დაედოს ის კურსი, რომელიც ვალუტის შეცვლის დღეს არსებობდა ფულის ამ ერთეულებს შორის. ამასთანავე, კუპონიდან ლარზე გადაცვლის სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული კურსი განისაზღვრა „მიმოქცევაში ეროვნული ვალუტის „ლარის“ გაშვების შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 16.09.1995წ. №363 ბრძანებულებით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის სახელმწიფო შინაგანი მომგებიანი სესხის ობლიგაციების გამოშვებით წარმოქმნილი საქართველოს სახელმწიფოს ვალდებულებების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 09.12.1997წ. №717 ბრძანებულების მე-2 პუნქტით დადგინდა 1998 წლის 1 სექტემბრამდე დასაფარი ობლიგაციების ნომინალების დაფარვის კურსი, რომელიც განსხვავდებოდა კუპონის ლარზე გადაცვლის სახელმწიფოს მიერ გამოცხადებული ოფიციალური კურსისგან. გასაჩივრებული გადანყვეტილების კანონიერებას არ ადასტურებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 02.02.2010წ. გადანყვეტილება საქმეზე „კლაუს და იური კილაძეები საქართველოს წინააღმდეგ“, რადგან ხსენებული გადანყვეტილება ეხება მოცემული საქმისაგან განსხვავებულ ფაქტობრივ გარემოებებს, კერძოდ, განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ აქვს.

ევროსასამართლოს გადაწყვეტილებაში მითითებული განუსაზღვრელი დროით გაურკვეველობაში ყოფნას, სახელმწიფოს უმოქმედობას მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს, კანონით (48.2 მუხ.) ზუსტად არის განსაზღვრული 1992 წლის სახელმწიფო შინაგანი ობლიგაციების გამოშვებით წარმოქმნილი დავალიანების ანაზღაურების მექანიზმი, ამასთანავე საკანონმდებლო აქტის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხი სსკ-ის მე-6.2 მუხლის, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 7.3 მუხლის მიხედვით სასამართლოს მიერ არ დასმულა.

უკვე აღინიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 08.12.1997წ. №717 ბრძანებულებით განისაზღვრა ობლიგაციების ანაზღაურების მექანიზმის დაფარვის ვადა და კურსი. აღნიშნულის გათვალისწინებით გადაწყვეტილების კანონიერებას არ ადასტურებს აგრეთვე სააპელაციო პალატის მითითება იმის შესახებ, რომ არ მომხდარა სახელმწიფო ვალის კუპონიდან ლარზე ინდექსირება. მსყიდველობით უნარზე უფლების ქონა, რაც უზრუნველყოფს ინფლაციას და სხვა სახის ფინანსური კრიზისისაგან დაცვას, არ არის გარანტირებული კონვენციის 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლით (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 07.02.2012წ. გადაწყვეტილება საქმეზე „ო. ლანჩავა და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“ („Lanchava and Others v. Georgia“)). საქართველოს პრეზიდენტის 08.12.1997წ. №717 ბრძანებულებით გათვალისწინებული, ოფიციალური კურსისაგან განსხვავებული კურსის შედეგად მიღებული თანხის მსყიდველუნარიანობა გაცილებით ნაკლებია, ვიდრე 1992 წელს 3010000 მანეთის. ფულის მსყიდველუნარიანობა დამოკიდებულია იმ ეკონომიკურ პროცესებზე, რომლებიც დამახასიათებელია საბაზრო ეკონომიკისათვის. აღნიშნულმა პროცესებმა შეიძლება ფულის გაუფასურება, მისი მსყიდველობითუნარიანობის დაცემა გამოიწვიოს. სააპელაციო სასამართლოს არ უმსჯელია იმასთან დაკავშირებით, თუ რა ვალდებულებები აქვს სახელმწიფოს სესხის ობლიგაციების დაფარვის ნორმატიული აქტით მოწესრიგების პირობებში. აღსანიშნავია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სახელმწიფოს მიერ ანაზღაურების მსყიდველუნარიანობის შენარჩუნებას და მათი ინდექსირების აუცილებლობას არ უკავშირებს კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ ვალდებულებებს (იხ. 29.08.2002წ. გადაწყვეტილება „აპოლონოვი რუსეთის წინააღმდეგ“ („Appolonov v. Russia“), 02.07.2002წ. გადაწყვეტილება „გაიდუკი და სხვები უკრაინის წინააღმდეგ“ („Gayduk and others v. Ukraine“)).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადან-

ყვეტილება მოკლებულია პროცესუალურ და სამართლებრივ წინამძღვრებს, გადანყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძველების შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. ზემოაღნიშნული თავისმხრივ გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის იმავე სამართლოსათვის დაბრუნების პირობაა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადანყვეტილება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას საქმე უნდა დაუბრუნდეს ხელახალი განხილვისთვის.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა :**

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 11.05.2016წ. განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ზიანის ანაზღაურების სახით მიუღებელი  
კომპენსაციის თანხის დაკისრების საფუძველი**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-956-952(კ-18)

8 ნოემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნის გაჭიანურების გამო ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

16.03.2015წ. გ. მ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ, 01.04.2013წ.- 01.10.2014წ. მიუღებელი კომპენსაციის თანხის, 1481 ლარის და საადვოკატო მომსახურებისთვის განეული ხარჯის, 300 ლარის, ანაზღაურების მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1991 წლიდან ალებდა სამხედრო პენსიას, როგორც ყოფილი საბჭოთა არმიის ზემდეგი (პრაპორშიკი). 1993 წლის სექტემბერში ის გაინვიეს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში, მას მიენიჭა ლეიტენანტის წოდება. 1996 წელს, ზღვრული ასაკის მიღწევის გამო, დაითხოვეს სამხედრო სამსახურიდან, რის შემდეგ 2004 წლამდე ხელშეკრულების საფუძველზე ის აგრძელებდა სამსახურს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. 2004 წლის ნოემბერში მოსარჩელემ განცხადებით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, მას დაენიშნა კომპენსაცია როგორც ზემდეგს და არა ლეიტენანტს. ოფიცრების კომპენსაციის ოდენობის მატებასთან დაკავშირებით მოსარჩელემ 03.01.13წ. განცხადებით მიმართა ქუთაისის სოციალური მომსახურების ცენტრს, რომლითაც ითხოვდა ეცნობებინათ თუ რა საბუთი იყო საჭირო კომპენსაციის გადასაანგარიშებლად. პასუხად განემარტა, რომ საჭირო იყო თავდაცვის სამინისტროდან დოკუმენტაციის წარმოდგენა. გ. მ-ემ განცხადებით მიმართა სამინისტროს, განცხადების პასუხად ეცნობა, რომ 16.06.2005წ. №3/2296 გზავნილით წარდგენილი იყო ნელთა ნამსახურობის გაანგარიშება ერთიან სახელმწიფო ფონდში

და განმეორებით დოკუმენტს მხოლოდ სოციალური მომსახურების სააგენტოს მოთხოვნის შემდეგ წარადგენდნენ. სააგენტოსადმი მრავალჯერის მიმართვის მიუხედავად, სააგენტო მიუთითებდა, რომ არ ევალეობდა თავდაცვის სამინისტროდან წელთა ნამსახურობის ანგარიშის გამოთხოვა.

გ. მ-ემ 23.07.14წ. ადმინისტრაციული საჩივრით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს და კუთვნილი კომპენსაციის დანიშვნის საკითხში დახმარება მოითხოვა. აღნიშნულის შემდეგ მოხდა წელთა ნამსახურობის ანგარიშის გამოთხოვა. 2014 წლის 1 ოქტომბრიდან გ. მ-ეს დაენიშნა კუთვნილი კომპენსაცია, როგორც 24 წლის ნამსახურობის მქონე ლეიტენანტს. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მოპასუხემ დროულად არ დაუნიშნა კუთვნილი ოდენობის კომპენსაცია, რის შედეგადაც მიადგა ზიანი 2013 წლის პირველი ოქტომბრიდან 2014 წლის პირველ ოქტომბრამდე 1482 ლარის ოდენობით. სზაკ-ის 208-ე, 209-ე, სკ-ის 408-ე, 412-ე, 414-ე მუხლებზე მითითებით მოსარჩელემ მოითხოვა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 20.04.2016წ. გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხეს დაეკისრა 01.04.2013წ.-01.10.2014წ. მიუღებელი კომპენსაციის თანხის, 1481 ლარის ანაზღაურება გ. მ-ის სასარგებლოდ. საადვოკატო მომსახურებისთვის გაწეული ხარჯის ანაზღაურებაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გ. მ-ე ზღვრული ასაკის გამო დათხოვნილია სამხედრო სამსახურიდან. ნამსახურობის გამო სამხედრო მოსამსახურის პენსიის გამოანგარიშების მიხედვით, გ. მ-ის საერთო ნამსახურობა სამხედრო წოდებით – ზემდეგი (პრაპორშიკი), შეადგენს 20 წელს, 8 თვესა და 25 დღეს. გ. მ-ე 2005 წლიდან იღებს ზემდეგის კუთვნილ სახელმწიფო კომპენსაციას. თუმცა საქმის მასალებით დასტურდება, რომ გ. მ-ეს მინიჭებული აქვს ლეიტენანტის სამხედრო წოდება.

გ. მ-ემ 03.01.2013წ. განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქუთაისის სოციალური მომსახურების ცენტრს და მოითხოვა ინფორმაცია სახელმწიფოებრივი პენსიის დასანიშნად საჭირო დოკუმენტაციის თაობაზე. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქუთაისის სოციალური მომსახურების ცენტრის 15.01.2013წ. №04-06-01/476 წერილით განმცხადებელს განემარტა, რომ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი უწყების წარდგინება, პირადობის მოწმობა, ბრძანება სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შესახებ, წელთა ნამსახურების ნუსხა/გაანგარიშება და შესაბამისი უწყების ფულადი აქესტატი. წარდგი-

ნების დასამზადებლად უნდა მიემართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის. 11.02.2013წ. გ. მ-ის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯ-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტს და აღნიშნა, რომ დანიშნული კომპენსაცია არ შეესაბამებოდა წოდებას და ნამსახურობის სტაჟს. აღნიშნულის გამო განმცხადებელმა მოითხოვა სოციალური მომსახურების სააგენტოში კუთვნილი პენსიის დასანიშნად წარდგინების გაგზავნა. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 30.05.2014წ. №MOD 8 14 00329771 მიმართვით ეცნობა, რომ მისი წელთა ნამსახურობის ანგარიში ერთიან სახელმწიფო ფონდში 16.06.2005წ. №პ-2296 წერილით იყო გაგზავნილი. იმ შემთხვევაში, თუ წელთა ნამსახურობის ანგარიში ვერ მოიძებნა სოციალური მომსახურების სააგენტოში, წელთა ნამსახურობის ანგარიში ხელმეორედ გაიგზავნებოდა მხოლოდ ოფიციალური მოთხოვნის საფუძველზე. 26.02.2013წ. გ. მ-ემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სოციალური მომსახურების ცენტრს და აღნიშნა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მითითებით, გ. მ-ის წელთა ნამსახურობის ანგარიში გადაგზავნილია სააგენტოში და ხელმეორედ გადაგზავნა მოხდება მხოლოდ ოფიციალური მოთხოვნის საფუძველზე. ამდენად, განმცხადებელმა თავდაცვის სამინისტროდან ინფორმაციის გამოთხოვა ითხოვა. 16.04.2013წ. გ. მ-ემ განცხადებით მიმართა ქუთაისის სოციალური მომსახურების ცენტრს, განცხადებასთან ერთად წარდგინილი იქნა წოდების შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაცია, განმცხადებელმა მოითხოვა თავდაცვის სამინისტროდან წელთა ნამსახურობის ანგარიშის გამოთხოვა და კომპენსაციის დანიშვნა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქუთაისის სოციალური მომსახურების ცენტრის 16.07.2014წ. №04-06-01/6480 წერილის თანახმად, განხილული იქნა გ. მ-ის განცხადება, რომელიც შეეხებოდა სტაჟში საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახურები პერიოდის ჩათვლის საკითხს. აღნიშნულის თაობაზე განმცხადებელს ეცნობა, რომ სტაჟის გადაანგარიშების მიზნით, ქუთაისის სოციალური მომსახურების ცენტრში დამატებით უნდა წარედგინა თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული წარდგინება და ნამსახურები წლების დამადასტურებელი დოკუმენტი (წელთა ნამსახურობის ნუსხა). 25.04.2014წ. და 09.06.2014წ. გ. მ-ემ განცხადებებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, განმცხადებელმა კუთვნილი პენსიის გაანგარიშებაში დახმარების მიზნით საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან სამხედრო სამსახურში წელთა ნამსახურობის გაანგარიშების გამოთხოვა და ოფიცირისთვის განკუთვნი-

ლი სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნა მოითხოვა. სსიპ სოციალური მომსახურების 02.07.2014 წ. №04/56120 წერილით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქუთაისის სოციალური მომსახურების ცენტრს განსახილველად გაეგზავნა გ. მ-ის განცხადება ბენეფიციარის წელთა ნამსახურობის სტაჟში საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახურები პერიოდის ჩათვლის საკითხის თაობაზე და ადმინისტრაციულ ორგანოს დაევალა გ. მ-ის სახელმწიფო კომპენსაციის საქმის შესწავლა და სამართლებრივად დასაბუთებული პასუხის გაცემა, შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან ბენეფიციარის წელთა ნამსახურობის ნუსხის გამოთხოვა და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ დეტალური ინფორმაციის მიწოდება სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტისთვის. 05.08.2014წ. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ №04/66755 წერილით მიმართა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის უფროსს და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და „სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო კომპენსაციის ხელახლა დანიშვნის უზრუნველყოფის მიზნებისათვის, ყოფილი სამხედრო მოსამსახურის, თადარიგის ლეიტენანტის, გ. მ-ის წარდგინების, საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში ნამსახურობის შესახებ ინფორმაციისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან მისი დათხოვნის შესახებ ბრძანების ამონაწერის გადმოგზავნა მოითხოვა. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 19.08.2014 წ. №MOD 4 14 00534986 მიმართვით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს გაეგზავნა რეზერვის ლეიტენანტ გ. მ-ის წელთა ნამსახურობის ანგარიში და საქართველოს თავდაცვის მინისტრის 01.03.1996წ. №165 ბრძანების ამონაწერი. 27.08.2014წ. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს №04/71741 წერილით საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტს ეთხოვა გადმოგზავნილი ინფორმაციის დაზუსტება. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 16.09.2014წ. №04/75790 წერილით ქუთაისის სოციალური მომსახურების ცენტრს განსახილველად გაეგზავნა საქართველოს შეიარაღებული ძალების j-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტიდან გადმოგზავნილი, გ. მ-ის საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახურობის შესახებ ინფორმაცია და სხვა დოკუმენტები. ადმინისტრაციულ ორგანოს ეთხოვა კიდევ ერთხელ დეტალუ-

რად გადაემონებინა სოციალური მომსახურების ცენტრში დაცული გ. მ-ის საქმე და შემდგომ მიეღო გადაწყვეტილება ბენეფიციარის წელთა ნამსახურობაში შესაძლო ცვლილებების შეტანისა და საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახურები წლების გათვალისწინებით სახელმწიფო გასაცემლის ხელახლა დანიშვნის თაობაზე.

23.07.2014წ. და 25.12.2014წ. გ. მ-ემ ადმინისტრაციული საჩივრებით მიმართა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს და სზაკ-ის 208-ე და 209-ე მუხლების, სასკ-ის 23-ე მუხლის II ნაწილის და სსსკ-ის 408.1, 412-ე და 414-ე მუხლების თანახმად მოითხოვა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსგან 2013 წლის აპრილიდან 2014 წლის ოქტომბრამდე მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქუთაისის სოციალური მომსახურების ცენტრის 19.12.2014წ. №04-06-01/10648 წერილით გ. მ-ეს ეცნობა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების j-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტიდან გადაგზავნილი დოკუმენტებიდან გამომდინარე, 2014 წლის ოქტომბრიდან მოხდა გადაანგარიშება ოფიცრის წოდების მიხედვით. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქუთაისის სოციალური მომსახურების ცენტრის 26.12.2014წ. გადაწყვეტილებით მოხდა გ. მ-ის ნამსახურობის სტაჟის ცვლილება, წოდებად მიეთითა ლეიტენანტი, ნამსახურობის სტაჟი – 24 წელი, კომპენსაციის ოდენობად მიეთითა 270 ლარი. გ. მ-ეს ასევე აუნაზღაურდა წინა პერიოდის თანხა 2014 წლის პირველი ოქტომბრიდან 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 26.03.2015წ. №04/21371 გადაწყვეტილებით გ. მ-ეს უარი ეთქვა 2013 წლის აპრილიდან 2014 წლის ოქტომბრამდე მიუღებელი სახელმწიფო კომპენსაციის სხვაობის ანაზღაურების თაობაზე საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

პირველი ინსტანციის სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 42.9 მუხლზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 07.12.2009წ. №2/3/423 და საკასაციო სასამართლოს 10.04.2014წ. №ბს-648-623(2კ-13) გადაწყვეტილებებზე, სზაკ-ის 207-209-ე მუხლებზე, სკ-ის 1005-ე მუხლზე მიუთითა და აღნიშნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს მატერიალური ზიანის სახით 1482 ლარის ანაზღაურება. „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის 5.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, 23.1, 26.1 მუხლების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.2006წ. №46/6 ბრძანებით დამტკიცებულ №2 დანართის 2.1, 7.1, 15.1 მუხლებზე

მითითებით აღნიშნა, რომ კომპენსაციას შესაბამისი განცხადების საფუძველზე ნიშნავს სააგენტო, განაცხადისა და მასზე დართული შესაბამისი უწყების წარდგინების საფუძველზე.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმეზე, რომ მოსარჩელე გ. მ-ე 2005 წლიდან იღებს სახელმწიფო კომპენსაციას ზემდგომ-სათვის განკუთვნილი ოდენობით. სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონმდებლობით ცალსახადაა დადგენილი სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის სახელმწიფო კომპენსაციის დასანიშნად წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა, რომელთა შორისაა შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს წარდგინება. მართალია, სახელმწიფო კომპენსაციის მისაღებად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარდგინება სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის გ. მ-ეს უნდა წარედგინა, მაგრამ მის მიერ თავდაცვის სამინისტროსათვის მიმართვისას, განმარტებულ იქნა, რომ ერთხელ უკვე გადაგზავნილი იყო ინფორმაცია შესაბამის ორგანოში და განმეორებით გადაიგზავნებოდა მხოლოდ ოფიციალური მოთხოვნის საფუძველზე. ამდენად, მოსარჩელე მოკლებული იყო შესაძლებლობას, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის წარედგინა წელთა ნამსახურობის ანგარიში. სწორედ აღნიშნულის გამო, გ. მ-ემ არაერთხელ მიმართა განცხადებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს და ინფორმაციის გამოთხოვა ითხოვა, თუმცა ინფორმაცია მხოლოდ 2014 წლის 5 და 27 აგვისტოს იქნა გამოთხოვილი. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 02.07.2014წ. №04/56120 წერილით ქუთაისის სოციალური მომსახურების ცენტრს მიეცა მითითება, რომ საჭიროების შემთხვევაში, გამოეთხოვა ინფორმაცია. სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შეეძლო დაედგინა გ. მ-ისადმი „ლეიტენანტის“ სამხედრო წოდების კუთვნილება. ამასთან, საქმეში დაცული საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის j-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 16.06.2005წ. №პ-2296 წერილში, რომელიც გაეგზავნა საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოებიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსს, აღნიშნულია „ლეიტენანტი“ გ. მ-ე.

სასამართლომ მიუთითა, რომ საჯარო ხელისუფლების ინსტიტუტების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოქალაქეთა კანონიერი უფლებების და ინტერესების დაცვა, მოქალაქისთვის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დოკუმენტის გაუცემლობა, არ წარმოადგენს პირისთვის კანონით მინიჭებულ უფლებათა გამოყენების შემზღვეველ გარემოებას, რადგან ადმინისტრაციულ ორგანოთა სა-

მართლებრივი ბუნებიდან, მასშტაბიდან და საჯარო მიზნებიდან გამომდინარე, მათ უნდა უზრუნველყონ მსგავსი ინფორმაციის გამოთხოვა, როდესაც, ერთი მხრივ, მოქალაქე მიუთითებს მტკიცებულების წარდგენის შეუძლებლობაზე და, მეორე მხრივ, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს გაცემული პასუხებიდან იკვეთება ასეთი მიმართვის საჭიროება. ვინაიდან დასტურდება 2005 წელს თავდაცვის სამინისტროს მიერ გ. მ-ის თაობაზე მასალების სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოში გადმოგზავნა, სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის მასალების დროული სრულყოფილად შესწავლა და კიდევ ერთხელ გადახედვა შესაძლებელს გახდიდა მოსარჩელისთვის სახელმწიფო კომპენსაციის კუთვნილი ოდენობით დაინშენას.

სასამართლომ მიუთითა სზაკ-ის 96-ე, 53-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს გ. მ-ის პირადი საქმის ყოველმხრივ და სრულყოფილად შესწავლის პირობებში ჰქონდა სრული საფუძველი და შესაძლებლობა, დაედგინა მისი სამხედრო წოდება და ნამსახურობის ვადა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, გამოეთხოვა ინფორმაცია სხვა ადმინისტრაციული ორგანოებისაგან. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების, საქმის ყოველმხრივ და სრულყოფილად შესწავლის შემთხვევაში, მოსარჩელე 2013 წლის პირველი აპრილიდან 2014 წლის პირველ ოქტომბრამდე მიიღებდა სახელმწიფო კომპენსაციას 24 წლის ნამსახურობისთვის, როგორც ლეიტენანტი, თუმცა იგი ამ პერიოდში იღებდა ზემდეგისათვის განსაზღვრულ კომპენსაციას.

სასამართლომ მიუთითა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 21.03.2016წ. №04/22293 წერილზე, რომლის შესაბამისად, 2013 წლის 1 აპრილიდან 2013 წლის 1 სექტემბრამდე, 65 წლის ასაკიდან დანიშვნის შემთხვევაში, სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა ზემდეგისთვის (პრაპორშკი), რომელსაც გააჩნია 21 წლიანი ნამსახურობის სტაჟი, შეადგენს 835 ლარს 2013 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის 1 ოქტომბრამდე – 2688 ლარს. 2013 წლის 1 აპრილიდან 2013 წლის 1 სექტემბრამდე, 65 წლის ასაკიდან დანიშვნის შემთხვევაში, სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა ლეიტენანტისთვის, რომელსაც გააჩნია 24 წლიანი ნამსახურობის სტაჟი, შეადგენს 1225 ლარს; 2013 წლის 1 სექტემბრიდან 2014 წლის 1 ოქტომბრამდე – 3780 ლარი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ 2013 წლის პირველი აპრილიდან 2014 წლის პირველ ოქტომბრამდე კუთვნილი ოდენობის სახელმწიფო კომპენსაციის მიუღებლობით მოსარჩელეს მიადგა მატერიალური ზიანი 1482 ლარის ოდენობით, რომლის ანაზღაურების ვალდებუ-

ლება უნდა დაკისრებოდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს.

სასამართლომ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ იურიდიული მომსახურების თაობაზე შეთანხმებაზე, რომლის მიხედვითაც, პირველი ინსტანციის სასამართლოში მომსახურების საფასური შეადგენს 200 (ორას) ლარს და აღნიშნა, რომ საქმეში არ მოიპოვება ადვოკატის მომსახურებისთვის ხარჯის განევის დამადასტურებელი დოკუმენტი, რის გამოც არ დაკმაყოფილდა მოთხოვნა 300 ლარის ოდენობით გაწეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე.

გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.07.2017წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასება დავის საგანთან დაკავშირებით.

განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტომ. კასატორი ითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების გზით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე ახალი გადაწყვეტილების მიღებას, მიუთითებს „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის 5.1, 26-ე მუხლებზე, „სახელმწიფო კომპენსაციის დანიშნვისა და გაცემის წესის“ მე-15 მუხლზე და აღნიშნავს, რომ განცხადებას კომპენსაციის დანიშვნის თაობაზე უნდა ერთვოდეს შესაბამისი უწყების წარდგინება, რომელიც მზადდება კანონით გათვალისწინებული პირობების დაკმაყოფილების საფუძველზე და თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი. სამხედრო ორგანოებიდან დათხოვნილი პირის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი უწყების/დანესებულების მიერ გაცემული წელთა ნამსახურობის ნუსხა/ გაანგარიშება. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ვალდებული მოამზადოს და გასცეს წელთა ნამსახურობის ნუსხა/გაანგარიშება, ხოლო გ. მ-ეს ნუსხა/გაანგარიშება უნდა წარედგინა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის. მოსარჩელე იყო ვალდებული მოეხდინა სათანადო მტკიცებულებების წარმოდგენა, კანონიერი უფლების რეალიზაციაში ხელის შეშლის შემთხვევაში მას სათანადო მოპასუხის მიმართ უფლების სამართლებრივი წესით დაცვა უნდა მოეხდინა. დაუსაბუთებელია სასამართლოს მოსაზრება, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მიაღდა ზიანი გ. მ-ეს. სააგენტოს ბრალი არ დასტურდება, გასაჩივრებული განჩინება დავის საგანთან დაკავშირებით

არის დაუსაბუთებელი.

საკასაციო პალატის 17.05.2018წ. განჩინებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და სსკ-ის 408.3 მუხლის საფუძველზე განხილული იქნა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალების, გასაჩივრებული განჩინების და საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის შედეგად საკასაციო პალატა თვლის, რომ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილად არის ცნობილი, რომ გ. მ-ე ზღვრული ასაკის გამო დათხოვნილია სამხედრო სამსახურიდან. გ. მ-ეს 2005 წლიდან დანიშნული აქვს ზემდეგის კუთვნილი სახელმწიფო კომპენსაცია, რაც გაანგარიშებული იყო ნამსახურობის 20 წელსა და 8 თვეზე. სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა განსხვავდება როგორც სამხედრო წოდების, ისე ნამსახურების წლების მიხედვით. გ. მ-ე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსადმი შეტანილი გადაცხადებებით მოითხოვდა სახელმწიფო კომპენსაციის გადაანგარიშებას საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახურები წლების და წოდების გათვალისწინებით. საქართველოს შეიარაღებული ძალებში ნამსახურობის პერიოდი შეადგენს 2 წელსა და 11 თვეს, საქართველოს თავდაცვის მინისტრის 13.08.1993წ. №1182 ბრძანებით გ. მ-ეს მიენიჭა ლეიტენანტის წოდება. 1996 წლის 1 მარტიდან 2002 წლის 30 ოქტომბრამდე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში გ. მ-ე ირიცხებოდა სამოქალაქო პირის სტატუსით, საიდანაც განთავისუფლდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კადრების მთავარი სამმართველოს 29.10.2002წ. №2781 ბრძანებით. სამოქალაქო პირის სტატუსით სამინისტროს სისტემაში ყოფნის პერიოდი არ ჩაითვლება სამხედრო სამსახურის სტატუსში. სახელმწიფო კომპენსაციის გადაანგარიშების მოთხოვნის საფუძველად მითითებულია მისი ნამსახურობის 24-წლიანი სტაჟი და ლეიტენანტის წოდება. გ. მ-ეს აუნაზღაურდა კომპენსაციის თანხებს შორის 01.10.14წ.-31.12.2014წ. მიუღებელი სხვაობა.

გ. მ-ისათვის 2005 წლიდან დანიშნული სახელმწიფო კომპენსაცია გაანგარიშებული იყო ნამსახურობის 20 წელსა და 8 თვეზე, ზემდეგის (პრაპორშისკის) წოდების მიხედვით. გ. მ-ე სადავოდ არ ხდის მისთვის 2013 წლის 01 აპრილამდე მიღებული კომპენსაციის ოდენობის სისწორეს. გ. მ-ის მოთხოვნა ეხება 2013 წლის 01 აპრილიდან 2014 წლის 01 ოქტომბრამდე მიუღებელი კომპენსაციის

სხვაობის გაცემის დავალებას, სხვაობის ათვლა სასარჩელო განცხადების თანახმად იწყება გ. მ-ის მიერ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსადმი მიმართვის დღიდან (01.04.2013წ.), რომლითაც იგი ითხოვდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მიმართვის გაგზავნას ახალი ნამსახურობის ნუსხის გამოთხოვის თაობაზე. სზაკ-ის 207-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი, ხოლო სამოქალაქო კოდექსის 922-ე მუხლი ადგენს, რომ პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ამდენად, საკითხის გადაწყვეტა საჭიროებს ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციული ორგანოს დადგენას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გ. მ-ეს დანიშნული ჰქონდა კომპენსაცია კანონით დადგენილი ნამსახურობის ვადის ამონურვის საფუძვლით („სახელმწიფო კომპენსაციისა და აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1 მუხ. „ა“ ქვეპ.). აღნიშნული უფლების რეალიზაცია შესაძლებელია უფლების წარმოშობიდან ნებისმიერ დროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის განცხადებით მიმართვის გზით (6.3. მუხ.). საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.2006წ. №46/6 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-15.1 მუხლის თანახმად განცხადებას კომპენსაციის დანიშვნის თაობაზე უნდა ერთვოდეს შესაბამისი უწყების წარდგინება, რომელსაც თან უნდა ახლდეს ყველა საჭირო დოკუმენტი. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად სამხედრო ორგანოებიდან თადარიგში დათხოვნილი პირის კომპენსაციის დანიშვნის შესახებ განცხადებას თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი უწყების/დანესებულების მიერ გაცემული წელთა ნამსახურობის ნუსხა. ამდენად, კანონმდებლობა განსაზღვრავს კომპენსაციის მაძიებლის მიერ მითითებული დოკუმენტაციის წარდგენის („სახელმწიფო კომპენსაციისა და აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის 26-ე მუხ.) და არა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ დოკუმენტაციის მოძიების ვალდებულებას. შესაბამისად, ლეიტენანტის სამხედრო წოდების და 24-წლიანი ნამსახურობის სტაჟის მიხედვით სახელმწიფო კომპენსაციის განსაზღვრისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება გ. მ-ეს ეკისრებოდა, მით უფრო, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონდა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის 28-ე მუხლით გათვალისწინებულ სსიპ

სოციალური მომსახურობის სააგენტოს მიერ კომპენსაციის ოდენობის ავტომატურად გადაანგარიშების ვალდებულებას.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ გ. მ-ე მსახურობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემაში, შესაბამისად საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.2006 წ. №46/წ ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესის“ 15.2 მუხლით გათვალისწინებულ კომპენსაციის დასანიშნად საჭირო დოკუმენტაციის გამცემი ორგანოა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, რომელსაც ეკისრებოდა წელთა ნამსახურობის ნუსხის /გაანგარიშების შედგენის ვალდებულება. აღნიშნულის თაობაზე განემარტა გ. მ-ეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ (15.01.13წ. წერილი).

სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ქუთაისის სოციალური მომსახურების ცენტრის 15.01.2013წ. №04-06-01/476 წერილით გ. მ-ის წარმომადგენელს მართებულად განემარტა, რომ წელთა ნამსახურობის და წარდგინების შედგენისათვის უნდა მიემართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედება. სახელმწიფო კომპენსაციის დანიშვნისათვის აუცილებელია განცხადება, რომელსაც თან უნდა ერთვოდეს შესაბამისი უწყების წარდგინება და სხვა დოკუმენტაცია. მოცემულ შემთხვევაში მოთხოვნილი პერიოდისათვის (01.04.13წ. – 01.10.14წ.) გ. მ-ისათვის ლეიტენანტის წოდებისა და 24-წლიანი ნამსახურობის სტაჟის მიხედვით სახელმწიფო კომპენსაციის გადაანგარიშება დავას არ იწვევს, ამ მონაცემების მიხედვით გ. მ-ეს სადღეისოდ უკვე დანიშნული აქვს სახელმწიფო კომპენსაცია, სადავოა 01.04.13წ. – 01.10.14წ პერიოდში გაცემულ და კუთვნილ კომპენსაციებს შორის სხვაობის გაუცემლობის მიზეზები და კუთვნილი თანხის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი.

ზოგადი წესის მიხედვით ზიანი სრულად უნდა აანაზღაუროს მისმა მიმყენებელმა, მან უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებელი გარემოება. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე მოთხოვნას ამყარებს დელიქტურ ნორმებზე (საზკ-ის 207-ე, 208-ე, სკ-ის 408-ე, 412-ე, 414-ე მუხ.), მოთხოვნის საფუძველი ეხება კუთვნილი მიუღებელი კომპენსაციის თანხის ანაზღაურებას, რომლის გაცემის ვალდებულება მოქმედი კანონმდებლობის თანახმად სოციალური მომსახურების ორგანოების უფლებამოსილებას განეკუთ-

ვნება („სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ კანონის მე-9 მუხ.; „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის მე-4 მუხ. „თ“ ქვ.პ., 24-ე მუხ.; საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 10.02.2006წ. №46/6 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნისა და გაცემის წესის“ მე-2 მუხ., მე-15 მუხ.). უსაფუძვლო გამდიდრება არის არა მხოლოდ შეძენა, არამედ სხვა პირის ხარჯზე ფულადი სახსრების კანონიერი საფუძვლის გარეშე დაზოგვა, რომელიც შესაძლოა უკავშირდებოდეს სხვა პირის მოქმედებას/უმოქმედებას. კომპენსაციის მოთხოვნა შესაძლოა იქნეს მიჩნეული 1-ლი ოქმის 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ საკუთრებად (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 18.11.2004წ. დადგენილება საქმეზე „პრავედნაია (Pravednaya) რუსეთის წინააღმდეგ“, §38). პირი, რომელმაც უსაფუძვლოდ შეიძინა ან დაზოგა ქონება სხვა კრედიტორის ხარჯზე, ვალდებულია დაუბრუნოს უკანასკნელს უსაფუძვლოდ შეძენილი ან დაზოგილი ქონება. ვინაიდან სახელმწიფო კომპენსაციის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანო არის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას მისი არასათანადო მოპასუხეობის შესახებ და თვლის, რომ სააპელაციო პალატას არ დაურღვევია სსკ-ის 85-ე მუხლის მოთხოვნა, არ არსებობდა საქმეზე მოპასუხის – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შეცვლის საფუძველი.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ გ. მ-ის 29.05.14წ. განცხადების პასუხად საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის j-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 30.05.2014წ. № MOD 8 14 00329771 წერილით გ. მ-ეს ეცნობა, რომ წელთა ნამსახურობის ანგარიში საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში ნამსახურობის შესახებ გადაიგზავნა ერთიან სახელმწიფო ფონდში 16.06.2005წ. №პ-2296 წერილით, განმცხადებელს ეცნობა აგრეთვე, რომ თუ წელთა ნამსახურობის ანგარიში არ იძებნება სოციალური მომსახურების სააგენტოში, ხელმეორედ წელთა ნამსახურობის ანგარიში მხოლოდ ოფიციალური მოთხოვნის საფუძველზე გაიგზავნება. 26.02.13წ. და 16.04.2013წ. განცხადებებით გ. მ-ემ სოციალური მომსახურების ტერიტორიულ ორგანოს – ქუთაისის სოციალური მომსახურების ცენტრს აცნობა თავდაცვის სამინისტროს პასუხის შესახებ და მოთხოვა ცენტრს წელთა ნამსახურობის ანგარიშის მისაღებად შესაბამისი წარდგინების

გაგზავნა თავდაცვის სამინისტროში. ანალოგიური განცხადებებით (25.04.2014წ. და 09.06.2014წ.) გ. მ-ემ მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს. ამდენად, საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე მოკლებული იყო სახელმწიფო კომპენსაციის გადაანგარიშებისათვის აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენის ვალდებულების შესრულების შესაძლებლობას მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. საქმის მასალებით დასტურდება აგრეთვე, რომ გ. მ-ემ არაერთგზის მიმართა განცხადებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საჭირო დოკუმენტაციის გამოთხოვის მოთხოვნით. ცენტრს თავდაცვის სამინისტროსთვის არ მიუმართავს, ხოლო სააგენტომ შეიარაღებული ძალების გენშტაბის j-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტისადმი მიმართვები (05.08.2014წ. №04/66755 და 27.08.2014წ. №04/71741) გააგზავნა გ. მ-ის მიერ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში ადმინისტრაციული საჩივრის შეტანის შემდეგ.

საქმეში დაცული საქართველოს შეიარაღებული ძალების გენშტაბის j-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 16.06.2005წ. №3-2296 წერილში, რომელიც გაეგზავნა საქართველოს სოციალური უზრუნველყოფის სამხედრო და შინაგან საქმეთა ორგანოებიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა საპენსიო უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსს, აღნიშნულია გ. მ-ისათვის მინიჭებული წოდება – „ლეიტენანტი“. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 02.07.2014წ. №04/56120 წერილით ქუთაისის სოციალური მომსახურების ცენტრს განსახილველად გაეგზავნა გ. მ-ის განცხადება ბენეფიციარის წელთა ნამსახურების სტაჟში საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ნამსახურები პერიოდის ჩათვლის საკითხის თაობაზე. წერილით ადგილობრივ სამსახურს დაევალა ზ. მ-ის სახელმწიფო კომპენსაციის საქმის შესწავლა და სამართლებრივად დასაბუთებული პასუხის გაცემა განმცხადებლისათვის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან წელთა ნამსახურობის ნუსხის გამოთხოვა. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 16.09.2014წ. №04/75790 წერილით ქუთაისის სოციალური მომსახურების ცენტრს დამატებით დაევალა ცენტრში დაცული გ. მ-ის საქმის მასალების დეტალური შესწავლა და გადაწყვეტილების მიღება. ამდენად, საკაცო სასამართლო იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებას იმის შესახებ, რომ გ. მ-ის საქმის მასალების დროული და სრულყოფილი შესწავლის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა გ. მ-ისათვის საოფიცრო წოდების მიხედვით სახელმწიფო კომპენსაციის კუთვნილი ოდენობის დანიშვნა. დაუსაბუთებელია

კასატორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ გენერალური შტაბის j-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის 16.07.2005წ. №3-2296 წერილი სოციალური მომსახურების ორგანოს არ მიუღია. საქმეში დაცულ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 26.03.2015წ. №04/21371 გადაწყვეტილებაში, რომლითაც გ. მ-ის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა, სააგენტო თავად აღნიშნავს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან 16.06.2005წ. გადმოგზავნილი დოკუმენტი დაცულია სააგენტოს არქივში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან ოფიციალური მიმართვის მოთხოვნა არ წარმოადგენს პირისათვის კანონით მინიჭებული უფლების შეზღუდვის საფუძველს. მტკიცებულების წარმოდგენის შეუძლებლობის შესახებ მოქალაქის მითითების მიუხედავად, სოცუზრუნველყოფის ორგანომ დროულად არ მიიღო ზომები ინფორმაციის გამოსათხოვად. იმის გათვალისწინებით, რომ სოცუზრუნველყოფის ორგანოსათვის ცნობილი იყო განმცხადებლის მიერ საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენლობის მიზეზი და დროულად არ მიმართა მოთხოვნილი შეამდგომლობით სამინისტროს, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ უხეში გაუფრთხილებლობის გამო სოცუზრუნველყოფის ორგანოსათვის უცნობი იყო განმცხადებლის სახელმწიფო კომპენსაციის გადაანგარიშებისათვის საჭირო მონაცემები, შესაბამისად დაზოგილის უკან დაბრუნებისას უნდა იქნეს გამოყენებული არა უსაფუძვლო გამდიდრების (კონდიქციის), არამედ დელიქტური ვალდებულებების წესები და შესაბამისად კასატორს მართებულად დაეკისრა განცხადების შეტანიდან (01.04.2013წ.) კომპენსაციის გადაანგარიშებამდე სხვაობის ანაზღაურების ვალდებულება.

ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება მოიცავს ადმინისტრაციული ორგანოს უმნიშვნელოვანეს პროცედურულ ვალდებულებას – გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე (სზაკ-ის 96-ე, 53-ე მუხ.). ამდენად, ადმინისტრაციული პროცედურა ავალდებულებდა სოცუზრუნველყოფის ორგანოს დახმარება აღმოეჩინა განმცხადებლისათვის დოკუმენტაციის მოპოვებაში, მით უფრო, რომ სახელმწიფო კომპენსაცია გ. მ-ისათვის წარმოადგენდა ძირითად სარჩოს. მხარის მიერ დოკუმენტაციის გამოთხოვის შეუძლებლობის შემთხვევაში პროცედურის ინკვიზიციური ხასიათი ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს მიიღოს ზომები საკითხის ობიექტური გადანყვეტისათვის საჭირო ინფორმაციის მოსაპოვებლად. პროცესის ინკვიზიციურობა არ ათავისუფლებს განმცხადებელს

მტკიცებულების წარმოდგენის ვალდებულებისაგან, თუმცა მოცემულ შემთხვევაში საქმის მასალებით არ დასტურდება გ. მ-ის უმოქმედობა. იმის გათვალისწინებით, რომ გ. მ-ემ არაერთი განცხადებით მიმართა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს, სადაც ატყობინებდა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროდან მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ შეძლო ნამსახურობის ნუსხის მიღება, ადმინისტრაციული წარმოების ინკვიზიციური საწყისებიდან გამომდინარე, სსიპ სოციალური მომსახურების ორგანო ვალდებული იყო დახმარებოდა გ. მ-ეს ნამსახურობის ნუსხის მოპოვებაში, მას უნდა გამოეჩინა ინიციატივა და რეაგირება მოეხდინა თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნაზე, მიემართა დოკუმენტაციის გამოთხოვის თაობაზე შუამდგომლობით თავდაცვის სამინისტროსთვის, რაც სააგენტომ განახორციელა გ. მ-ის მიერ ზემდგომ ინსტანციებში საჩივრების შეტანის შედეგად. შექმნილ ვითარებაში, განმცხადებლის მიერ მიმართვის მიუხედავად დოკუმენტაციის გაუცემლობისა და განმცხადებლის მიერ კომპენსაციის მიღების უფლების რეალიზაციის შეუძლებლობის გათვალისწინებით, სოციალური დაცვის სამართალწარმოებაში აუცილებელი განსაკუთრებული კეთილსინდისიერების, აგრეთვე ეფექტურობის და ეკონომიის მოთხოვნის (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 24.06.1993წ. №14518/89 გადაწყვეტილება საქმეზე „შულერ-ზგრაგენი შვეიცარიის წინააღმდეგ“ ((Schuler-Zraggen v. Switzerland §58); 12.11.02წ. №28394/95 გადაწყვეტილება „დორი შვედეთის წინააღმდეგ“ (Dory v. Sweden §41)), სოციალური უზრუნველყოფის მიღების სახელმწიფო გარანტიების („სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის მე-3 მუხ. „დ“ ქვ.პ.) გათვალისწინებით, კომპენსაციის გადაანგარიშების საკითხის გადაწყვეტისათვის საჭირო ინფორმაციის გამოსათხოვად სოცუზრუნველყოფის ორგანოს დროულად მიმართვა იყო სააგენტოს არა კეთილი ნების გამოჩენა, არამედ ვალდებულება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო პალატა იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრებას, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დაკისრებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების შემთხვევაში გ. მ-ე სადავო პერიოდში (01.04.2013წ. – 01.1.-2014წ.) მიიღებდა ახალი მონაცემების მიხედვით (წოდება – ლეიტენანტი, ნამსახურობის სტაჟი – 24 წელი) გადაანგარიშებულ სახელმწიფო კომპენსაციას. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა (სსკ-ის 410-ე მუხ.), შესაბამისად არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძვლები.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია საპროცესო ხარჯებთან, რომლებიც შედგება სასამართლო ხარჯისგან და სასამართლოსგარეშე ხარჯისგან (სსკ-ის 37.1 მუხ.). სასამართლოს ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები (სსკ-ის 37.2 მუხ.), ხოლო სასამართლოსგარეშე ხარჯებს განეკუთვნება ადვოკატისათვის განეული ხარჯები (სსკ-ის 37.3 მუხ.). საპროცესო კანონმდებლობა ადგენს სასამართლო ხარჯების ანაზღაურების განსაზღვრის ვალდებულებას საქმის შედეგის შესაბამისად (სსკ-ის 53-ე მუხ.), ხოლო სასამართლოსგარეშე ხარჯი ანაზღაურდება მხარის მოთხოვნის შემთხვევაში (იხ. სუსგ 03.07.2018წ., №ბს-1117-1111(კ-კს-17)). საქმის მასალებით დასტურდება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით გ. მ-ის მოთხოვნა სასამართლოსგარეშე ხარჯის, კერძოდ, ადვოკატისათვის განეული ხარჯის ნაწილში არ დაკმაყოფილდა, რაც არ გასაჩივრებულა გ. მ-ის მიერ სააპელაციო წესით, შესაბამისად მოთხოვნის ამ ნაწილში გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში. რაც შეეხება სასამართლოს ხარჯის სახით მოპასუხისათვის სახელმწიფო ბაჟის დაკისრებას, სასკ-ის 9.1 მუხლის თანახმად მხარეები გათავისუფლებული არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

### **და ა დ ბ ი ნ ა :**

1. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 04.07.2017წ. განჩინება;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ ფულადი  
კომპენსაციის მოთხოვნის საფუძველი**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

№ბს-681-681(კ-18)

13 დეკემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამარ-  
თლებრივი აქტის ბათილად ცნობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2017 წლის 1 თებერვალს ლ. დ-მა სასარჩელო განცხადებით მი-  
მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქ-  
მეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს ოკუპირებული ტერი-  
ტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და  
ლტოლვილთა სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, მან საცხოვრებელი ბინის გამოყო-  
ფის თაობაზე არაერთხელ განცხადებით მიმართა საქართველოს  
ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ  
პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს, თუმცა მას  
არ მისცეს უფლება, აპლიკაცია შეეცხო მისი ოჯახის ბინით დაკმა-  
ყოფილების შესახებ. ამასთან, სამინისტროდან მიიღო უარყოფი-  
თი წერილობითი პასუხი, სადაც მითითებული იყო, რომ „სამინის-  
ტროს დევნილთა მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზის მი-  
ხედვით, იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილი ლ. დ-ის  
ოჯახს, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყო-  
ფის ღონისძიების ფარგლებში, დევნილის სტატუსიდან გამომდი-  
ნარე, მიღებული აქვს საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ ფულა-  
დი კომპენსაცია“.

მოსარჩელემ მიუთითა, რომ წერილობით პასუხში მითითებული  
ფაქტობრივი გარემოებები არ ასახავდა სინამდვილეს, ვინაიდან  
მოქალაქე ჯ. პ-ამ პირადად (ერთმა სულმა) მიიღო თავისი საცხოვ-  
რებელი ფართის ფულადი კომპენსაცია, ხოლო მას და მისი ოჯახის  
წევრებს არ მიუღიათ არავითარი ფულადი კომპენსაცია.

ამდენად, მოსარჩელემ საქართველოს ოკუპირებული ტერიტო-

რიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2017 წლის 24 იანვრის №01-02/08/1351 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 11 მაისის საოქმო განჩინებით ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაება ჯ. პ-ა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ლ. დ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2017 წლის 24 იანვრის №01-02/08/1351 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ლ. დ-ის განცხადებასთან დაკავშირებით.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე – ლ. დ-ი არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი, რომელზეც გაცემულია იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობა. აღნიშნული მოწმობის თანახმად, მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იძულებით გადაადგილებამდე იყო აფხაზეთი, გულრიფში, ..., დროებით საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს თბილისი, ... ლ. დ-ი 2000 წლის 10 აპრილიდან რეგისტრირებულია მისამართზე: ქ. თბილისი, ..., სასტუმრო „...“.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2004 წლის 15 აგვისტოს სს „სასტუმრო ...ს“ დირექტორსა და ჯ. პ-ას შორის, რომელიც წარმოადგენდა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ შემუშავებული სიის მიხედვით, ქ. თბილისში, ... მდებარე „სასტუმრო ...ის“ №... ოთახში დროებით შესახლებულ პ-ის ოჯახს, გაფორმდა №165 ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებით ჯ. პ-ა ადასტურებს, რომ იგი არის ერთადერთი უფლებამოსილი წარმომადგენელი და იძლევა გარანტიას, რომ მას მიღებული აქვს №... ოთახში განთავსებულ ყველა სრულწლოვანი წევრის თანხმობა, რომ მათი სახელით გააფორმოს წინამდებარე ხელშეკრულება. ზემოხსენებული ხელშეკრულების 1.1 პუნქტის თანახმად, „წინამდებარე ხელ-

შეკრულების პირობების შესაბამისად, მოქ. ჯ. პ-ა ათავისუფლებს ქ. თბილისში ... მდებარე „სასატუმრო ...აში“ მის მიერ დაკავებულ №... ოთახს, ხოლო ადმინისტრაცია კისრულობს მოქალაქის მიმართ ერთჯერადი განაცემის სახით მატერიალური დახმარების განევას 7000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში“.

ასევე დადგენილია, რომ ლ. დ-ის შემოსვლა საქართველოს ტერიტორიაზე ფიქსირდება 1997 წლის 7 თებერვალს, გასვლა – 1997 წლის 7 აპრილს, შემოსვლა – 2000 წლის 11 ნოემბერს, გასვლა – 2001 წლის 27 ნოემბერს, შემოსვლა – 2005 წლის 18 ნოემბერს. 2017 წლის 9 იანვარს ლ. დ-მა №840/01 განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრს და მოითხოვა მისი გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საკითხის განხილვა. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2017 წლის 24 იანვრის №01-02/08/1351 წერილით ლ. დ-ს ეცნობა, რომ სამინისტროს დევნილთა მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზის მიხედვით, იძულებით გადაადგილებული პირის (დევნილის) – ლ. დ-ის ოჯახს, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის ღონისძიებების ფარგლებში, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, მიღებული აქვს საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ ფულადი კომპენსაცია.

სასამართლომ მიუთითა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლზე. მითითებული ნორმით დადგენილია რეგულირების სფერო, რომლის შესაბამისად, ეს კანონი განსაზღვრავს დევნილის სამართლებრივ სტატუსს, პირისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საფუძვლებსა და წესს, დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალეობებს. აღნიშნული საკანონმდებლო აქტის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იძულებით გადაადგილებულ პირად – დევნილად ითვლება საქართველოს მოქალაქე ან საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იმ მიზეზით, რომ უცხო ქვეყნის მიერ ტერიტორიის ოკუპაციის, აგრესიის, შეიარაღებული კონფლიქტის, საყოველთაო ძალადობის ან/და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევის გამო საფრთხე შეექმნა მის ან მისი ოჯახის წევრის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან თავისუფლებას ან/და ზემოაღნიშნული მიზეზის გათვალისწინებით შეუძლებელია მისი მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბ-

რუნება.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე – ლ. დ-ი არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი, რომელზეც გაცემულია იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მონმობა. ამასთან, 2004 წლის 15 აგვისტოს სს „სასტუმრო ...ს“ დირექტორსა და ჯ. პ-ას შორის, რომელიც წარმოადგენდა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ შემუშავებული სიის მიხედვით, ქ. თბილისში რესპუბლიკის მოედანზე მდებარე „სასტუმრო ...ის“ №... ოთახში დროებით შესახლებულ პ-ის ოჯახს, გაფორმდა №165 ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებით ჯ. პ-ა ადასტურებს, რომ იგი წარმოადგენს ერთადერთ უფლებამოსილ წარმომადგენელს და იძლევა გარანტიას, რომ მას მიღებული აქვს №... ოთახში განთავსებული ყველა სრულწლოვანი წევრის თანხმობა, რომ მათი სახელით გააფორმოს წინამდებარე ხელშეკრულება. განსახილველ შემთხვევაში მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ ლ. დ-ი 2000 წლის 10 აპრილიდან რეგისტრირებულია მისამართზე: ქ. თბილისი, ..., სასტუმრო „...ა“, ოთახი №....

სასამართლომ მიუთითა „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, დევნილის რეგისტრაციის ადგილი არის სამინისტროში არსებულ დევნილთა მონაცემთა ბაზაში აღნიშნული დევნილის საცხოვრებელი ადგილი, სადაც იგი დევნილობის პერიოდში დარეგისტრირდა, მიუხედავად ამ ადგილის საკუთრების ფორმისა, ხოლო „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დევნილის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი არის დევნილის მიერ დევნილობის პერიოდში არჩეული საცხოვრებელი ადგილი, სადაც იგი რეგისტრაციის გარეშე ფაქტობრივად ცხოვრობს. აღნიშნული მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი ასევე ითვალისწინებს დევნილი ოჯახის ცნებას, რომლის მიხედვითაც, დევნილი ოჯახი არის განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრებ, ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებსაც აქვთ დევნილის სტატუსი (ოჯახის წევრი შეიძლება იყოს არადევნილი პირიც) და რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი). აღნიშნული სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, სასამართლომ განმარტა, რომ პირთა წრის ერთი და იმავე მისამართზე რეგისტრაციის ფაქტი უპირობოდ არ წარმოადგენდა მათი ოჯახად მიჩნევის სამართლებრივ საფუძველს, რადგან პირთა წრის ოჯახად განხილვის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას მათი ერთობლივად ცხოვრების ფაქტი წარმოადგენს.

ამდენად, სასამართლოს აზრით, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებას წარმოადგენდა იმ ფაქტის დადგენა, ჯ. პ.-ას მიერ 2004 წლის 15 აგვისტოს №165 ხელშეკრულების გაფორმებისას, ლ. დ-ი იყო თუ არა ჯ. პ.-ას ოჯახის წევრი, „სასტუმრო ...აში“ №... ოთახში ფაქტობრივად მცხოვრები პირი. მოპასუხე მხარე ვალდებული იყო, მიუხედავად რეგისტრაციის მისამართისა, ზუსტად დაედგინა „სასტუმრო ...აში“, №... ოთახში განსახლებულ პირთა ვინაობა, რაც არსებითი იყო დევნილის მიმართ კანონით გათვალისწინებული გარანტიების განსახორციელებლად. ამასთან, საგულისხმო იყო ის გარემოებაც, რომ მართალია, „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ავალდებულებს დევნილს საცხოვრებელი ადგილის შეცვლის დღიდან ერთი თვის განმავლობაში აცნობოს სამინისტროს საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შესახებ, თუმცა სასამართლომ მიიჩნია, რომ აღიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა, ვერ გახდებოდა დევნილის მიმართ კანონით გათვალისწინებული გარანტიების განხორციელებაზე უარის თქმის საფუძველი, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც, 2004 წლის 15 აგვისტომდე მოქმედი რედაქცია (№165 ხელშეკრულების შედგენის თარიღი) ხსენებულ ვალდებულებას არ ითვალისწინებდა.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ 2004 წლის 15 აგვისტოს №165 ხელშეკრულებაში თანხის მიმღებმა – ჯ. პ.-ამ დაადასტურა, რომ მითითებული ხელშეკრულების გაფორმებისათვის მას მიღებული ჰქონდა „სასტუმრო ...ას“ №... ოთახში განთავსებული ყველა სრულწლოვანი წევრის თანხმობა. ასევე მან სასამართლო სხდომაზე განმარტა, რომ ლ. დ-ი არ წარმოადგენდა მასთან მცხოვრებ ოჯახის წევრს და ზემოხსენებულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ლ. დ-ის თანხმობის არსებობა საკომპენსაციო თანხის მიღებაზე არ დაუდასტურებია, ხოლო მონმის – ნოტარიუს მ. ფ.-ას განმარტებით, არ არსებობდა დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდებოდა „სასტუმრო ...ას“ №... ოთახში რეგისტრირებული ლ. დ-ის ნოტარიული თანხმობა, რომლითაც მან უფლება მოსიღება მიანიჭა ჯ. პ.-ას მიეღო საკომპენსაციო თანხა.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, როგორც ადმინისტრაციულმა ორგანომ, ვალდებულია გამოიკვლიოს ჯ. პ.-ასთვის ოთახის გამოთავისუფლების სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხის გადაცემისას ფაქტობრივად ცხოვრობდა თუ არა ლ. დ-ი ზემოხსენებულ ფართში. აღნიშნული გარემოების დადგენისას ადმინისტრაციულმა ორ-

განომ ასევე უნდა გაითვალისწინოს მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი ცნობა „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის შესახებ“ და იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) ოჯახური ანკეტა, რომელშიც ოჯახის წევრთა რაოდენობის გრაფაში მითითებულია 3 პირი.

ზემოაღნიშნული მსჯელობისა და მოცემული ნორმიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი გამოცემული იყო საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოების სათანადოდ გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, რის გამოც სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად უნდა ყოფილიყო ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2017 წლის 24 იანვრის №01-02/08/1351 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მოპასუხე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს დაევალოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესწავლისა და გამოკვლევის შემდეგ, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ლ. დ-ის განცხადებასთან დაკავშირებით გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 6 მარტის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს შეფასებები და დასკვნები გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, გასაჩივრებული გა-

დანყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთებისას მიუთითა მათზე და დამატებით განმარტა, რომ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივრით ვერ იქნა გაბათილებული თბილისის საქალაქო სასამართლოს დასკვნები სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ. პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად გადაწყვიტა სადავო საკითხი, რის გამოც არ არსებობდა სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული პროცესუალურ-სამართლებრივი საფუძვლები. შესაბამისად, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 6 მარტის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის განმარტებით, ქვედა ინსტანციის სასამართლოების მიერ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უგულვებლყოფილ იქნა საქმეში არსებული წერილობითი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებდნენ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად შესწავლისა და ლ. დ-ის „სასტუმრო ...ის“ შენობაში (ოთახი №...) ცხოვრების ფაქტს.

საკომპენსაციო თანხის გაცემის დროს „სასტუმრო ...ის“ ადმინისტრაციამ აიღო ვალდებულება, სამინისტროს მიერ მინოდებული ყველა დევნილი პირის სახელობითი სიის შესაბამისად და ობიექტში მცხოვრები თითოეული დევნილი პირის მიერ დაკავებული ფართის სანაცვლოდ, გაეცა ფულადი კომპენსაცია. ხელშეკრულება ფორმდებოდა კანონით დადგენილი წესით, რომლის მიხედვით, „სასტუმრო ...ა“ გამოთავისუფლებული ფართის სანაცვლოდ ფულადი კომპენსაციის გადაცემის შესახებ ხელშეკრულებას აფორმებდა ოჯახის ერთ-ერთ სრულწლოვან წევრთან. შესაბამისად, ოჯახის სხვა წევრებიც ითვლებოდნენ თანხის მიმღებ პირებად. კასატორი აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების დადების დროს მესამე პირის – ჯ. პ-ას მიმართ არ არსებობდა არანაირი სახით უკანონო ზეგავლენა, რომელიც მას აიძულებდა, მისი ნების საწინააღმდეგოდ, ხელი მოეწერა აღნიშნულ ხელშეკრულებაზე.

კასატორი მიუთითებს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესა-

ხებ“ საქართველოს კანონზე, რომლის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი იმპერატიულად ადგენს, რომ თუ დევნილი ოჯახი უზრუნველყოფილია გრძელვადიანი საცხოვრებლით, სახელმწიფოს ესხნება დევნილის ან მისი ოჯახის წევრთა პირდაპირი დამავალი შტოს შთამომავლების საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილების ვალდებულება, მათი დევნილის სტატუსიდან გამომდინარე. ამავე კანონის მე-4 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტით განმარტებულია დევნილი ოჯახის დეფინიცია, კერძოდ, დევნილი ოჯახი არის – განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრები, ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებსაც აქვთ დევნილის სტატუსი (ოჯახის წევრი შეიძლება იყოს არადევნილი პირიც) და რომლებიც ერთობლივად ეწევიან შინასამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი). აღსანიშნავია, რომ ლ. დ-მა, საკომპენსაციო თანხის მიღების სანაცვლოდ, გამოათავისუფლა სახელმწიფოს მიერ გადაცემული და ფაქტობრივად დაკავებული საცხოვრებელი ფართი და 2005-დან 2017 წლამდე არც ინვესტორის და არც სახელმწიფოს მიმართ პრეტენზია არ გამოუთქვამს.

ამდენად, კასატორი მიიჩნევს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა უგულვებლყოვეს კანონის ზემოაღნიშნული დანაწესები და მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგე მხარე – ლ. დ-ი და მე-სამე პირი – ჯ. პ-ა ერთ ოჯახად იყვნენ რეგისტრირებული და ფაქტობრივადაც ერთად ცხოვრობდნენ, საქმეზე დაუსაბუთებელი გადანყვეტილება მიიღეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 21 ივნისის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 20 სექტემბრის განჩინებით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგ-

გად მიიჩნევს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (ამჟამად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო) საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული თბილისის სააპელაციო სასამართლოს განჩინება არ არის დასაბუთებული. სააპელაციო სასამართლომ იმის ნაცვლად, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისათვის სწორი სამართლებრივი შეფასება მიეცა და სათანადო გადაწყვეტილება მიეღო, სრულად გაიზიარა და უცვლელად დატოვა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოები ფორმალურად მიუდგნენ სადავო საკითხს და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე მიიღეს გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: მოსარჩელე – ლ. დ-ი არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირი – დევნილი. იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის მოწმობის თანახმად, მისი მუდმივი საცხოვრებელი ადგილი იძულებით გადაადგილებამდე იყო აფხაზეთი, გულრიფში, ..., ხოლო დროებით საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს ქ. თბილისი, .... ლ. დ-ი 2000 წლის 10 აპრილიდან რეგისტრირებულია მისამართზე: ქ. თბილისი, ..., „სასტუმრო ...ა“. საქმის მასალებში წარმოდგენილია იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) ოჯახური ანკეტა, სადაც მითითებულ მისამართზე რეგისტრირებულია სულ 6 წევრი (ჯ. პ-ა, ლ. ტ-ე, ლ. პ-ა, გ. დ-ა, ლ. დ-ი და კ. დ-ი). ანკეტას ხელს აწერს ოჯახის უფროსი ჯ. პ-ა. 2004 წლის 3 აგვისტოს მონაცემებით, მითითებულ მისამართზე რეგისტრირებულია ოჯახის 5 წევრი, მათ შორის ლ. დ-ი.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 2004 წლის 15 აგვისტოს სს „სასტუმრო ...ას“ დირექტორსა და ჯ. პ-ას შორის, რომელიც წარმოადგენდა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ შემუშავებული სიის მიხედვით, ქ. თბილისში, ... მდებარე „სასტუმრო ...ის“ №... ოთახში დროებით შესახლებულ პ-ის ოჯახს, გაფორმდა №165 ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებით ჯ. პ-მ დაადასტურა, რომ იგი იყო ერთადერთი უფლებამოსილი წარმომადგენელი და იძლეოდა გარანტიას, რომ მას მიღებული ჰქონდა №... ოთახში განთავსებული ყველა სრულწლოვანი წევრის თანხმობა, რომ მათი სახელით გაეფორმებინა წინამდებარე ხელშეკრულება.

ზემოხსენებული ხელშეკრულების 1.1 პუნქტის თანახმად, „წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მოქ. ჯ. პ-ა ათავისუფლებს ქ. თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე მდებარე „სასტუმრო ...აში“ მის მიერ დაკავებულ №... ოთახს, ხოლო ადმინისტრაცია კისრულობს მოქალაქის მიმართ, ერთჯერადი განაცემის სახით, მატერიალური დახმარების განევას 7000 აშშ დოლარის ოდენობით, ექვივალენტი ეროვნულ ვალუტაში“.

2017 წლის 9 იანვარს ლ. დ-მა №840/01 განცხადებით მიმართა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრს და მოითხოვა მისი გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საკითხის განხილვა.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2017 წლის 24 იანვრის №01-02/08/1351 წერილით ლ. დ-ს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

მოცემულ შემთხვევაში დავის არსს და სასამართლოს მსჯელობის ძირითად საგანს სწორედ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2017 წლის 24 იანვრის №01-02/08/1351 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შეფასება წარმოადგენს, კერძოდ, რამდენად ობიექტურად ეთქვა უარი მოსარჩელე – ლ. დ-ს საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ ფულადი კომპენსაციის მიღებაზე.

სადავო აქტით მას განემარტა, რომ იძულებით გადაადგილებული პირის – ლ. დ-ის ოჯახს, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის ღონისძიებების ფარგლებში, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, მიღებული აქვს საცხოვრებელი ფართის სანაცვლო ფულადი კომპენსაცია. ასევე, მას ეცნობა, რომ დევნილი ოჯახები, რომლებსაც სახელმწიფოს ან კერძო ინვესტორის მიერ, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, მიღებული აქვთ საცხოვრებელი ფართი ან/და საცხოვრებელი ფართის სანაცვლო ფულადი კომპენსაცია, ჩაითვლებიან როგორც სახელმწიფოს მიერ დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის ფარგლებში დაკმაყოფილებულად და მათი საცხოვრებელი ფართით ხელახლა დაკმაყოფილების საკითხი სახელმწიფოს მიერ აღარ განიხილება.

ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა სადავო აქტის კანონშეუსაბამობის დადგენისას და მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების ძირითად არგუმენტად მიუთითეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ ახა-

ლი ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის გამოცემისას უნდა გამოიკვლიოს ჯ. პ-ასათვის ოთახის გამოთავისუფლების სანაცვლოდ საკომპენსაციო თანხის გადაცემისას ლ. დ-ი ფაქტობრივად ცხოვრობდა თუ არა „სასტუმრო ...ის“ №... ოთახში. ადმინისტრაციულმა ორგანომ ასევე, უნდა გაითვალისწინოს მოსარჩელე მხარის მიერ წარმოდგენილი ცნობა „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის კვეთის შესახებ“ და იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) ოჯახური ანკეტა, რომელშიც ოჯახის წევრთა რაოდენობის გრაფაში მითითებულია 3 პირი.

საკასაციო სასამართლო თავდაპირველად მიუთითებს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც განსაზღვრავს დევნილის სამართლებრივ სტატუსს, პირისათვის დევნილის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, ჩამორთმევისა და აღდგენის საფუძვლებსა და წესს, დევნილის სამართლებრივ, ეკონომიკურ და სოციალურ გარანტიებს, მის უფლებებსა და მოვალებებს. ამავე კანონის მე-4 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განმარტებულია, რომ დევნილის რეგისტრაციის ადგილი არის სამინისტროში არსებულ დევნილთა მონაცემთა ბაზაში აღნიშნული დევნილის საცხოვრებელი ადგილი, სადაც იგი დევნილობის პერიოდში დარეგისტრირდა, მიუხედავად ამ ადგილის საკუთრების ფორმისა, ხოლო „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, დევნილის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი არის დევნილის მიერ დევნილობის პერიოდში არჩეული საცხოვრებელი ადგილი, სადაც იგი რეგისტრაციის გარეშე, ფაქტობრივად ცხოვრობს.

მოცემულ შემთხვევაში უდავოდ დადასტურებულია, რომ 2000 წლის 10 აპრილიდან ლ. დ-ის რეგისტრაციისა და საცხოვრებელ ადგილს სწორედ „სასტუმრო ...ა“ წარმოადგენდა, რომელიც დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტი იყო. დევნილთა ოჯახურ ანკეტაში ოჯახის უფროსად მითითებულია ჯ. პ-ა. საქმის მასალებში წარმოდგენილია ასევე, „სასტუმრო ...ის“ შენობის №... ოთახში მაცხოვრებელ დევნილთა სია, სადაც მითითებულია ლ. დ-ი. სია შედგენილია 2004 წლის 3 აგვისტოს. დადგენილია, რომ ლ. დ-ის შემოსვლა საქართველოს ტერიტორიაზე ფიქსირდება 1997 წლის 7 თებერვალს, გასვლა – 1997 წლის 7 აპრილს, შემოსვლა – 2000 წლის 11 ნოემბერს, გასვლა – 2001 წლის 27 ნოემბერს, შემოსვლა – 2005 წლის 18 ნოემბერს. ამდენად, ზემოაღნიშნული დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ლ. დ-ის რეგისტრაციისა და ფაქტობრივ საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენდა „სასტუმრო ...ის“ №... ოთახი, ამასთან, 2005 წლიდან ლ. დ-ის საქართველოს ტერიტორიიდან გასვლა აღარ ფიქსირდება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ კანონის მე-13 მუხლის მე-4 პუნქტი იმპერატიულად ადგენს, რომ თუ დევნილი ოჯახი უზრუნველყოფილია გრძელვადიანი საცხოვრებლით, სახელმწიფოს ეხსნება დევნილის ან მისი ოჯახის წევრთა პირდაპირი დამავალი შტოს შთამომავლების საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების ვალდებულება, მათი დევნილის სტატუსიდან გამომდინარე. საკასაციო სასამართლო ასევე, მნიშვნელოვნად მიიჩნევს დევნილი ოჯახის ცნების განმარტებას, რასაც ითვალისწინებს ამავე კანონის მე-4 მუხლის „ლ“ ქვეპუნქტი. მოცემული ნორმის მიხედვით, დევნილი ოჯახი არის განცალკევებულ საცხოვრებელ ფართობზე მუდმივად მცხოვრებ, ნათესაური ან არანათესაური კავშირის მქონე პირთა წრე, რომლებსაც აქვთ დევნილის სტატუსი (ოჯახის წევრი შეიძლება იყოს არადევნილი პირიც) და რომლებიც ერთობლივად ეწვეიან შინასამეურნეო საქმიანობას (ოჯახი შეიძლება იყოს ერთსულიანი).

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უგულვებლყოფეს საქმეზე დადგენილი გარემოებები, წერილობითი მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სრულყოფილად შესწავლისა და ლ. დ-ის „სასტუმრო ...ის“ შენობის №... ოთახში ცხოვრების ფაქტს.

აღსანიშნავია, რომ 2004 წლის 15 აგვისტოს სს „სასტუმრო ...ას“ დირექტორსა და ჯ. პ-ას შორის სანოტარო წესით გაფორმდა №165 ხელშეკრულება. აღნიშნული ხელშეკრულებით ჯ. პ-ამ დაადასტურა, რომ იგი წარმოადგენდა ერთადერთ უფლებამოსილ წარმომადგენელს და იძლეოდა გარანტიას, რომ მას მიღებული ჰქონდა №... ოთახში განთავსებულ ყველა სრულწლოვანი წევრის თანხმობა, რომ მათი სახელით გაეფორმებინა წინამდებარე ხელშეკრულება. მითითებული ხელშეკრულების 1.1 პუნქტის თანახმად, „წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მოქალაქე ჯ. პ-ა ათავისუფლებს ქ. თბილისში ... მდებარე „სასტუმრო ...აში“ მის მიერ დაკავებულ №... ოთახს, ხოლო ადმინისტრაცია კისრულობს მოქალაქის მიმართ ერთჯერადი განაცემის სახით მატერიალური დახმარების განწევას 7000 (შვიდი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით, ეკვივალენტი ეროვნულ ვალუტაში“.

საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს განსახილველი დავის განსხვავებას იმ საქმეებისაგან, რომლებშიც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ფი-

გურიებს, სადაც ამ უკანასკნელის მიერ მოქალაქეებთან ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას აუცილებელია მათი წერილობითი თანხმობა, რის გარეშეც ადმინისტრაციული ხელშეკრულება ძალაში ვერ შევიდოდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ხელშეკრულება, როგორც სამოქალაქო ინსტიტუტი არის ორმხრივი (ან მრავალმხრივი) ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. ხელშეკრულება იდება ხელშეკრულების მხარეების ურთიერთთანხვედრი, საერთო მიზნისაკენ მიმართული ნების გამოხატვის შედეგად, შესაბამისად, ნების არარსებობის შემთხვევაში არ არსებობს ადმინისტრაციული ხელშეკრულება. მოცემულ შემთხვევაში, ნება გამოხატულია ოჯახის ერთ-ერთი წევრის, ოჯახის უფროსის – ჯ. პ-ას მიერ და იგულისხმება, რომ მას ხელშეკრულების გაფორმებისას მიღებული აქვს ოჯახის სრულწლოვანი წევრების თანხმობაც, ვინაიდან საქმის მასალებით არ დასტურდება რაიმე უკანონო სახის ზემოქმედება, რაც მას აიძულებდა მისი ნების საწინააღმდეგოდ ხელი მოეწერა ხელშეკრულებაზე.

ზემოაღნიშნულ განმარტებას ამყარებს ის გარემოებაც, რომ კერძო ინვესტორის მიერ დევნილი ოჯახის საცხოვრებელი ფართის სანაცვლო ფულადი კომპენსაციით უზრუნველყოფა ხორციელდებოდა იმ წესის შესაბამისად, რომ საკომპენსაციო თანხის გაცემის დროს „სასტუმრო ...ის“ ადმინისტრაციამ აიღო ვალდებულება, სამინისტროს მიერ მიწოდებული ყველა დევნილი პირის სახელობითი სიის შესაბამისად და ობიექტში მცხოვრები თითოეული დევნილი პირის მიერ დაკავებული ფართის სანაცვლოდ, გაეცა ფულადი კომპენსაცია. ხელშეკრულება ფორმდებოდა კანონით დადგენილი წესით, რომლის მიხედვით, „სასტუმრო ...ა“ გამოთავისუფლებული ფართის სანაცვლოდ ფულადი კომპენსაციის გადაცემის შესახებ ხელშეკრულებას აფორმებდა ოჯახის ერთ-ერთ სრულწლოვან წევრთან. შესაბამისად, ოჯახის სხვა წევრებიც ითვლებოდნენ თანხის მიმღებ პირებად. დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფის ღონისძიებები ეფუძნება დევნილების გადაწყვეტილების ნებაყოფლობისა და თავისუფალი არჩევნების პრინციპს, რომლის გათვალისწინებით დევნილები საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში ნებაყოფლობით და ზეგავლენის გარეშე იღებენ ძირითად გადაწყვეტილებებს. საკასაციო სასამართლოს აზრით, ხელშეკრულების დადების დროს მესამე პირის – ჯ. პ-ას მიმართ არ დასტურდება არანაირი სახით უკანონო მოქმედება, რამაც მას ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა აიძულა.

სააპელაციო სასამართლო გასაჩივრებული განჩინების მიღები-

სას დაეყრდნო იმ გარემოებას, რომ ხელშეკრულების გაფორმებისას თანხის მიმღებმა – მ. პ-ამ დაადასტურა, რომ მითითებული ხელშეკრულების გაფორმებისას მიღებული ჰქონდა №... ოთახში განთავსებული ყველა სრულწლოვანი წევრის თანხმობა, თუმცა მან სასამართლო პროცესზე აღნიშნა, რომ ლ. დ-ი არ წარმოადგენდა მისი ოჯახის წევრს, შესაბამისად, ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ლ. დ-ის თანხმობის არსებობა არ დაუდასტურებია.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნული მსჯელობის უგულვებელსაყოფად მიუთითებს მოცემულ საქმეზე უდავოდ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ, იმ ფაქტზე, რომ ლ. დ-ი 2000 წლის 10 აპრილიდან რეგისტრირებულია მისამართზე: ქ. თბილისი, ... საქმეში წარმოდგენილია იძულებით გადაადგილებულ პირთა (დევნილთა) ოჯახური ანკეტა, სადაც მითითებულ მისამართზე რეგისტრირებულია 6 წევრი, მათ შორის ლ. დ-ი. ანკეტას ხელს აწერს ოჯახის უფროსი ჯ. პ-ა. 2004 წლის 3 აგვისტოს მონაცემებით, მითითებულ მისამართზე რეგისტრირებულია ოჯახის 5 წევრი, ამავე სიაშია ლ. დ-იც. ამასთან, ამ უკანასკნელის საქართველოში შემოსვლა ფიქსირდება 2005 წელს, რის შემდეგაც ის არ გასულა საზღვრებს გარეთ, თუმცა 2005 წლიდან 2017 წლამდე საცხოვრებელი ფართის სანაცვლოდ ფულადი კომპენსაციის მოთხოვნით სასამართლოსათვის არ მიუმართავს. ასევე არ დასტურდება „სასტუმრო ...ის“ შენობის არა №...-ში, არამედ სხვა ოთახში მისი ცხოვრების ფაქტი. ამდენად, უდავოა, რომ ფულადი კომპენსაცია გადაეცა ჯ. პ-ას, რომელიც წარმოადგენდა არა კერძო პირს, არამედ ოჯახის სრულუფლებიან წევრს, ვინაიდან დევნილთა შესახებ კანონმდებლობის მიხედვით, ფულადი კომპენსაციით დაკმაყოფილების სუბიექტს წარმოადგენდა დევნილი ოჯახი და არა თითოეული დევნილი ცალ-ცალკე. საქმეზე არ არის წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ ლ. დ-ი ხელშეკრულების გაფორმებისას „სასტუმრო ...ის“ №... ოთახში არ ცხოვრობდა.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა მიმართ 2017-2018 წლებში სახელმწიფო სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 13 თებერვლის №240 განკარგულებაზე, რომლის 2.1.10 პუნქტში აღნიშნულია, რომ დევნილი ოჯახები, რომლებსაც სახელმწიფოს ან კერძო ინვესტორის მიერ, დევნილის სტატუსიდან გამომდინარე, მიღებული აქვთ საცხოვრებელი ფართი ან/და საცხოვრებელი ფართის სანაცვლო ფულადი კომპენსაცია, ჩაითვლებიან როგორც სახელმწიფოს მიერ დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის ფარგლებში

დაკმაყოფილებულად და მათი საცხოვრებელი ფართით ხელახლა დაკმაყოფილების საკითხი სახელმწიფოს მიერ არ განიხილება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნორმის ზემოაღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ძირითადი რესურსი, რომელსაც იგი იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს გამოუყოფს, მიმართულია უსახლკაროდ დარჩენილი დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფაზე. ამდენად, ერთხელ უკვე დაკმაყოფილებული დევნილი ოჯახის ფულადი კომპენსაციით განმეორებით უზრუნველყოფა ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი კანონს ეწინააღმდეგება და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, ან უკანონოდ ზღუდავს მის უფლებას, სასამართლო ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას წარმოადგენს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა. სწორედ საქმის გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა იქნეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილება მიღებული.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სასამართლოთა პოზიცია დაუსაბუთებელია, ხოლო ადმინისტრაციულ ორგანოს საკითხის განხილვისას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად, სრულყოფილად აქვს გამოკვლეული საქმის გარემოებები და განმცხადებლის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, რის გამოც სადავო აქტი დასაბუთებულია და არ არსებობს მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილით მინიჭებულ უფლებამოსილებას სასამართლო იყენებს იმ შემთხვევაში, როცა სასამართლო წესით ვერ ხერხდება ფაქტობრივი გარე-

მოებების დადგენა და შეფასება. მათი დადგენა მხოლოდ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია მისთვის კანონით მინიჭებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე ან აღნიშნული საკითხი მის დისკრეციას განეკუთვნება. შესაბამისად, შეუძლებელი ხდება სასამართლოს მიერ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მატერიალური კანონიერების შეფასება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს არის მოკლებული საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც ძალაში დარჩა სააპელაციო სასამართლოს განჩინებით და რომლითაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32.4 მუხლის შესაბამისად, სადავო საკითხის გადაწყვეტლად ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2017 წლის 24 იანვრის №01-02/08/1351 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მოპასუხეს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ, კანონით დადგენილ ვადაში, გამოეცა ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ლ. დ-ის განცხადებასთან დაკავშირებით, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი მასალებითა და ახსნა-განმარტებებით, არ დასტურდება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან კანონის დარღვევა და გადანაცვტილების მიღების ფაქტი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის გარეშე, რაც შესაძლოა სადავო აქტის ბათილად ცნობის საფუძველი გამხდარიყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ლ. დ-ის სასარჩელო მოთხოვნას არ გააჩნია სათანადო ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები, ხოლო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს საკასაციო პრეტენზია არგუმენტირებული და დასაბუთებულია, შესაბამისად, იგი უნდა დაკმაყოფილდეს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს 2017 წლის 24 იანვრის №01-02/08/1351 წერილი ლ. დ-ის გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის თაობაზე უარის თქმის შესახებ, კანონშესაბამისია და განსახილველ შემთხვევაში არ არსებობს მისი ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

ბი. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევა, რომლის თანახმად, გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ იგი იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძვლები), ხოლო ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (ამჟამად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო) საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 6 მარტის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ლ. დ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს (ამჟამად საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო) საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 6 მარტის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. ლ. დ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი  
შესრულების გამო ზიანის ანაზღაურება**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სასჯელით**

№ბს-371-371(კ-18)

15 იანვარი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა 2017 წლის 7 აპრილს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სს „...-ის“ მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა სს „...-სათვის“ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სასარგებლოდ 14652,72 ლარის გადახდის დაკისრება.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ... ობიექტების დაცვის მომსახურების შესყიდვების შესახებ ელექტრონულ ტენდერში (...) გამარჯვებულად იქნა მიჩნეული სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, რის საფუძველზეც სს „...-სა“ და შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს შორის 2015 წლის 2 ივლისს დაიდო №შს/15-209 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. გარიგების თანახმად მომსახურება უნდა განხორციელებულიყო 2015 წლის 3 ივლისიდან 12 თვის განმავლობაში, ამასთან ერთი თვის მომსახურების ღირებულება დღგ-ს ჩათვლით შეადგენდა 882 541,65 ლარს. მიუხედავად იმისა, რომ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა სს „...-ს“ გაუნია მომსახურება, მის მიერ ჯეროვნად არ შესრულდა ნაკისრი ვალდებულება, კერძოდ, მოპასუხემ სრულად არ გადაიხადა 2016 წლის აპრილის თვის მომსახურების საფასური და გადაუხდელმა თანხამ შეადგინა 14 652.72 ლარი. მოსარჩელემ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, სამოქალაქო კოდექსის 327-ე, 316-ე და 361-ე მუხლებზე მითითებით მოითხოვა სს „...-სათვის“ ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულების გამო, 14652,72 ლარის გადახდის და-

კისრება.

მოპასუხემ აღნიშნა, რომ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მხრიდან, არასრულყოფილი მომსახურების შედეგად სს „...-ს“ მიადგა ზიანი, შესაბამისად, მოსარჩელეს მის მიმართ გააჩნია შესრულებელი ვალდებულება, რაც ხელშეკრულების შესაბამისად, უნდა გაქვითულიყო მომსახურების საფასურიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 16 მაისის გადაწყვეტილებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხე სს „...“, მოსარჩელე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სასარგებლოდ დაეკისრა 14652,72 ლარის გადახდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „...-მ“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 23 იანვრის განჩინებით სს „...-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 16 მაისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად მიიჩნია, რომ 2015 წლის 2 ივლისის №1/2554 საფუძველზე სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს სს „...-ის“ მიმართ წარმოეშვა ობიექტების დაცვასთან დაკავშირებული მომსახურების განხორციელების ვალდებულება, ხოლო სს „...-ს“ – მიღებული მომსახურებების ღირებულების ანაზღაურების ვალდებულება. პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ სს „...-მ“ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტისაგან მიიღო ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულება, მას კი შესაბამისი გადახდა არ განუხორციელებია, რაც სს „...-სათვის“ 14 652,72 ლარის ოდენობით თანხის დაკისრების საფუძველად მიიჩნია. ამასთან სააპელაციო პალატამ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლზე სრულად გაიზიარა ქვედა ინსტანციის სასამართლოს შეფასება და განმარტა იმისათვის, რომ მოპასუხეს – სს „...-ს“ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიმართ, სასარჩელო მოთხოვნის ჩასათვლელად გამოეყენებინა თავისი უფლება ზიანის ანაზღაურებაზე, უნდა მოეთხოვა ასეთი გადაწყვეტილების მიღება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი ფორმითა და წესით შესაბამისი სარჩელის ან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 188-ე-189-ე მუხლების შესაბამისად შეგებებული სარჩელის წარდგენით და სასამართლო მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა უფლებამოსილი, ემსჯელა მოსარჩელის პა-

სუხისმგებლობაზე ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, ასეთის არარსებობის პირობებში კი, სასამართლო მოკლებულია პროცესუალურ შესაძლებლობას, დაადასტუროს მოპასუხის მიერ მითითებული ვალდებულების არსებობის ფაქტი.

აღნიშნული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „...-ამ“. კასატორმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 23 იანვრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება არის უკანონო, დაუსაბუთებელი და ის უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული სასამართლებრივი ნორმები არარელევანტურია. სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის იმგვარად განმარტება, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას, ეკისრება როგორც ხელშეკრულების ერთ, ასევე, მეორე მხარეს. ამ შემთხვევაში სს „...“ პირნათლად ასრულებს მასზე ნაკისრ ვალდებულებას, მაგრამ სსიპ დაცვის პოლიციის მხრიდან სისტემატურად ხდება ხელშეკრულების დარღვევისა და არაჯეროვანი შესრულების ფაქტები.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ მთლიანად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 442-ე მუხლის განმარტება, რაც საფუძვლად დაედო სარჩელის დაკმაყოფილებას. მხარეთა შორის დადებული №შს/15-209 ხელშეკრულება კი, მთლიანად უგულვებელყოფილია, ვინაიდან, სს „...-სა“ და შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს შორის, 2015 წლის 02 ივლისს დადებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №შს/15-209 ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრა, ყველა სხვა დანარჩენ პირობასთან ერთად, მომსახურების განხორციელების, მხარეთა უფლება-მოვალეობებისა და ანგარიშსწორების პირობები. ამასთანავე, ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 9.1 პუნქტის თანახმად, „მიმწოდებელი“ (დაცვის პოლიციის დეპარტამენტი) ვალდებულია უპირობოდ აანაზღაუროს შემსყიდველის მიერ აღმოჩენილი, ქურდობით გამოწვეული მატერიალური აქტივების დანაკლისი საბაზრო ფასის გათვალისწინებით, თუ ობიექტი, სადაც მოხდა ქურდობის ფაქტი არის ხელშეკრულების დანართში მითითებული, დასაცავი ობიექტების ნუსხაში. ამავე ხელშეკრულების 9.2. პუნქტის მიხედვით, „შემსყიდველი“ (სს „...“) უფლებამოსილია უპირობოდ, მიმწოდებლის თანხმობის გარეშე, გამოქვითოს მატერიალური ზიანის ოდენობა, მიმწოდებლისათვის

ასანაზღაურებელი თანხიდან. სწორედ ამ რედაქციით მოაწერა ხელშეკრულების მხარემ, – მოსარჩელემ (სსიპ დაცვის პოლიციამ) ხელი ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებას, რაც ნიშნავს იმას, რომ ორ პირს შორის არსებული ურთიერთმოთხოვნა შეიძლება გაქვითვით შეწყდეს. ხოლო რაც შეეხება მეორე პირის მიერ ნების გამოვლენას გაქვითვის თანხმობაზე, ეს უნდა გავრცელდეს იმ შემთხვევაში, თუკი მოთხოვნის შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა. აღნიშნულ პრინციპს კი, ეწინააღმდეგება ფაქტობრივი გარემოება, კერძოდ, გაქვითვა მოხდა ვადის დადგომის შემდგომ. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 188-189-ე მუხლებზე დაყრდნობით, შეგებებული სარჩელის მართლზომიერებაზე და ხაზს უსვამს, რომ მხოლოდ ამის შემდგომ იქნებოდა უფლებამოსილი, ემსჯელა მოსარჩელის პასუხისმგებლობაზე ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, თუ წარდგენილი იქნებოდა შეგებებული სარჩელი. აღნიშნულთან დაკავშირებით კასატორი მიუთითებს, რომ სარჩელის დისპოზიციური ხასიათი მდგომარეობს იმაში, რომ მოსარჩელე თვითონ ირჩევს როდის აღძრას სარჩელი, თუმცა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული, რომ „მიმწოდებელი“ (დაცვის პოლიციის დეპარტამენტი) ვალდებულია უპირობოდ აანაზღაუროს შემსყიდველის მიერ აღმოჩენილი, ქურდობით გამოწვეული მატერიალური აქტივების დანაკლისი საბაზრო ფასის გათვალისწინებით, თუ ობიექტი, სადაც მოხდა ქურდობის ფაქტი არის ხელშეკრულების დანართში მითითებული, დასაცავი ობიექტების ნუსხაში. ამავე ხელშეკრულების 9.2. პუნქტის მიხედვით, „შემსყიდველი“ (სს „...“) უფლებამოსილია უპირობოდ, მიმწოდებლის თანხმობის გარეშე, გამოქვითოს მატერიალური ზიანის ოდენობა, მიმწოდებლისათვის ასანაზღაურებელი თანხიდან.

კასატორი მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან. ვალდებულებითი სამართალი ანესრიგებს ისეთ ვალდებულებებთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, რომელთა დარღვევისათვის დამრღვევს სასამართლოს მეშვეობით შეიძლება დაეკისროს შესრულება ან ზიანის ანაზღაურება. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის პირველი ნაწილი ვალდებულების წარმოშობის წინაპირობად მიიჩნევს როგორც ხელშეკრულებას, ასევე დელიქტს, უსაფუძვლო გამდიდრებას ან კანონით გათვალისწინებულ სხვა საფუძვლებს. ამავე კოდექსის 361-

ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის. დადგენილია და სადავო გარემოებას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სს „...-სა“ და შსს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს შორის 2015 წლის 2 ივლისს დადებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება №შს/15-209. შედეგად, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს დაევალა ... ობიექტების დაცვა. ზემოაღნიშნული ხელშეკრულების 4.16 პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულების 3.4.10 პუნქტით დადგენილი წესით „დაცულ ტერიტორიაზე“ მდგომი დაცვაზე აყვანილი „დაუცველი ტვირთების“ ვაგონების, კონტინერების, სხვადასხვა მოწყობილობების, მექანიზმების, ელმავლების, თბომავლების, სამგზავრო ვაგონების, სპეც.დანიშნულების ვაგონების, აგრეთვე, სს „...-ზე“ მოძრავ „დაცულ ტვირთებზე“ დამლების, საბაჟო დამლების და ღია მოძრავი შედგენლობით გადაზიდვისას დამცავი ნიშანდების გამართულობას უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი ვალდებული იყო, დაეცვა სს „...-ის“ ობიექტები, მათ შორის, მოძრავი „დაცული ტვირთები“. საქმეში წარმოდგენილია (სს „...-ის“ შესაგებელს ერთვის) სს „...-ის“ მიმართ შედგენილი საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმები, რომელთა საფუძველზეც სს „...“ დაჯარიმდა. საგადასახადო ოქმები გამოწერილია სს „...-ის“ მიმართ, რადგან ის წარმოადგენს საგადასახადო მიზნებისათვის სამართალდამრღვევ სუბიექტს, თუმცა ლუქების მთლიანობის დაცვა და ტვირთის უდანაკარგოდ ჩაბარება, რომლის შეუსრულებლობისთვისაც იქნა ამ შემთხვევაში სს „...“ დაჯარიმებული, ევალებოდა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს და იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ჯეროვნად იქნებოდა შესრულებული, სს „...-ის“ მიმართ, საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმები არ შედგებოდა და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე-3 და მე-19 ნაწილებით გათვალისწინებული შემადგენლობა არ იარსებებდა.

კასატორი მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლზე, ამავე კოდექსის მე-17 მუხლზე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე და 105-ე მუხლებზე და აღნიშნავს, რომ სს „...-ის“ მიერ, სარჩელის საწინააღმდეგოდ

წარმოდგენილია როგორც ფაქტობრივი გარემოებები, ასევე მტკიცებულებები, რომლებიც ამ გარემოებებს ადასტურებენ, რომელთა ერთობლიობა სამართლებრივ საფუძვლებთან ერთად, ქმნის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ყველა პირობას და ვინაიდან, სსიპ დაცვის პოლიციის სარჩელი არის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი, კასატორის მოსაზრებით მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას სარჩელის დაკმაყოფილებაზე, კერძოდ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 23 იანვრის განჩინება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით დაკმაყოფილდეს სს „...-ის“ საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის განჩინებით სს „...-ის“ საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად; საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობის შესწავლის, გასაჩივრებული განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სს „...-ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს. განსახილველ შემთხვევაში დავის სწორად გადაწყვეტისათვის, საკასაციო პალატის მსჯელობის საგანია, რამდენად მართლზომიერად დაეკისრა სს „...-ს“ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სასარგებლოდ 14 652 ლარი-სა და 72 თეთრის გადახდა და ჰქონდა თუ არა სს „...-ს“ სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტისათვის მომსახურების საფასურიდან მისთვის მიყენებული ზიანის (უაქცეპტო ფორმით) გაქვითვის უფლება.

საქმეში წარმოდგენილი 2015 წლის 2 ივლისის სს „...-სა“ და სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს შორის გაფორმებული №1/2554 ხელშეკრულების საფუძველზე, დადგენილია, რომ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-4 მუხლის 4.16 პუნქტის შესაბამისად, სს „...-ზე“ მოძრავ „დაცულ ტვირთებზე“ დამღების, საბაჟო დამღების და ღია მოძრავი შემადგენლობით გადაზიდვისას დამცავი ნიშანდების გამართულობას უზრუნველყოფს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი. ამავე პუნქტის თანახმად, ქურდობის შემთხვევაში, როცა ვაგონით/კონტინერით დაცული ტვირთის გადაზიდვისას მოხსნილია, მოცილებულია ან/და განადგურებულია ა) ერთობლივად მავთულხვია და საბაჟო დამღა ბ) ერთობლივად

ქანჩსაქაჩი მოწყობილობები და საბაჟო დამდა გ) საკექ- საპლომბი მოწყობილობა დ) ღია კარები – საბაჟო ორგანოს მიერ შემსყიდველისადმი (სს „...“) პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევაში მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი, ანუ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი. ამავე ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 9.1. პუნქტის თანახმად, მიმწოდებელი ვალდებულია უპირობოდ აანაზღაუროს ხელშეკრულების №5 დანართში აღნიშნულ ობიექტებზე შემსყიდველის მიერ აღმოჩენილი ქურდობით გამოწვეული მატერიალური აქტივების დანაკლისი საბაზრო ფასის გათვალისწინებით და დაზიანებული ნივთის საბაზრო ღირებულება, გარდა „ფორსმაჟორული“ სიტუაციებით მიყენებული ზარალისა. ამავე ხელშეკრულების 9.2. პუნქტის შესაბამისად, შემსყიდველი უფლებამოსილია უპირობოდ (უაქცეპტო ფორმით) გამოქვითოს მიმწოდებლისათვის ასანაზღაურებელი თანხიდან 9.1. პუნქტში მითითებული მიზეზით მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა, მიმწოდებლისათვის წერილობითი პრეტენზიის წარდგენიდან ერთი თვის ვადის გასვლის შემდეგ.

საქმის მასალებით დადასტურებულია და მხარეთა მიერ სადავო არ არის ის გარემოება, რომ სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ დასაცავ ... ობიექტებზე 2016 წლის მარტის თვეში განხორციელებული ქურდობისა და ასევე აპრილის თვეში ... ობიექტებზე სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მოვალეობათა არაჯეროვანი შესრულების გამო საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმების საფუძველზე სს „...-სათვის“ მიყენებულმა მატერიალურმა ზიანმა მთლიანობაში შეადგინა 14 652 ლარი და 72 თეთრი, რაც სს „...-ის“ მიერ გამოიქვითა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტისათვის გადასახდელი მომსახურების საფასურიდან.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. 2015 წლის 2 ივლისს სს „...-სა“ და სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს შორის გაფორმებული №1/2554 ხელშეკრულება, ზემოაღნიშნული მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რომლის დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 25<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორ-

განოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება, ამავე კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. განსახილველ შემთხვევაში კასატორი სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ მას მოსარჩელისათვის სრულად არ გადაუხდია 2015 წლის 2 ივლისის ხელშეკრულებით განსაზღვრული დაცვის მომსახურების საფასური და განახორციელა მისი გაქვითვა 2016 წლის მარტის თვეში ხაშურისა და თბილისის სალოკომოტივო დეპოში სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის დაცვის ობიექტების ძარცვისა და ტვირთის დაზიანება/ დაკარგვის ასევე სს „...-ის“ მიმართ საგადასახადო სამართალდარღვევათა ოქმების შედგენის შედეგად სს „...-სათვის“ მიყენებული მატერიალური ზარალის გათვალისწინებით. მხარეთა შორის არსებითად სადავოს წარმოადგენს ის გარემოება ჰქონდა თუ არა მოპასუხე მხარეს უფლება დაცვის მომსახურების განევისათვის მოსარჩელისათვის გადასახდელი საფასურიდან უპირობოდ (უაქცეპტო ფორმით) გამოექვითა სხვადასხვა სადგურებზე მომხდარი ქურდობების შედეგად მისთვის მიყენებული მატერიალური ზარალის ოდენობა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მხარეებს შორის 2015 წლის 2 ივლისის გაფორმებული ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 9.3 პუნქტის თანახმად, ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი ან არაკეთილსინდისიერი შესრულების გამო შემსყიდველისათვის მიყენებულ ზიანს სრულად ანაზღაურებს მიმწოდებელი. ამავე ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-4 მუხლის 4.16 პუნქტის თანახმად, საბაჟო ორგანოს მიერ სს „...-ის“ მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევაში, მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი (სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი). საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს ამავე ხელშეკრულების 3.5.5. და 9.1 პუნქტების შინაარსზე, რომელიც განსაზღვრავს მიმწოდებლის-საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ვალდებულებას უპირობოდ ანაზღაუროს ხელშეკრულების №5 დანართში აღნიშნულ ობიექტებზე შემსყიდველის მიერ აღმოჩენილი მატერიალური აქტივების დანაკლისი, საბაზრო ფასის გათვალისწინებით და დაზიანებული ნივთის საბაზრო ღირებულება, გარდა „ფორსმაჟორული“ სიტუაციებით მიყენე-

ბული ზარალისა. ამდენად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, იმ პირობებში როდესაც ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ მის ყველა არსებით პირობაზე, მათ შორის შესაბამისი პირობების დადგომისას სს „...-ის“ მიერ მისთვის მიყენებული ზარალის უაქცეპტო წესით გაქვითის უფლებამოსილებაზე, სააპელაციო პალატის მჯელობა სს „...-ის“ მიერ შეგებებული სარჩელის არარსებობის გამო, გამოქვითული თანხის დაკისრების თაობაზე, არ შეესაბამება მხარეთა მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებას, რომლის კანონიერება არ არის სადავო და მხარეები არ მიუთითებენ მისი სრულად ან ნაწილობრივ ბათილობის შესახებ.

განსახილველ საქმეში ნარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებებით უტყუარად დადასტურებულია სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებათა დარღვევა, ხელშეკრულების მხარემ ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების საფუძველზე, განსაზღვრული ობიექტების დაცვა, რის შედეგადაც სს „...-ს“ მიაღდა მატერიალური ზიანი. შესაბამისად, მხარეთა შორის გაფორმებული 2015 წლის 2 ივლისის ხელშეკრულების 9.2 პუნქტის თანახმად, სს „...“ უფლებამოსილი იყო უაქცეპტო წესით გამოექვითა სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტისათვის გადასახდელი თანხებიდან მიყენებული ზიანის ოდენობა.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორმა – სს „...-მ“ 2015 წლის 2 ივლისის ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობების შესაბამისად, დადასტურა ის ფაქტობრივი გარემოება, რაც საფუძველად დაედო მის მიერ მოსარჩელისათვის მომსახურების საფასურის არასრულად ჩარიცხვას, ამდენად არ არსებობს მისთვის მოპასუხისათვის სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სასარგებლოდ 14 652 ლარისა და 72 თეთრის დაკისრების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის დარღვევა, რომლის თანახმად, გადანყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ იგი იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული (გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველები), ხოლო ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადანყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სს „...-ის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს,

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 23 იანვრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამდენად, მოსარჩელეს კასატორის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 1318.75 ლარის ანაზღაურება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. სს „...-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2018 წლის 23 იანვრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. მოსარჩელე სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტს სს „...-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – (586.11+732.64) – 1318.75 ლარის ანაზღაურება;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**უკანონო მსჯავრდების შედეგად რეაზილიტირებული  
პირისათვის ზიანის ანაზღაურების ოდენობის  
განსაზღვრა**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-432-429(2კ-17)

7 თებერვალი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** მორალური და მატერიალური ზიანის, ადვოკატის მომსახურების ხარჯის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

მ. შ-ემ 05.11.2015წ. სარჩელით მიმართა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე საქართველოს მთავარი პროკურატურის მიმართ მატერიალური ზიანის – 22 380 ლარისა და მორალური ზიანის – 10 000 ლარის ანაზღაურების მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 18.02.2014წ. მის მიმართ უკანონოდ დაინყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, 27.02.2014წ. მიცემულ იქნა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში. ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 28.02.2014წ. განჩინებით მ. შ-ეს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო 2000 ლარის ოდენობით. გირაოს თანხის გადახდის მიზნით, მ. შ-ემ ისესხა 2000 ლარი მ. პ-ისგან თვეში 3%-იანი სარგებლის გადახდის პირობით, რასაც იხდიდა 18 თვის მანძილზე. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 17.06.2014წ. განაჩენით მ. შ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის (6 ეპიზოდი) და სასჯელის სახედ დაენიშნა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრდა მ. შ-ის მიერ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 08.10.2014წ. განაჩენით გაუქმდა 17.06.2014წ. გამამტყუნებელი განაჩენი და მ. შ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ, გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში, გამართლებულს განემართა მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. განაჩენი უზენაესი სასამართლოს მიერ არ შეცვლილა. ამდენად, დადგინდა, რომ განხორციელდა მ. შ-ის უკანონო ბრალ-

დება/მსჯავრდება, რამაც მოსარჩელეს მიაყენა მატერიალური და მორალური ზიანი. კერძოდ, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემამდე მ. შ-ე რეგულარულად დადიოდა თურქეთში, საიდანაც შემოჰქონდა საკვები პროდუქტები, აგრეთვე საოჯახო და სამეურნეო დანიშნულების საქონელი. შემოტანილი ნივთების რეალიზაციის შედეგად მ. შ-ე ყოველთვიურად შემოსავლის სახით იღებდა დაახლოებით 500 აშშ დოლარს, რაც ბრალდების წაყენების შემდეგ 14 თვის განმავლობაში ვეღარ შეძლო, რადგან აეკრძალა ქვეყნის დატოვება. ამასთანავე, მ. შ-ე რეგულარულად ესწრებოდა საგამოძიებო მოქმედებებსა და სასამართლო სხდომებს, რის გამოც ხულოს რაიონის სოფ. პეებიდან ხელვაჩაურში გამოძახებული იყო 11-ჯერ, ხოლო ქუთაისში – 2-ჯერ, შესაბამისად მოსარჩელემ განაგრძო მგზავრობის ხარჯი, ჯამში 1500 ლარის ოდენობით.

მოსარჩელე აღნიშნავს აგრეთვე, რომ მას სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას ჰყავდა ადვოკატი, რომელსაც მიმდინარე დავაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა გადაუხადოს 1500 ლარი. იგივე პირი იცავს მოსარჩელის ინტერესებს განსახილველ ადმინისტრაციულ დავაშიც, სადაც ჰონორარმა ასევე 1500 ლარი უნდა შეადგინოს.

მორალურ ზიანთან დაკავშირებით, მოსარჩელემ მიუთითა, რომ უკანონო ბრალდებით/მსჯავრდებით შეილახა მისი პატივი და ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, თავმოყვარეობა, რასაც მოჰყვა მორალური ტანჯვა, შიში და დეპრესია, ნერვიულობის შედეგად გარდაიცვალა მოსარჩელის მამა. ამდენად, დამდგარი მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურება იქნება 10 000 ლარი.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 16.03.2016წ. განჩინებით სასკ-ის 16.1 მუხლის საფუძველზე საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 07.07.2016წ. გადაწყვეტილებით მ. შ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, საქართველოს მთავარ პროკურატურას მ. შ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მორალური ზიანის ანაზღაურება 4000 ლარის ოდენობით, მატერიალური ზიანის ანაზღაურება – 3000 ლარის ოდენობით, საქართველოს მთავარ პროკურატურას დაეკისრა აგრეთვე მიმდინარე საქმეზე იურიდიული მომსახურებისთვის განეული ხარჯი 500 ლარის ოდენობით.

სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 42.9 მუხლის, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის, სზაკ-ის 207-ე, 208-ე მუხლების, სკ-ის 18.6, 1005.3 მუხლების საფუძველზე აღნიშნა, რომ უკანონო ბრალდების/მსჯავრდების გამო წარმოშობილი ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება ზიანის

მიმყენებლის ბრალის მიუხედავად. პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელია დადგინდეს ქმედების უკანონობა და მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მარეაბილიტირებელ გარემოებად უპირობოდ უნდა იქნეს მიჩნეული გამამართლებელი განაჩენის გამოტანა, რადგან დადასტურდა პირის უდანაშაულობა, რაც ინვეეს ბრალდებულის/მსჯავრდებულის უფლებების აღდგენას. გამართლებულ პირს, რომელსაც სისხლის სამართლის საქმეზე პასუხისგებაში მიცემით შეეზღუდა ძირითადი უფლებები, შეუძლია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით მოითხოვოს მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება. ამასთანავე, მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს სასამართლო, მოსარჩელის მიერ მითითებული ოდენობა, მხოლოდ მოსაზრებაა. მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს მოპასუხის მიერ მატერიალური ზიანის ანაზღაურების ფაქტს, დაზარალებულის სუბიექტურ დამოკიდებულებას დამდგარი ზიანის მიმართ და ისეთ ობიექტურ გარემოებებს, როგორებიცაა: დაზარალებულის ცხოვრების პირობები (საოჯახო, ყოფითი, მატერიალური), ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და სხვ.. მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების სრული რესტიტუცია, კომპენსაციის მიზანია არსებული ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რაც დაესმარება დაზარალებულს სულიერი წონასწორობის მიღწევაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ გაითვალისწინა მოსარჩელის სოციალური მდგომარეობა, მის მიმართ განხორციელებული იძულების ფორმის სიმძიმე და სკ-ის 413-ე მუხლის საფუძველზე მიიჩნია, რომ მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურებაა 4000 ლარი.

სასამართლომ სკ-ის 992-ე მუხლზე მითითებით მიიჩნია, რომ მოსარჩელეს სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მიადგა აგრეთვე მატერიალური ზიანი, კერძოდ განია ადვოკატის მომსახურების ხარჯი, ამდენად, მ. შ-ეს უნდა აუნაზღაურდეს სისხლის სამართლის პროცესში ადვოკატის მომსახურებისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა – 1500 ლარი და ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ. პ-ეებიდან ხელვაჩაურსა და ქუთაისში მგზავრობის ხარჯები – ასევე 1500 ლარის ოდენობით.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 07.07.2016წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს მთავარმა პროკურატურამ. შეგებებული სააპელაციო საჩივარი წარადგინა მ. შ-ემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.12.2016წ. გადაწყვეტილებით საქართველოს მთავარი პროკურატურის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 07.06.2016წ. გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, მ. შ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, საქართველოს მთავარ პროკურატურას მ. შ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის ანაზღაურება 1500 ლარის ოდენობით (მგზავრობის ხარჯი) და მორალური ზიანის ანაზღაურება 2000 ლარის ოდენობით, დანარჩენ ნაწილში მ. შ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; მ. შ-ის შეგებებული სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მსჯელობა მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლების არსებობის შესახებ. სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია პროკურატურის მითითება, რომ სისხლის სამართლის საქმე წარმოებდა საპროცესო კანონმდებლობის დაცვით, რაც გამორიცხავს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, რადგან პროკურატურის ქმედების კანონიერებას მათი მხრიდან მხოლოდ კონკრეტული საპროცესო ნორმების დაცვა არ განაპირობებს. სასამართლომ მიიჩნია, რომ საწინააღმდეგო განმარტება ვერ უზრუნველყოფს გამართლებული პირის უფლებებში აღდგენას. მართალია, სისხლისსამართლებრივი დევნა და ბრალდებულის მიმართ გამოყენებული იძულების ღონისძიებები ემსახურება სახელმწიფოს ლეგიტიმურ მიზანს – საზოგადოების, მისი კონკრეტული წევრის უსაფრთხოების დაცვას, ამასთან, საქართველოს პროკურატურა წინასწარ ვერ განსაზღვრავს კონკრეტული საქმის შედეგს, ვინაიდან მტკიცებულებათა შეფასება გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის საკმარისობის თვალსაზრისით წარმოადგენს სასამართლოს პრეროგატივას, თუმცა, მიუხედავად ამისა, პირს, რომლის მიმართაც გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი უნდა მიეცეს შესაბამისი კომპენსაცია სახელმწიფოს მხრიდან მის უფლებებში გაუმართლებელი ან/და გადაჭარბებული ჩარევისთვის.

სააპელაციო პალატამ საკასაციო სასამართლოს 08.04.2009წ. №ზს-972-936(3კ-08) გადაწყვეტილების საფუძველზე აღნიშნა, რომ არაქონებრივი უფლებები წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის იმ ობიექტს, რომელსაც გააჩნია მისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. არსებითი განსხვავება მდგომარეობს არაქონებრივი უფლების ხელყოფის შედეგად დამდგარი ზიანის შინაარსში. სამოქალაქო სამართლის აღნიშნული ობიექტის სპეციფიკის გათვალისწინებით მისი ხელყოფის შედეგად დამდგარ ზიანს ქონებრივი ეკვივალენტი არ გააჩნია. ამდენად, არაქონებრივი ზიანის მოთხოვ-

ნის წარმოშობისათვის საკმარისია არსებობდეს არაქონებრივი უფლების ხელყოფის ფაქტი, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა. მორალური ზიანის მოცულობას (რომელსაც არ გააჩნია მატერიალური გამოხატულება) განსაზღვრავს სასამართლო გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მითითება მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე გულისხმობს ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის ხარისხის, დაზარალებულის განცდების სიღრმისა და ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებას. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს, მოპასუხის მიერ მატერიალური ზიანის ანაზღაურების ფაქტს, ასევე დაზარალებულის სუბიექტურ დამოკიდებულებას მორალური ზიანის მიმართ და ობიექტურ გარემოებებს. ამ გარემოებათა შორისაა დაზარალებულის ცხოვრების პირობები (საოჯახო, ყოფითი, მატერიალური, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასაკი და ა.შ.), ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა და სხვა გარემოებები. მორალური ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში არ ხდება ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა, რომელიც ეხმარება დაზარალებულს სულიერი ნონასწორობის მიღწევაში, სოციალურ ურთიერთობებში ჩართვაში, რაც მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების სატისფაქციურ ფუნქციას შეადგენს.

განსახილველ შემთხვევაში მ. შ-ის მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის წარმოება დასრულდა გამამართლებელი განაჩენის გამოტანით, მოსარჩელეს აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული არ ჰქონია პატიმრობა და პირველი ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით მ. შ-ეს სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთა არ შეფარდებია. ამდენად, სკ-ის 413.1 მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების გონივრული და სამართლიანი ოდენობაა 2000 ლარი.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნა მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე მხოლოდ ნაწილობრივ არის საფუძვლიანი და აღნიშნა, რომ გამოძიების წარმოების პროცესში შინაგან საქმეთა რაიონულ სამმართველოებში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოსა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში გამოცხადების მიზნით მ. შ-ის მიერ განეული გადაადგილების ხარჯი – 1500 ლარი უნდა ანაზღაურდეს. სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მტკიცება გირაოს თანხის სესხად აღების გამო ყოველთვიურად 3%-ის სარგებლის გადახდისა და საზღვარგარეთი-

დან შემოტანილი საქონლის რეალიზაციის შედეგად ყოველთვიურად 500 აშშ დოლარის ოდენობით შემოსავლის მიღების შესახებ, რადგან არ იქნა წარდგენილი სათანადო მტკიცებულებები.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ უსაფუძვლოა მოთხოვნა საადვოკატო ხარჯის – 3000 ლარის ანაზღაურების შესახებ, რადგან საქმეში არ ყოფილა წარმოდგენილი საადვოკატო მომსახურების ხარჯის დამადასტურებელი მტკიცებულება, ხოლო სსკ-ის 53-ე მუხლი მოპასუხისათვის ხარჯების დაკისრების შესაძლებლობას ითვალისწინებს მხოლოდ ასეთი ხარჯების განევის დადასტურების შემთხვევაში. საქმის მასალებით არ დგინდება, რომ მ. შ-ემ ადვოკატს გადაუხადა ჰონორარი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.12.2016წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს მთავარმა პროკურატურამ და მ.შ-ემ.

კასატორმა საქართველოს მთავარმა პროკურატურამ აღნიშნა, რომ სკ-ის 992-ე, 1005-ე მუხლებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებისათვის აუცილებელია დადასტურდეს უკანონო ქმედების არსებობა, რასაც კონკრეტულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია, რადგან პროკურატურის ქმედებები ეფუძნებოდა კანონს და მის საფუძველზე გამოტანილ სასამართლო განჩინებებს.

მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლების არსებობის შემთხვევაშიც კი დაუსაბუთებელია პროკურატურისათვის 2000 ლარის დაკისრება. იმის გათვალისწინებით, რომ მ. შ-ე პატიმრობაში არ ყოფილა, თანხის აღნიშნული ოდენობა ეწინააღმდეგება როგორც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ჯანიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ), ასევე ეროვნული სასამართლოს (თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეზე: №3/3412-14, №3/1237-13, №3/4964-14) პრაქტიკას.

პროკურატურისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ მატერიალური ზიანის სახით მგზავრობის ხარჯის – 1500 ლარის ანაზღაურება აგრეთვე არ არის დასაბუთებული, რადგან საქმის მასალებით არ დასტურდება მოსარჩელის მიერ გადაადგილებისას რაიმე ხარჯის განევა, მით უფრო არ დასტურდება, რომ მოსარჩელის მიერ განეული ხარჯი ზუსტად 1500 ლარია.

კასატორმა მ. შ-ემ აღნიშნა, რომ დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება ადვოკატის ხარჯის – 3000 ლარის ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ, რადგან, მართალია, საქმეში არ არის წარმოდგენილი ადვოკატისათვის კონკრეტული თანხის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება, თუმცა საქმეში დაცულია სისხლის სამართლის საქმის გარკვეული მასალები (ბრალ-

დების დადგენილება, სასამართლოს განაჩენები), ხელშეკრულებები, ნოტარიალურად დამონმებული მინდობილობა, რითიც დასტურდება, რომ მ. შ-ის წარმომადგენელი როგორც სისხლის სამართლის საქმის განხილვისას, ასევე მიმდინარე ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაზე იყო ლ.მ-ე. ადვოკატთან დადებული ხელშეკრულებების თანახმად, ჰონორარის – თითოეულ სამართალწარმოებაზე 1500 ლარის გადახდა ორივე საქმეზე უნდა განხორციელდეს მიმდინარე ადმინისტრაციული დავის დასრულების შემდეგ. აღნიშნულ საკითხის გადაწყვეტისას სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა №ბს-776-768(2კ-4კს-15) საქმეზე, რომლის თანახმად „მხარის მიერ ადვოკატისათვის თანხის გადახდის ქვითრის არარსებობა იმთავითვე არ გამორიცხავს განეული მომსახურების ანაზღაურების შესაძლებლობას (ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ფადეევა რუსეთის წინააღმდეგ“, §145, 146). საქმის მასალებით დასტურდება მოსარჩელებისათვის ადვოკატის მიერ იურიდიული მომსახურების განევა, რის გამოც სასამართლომ უნდა განიხილოს არა ადვოკატისათვის განეული ხარჯის ანაზღაურება, რაც საქმის მასალებით არ დასტურდება, არამედ საქმის მასალებით დადასტურებული ადვოკატის მიერ მოსარჩელებისათვის განეული მომსახურების ღირებულების მოპასუხისათვის დაკისრების შესაძლებლობა. მოსარჩელებსა და ადვოკატს შორის იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების, გადახდის ქვითრის, საგადახდო დავალების შესრულების დოკუმენტის წარუდგენლობა, არ გამორიცხავს საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურების შესაძლებლობას (სუს 09.02.2012წ., №ბს-1330-1315 (კ-11); 30.10.15წ. №ას-444-423-2015; 25.03.2016წ. №ას-12-12-2016წ. გადაწყვეტილებები). მოსარჩელებსა და ადვოკატს შორის წარმომოხილი ურთიერთობის მატერიალური საფუძველია დავალების ხელშეკრულება (სკ-ის 709-ე მუხ.). მარწმუნებელი ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში (სკ-ის 710-ე მუხ.). განეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოცემულ შემთხვევაში პრეზიუმირებულია, ვინაიდან სასყიდლიანი დავალების ხელშეკრულება შეიძლება იყოს წერილობითი ან ზეპირი, ხოლო ადვოკატის მომსახურების ღირებულება საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, წაგებულ მხარეს უნდა დაეკისროს. იურიდიული მომსახურების გაწევის შემთხვევაში ივარაუდება მხარეთა შორის სასყიდლიანი დავალების ხელშეკრულების არსებობა, სანააღმდეგო დამტკიცებას საჭიროებს. ამდენად, ხარჯების განსაზღვრა ხდება სასამარ-

თლოში მხარის მიერ წარდგენილი ფაქტობრივად განუული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე, ამგვარი მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში, მხარის მოთხოვნის საფუძველზე, სასამართლოს თავადაც შეუძლია განსაზღვროს იურიდიული დახმარებისათვის განუული ხარჯების ოდენობა (სუს 11.02.08წ. №ას-792-1114-07 განჩინება), თუკი აშკარაა, რომ პირის უფლების დარღვევის აღკვეთის მიზნით ხარჯი გაღებულია (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „პინკოვი და პინკი ჩეხეთის წინააღმდეგ“). სასამართლომ მხარეს ხარჯების ანაზღაურება უნდა დააკისროს მხოლოდ იმ მიზნით, რომ აღკვეთილიყო უფლების დარღვევა (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება „ასანინიძე საქართველოს წინააღმდეგ“). სასამართლომ ხარჯების განსაზღვრისას უნდა მოახდინოს მხარის სამართლიანი დაკმაყოფილება. სასამართლოს მიერ ხარჯების ოდენობის განსაზღვრისას, დავის საგნის ღირებულებიდან გამომდინარე, პროცენტული ზღვარის დადგენა გამორიცხავს ხარჯების ხელოვნურად გაზრდას, და უზრუნველყოფს იმ მხარის ინტერესების დაცვას, რომელსაც ხარჯების გადახდა უნდა დაეკისროს (სუს 11.02.08წ. №ას-792-1114-07). სსკ-ის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული პროცენტული ცენზი და თანხა წარმოადგენს იმ მაქსიმალურ საკანონმდებლო ზღვარს, რომელიც ნაგებულ მხარეს შესაძლოა დაეკისროს მოგებული მხარის სასარგებლოდ, ამასთანავე სასამართლომ ადვოკატის მომსახურების ღირებულების განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მიიღოს იძულებითი განაცდურის ოდენობა, საქმის სირთულე, უფლების დარღვევის აღსაკვეთად წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელების ინტენსივობა, ხანგრძლივობა, ინსტანციურობა და სხვ.. სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება არ შეიცავს მოპასუხეზე სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხის ოდენობის რაიმე დასაბუთებას.

სასამართლომ სათანადოდ არ იმსჯელა აგრეთვე მატერიალური ზიანის ანაზღაურების დამადასტურებელ მტკიცებულებებზე. კერძოდ, მ. შ-ის პასპორტის ასლით დასტურდება, რომ 2013 წლის 23 თებერვლიდან ამავე წლის 03 დეკემბრამდე მოსარჩელე 6-ჯერ იმყოფებოდა თურქეთში. ამ ვიზიტების შედეგად მ. შ-ეს თურქეთიდან შემოჰქონდა სხვადასხვა სახის პროდუქცია, რომლის რეალიზებითაც იღებდა თვიურ შემოსავალს დაახლოებით 500 აშშ დოლარის ოდენობით. უკანონო სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესში მ. შ-ეს ეკრძალებოდა საქართველოს დატოვება, რის გამოც იგი ველარ ახდენდა თურქეთიდან პროდუქციის შემოტანასა და რეალიზებას 14 თვის განმავლობაში, შედეგად მიაღდა მატერიალური

ზიანი 16800 ლარის ოდენობით. მოსარჩელეს მატერიალური ზიანი მიადგა აგრეთვე გირაოს თანხის – 2000 ლარის სესხად აღების შედეგად, რადგან სესხი იყო სარგებლიანი და მ. შ-ე მ. პ-ეს ყოველთვიურად უხდიდა 3%-იან სარგებელს, რამაც ჯამში შეადგინა 1080 ლარი.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო პალატამ დაუსაბუთებლად შეამცირა მორალური ზიანის ოდენობა, რადგან უკანონო ბრალდება/მსჯავრდება შელახა მ. შ-ის პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, თავმოყვარეობა, რასაც მოჰყვა მისი მორალური ტანჯვა და დეპრესია. მ. შ-ის მიმართ განხორციელებულმა უკანონო ქმედებებმა ზეგავლენა მოახდინა კასატორის ოჯახის წევრებზეც: უარყოფითი ემოციებისა და ნერვიულობის შედეგად გარდაიცვალა მ. შ-ის მამა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალების და საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლის, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის შედეგად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრები უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ 18.02.2014წ. მ. შ-ის მიმართ დაიწყო გამოძიება №176180214001 სისხლის სამართლის საქმეზე, „პირის ბრალდების შესახებ“ 27.02.2014წ. დადგენილებით მ. შ-ე ცნობილ იქნა ბრალდებულად. ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 28.02.2014წ. განჩინებით მ. შ-ეს აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა გირაო 2000 ლარის ოდენობით. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 17.06.2014წ. განაჩენით მ. შ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის (6 ეპიზოდი), გაუქმდა შერჩეული აღკვეთის ღონისძიება და მ. შ-ეს სასჯელის სახედ განესაზღვრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრდა მ. შ-ის მიერ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 06.10.2014წ. განაჩენით გაუქმდა 17.06.2014წ. გამამტყუნებელი განაჩენი და მ. შ-ე ცნობილ იქნა უდანაშაულოდ, გამართლდა წარდგენილ ბრალდებაში, გამართლებულს განემართა მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. აღნიშნულ განაჩენზე ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის საკასაციო საჩივარი საქართველოს უზენაესი სასამართლოს 27.04.2015წ. განჩინებით არ იქნა დაშვებული განსახილველად.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუ-

ციის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად ყველასთვის არის გარანტირებული სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება. აღნიშნული კონსტიტუციური დებულების შესაბამისად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის მიხედვით პირს უფლება აქვს მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ზაკ-ის 208.1 მუხლის თანახმად, სახელმწიფოს, ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამასთანავე, ზაკ-ის 207-ე მუხლით განისაზღვრა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმების, პრინციპებისა და საფუძვლების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, გარდა იმ გამონაკლისებისა, რომლებიც ამავე კოდექსით არის დადგენილი. ამდენად, რეაბილიტირებული პირისათვის უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების, ადმინისტრაციული პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახელმწიფო არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებულ ზიანს სახელმწიფო ანაზღაურებს, გამოძიების, პროკურატურის ორგანოების და სასამართლოს თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად (სკ-ის 1005.3).

სკ-ის 1005.3 მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, მუხლში ჩამოთვლილი გარემოებები არ არის კუმულატიური ხასიათის, ამასთანავე, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია შემდეგი წინაპირობების არსებობა: დამდგარი ზიანი, მართლწინააღმდეგობა – უკანონო ბრალდება/მსჯავრდება, მიზეზობრივი კავშირი უკანონო ბრალდებას/მსჯავრდებასა და დამდგარ ზიანს შორის, აგრეთვე პირის მარეაბილიტირებელი გარემოება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უკანონო ბრალდების შედეგად დამდგარ, ასანაზღაურებელ ზიანში მოიაზრება როგორც მატერიალური, ასევე მორალური ზიანი, რადგან პირის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოებას, როგორც წესი უკავშირდება პირის საქმიანი რეპუტაციის და კანონით დაცული სხვა უფლებების შელახვა, პირის მიმართ იძულებითი ღონისძიებების გამოყენება, სისხლის სამართლებრივი დევნა და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა პირისათვის ქმნის ერთგვარ დისკომფორტულ, სტრესულ სიტუაციას. მატერიალური (ქონებრივი) ზიანი შესაძლოა

გამოიხატოს ქონების დაზიანებაში, შემოსავლის მიუღებლობაში, ჯანმრთელობის დაზიანებაში, დამატებითი ხარჯების გაწევაში და ა.შ., ხოლო არაქონებრივი ზიანი ვლინდება პირის მორალურ განცდებში, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრების წესის გაგრძელების შეუძლებლობასთან, პირის პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვასთან და სხვ., თუმცა ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყველა სახის მორალური ზიანი, არამედ მხოლოდ ის, რომლის ანაზღაურებაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით (სკ-ის 413-ე მუხ.).

სკ-ის 1005.3 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს უკანონო მსჯავრდების, პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის უკანონოდ გამოყენების შედეგად რეაბილიტირებული პირისათვის ზიანის ანაზღაურებას, ითვალისწინებს, რომ ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება ზიანის მიმყენებლის ბრალის მიუხედავად. საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნული ნორმა, ანიჭებს რა პირს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, არ განსაზღვრავს მარეაბილიტირებელ გარემოებებს. შესაბამისად, კანონმდებელმა სასამართლოს მიაჩნა თავისუფლება ქმედების უკანონობისა და რეაბილიტაციის საფუძვლების შეფასებისას. ის გარემოება, რომ მ. შ-ისათვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდება და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა განხორციელდა კანონის საფუძველზე მიღებული საპროცესო დოკუმენტების შედეგად, არ გამორიცხავს ზიანის არსებობას და მის ანაზღაურებას. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის („პროკურატურის შესახებ“ ორგანული კანონის 84.1 მუხლის თანახმად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუნეებო დანესებულება საქართველოს პროკურატურა რეორგანიზებულ იქნა და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ ორგანოდ – საქართველოს პროკურატურად, 84.2 მუხლის თანახმად, საქართველოს პროკურატურა არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუნეებო დანესებულების – საქართველოს პროკურატურის უფლებამონაცვლე, 8.1 მუხლის მიხედვით, პროკურატურის სისტემას ქმნიან საქართველოს გენერალური პროკურატურა, აფხაზეთისა და აჭარის ა.რ. პროკურატურები, თბილისის პროკურატურა, საოლქო პროკურატურები, რაიონული პროკურატურები, სპეციალიზებული პროკურატურები, ამდენად, სკ-ის 92-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს მთავარი პროკურატურის კანონიერი უფლებამონაცვლეა საქართველოს გენერალური პროკურატურა) საკასაციო საჩივარში მოყ-

ვანილი ეს მოსაზრება არ ქმნის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველს. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ კანონიერ ძალაში მყოფი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 06.10.2014წ. გამამართლებელი განაჩენი უდავოდ წარმოადგენს მოსარჩელის რეაბილიტაციის საფუძველს, რადგან უტყუარად დასტურდება პირის უდანაშაულობა, წარდგენილი ბრალდების უსაფუძვლობა, პირის მიმართ გამოყენებული შეზღუდვის არამართლობიერება. სკ-ის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე სახელმწიფო ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც უკავშირდება რეაბილიტირებული პირისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემას, მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა, ვინაიდან არ დაიშვება ნორმის ისე განმარტება, რომ გამართლებულ პირს არ მიეცეს უფლების აღდგენის ეფექტური, ქმედითი შესაძლებლობა („ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-13 მუხლი), საწინააღმდეგო ინტერპრეტაცია არ თავსდება საქართველოს კონსტიტუციით აღიარებულ ადამიანის უფლებების, როგორც უმაღლესი ფასეულობის პრიორიტეტულობასა და პატივისცემასთან. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ქმედების მართლწინააღმდეგობა ობიექტური ნიშანია, იგი არ არის დამოკიდებული ზიანის მიმყენებლის ცნობიერებასა და მის სამართლებრივ შეფასებაზე. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელის მიმართ ბრალის წაყენება, აღკვეთი ღონისძიების შეფარდება, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა განხორციელდა ფორმალურად კანონიერი საპროცესო აქტებისა და მოქმედებების საფუძველზე, თუმცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 06.10.2014წ. კანონიერ ძალაში შესული განაჩენით მ. შ-ე გამართლდა წარდგენილ ბრალში. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 06.10.2014წ. გამამართლებელი განაჩენით მ. შ-ის უდანაშაულოდ ცნობასთან ერთად გაუქმდა საქალაქო სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, დადგინდა პირის არაბრალეულობა. ამდენად, დადასტურებულია, რომ მ. შ-ეს მოუწია კონსტიტუციით გარანტირებული უფლებებზე შემზღუდავი ზემოქმედების ატანა თმენის ვალდებულების დაკისრების დასაბუთებული სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, რადგან მ. შ-ე ითვლება უდანაშაულოდ. სკ-ის 1005.3 მუხლის მიზნებისთვის მართლწინააღმდეგოდ მიიჩნევა ისეთი ქმედება, რომელიც ფორმალური მართლობიერების მიუხედავად დაუსაბუთებლად არღვევს პირის კონსტიტუციით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის 22.11.1984წ. №7 ოქმის (რეაბილიტირებულია საქართველოს პარლამენტის 23.02.2000წ. №155-III დადგენილებით) მესამე მუხლის თა-

ნახმად, „თუ საბოლოო გადაწყვეტილებით პირი მსჯავრდებულია სისხლის სამართლის დანაშაულისათვის და შემდგომში მისი ეს მსჯავრდება გაუქმდა, ან სასჯელის მოხდისაგან ის გათავისუფლდა, რადგან ახალმა ან ახლად გამოვლენილმა გარემოებებმა ცხადყო, რომ მართლმსაჯულება არაჯეროვნად განხორციელდა, ამგვარი მსჯავრდების გამო შეფარდებული სასჯელისათვის მას მიეკუთვნება კომპენსაცია შესაბამის სახელმწიფოში მოქმედი კანონის ან დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით“. უფრო მეტიც, საქმეზე „პოლოსიანი და ბაღდასარიანი სომხეთის წინააღმდეგ“ (Case of Poghosyan and Baghdasaryan v. Armenia, 12.09.2012წ., განაცხადი №22999/06) ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ უკანონო მსჯავრდების დადასტურებისას, პირისათვის დამდგარი მატერიალური და მორალური ზიანისათვის კომპენსაციის გადახდა უნდა მოხდეს ეროვნულ კანონმდებლობაში აღნიშნული დანაწესის არარსებობის შემთხვევაშიც (§51). ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგო შედეგის არსებობა (დადასტურებული უკანონო მსჯავრდება/ბრალდება) განაპირობებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობას, რადგან მ.შ-ის ბრალდებულად ცნობისა და განაჩენის გამოტანის მომენტში ფორმალურად მართლზომიერი საპროცესო მოქმედებები მარეაბილიტირებელი გარემოების დადგენისთანავე, სკ-ის 1005.3 მუხლის მიზნებისთვის, მიიჩნევიან უკანონოდ, რადგან ხსენებული ნორმა მიზნად ისახავს დაზარალებულის დაცვას, კერძოდ, გამართლებული პირისათვის სახელმწიფო ორგანოების მოქმედებების შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად კომპენსაციის მიცემას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ რეაბილიტაცია სისხლის სამართლის პროცესში არის იმ პირის უფლებებისა და თავისუფლებების აღდგენა, რომელიც უკანონოდ და დაუსაბუთებლად დაექვემდებარა სისხლისსამართლებრივ დევნასა თუ პასუხისმგებლობას. პირის რეაბილიტაციის უმთავრესი იურიდიული საფუძველი გამამართლებელი განაჩენია, რომელიც პირის არაბრალეულობასა და უდანაშაულობას ადასტურებს. განსახილველ შემთხვევაში მ. შ-ის მიმართ დამდგარია გამამართლებელი განაჩენი – სახეზეა მარეაბილიტირებელი გარემოება. შესაბამისად, სკ-ის 1005.3 მუხლის მიზნებისთვის არსებობს იმ ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი, რომელიც გამომწვეულია უშუალოდ უკანონო ბრალდებითა და მსჯავრდებით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა და ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება ემსახურება სახელმწიფოს ლეგიტიმურ მიზანს – საზოგადოების, მისი კონკრეტული წევრის უსაფრთხოების დაცვას. ამასთანა-

ნავე გამოძიების მწარმოებელ ორგანოს არ აქვს საქმის შედეგის წინასწარ განსაზღვრის შესაძლებლობა, მტკიცებულებათა შეფასება გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის საკმარისობის კუთხით სასამართლოს უფლებამოსილების სფეროს განეკუთვნება. გამომძიება სახელმწიფო საქმიანობის განსაკუთრებული სახეობაა, საგამომძიებო საქმიანობის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ მას უხდება თავისი საქმიანობის წარმართვა ინფორმაციული დეფიციტის პირობებში. ამასთანავე, საგამომძიებო საქმიანობის აღნიშნული სპეციფიკა არ ქმნის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან სრულად გათავისუფლების საფუძველს, ხსენებულმა გარემოებამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს მხოლოდ ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობის ფარგლებზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზოგადად, სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის დამახასიათებელია ზიანის მიმყენებლის ბრალეულობის პრინციპი (სკ-ის 992-ე მუხ.), თუმცა აღნიშნული დანაწესი არ არის აბსოლუტური ხასიათის. განსახილველ შემთხვევაში სახელმწიფოსათვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების სამართლებრივი საფუძველია სკ-ის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად ზიანი ანაზღაურდება ზიანის მიმყენებლის ბრალის მიუხედავად. ამდენად, კასატორის – საქართველოს გენერალური პროკურატურის მითითება ბრალის, როგორც უკანონო ბრალდების/მსჯავრდების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრების აუცილებელ წინაპირობაზე, დაუსაბუთებელია. დაუშვებელია დელიქტით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მომწესრიგებელი ზოგადი ნორმებით (სკ-ის 992-ე, 1005.1 მუხ.) დადგენილი მოთხოვნების განვრცობა სპეციალური ნორმით (სკ-ის 1005.3 მუხ.) მოწესრიგებულ კონკრეტულ სამართალურთიერთობაზე, რომელსაც ადგილი აქვს უკანონო ბრალდებისა და უკანონო მსჯავრდების შემთხვევაში.

მ. შ-ე სარჩელით მოითხოვს როგორც მატერიალური, ასევე მორალური ზიანის ანაზღაურებას. მორალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაკავშირებულია არაქონებრივი უფლებათა დარღვევასთან. არაქონებრივი უფლებები წარმოადგენს სამოქალაქო სამართლის ისეთ ობიექტს, რომლის სპეციფიკის გათვალისწინებით მისი ხელყოფის შედეგად დამდგარ ზიანს ქონებრივი ექვივალენტი არ გააჩნია. ამდენად, არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის წარმოშობისათვის საკმარისია არსებობდეს არაქონებრივი უფლების (პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, პირადი ხელშეუხებლობა) ხელყოფის ფაქტი, რაც მოცემულ შემთხვევაში სახეზეა. პირისათვის ბრალის წარდგენა, მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა დაკავშირებულია

გარკვეულ ნეგატიურ განცდებთან, სტრესულ მდგომარეობასთან, რეპუტაციის შელახვასთან. მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. ამასთან, ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა, ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს მიხედულებით წყდება, მორალური ზიანის მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო პალატის 27.12.2016წ. გადაწყვეტილებით მოპასუხისათვის დაკისრებული თანხა (2 000 ლარი) მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნების პროპორციულია. სკ-ის 413-ე მუხლში მითითება მორალური ზიანის გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების თაობაზე გულისხმობს დაზარალებულის განცდების სიღრმისა და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებას (სუს №ბს-972-963(3კ-08) 08.04.2009წ. გადაწყვეტილება). მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს ისეთ გარემოებებს, როგორცაა: დამდგარი ზიანის სიმძიმე, დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება მორალური ზიანის მიმართ, განცდების ინტენსივობა, შელახული უფლებების მნიშვნელობა და სხვ.. მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრესი მიზანი არ არის ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. სასამართლო ითვალისწინებს მოსარჩელის სოციალურ მდგომარეობას, მის მიმართ განხორციელებული იძულების ფორმების სიმძიმეს, კერძოდ იმას, რომ ის არ ყოფილა პატიმრობაში, მოსარჩელეს შეფარდებული ჰქონდა გირაო. მართალია პირის მიმართ იძულებითი ღონისძიების გამოყენება, სისხლის სამართლებრივი დევნა და გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა დაკავშირებულია ნეგატიურ განცდებთან და უქმნის პირს დისკომფორტს, თუმცა სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მყოფი პირი, გონივრულ ფარგლებში, ვალდებულია ითმინოს ამ პროცესის ნეგატიური შედეგები. ამდენად, კასატორ მ.შ-ის მიერ მიყენებული მორალური ზიანის ასანაზღაურებლად მოთხოვნილი თანხა (10 000 ლარი) არის აშკარად არაადეკვატური, მით უფრო, რომ მ. შ-ის მიმართ აღკვეთის ღონისძიების ან სასჯელის სახით პატიმრობა გამოყენებული არ ყოფილა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მორალური ზიანის კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას, მისი მიზანია არამატერიალური სიკეთის ხელყოფით გამოწვეული ტანჯვის შემსუბუქე-

ბა, ნეგატიური განცდების სიმძიმისა და ინტენსივობის შემცირება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ მოსარჩელისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების სახით მიკუთვნებული კომპენსაცია გონივრულ და სამართლიან ანაზღაურებას წარმოადგენს სკ-ის 413-ე მუხლის მიზნებისთვის, შესაბამისად, აღნიშნულ ნაწილში გასაჩივრებული განჩინება უცვლელად უნდა იქნეს დატოვებული.

მ. შ-ის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა აგრეთვე მატერიალური ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამონვეულ იქნა აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებული გირაოს თანხის გადახდის მიზნით სესხად აღებული თანხის პროცენტის გადახდით, საქართველოს საზღვრის გადაკვეთის აკრძალვის გამო პროდუქციის შემოტანისა და რეალიზაციისათვის ხელშეშლით, უკანონო ბრალდების/მსჯავრდების გამო საგამოძიებო და სასამართლო ორგანოებში გამოსაცხადებლად მგზავრობაზე დახარჯული სახსრებით და სისხლის სამართალწარმოებასა და მიმდინარე ადმინისტრაციულ დავაში ადვოკატის მომსახურებისათვის საფასურის გადახდის საჭიროებით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები (სსკ-ის 103.1 მუხ.), სწორედ მხარემ უნდა დაამტკიცოს ის გარემოებანი, რომლებზედაც ამყარებს იგი თავის მოთხოვნებს (სსკ-ის 102.1 მუხ.), ამასთანავე, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით (სსკ-ის 102.3 მუხ.). სკ-ის 624-ე მუხლის თანახმად, მართალია სესხის ხელშეკრულება შესაძლოა დაიდოს როგორც წერილობით, ასევე ზეპირი ფორმით, თუმცა ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით. განსახილველ შემთხვევაში მ. შ-ე ვერ ადასტურებს გირაოს თანხის გადახდის მიზნით სესხის ხელშეკრულების დადებას და მით უფრო სესხის სასყიდლიანობას. მხარეთა შეთანხმებით სესხისათვის შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პროცენტი (სკ-ის 625.1 მუხ.), თუმცა სესხის ხელშეკრულების დადების სათანადო წესით დადასტურების შემთხვევაშიც კი, დადგენას საჭიროებს პროცენტის კონკრეტულ ოდენობაზე შეთანხმება, რადგან სესხის სასყიდლიანობა არ პრეზუმირდება. საქმის მასალებში არ მოიპოვება გირაოს თანხის გადასახდელად მ. შ-ის მიერ ყოველთვიურად 3%-იანი სარგებლის გადახდის პირობით სესხის აღების დამადასტურებელი მტკიცებულება, ასეთად ვერ იქნება მიჩნეული 24.04.2014წ. სს „...ის“ დასტური გირაოს სახით მ. შ-ის სახელით 2000 ლარის მ. პ-ის მიერ 24.04.2014წ. გადახდის შესა-

ხებ, რომელიც უკანასკნელს დაუბრუნდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 17.08.2015წ. განჩინებით, ამავე სასამართლოს 17.06.2015წ. განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში შეტანილი ცვლილებების და 08.09.2015წ. გაცემული საალსრულებო ფურცლის შედეგად. საქმის მასალებით არ დასტურდება 18 თვის 3%-იანი სარგებლის, მთლიანობაში 1080 ლარის გადახდა. მ. შ-ე ვერ წარმოადგენს სასყიდლიანი სესხის ხელშეკრულების დადების დამადასტურებელ სათანადო და საკმარის მტკიცებულებებს, ამდენად, მართებულია ქვედა ინსტანციის სასამართლოების მოსაზრება აღნიშნულ ნაწილში სარჩელის უსაფუძვლობის შესახებ.

დაუსაბუთებელია ასევე საზღვრის კვეთის აკრძალვის გამო მიუღებელი შემოსავლის ანაზღაურების შესახებ მ. შ-ის მოთხოვნა, რადგან მართალია ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც (სკ-ის 411-ე მუხ.), თუმცა მიუღებლად ითვლება მხოლოდ ისეთი შემოსავალი, რომელიც პირს არ მიუღია და რომელსაც იგი მიიღებდა არამართლზომიერი ქმედების არარსებობის შემთხვევაში. მ. შ-ე აღნიშნავს, რომ უკანონო ბრალდებისა და მსჯავრდების გამო 14 თვის განმავლობაში ეკრძალებოდა ქვეყნის დატოვება, რის გამოც ხელი შეეშალა ჩვეულ საქმიანობაში, კერძოდ იგი ვეღარ ახორციელებდა თურქეთის რესპუბლიკიდან სხვადასხვა საქონლის შემოტანასა და რეალიზაციას, შესაბამისად ვერ იღებდა შემოსავალს თვეში დაახლოებით 500 აშშ დოლარის ოდენობით. კასატორს არ წარმოუდგენია სხვა ქვეყნიდან გარკვეული პროდუქციის შემოტანისა და შემდგომში საქართველოში მათი რეალიზაციის ფაქტის დამდგენი მტკიცებულებები, მოგების ოდენობის განმსაზღვრელი დოკუმენტაცია, მ. შ-ე არ არის რეგისტრირებული მენარმედ ან გადასახადის გადამხდელად, მოსარჩელეს არ წარმოუდგენია რაიმე მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ ის ენეოდა ლეგალურ სამენარმეო საქმიანობას, რაშიც მას სისხლის სამართლის საქმის წარმოებამ შეუშალა ხელი, მხოლოდ მოსარჩელის ახსნა-განმარტებები არ ქმნიდა აღნიშნულ ნაწილში სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლებს. ამდენად, მოსარჩელის მოსაზრება იმის შესახებ, რომ საზღვარგარეთიდან შემოტანილი საქონლის საქართველოში რეალიზაციით შემოსავლის სახით ყოველთვიურად საშუალოდ 500 აშშ დოლარის ანუ 1200 ლარის ოდენობით შემოსავალს იღებდა და აღკვეთის ღონისძიების სახით 14 თვის განმავლობაში (2014 წლის 18 თებერვლიდან 2015 წლის 27 აპრილამდე) საზღვრის გადაკვეთის აკრძალვის გამო მან 16800 ლარის ოდენობით ზიანი განიცადა, არ დასტურდება, აღნიშნულ ნაწილში საკასაციო პრეტენზია უსაფუძვლოა.

სასამართლო იზიარებს კასატორის – საქართველოს გენერალური პროკურატურის მოსაზრებას მ.შ-ისათვის მგზავრობის ხარჯის – 1500 ლარის ანაზღაურების უსაფუძვლოების შესახებ და აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატას არ დაუსაბუთებია მოსარჩელის მიერ ხარჯის კონკრეტული ოდენობით განევა.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მ. შ-ის ფაქტობრივი ადგილსამყოფელია ხელვაჩაური, სოფ. მ...ი (ალტერნატიული მისამართი: ხელვაჩაური, სოფ. პ-ეები), ამასთანავე, სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო, რომ გამოძიების წარმოების პროცესში შინაგან საქმეთა რაიონულ სამმართველოებსა (ხელვაჩაური, ხულო) და სასამართლოში (ხელვაჩაური, ქუთაისი) საქმეთა განხილვაში მონაწილეობდა მ. შ-ე, თუმცა სასამართლოს არ გამოუკვლევია გაღებული ტრანსპორტირების ხარჯის ოდენობა. მოსარჩელის მითითება მგზავრობის ხარჯის 1500 ლარის ოდენობით განევის შესახებ არ ეფუძნება ობიექტურ მტკიცებულებებს, ამდენად, აღნიშნულ ნაწილში სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია და ექვემდებარება გაუქმებას. სააპელაციო პალატას არ დაუდგენია სისხლის სამართლის პროცესში ჩატარებულ საგამოძიებო ღონისძიებებში და სასამართლო სხდომებში მონაწილეობის მისაღებად გამოძახებაზე მ. შ-ის გამოცხადების რაოდენობა, ნათესავებთან (მშობლებთან, არასრულწლოვან შვილებთან) ერთად გამოცხადება, რაზედაც უთითებს სააპელაციო საჩივრის შესაგებელში მ. შ-ე, სააპელაციო პალატას არ დაუდგენია მგზავრობაზე მ. შ-ის მიერ დახარჯული კონკრეტული თანხა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის განხილვის ფარგლებში მგზავრობის ხარჯის განევა არის წარსულში მომხდარი ქმედება და ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისი, რომლის არსებობა განსახილველ შემთხვევაში უდავოა, რადგან საქმის მასალების მიხედვით მ. შ-ე უშუალოდ იღებდა მონაწილეობას სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში. სსკ-ის 102.1 მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნასა და შესაგებელს. სსკ-ის 105.2 მუხლის თანახმად, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსარჩელეს არ წარუდგენია მგზავრობის მიზნით 1500 ლარის ოდენობით ხარჯის განევის დამადასტურებელი მტკიცებულება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 90-ე მუხლი ახდენს საპროცესო ხარჯების ამომწურავ ჩამონათვალს, რომელთა შორის დასახელებული

ბულია ექსპერტის, თარჯიმნის, მონმის გამოცხადების ხარჯები და სხვ.. ნორმა საპროცესო ხარჯებს შორის არ აქცევს წაყენებული სისხლის სამართლებრივ ბრალდებასთან დაკავშირებით ბრალდებულის მიერ საგამოძიებო უწყებებსა და სასამართლოში გამოცხადების ხარჯებს, თუმცა აღნიშნული არ გულისხმობს ბრალდებულის გამართლების შემთხვევაში განეული ხარჯის ანაზღაურების შეუძლებლობას, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლი პირს აღჭურავს უფლებამოსილებით სამოქალაქო/ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მოითხოვოს უკანონოდ ჩატარებული საპროცესო მოქმედებისა და უკანონო გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ სსსკ-ის 92-ე მუხლი ზიანის ცნებაში აქცევს მხოლოდ იმ ხარჯებს, რომელთა ანაზღაურება სისხლის სამართლის წარმოების ფარგლებში პროცესუალურად შეუძლებელია, სსსკ-ის 92-ე მუხლი არ ვრცელდება საპროცესო ხარჯებზე, რადგან მათი ანაზღაურების მოთხოვნის დაყენების შესაძლებლობა სისხლის სამართლის პროცესშივეა უზრუნველყოფილი, სსსკ-ის 90-ე მუხლში მოცემული საპროცესო ხარჯების ამომწურავი ჩამონათვალი არ შეიცავს მითითებას ბრალდებულის მგზავრობის ხარჯებზე, შესაბამისად, მოთხოვნის ეს ნაწილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით არის მოცული, რაც განაპირობებს მასთან დაკავშირებით მიმდინარე წარმოებაში მსჯელობის საჭიროებას. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის მასალებით უდავოდ დასტურდება სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში მ. შ-ის მონაწილეობა, რაც ასაბუთებს გადაადგილებისათვის გარკვეული ხარჯის განევას, თუმცა ამ საფუძველით 1500 ლარის ანაზღაურების მოთხოვნა არ არის დასაბუთებული. პალატა თვლის, რომ მგზავრობის მანძილსა და ტრანსპორტის სავარაუდო სახეობის გათვალისწინებით მოსარჩელისათვის მგზავრობის ხარჯის გონივრული ანაზღაურება 500 ლარს შეადგენს.

მ.შ-ე სარჩელით ითხოვდა აგრეთვე მიმდინარე დავისა და სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში გასაწევი საადვოკატო მომსახურების ხარჯის ანაზღაურებას. სააპელაციო პალატამ სარჩელი აღნიშნულ ნაწილში არ დააკმაყოფილა მხოლოდ იმ საფუძველზე მითითებით, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი ადვოკატის მომსახურების ანაზღაურების დამადასტურებელი მტკიცებულება, ანაზღაურებას კი ექვემდებარება ფაქტობრივად განეული, დადასტურებული ხარჯი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 1.2 მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცე-

სო კოდექსის დებულებანი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე, ამდენად, პროცესის ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს სასამართლო გადაწყვეტილებით, რომლითაც საქმე წყდება არსებითად. საპროცესო ხარჯების განაწილება მხარეთა შორის ხდება თითოეული ინსტანციის სასამართლოში ცალ-ცალკე ზემდგომ ინსტანციაში დამდგარი შედეგის მიხედვით. სსკ-ის 53.1 მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მართლმსაჯულების განხორციელება დაკავშირებულია სასამართლო ხარჯებთან და სასამართლოსგარეშე ხარჯებთან. ადვოკატისათვის განუვლი ხარჯი წარმოადგენს სასამართლოს გარეშე ხარჯებს (სსკ-ის 37.3 მუხ.). იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განუვლ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით (სსკ-ის 47.2 მუხ.). ამგვარი ხარჯების ოდენობა უნდა განისაზღვროს მხარის მიერ სასამართლოში წარდგენილ ფაქტობრივად განუვლი ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი მტკიცებულებების საფუძველზე. ამასთანავე, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მხარის მიერ ადვოკატისათვის თანხის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის არარსებობა იმთავითვე არ გამორიცხავს განუვლი მომსახურების ანაზღაურების შესაძლებლობას (ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ფადეევა რუსეთის წინააღმდეგ“, §145, 146). საქმის მასალებით უდავოდ დასტურდება მოსარჩელისათვის ადვოკატ ლ. მ-ის მიერ იურიდიული მომსახურების განევა, მიმდინარე დავის ფარგლებში ადვოკატი მოსარჩელის წარმომადგენლობას ახორციელებდა სხვადასხვა ინ-

სტანციის სასამართლოში, რის გამოც სასამართლომ უნდა განიხილოს ადვოკატისათვის არა მ. შ-ის მიერ უკვე განეული ხარჯის ანაზღაურების საკითხი, რაც საქმის მასალებით არ დასტურდება, არამედ საქმის მასალებით დადასტურებული ადვოკატის მიერ მოსარჩელისათვის განეული მომსახურების ღირებულების მოპასუხისათვის დაკისრების შესაძლებლობა. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ საქმეში დაცული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ საქმეზე მ. შ-ესა და ადვოკატ ლ. მ-ეს შორის 15.10.2015წ. დადებული №11 ხელშეკრულებით დასტურდება მ. შ-ესა და ლ. მ-ეს შორის იურიდიული მომსახურების განევის შესახებ შეთანხმების არსებობა, ხელშეკრულებით განსაზღვრულია ადვოკატის ხარჯის ანაზღაურების საკითხიც, კერძოდ, ხელშეკრულების მე-4 პუნქტის მიხედვით, კლიენტი ვალდებულია ადვოკატს სამივე ინსტანციის სასამართლოში განეული იურიდიული მომსახურებისათვის გადაუხადოს 1500 ლარი, გადახდა უნდა განხორციელდეს ადმინისტრაციული დავის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში. ამდენად, მოსარჩელე და მისი მარწმუნებელი შეთანხმდნენ ანგარიშსწორების სპეციალურ წესზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ გადახდის ქვითრის, საგადახდო დავალების შესრულების დოკუმენტის წარუდგენლობა, არ გამოირიცხავს საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურების შესაძლებლობას (სუს 09.02.2012წ., №ბს-1330-1315 (კ-11); 30.10.15წ. №ას-444-423-2015; 25.03.2016წ. №ას-12-12-2016წ., 17.01.2019წ. №ბს-809-805(კ-17) გადაწყვეტილებები), მით უფრო, რომ საქმის მასალებით დასტურდება მხარეთა შორის შეთანხმება ადვოკატის მომსახურების ხარჯის არა წინასწარ, არამედ დავის დასრულების შემდგომ გადახდის თაობაზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მარწმუნებელსა და ადვოკატს შორის წარმოშობილი ურთიერთობის მატერიალური საფუძველი დავალების ხელშეკრულებაა (სკ-ის 709-ე მუხ.). მარწმუნებელი ვალდებულია გადაუხადოს რწმუნებულს გასამრჯელო ხელშეკრულებით ან კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში (სკ-ის 710-ე მუხ.). განეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება, რაც შესაძლოა განხორციელდეს წინასწარ, პერიოდულად ან შემდგომში, პრეზიუმირებულია. იურიდიული მომსახურების განევის შემთხვევაში ივარაუდება მხარეთა შორის სასყიდლიანი დავალების ხელშეკრულების არსებობა, სანინაალმდეგო დამტკიცებას საჭიროებს. ამდენად, მართალია, ზოგადი წესის მიხედვით ხარჯების განსაზღვრა ხდება სასამართლოში მხარის მიერ წარდგენილი ფაქტობრივად განეული ხარჯების ოდენობის დამადასტურებელი

მტკიცებულებების საფუძველზე, ამგვარი მტკიცებულებების არარსებობის შემთხვევაში, მხარის მოთხოვნის საფუძველზე, თუმცა სასამართლოს თავადაც შეუძლია განსაზღვროს იურიდიული დახმარებისათვის განეული ხარჯების ოდენობა (სუს 11.02.08წ. №ას-792-1114-07 განჩინება), თუკი აშკარაა, რომ პირის უფლების დარღვევის აღკვეთის მიზნით წარმომადგენლობითი მომსახურება განეულია. სასამართლომ ხარჯების განსაზღვრისას უნდა მოახდინოს მხარის სამართლიანი დაკმაყოფილება.

სასამართლოს მიერ ხარჯების ოდენობის განსაზღვრისას, დავის საგნის ღირებულებიდან გამომდინარე, პროცენტული ზღვარის დადგენა გამორიცხავს ხარჯების ხელოვნურად გაზრდას და უზრუნველყოფს იმ მხარის ინტერესების დაცვას, რომელსაც ხარჯების გადახდა უნდა დაეკისროს (სუს 11.02.08წ. №ას-792-1114-07 განჩინება). სსკ-ის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრული პროცენტული ცენზი და თანხა წარმოადგენს იმ მაქსიმალურ საკანონმდებლო ზღვარს, რომელიც წაგებულ მხარეს შესაძლოა დაეკისროს მოგებულის მხარის სასარგებლოდ, ამასთანავე სასამართლომ ადვოკატის მომსახურების ღირებულების განსაზღვრისას მხედველობაში უნდა მიიღოს საქმის სირთულე, უფლების დარღვევის აღსაკვეთად წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელების ინტენსივობა, ხანგრძლივობა, ინსტანციურობა და სხვ.. სასამართლო გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს მოპასუხისათვის სასამართლოს მიერ თანხის დაკისრებაზე უარის ან დაკისრებული თანხის ოდენობის დასაბუთებას. აღნიშნული ეხება არა მხოლოდ ადვოკატის მომსახურების ხარჯის ანაზღაურების დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობას, არამედ აგრეთვე ისეთ შემთხვევას, როდესაც ადვოკატისათვის გადახდილი ხარჯის ანაზღაურების დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული თანხა არაა ადეკვატურია და აშკარად აღემატება წარმომადგენლის მიერ საქმეზე განეულ მომსახურებას. დავალების ხელშეკრულება შეიძლება იყოს როგორც უსასყიდლო, ისე სასყიდლიანი. განსახილველ დავაში ერთმნიშვნელოვნად გამოირიცხება წარმომადგენლობის უსასყიდლოდ განხორციელება, რადგან აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება, ხოლო 15.10.2015წ. იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით განსაზღვრულია ანაზღაურების წესი და პირობები. ამასთანავე, კანონმდებლობა არ კრძალავს ადვოკატის მომსახურების ანაზღაურების შესაძლებლობას დავის დასრულების შემდგომ, ანაზღაურების სპეციალურ წესზე შეთანხმება არ ქმნის ადვოკატის მომსახურებისათვის გასაწევი ხარჯის გონივრული ოდენობით ანაზღაურების დამაბრკოლებელ გარემოებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, მართალია, „მენარმეთა შესახებ“ კანონის 1.3 მუხლის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობა სამენარმეო საქმიანობის სახედ არ მიიჩნევა, თუმცა აღნიშნული არ გამოორიცხავს საადვოკატო საქმიანობისას მოგების, შემოსავლის მიღების მიზანს. ადვოკატის უმთავრესი ფუნქციაა მაქსიმალურად დაიცვას მარწმუნებლის ინტერესები, უზრუნველყოს წარმომადგენლობა სასამართლოში, არბიტრაჟსა და საგამოძიებო ორგანოებში („ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-2 მუხ.), რაც უნდა განხორციელდეს კანონიერების, დამოუკიდებლობის, კეთილსინდისიერების, გულისხმიერებისა და ეთიკის ნორმების ზედმინვენით დაცვით („ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-3 მუხ.), თუმცა აღნიშნული არ არის ადვოკატთა ფინანსური დაინტერესების გამომრიცხავი გარემოება, რადგან საადვოკატო საქმიანობიდან მიღებული ფინანსური შემოსავალი, როგორც წესი, ქმნის ადვოკატის საქმიანობის ფინანსურ საფუძველს. ადვოკატი, მართალია, არ არის „დასაქმებული“ ტრადიციული გაგებით, თუმცა იგი ახორციელებს კლიენტისათვის იურიდიული მომსახურების განევას სათანადო ანაზღაურების სანაცვლოდ (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს შეთანხმება, ან კანონისმიერი დათქმა მომსახურების უსასყიდლოდ განევის შესახებ). ამდენად, სასამართლო ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯის ანაზღაურებაზე უარის თქმისას ან ანაზღაურების პროცედურების ხელოვნური გაჭიანურებისას დაუსაბუთებლად ართმევს ადვოკატს მისი შრომის ანაზღაურების გონივრული ოდენობით მიღების შესაძლებლობას. ამასთანავე, რწმუნებული და მარწმუნებელი, იურიდიული მომსახურების განევის შესახებ ხელშეკრულების სამოქალაქო-სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ხელშეკრულების პირობების განსაზღვრისას სარგებლობენ სამოქალაქო სამართალში განმტკიცებული ნების ავტონომიის პრინციპით, ადგენენ ადვოკატის უფლებამოსილების ფარგლებს, ანაზღაურების ოდენობას, წესს და სხვ.. კანონმდებლობა არ ზღუდავს მხარეებს შეთანხმდნენ ჰონორარის წინასწარ, პერიოდულ ან სამომავლო გადახდაზე. ამასთან, ანაზღაურების ოდენობა შესაძლოა იყოს თანხობრივად კონკრეტულად განსაზღვრული ან განსაზღვრებადი, წარმომადგენლობის ინტენსივობაზე, ინსტანციურობასა და სხვ. გარემოებებზე, მაგ. დავის გადაწყვეტის შედეგზე (პირობითი ანაზღაურება) დამოკიდებული. გასათვალისწინებელია, რომ პირობითი ანაზღაურება ახდენს ადვოკატის ეკონომიკურ წახალისებას, რათა მან დაიცვას ისეთი პირის სამართლებრივი ინტერესები, რომელსაც მართალია უშუალოდ არ აქვს ადვოკატის დაქირავების ფინანსური შესაძლებლობა, თუმცა სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობიდან გამომდინარე, არ-

სებობს მისი დაკმაყოფილების გონივრული მოლოდინი, რის საფუძველზეც ადვოკატთან ანგარიშსწორება სწორედ დავის დასრულების შემდგომ განხორციელდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება ადმინისტრაციული დავის ფარგლებში განეული ადვოკატის მომსახურების ხარჯის ანაზღაურების უსაფუძვლობის შესახებ მხოლოდ იმ გარემოებაზე მითითებით, რომ წარდგენილი არ ყოფილა გადახდის ქვითარი, გადანყვეტილებას აღნიშნულ ნაწილში სრულიად დაუსაბუთებელს ხდის, რის გამოც არსებობს მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველი (სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვ.პ.). ამდენად, წარმომადგენლობის ინტენსივობის, ინსტანციურობისა და დავის გადანყვეტის შედეგის გათვალისწინებით საკასაციო პალატა თვლის, რომ მოპასუხეს უნდა დაეკისროს იურიდიული მომსახურების ანაზღაურება 1000 ლარის ოდენობით.

მოსარჩელის მოთხოვნას შეადგენს აგრეთვე სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში მის მიერ განეული საადვოკატო ხარჯის ანაზღაურება. მოთხოვნის საფუძვლად მ. შ-ე უთითებს სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში გამოტანილ განაჩენებზე, რომელთა მიხედვით მ. შ-ეს საადვოკატო მომსახურებას ლ. მ-ე უნედა, ასევე მ. შ-ესა და ლ. მ-ეს შორის 17.04.2014წ. დადებულ №04 იურიდიული მომსახურების შესახებ ხელშეკრულებაზე, რომლის თანახმად ხელშეკრულების საგანს შეადგენს მ. შ-ისათვის იურიდიული მომსახურების განევა სამივე ინსტანციის სასამართლოში და ხელვაჩაურის რაიონული პროკურატურის მიერ წარდგენილი ბრალდებისაგან დაცვა (მე-2 პუნქტი). ბრალდებისაგან დასაცავად სამივე ინსტანციის სასამართლოში მ. შ-ისათვის იურიდიული მომსახურების განევის შესახებ 17.04.2014წ. №04 ხელშეკრულების მე-4 მუხლი ითვალისწინებდა სამივე ინსტანციაში განეული იურიდიული მომსახურებისათვის, გამამართლებელი განაჩენის დადგენის შემთხვევაში, ჰონორარის სახით 1500 ლარის გადახდას, ხელშეკრულება ითვალისწინებდა ჰონორარის გადახდის ნეკს, კერძოდ ანაზღაურება უნდა მომხდარიყო უკანონო ბრალდების შედეგად მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების საკითხზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების ნეკით დავის აღძვრისა და საქმეზე საბოლოო გადანყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში. სააპელაციო პალატას არ შეუფასებია მ. შ-ის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, არ უმსჯელია სხვა პროცესის ფარგლებში განეული ხარჯის ანაზღაურების შესაძლებლობასა და სამართლებრივ საფუძვლებზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საპ-

როცესო კოდექსი ერთმანეთისგან განასხვავებს დაცვის სამ სახეს: შეთანხმებით, დანიშნით და სავალდებულო დაცვას. დაცვა შეთანხმებით გულისხმობს დაცვის განხორციელებას ბრალდებულის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ შერჩეული ადვოკატის მეშვეობით, დანიშნით დაცვა გულისხმობს ადვოკატის მომსახურების უზრუნველყოფას სახელმწიფოს ხარჯზე (რაც შესაძლოა განხორციელდეს ორ შემთხვევაში: გადახდისუუნარო ბრალდებულის მიერ ადვოკატის დანიშვნის მოთხოვნის ან კოდექსით გათვალისწინებული სავალდებულო დაცვის შემთხვევაში (46.1 მუხ.)), დაცვა შესაძლოა განხორციელდეს აგრეთვე ბრალდებულის ნების მიუხედავად, თუკი არსებობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სავალდებულო დაცვის შემთხვევები, მაგ., თუ ბრალდებული არასრულწლოვანია, თუ ჩადენილი ქმედებისათვის პასუხისმგებლობის ზომად გათვალისწინებულია უვადო თავისუფლების აღკვეთა და სხვ. (45.1 მუხ.). ამდენად, დაცვის სამი სახეობიდან ორ შემთხვევაში: სავალდებულო დაცვისა და დანიშნით დაცვის შემთხვევაში, ადვოკატის მომსახურების ხარჯის ანაზღაურებას სრულად ახდენს სახელმწიფო, ბრალდებულს არ უნევს დამატებითი ხარჯის განევა ან დამატებითი დავის წარმოება. რაც შეეხება შეთანხმებით დაცვის შემთხვევას, ასეთ დროს ბრალდებული თავად ირჩევს ადვოკატს, რომელთან შეთანხმებითაც განსაზღვრავს ანაზღაურების წესსა და ოდენობას (41-ე მუხ.). სწორედ ამ უკანასკნელ შემთხვევაში განეული ხარჯის ანაზღაურების წესი საჭიროებს დადგენას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ იმ საპროცესო ხარჯების მოთხოვნა, რომელიც მოგებულმა მხარემ გასწია სხვა სამართალწარმოების ფარგლებში, არ შეიძლება იყოს ცალკე დავის საგანი, რადგან სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249.5 მუხლის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს სასამართლოს მითითებას სასამართლო ხარჯების განაწილების თაობაზე. ამასთანავე, სასამართლოს მიერ აღნიშნული საკითხის მოუწესრიგებლობის შემთხვევაში საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს დამატებითი გადაწყვეტილების გამოტანის შესაძლებლობას (სსკ-ის 261-ე მუხ.). ამდენად, დაუშვებელია დამოუკიდებელი სარჩელით იმ საპროცესო ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა, რომელიც მხარემ სხვა სამოქალაქო საქმის წარმოებისას გასწია (იხ. სუსგ 18.02.2014წ. №ას-1706-1600-2012). საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სამართალწარმოებისათვის გაღებული ხარჯების ანაზღაურების წესს და პირობებს. პროცესის ხარჯები, რომლებიც შედგება სასამართლო და სასამართლოსგარეშე ხარჯებისაგან, წარმოადგენს მხარეთა მიერ მატერიალური უფლე-

ბების დასაცავად (აღსადგენად, მოსაპოვებლად) განუულ ხარჯებს, რაც შესაძლებელია ანაზღაურდეს საქმეზე დამდგარი იურიდიული შედეგის პროპორციულად, როგორც პროცესუალური მოთხოვნა. სასამართლო ხარჯების ანაზღაურება, საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სხვა პროცესუალური მოთხოვნის მსგავსად, არ უნდა ხდებოდეს ცალკე, დამოუკიდებელი სარჩელის ობიექტი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, საპროცესო ხარჯების ცნებით მოცულია მხარის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის განუული ხარჯი (37-ე მუხ.), შესაბამისად სხვა დავის ფარგლებში განუული ადვოკატის ხარჯის ცალკე დავის ფარგლებში მოთხოვნა არ ხდება. მსგავს მონესრიგებას ვხვდებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც, რომლის 90-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საპროცესო ხარჯი მოიცავს ბრალდებულის ადვოკატის მომსახურების ხარჯს, ამასთანავე, ნორმა მითითებას არ ახდენს მსჯავრდებულის/გამართლებულის მიერ განუულ ხარჯზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ერთმანეთისგან მიჯნავს ბრალდებულის, მსჯავრდებულისა და გამართლებულის სტატუსებს. ბრალდებულის არის პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული (კოდექსის 3.19 მუხ.), ამასთანავე სასამართლოს მიერ განაჩენის დადგენის შემთხვევაში პირი კარგავს ბრალდებულის სტატუსს და საქმეზე დამდგარი შედეგის მიხედვით ხდება მსჯავრდებულის (3.8 მუხ.) ან გამართლებულის. პირს ბრალდებულის სტატუსი უნარჩუნდება მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებიდან პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე, განაჩენის დადგომა აუქმებს ბრალდებულის სტატუსს. ამდენად, გამოირიცხება კოდექსის 90.1 მუხლის (საპროცესო ხარჯები) „ა“ ქვეპუნქტში (ბრალდებულის ადვოკატის მომსახურების ხარჯი) მსჯავრდებულის ან გამართლებულის მიერ განუული ადვოკატის ხარჯის მოაზრების შესაძლებლობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ნორმა გაითვალისწინებდა კონკრეტულ მითითებას მსჯავრდებულსა და გამართლებულზე.

სისხლის სამართლის პროცესი მნიშვნელოვნად განსხვავდება სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოებისაგან, სისხლის სამართლის პროცესში განმტკიცებული შეჯიბრებითობის პრინციპის მიუხედავად (მე-9 მუხ.), სისხლის სამართალწარმოება ორიენტირებულია არა თანასწორ პირთა შორის არსებული ქონებრივი დავის გადაწყვეტაზე, ადმინისტრაციული აქტის, ხელშეკრულების ან ორგანოს ქმედების მართლზომიერების დადგენაზე, არა-

მედ პირის ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტაზე, დანაშაულებრივი ქმედების ფაქტობრივი გარემოებებისა და მისი ჩამდენი პირის დადგენაზე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიზანია დანაშაულის გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და მართლმსაჯულების განხორციელების წესების დადგენა (1-ლი მუხ.), ამდენად, განსხვავებულია სასამართლოში საქმის წარმოების, გადაწყვეტილების მიღების მარეგულირებელი ნორმებიც.

განაჩენი არის საგამოძიებო ორგანოებისა და პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმიანობის შედეგების შემაჯამებელი დოკუმენტი, განაჩენით ხორციელდება პირის დამნაშავედ ცნობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა, განაჩენის დადგენით სასამართლო წყვეტს ჩაიდინა თუ არა ბრალდებულმა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება, არის თუ არა მის მიერ ჩადენილი ქმედება მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული, უნდა დაისაჯოს თუ არა ბრალდებული, რა სასჯელი უნდა შეეფარდოს და სხვ. (260.1 მუხ.). სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის შედეგად სასამართლომ შესაძლოა გამოიტანოს ორი სახის განაჩენი: გამამტყუნებელი, რომელიც შეიცავს სასამართლოს გადაწყვეტილებას ბრალდებულის დამნაშავედ ცნობის შესახებ (269.1 მუხ.) და გამამართლებელი, რომელიც უთითებს ბრალდებულისთვის წაყენებული ბრალის დაუდასტურებლობაზე (270.1 მუხ.). ორივე შემთხვევაში კოდექსი კონკრეტულად და ამომწურავად განსაზღვრავს იმ საკითხების ნუსხას, რომლებიც უნდა აისახოს განაჩენთა სარეზოლუციო ნაწილებში (274-ე, 276-ე მუხ.). კოდექსის 276-ე მუხლის მიხედვით, გამამართლებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავს პუნქტს საპროცესო ხარჯების განაწილების შესახებ. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კოდექსის 260.1 მუხლის ჩანაწერი განაჩენის დადგენისას საპროცესო ხარჯების განაწილების საკითხის გადაწყვეტის შესახებ („ი“ ქვ.პ.) არ ვრცელდება სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის დადგენის შემთხვევაზე, რადგან საპროცესო ხარჯში მოიაზრება ის ფულადი სახსრები, რომელიც დახარჯულ იქნა წინასწარი გამოძიებისა და სასამართლოს მიერ სისხლის სამართალწარმოებისას უშუალოდ საქმის წარმოების, საქმის გარემოებათა მოკვლევის, მტკიცებულებათა მოპოვებისთვის, სისხლის სამართლის პროცესის მიზნების განსახორციელებლად და არა შეთანხმებით დაცვაზე განეული ხარჯები. აღნიშნულ ხარჯში არ იგულისხმება გამართლებულის მიერ ადვოკატის მომსახურებისათვის განეული ხარჯი, რადგან კოდექსი საპროცესო ხარჯებს შორის ასახელებს მხოლოდ ბრალდებულის (და არა გამართლებულის) ადვოკატის მომსახურების ხარჯს (90.1 მუხ. „ა“ ქვ.პ), სწორედ ამიტომ გამამართლე-

ბელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავს პუნქტს გამართლებულის მიერ განეული ხარჯების ანაზღაურების შესახებ.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქმის განხილვის შედეგის მიუხედავად, კოდექსი ადგენს ბრალდებულის მიერ ადვოკატის მომსახურების ხარჯის უშუალოდ ანაზღაურებას, გარდა იმ შემთხვევისა თუ დაცვა ხორციელდება სახელმწიფოს ხარჯზე (91.1 მუხ.), შესაბამისად, შეთანხმებითი დაცვის განხორციელების შემთხვევაში ბრალდებული ყოველთვის თავად ახდენს მის მიერ შერჩეული ადვოკატის მომსახურების ანაზღაურებას, მათ შორის დადებული შეთანხმების შესაბამისად, ამასთან, კოდექსი არ იცნობს ბრალდებულის გამართლების შემთხვევაში მის მიერ განეული ხარჯის ბრალდების მხარისათვის დაკისრების შესაძლებლობას, არ არის განსაზღვრული ამ ხარჯის შესახებ სასამართლოსათვის ინფორმაციის წარდგენის, შუამდგომლობის დაყენების, ხარჯის ოდენობის დაანგარიშების წესი. კოდექსის 91-ე მუხლი ახდენს მხოლოდ ბრალდების მხარის მიერ განეული ხარჯის მსჯავრდებულის მიერ ანაზღაურების წესს, კონკრეტულად უთითებს ხარჯის ოდენობის განმსაზღვრელ მტკიცებულებებსა და ანაზღაურებაზე ვალდებულ სუბიექტზე (2-5 ნაწ.), თუმცა აღნიშნული მოწესრიგება არ გულისხმობს დაუსაბუთებელი ბრალდების/მსჯავრდების გამო პირის მიერ განეული ხარჯის ანაზღაურებაზე უარს. სისხლის სამართლის პროცესში მოქმედი მხარეთა თანასწორობის პრინციპი (9.1 მუხ.) პრაქტიკულად ვლინდება არა მხოლოდ მტკიცებულებათა წარდგენაში, მოწმეთა გამოძახებაში და სხვა საპროცესო ქმედებების განხორციელებისას თანასწორობაში, არამედ თანასწორობაში აგრეთვე სამართალწარმოებისას განეული ხარჯების ანაზღაურების საკითხში. ბრალდებულს, როგორც სისხლის სამართლის პროცესის ცენტრალურ ფიგურას, უნდა გააჩნდეს შესაძლებლობა ჯეროვნად და ეფექტიანად დაიცვას თავი წარდგენილი ბრალდებისაგან, ეფექტიანად დაცვის განხორციელებისათვის კი დიდ როლს თამაშობს ბრალდებულსა და ადვოკატს შორის არსებული ნდობის ფაქტორი. ყველა პირს აქვს უფლება მოითხოვოს მის მიერ არჩეული ადვოკატის დანმარება თავისი უფლებების სისხლის სამართლის საქმის წარმოების ყველა სტადიაზე დაცვისათვის, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ყველა პირისათვის საადვოკატო მომსახურების ეფექტიანი და თანაბარი ხელმისაწვდომობა მათი სოციალური კუთვნილებისა და ეკონომიკური სტატუსის მიუხედავად („გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ“, 1990). დაუშვებელია ბრალდებულის იძულება კონკრეტული ადვოკატის აყვანაზე, რადგან ადვოკატსა და მარწმუნებელს შორის ურთიერთობა ფი-

დუციური ხასიათისაა, ეფუძნება განსაკუთრებულ ნდობას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38.5 მუხლის მიხედვით, ბრალდებულს აქვს ადვოკატის არჩევისა და ყოლის უფლება. „აღამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ 6.3 მუხლის „ც“ ქვეპუნქტით ასევე გარანტირებულია ბრალდებულის უფლება დაიცვას თავი პირადად ან მის მიერ არჩეული დამცველის მეშვეობით. ამასთან, დაცვა არის სისხლისსამართლებრივი დევნის სანინალმდეგო ფუნქცია, სწორედ ადვოკატის მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესში უზრუნველყოფს შეჯიბრებითობის პრინციპის (9.1 მუხ.) სრულ რეალიზებას და ბრალდებულის ინტერესების არსებით დაცვას. დაცვის უფლების სრულყოფილი და ეფექტიანი რეალიზაცია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადვოკატის მიმართ ბრალდებულის ნდობის ხარისხზე. ამდენად, სახელმწიფოს მიერ დაცვის უფლების რეალური უზრუნველყოფა გულისხმობს არა მხოლოდ რიგ შემთხვევებში სახელმწიფოს ხარჯზე ადვოკატის პროცესში ჩართვას, არამედ ბრალდებულისათვის თავისი ხარჯით კონკრეტული, მისთვის მისაღები ადვოკატის მონვევის ხელშეშლის აკრძალვას (გარდა იმ შემთხვევისა, თუ ადვოკატის პროცესში დაშვების აკრძალვა ეფუძნება ნორმატიულ საფუძველს). ამასთანავე, ხელშეშლა შესაძლოა განხორციელდეს არა მხოლოდ სათანადო კანონიერი საფუძვლის გარეშე ადვოკატის პროცესში ჩაურთველობით, არამედ აგრეთვე არაპირდაპირი ქმედებით, კერძოდ, ბრალდებულისათვის პროფესიული და მორალური თვალსაზრისით მისაღები ადვოკატის აყვანის შესაძლებლობის გარკვეულწილად შეზღუდვით, ასეთი შეზღუდვა შესაძლოა წარმოქმნას იმ გარემოებამ, რომ გამართლების შემთხვევაში ადვოკატს არ მიეცემა განეული იურიდიული მომსახურების გონივრული ოდენობით ანაზღაურების შესაძლებლობა. სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა იქნეს განმარტებული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლი, რომელიც უკანონო ბრალდების/მსჯავრდების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას ითვალისწინებს, სწორედ აღნიშნული ზიანის ფარგლებში უნდა მოვიაზროთ გამართლებულის მიერ განეული საპროცესო ხარჯები, რადგან მათი განევა მოხდა უკანონო ბრალდებისგან თავდაცვის მიზნით. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ ამჟამად მოქმედ რედაქციამდე არსებული 20.02.1998წ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ადვოკატის მომსახურებისათვის განეულ ხარჯს სწორედ რეაბილიტირებულისათვის მიყენებული ქონებრივი ზიანის ოდენობაში მოიაზრებდა (223.2 მუხ. „ზ“ ქვ.პ.). სისხლის სამართლის პროცესში ბრალდებულის მიერ ადვოკატის საკუთარი ხარჯით აყვანა (სსსკ-ის 91.1

მუხ.) არ გამორიცხავს მომავალში, – ბრალდებულის გამართლების შემთხვევაში, ამ თანხის იმ სუბიექტის მიერ ანაზღაურებას, რომლის ქმედებებმაც წარმოშვა ბრალდებულის მიერ კონკრეტული ხარჯის გაწევის საჭიროება. სათანადო მოთხოვნის არსებობისას სასამართლო ვალდებულია იმსჯელოს გამართლებულისათვის ადვოკატის მომსახურების ღირებულების ანაზღაურების საკითხზე. ამდენად, სააპელაციო პალატას უნდა ემსჯელა მ. შ-ის მიმართ განხორციელებული უკანონო ბრალდების/მსჯავრდების გამო მისთვის სისხლის სამართლის საქმის წარმოების ფარგლებში ადვოკატის მომსახურებისათვის გასაწევი ხარჯის, როგორც რეაბილიტირებული პირისათვის მიყენებული ზიანის, გონივრულ ოდენობასა და ანაზღაურების საფუძვლებზე, რასაც ადგილი არ ჰქონია. საქმეზე უდავოდ დასტურდება, რომ მ. შ-ის სისხლის სამართლის საქმეში წარმოადგენდა ლ. მ-ე, საქმეში დაცულია შესაბამისი ხელშეკრულება. ამასთანავე, დგინდება, რომ მ. შ-ის მიმართ წაყენებულ ბრალდებაზე იმსჯელა სამივე ინსტანციის სასამართლომ და მ. შ-ის მიერ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა არ დადასტურდა, იგი სრულად გამართლდა წაყენებულ ბრალდებაში. ამდენად, სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარი შედეგის გათვალისწინებით საკასაციო პალატა თვლის, რომ მოპასუხეს უნდა დაეკისროს სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში ადვოკატის მიერ გაწეული იურიდიული მომსახურების ანაზღაურება 1500 ლარის ოდენობით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მატერიალური ზიანის – მგზავრობის ხარჯის 1500 ლარის ოდენობით პროკურატურისათვის დაკისრების ნაწილში, მიმდინარე დავის და სისხლის სამართლის პროცესის ფარგლებში გასაწევი ადვოკატის მომსახურების ხარჯის მოპასუხისათვის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში, დაუსაბუთებელია და უნდა გაუქმდეს, რადგან გადაწყვეტილება აღნიშნულ ნაწილებში მოკლებულია სამართლებრივ და ფაქტობრივ წინამძღვრებს, აღნიშნულ ნაწილში გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მხარეები – უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის, აღკვეთის ღონისძიებად დაპატიმრების უკანონოდ გამოყენების ან გამასწორებელ სამუშაოთა სახით ადმინისტრაციული სახდელის უკანონოდ დადების შედეგად მოქალაქისათ-

ვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ სარჩელებზე. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ კანონის 5.1 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, საერთო სასამართლოებში განხილულ საქმეებზე სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან თავისუფლდებიან დაწესებულებები (ორგანიზაციები), რომელთა ხარჯები ფინანსდება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან – ყველა საქმეზე. ამდენად, მხარეები გათავისუფლებულნი არიან სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. მ. შ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. საქართველოს გენერალური პროკურატურის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.12.2016წ. გადაწყვეტილება მატერიალური ზიანის (მგზავრობის ხარჯის) – 1500 ლარის პროკურატურისათვის დაკისრების, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში ადვოკატის მომსახურების ხარჯის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. საქართველოს გენერალურ პროკურატურას მ. შ-ის სასარგებლოდ დაეკისროს მატერიალური ზიანის (მგზავრობის ხარჯის) ანაზღაურება – 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში ადვოკატის მიერ განეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება – 1000 (ათასი) ლარის ოდენობით და სისხლის სამართალწარმოების ფარგლებში ადვოკატის მიერ განეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება – 1500 (ათას ხუთასი) ლარის ოდენობით;
5. დანარჩენ ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 27.12.2016წ. გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი;
6. საკასაციო სასამართლომ გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# ზიანის ანაზღაურების პერიოდის განსაზღვრა

## განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-740-736(კ-17)

16 მაისი, 2019წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურების დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ლ. კ-მა 20.06.2014წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ და სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შემდეგ მოითხოვა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს I განყოფილებისათვის ლ. კ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთიდან ლ. კ-ის, რ. კ-ის, ლი. კ-ისა და ლ. მ-ის გამოსახლების დავალება და მოპასუხეებისათვის ლ. კ-ის სასარგებლოდ ქმედების განუხორციელებლობის გამო მიყენებული ზიანის – 6050 აშშ დოლარისა და გამოსახლებამდე ყოველთვიურად 550 აშშ დოლარის ანაზღაურება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 31.07.2013წ. შეიძინა უძრავი ქონება მდებარე ქ. თბილისი, ... №118, ბინა №47, თუმცა ბინაში მცხოვრები პირების გამო ვერ სარგებლობს საკუთრების უფლებით. მოსარჩელემ 23.08.2013წ. განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს განყოფილებას, რათა „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 24.05.2007წ. №747 ბრძანების შესაბამისად განუხორციელებინათ მესამე პირების გამოსახლება სადავო ბინიდან. მითითებული ბრძანების 4.4 მუხლის თანახმად, საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებების გატარების შესახებ უარყოფითი პასუხი განმცხადებელს უნდა ეცნობოს განცხადების რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში. კონკრეტულ შემთხვევაში, ლ. კ-ს უარყოფითი პასუხი არ ეცნობა

დადგენილ ვადაში, შესაბამისად, ადმინისტრაციულმა ორგანომ აი-ლო გამოსახლების განხორციელების ვალდებულება, რაც არ შეასრულა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.07.2014წ. სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე მოსარჩელე მხარემ მოპასუხედ ასევე მიუთითა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს I განყოფილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.07.2014წ., განჩინებით სასკ-ის 16.2 მუხლის შესაბამისად საქმეში მესამე პირად ჩაება გ. კ-ე, რომელმაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.07.2014წ. განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა.

17.10.2014წ. ლ. კ-ემ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და სარჩელის აღძვრის შემდეგ სარჩელის უზრუნველყოფა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 20.10.2014წ. განჩინებით ლ. მ-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 06.11.2014წ. განჩინებით გ. კ-ის კერძო საჩივარი დარჩა განუხილველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 16.04.2015წ. და 20.05.2015წ. განჩინებებით სასკ-ის 16.2 მუხლის შესაბამისად საქმეში მესამე პირად ჩაებნენ ლ. კ-ე, რ. კ-ე, ლი. კ-ე და ლ. მ-ე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 27.11.2015წ. გადაწყვეტილებით ლ. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. კოლეგიამ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 21-ე და სსკ-ის 170-ე მუხლების საფუძველზე და მესაკუთრის უფლების ეფექტურად და დროულად დაცვის მიზნით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 24.05.2007წ. №747 ბრძანებით დამტკიცდა „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ნესი“. მითითებული ბრძანების მე-7 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებები შეჩერდება იმ შემთხვევაში თუ ექიმის დასკვნის საფუძველზე ხელყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეიძლება მნიშვნელოვნად გაუარესდეს და დადგეს მძიმე შედეგი აღკვეთის ღონისძიებების გაგრძელების შემთხვევაში. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის წარმომადგენლის 23.08.2013წ. გან-

ცხადების საფუძველზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის პირველმა განყოფილებამ დაიწყო წარმოება მოსარჩელის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთიდან მესამე პირების გამოსახლებასთან დაკავშირებით. „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის შესახებ“ №1881379 გაფრთხილების ოქმით გ. კ-ის მიეცა ვადა თანხმლებ პირებთან ერთად გამოსახლებულიყო ლ. კ-ის საკუთრებიდან. სასამართლომ აღნიშნა, რომ 18.09.2014წ., 15.10.2014წ., 26.01.2015წ. და 28.10.2015წ. ოქმებით დასტურდება, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის I განყოფილების მიერ ჩანიშნულ იქნა ლ. კ-ის ბინიდან მესამე პირების გამოსახლება, თუმცა პროცედურები შეჩერდა გ. კ-ის, შემდეგ კი რ. კ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. ამდენად, სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის მოსაზრება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ქმედების განუხორციელებლობის თაობაზე, რადგან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის I განყოფილებამ მიიღო კანონით გათვალისწინებული ყველა ზომა და არაერთხელ ჩანიშნა საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთი ღონისძიება – გამოსახლება. ადმინისტრაციულ ორგანოს ქმედების განხორციელებაზე უარი არ განუცხადებია. გამოსახლების პროცედურები შეჩერდა „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 24.05.2007წ. №747 ბრძანების მე-7 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე. სასამართლომ, სზაკ-ის 207-ე, სსკ-ის 992-ე და 408-ე მუხლებზე მითითებით, აღნიშნა, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. ამასთან, მოხელის ქმედება, რომელმაც ზიანი გამოიწვია უნდა გამომდინარეობდეს მოხელის სამსახურებრივი მოვალეობიდან და უნდა იყოს ბრალეული. განსახილველ შემთხვევაში, საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებები შეჩერდა „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 24.05.2007წ. №747 ბრძანების მე-7 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობის გამო, რაც გამორიცხავს ადმინისტრაციული ორგანოების პასუხისმგებლობას ზიანის ანაზღაურებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე-

თა კოლეგიის 27.11.2015წ. გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 12.04.2017წ. განჩინებით, 15.12.2015წ. კანონით „პოლიციის შესახებ“ კანონში შეტანილი ცვლილებების გამო, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 27.11.2015წ. გადაწყვეტილება და შეწყდა საქმის წარმოება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს I განყოფილებისათვის ლ. კ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთიდან ლ. კ-ის, რ. კ-ის, ლ. კ-ისა და ლ. მ-ის გამოსახლების დავალების მოთხოვნის ნაწილში დავის საგნის არ არსებობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.05.2017წ. გადაწყვეტილებით ლ. კ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 27.11.2015წ. გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, ლ. კ-ის სარჩელი ზიანის ანაზღაურების ნაწილში დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს I განყოფილებას სოლიდარულად დაეკისრა ლ. კ-ის სასარგებლოდ 6050 აშშ დოლარის ექვივალენტის ლარში გადახდა.

პალატამ სზაკ-ის 207-ე, 208-ე, სსკ-ის 992-ე და 412-ე მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ სახეზეა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სავალდებულო წინაპირობები, სახეზეა ზიანის მოთხოვნის დაკმაყოფილებისათვის აუცილებელი მიზეზობრივი კავშირი, რომ არა ადმინისტრაციულ ორგანოთა მიერ ქმედების განუხორციელებლობა არ დადგებოდა ფაქტობრივი ზიანი. ამასთანავე, სახეზეა დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობა, რაც უკავშირდებოდა სადავო უძრავი ნივთის მესაკუთრისათვის დაბრუნებას. შესაბამისად, მოპასუხეები სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლის საფუძველზე ვალდებულნი არიან აანაზღაურონ ზიანი, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ამდენად, სსკ-ის 409-ე მუხლის საფუძველზე მოსარჩელეს უნდა მიეცეს ფულადი ანაზღაურება. პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელემ 23.08.2013წ. მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს პოლიციის I განყოფილებას და მოითხოვა თავის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე, საკუთრების ხელყოფის ანდა სხვაგვარი ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიების განხორციელება.

აღნიშნულ განცხადებაზე რეაგირება ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან განხორციელდა მხოლოდ 23.09.2013წ. გაფრთხილების ოქმის გამოცემით, სხვა რაიმე ქმედითი ღონისძიება განმცხადებლის დასაკმაყოფილებლად ადმინისტრაციულ ორგანოს არ განუხორციელება 2014 წლის 18 სექტემბრამდე (რა დროსაც დანიშნა ხელმყოფ პირთა პირველი გამოსახლება მოსარჩელის კუთვნილი ბინიდან). მითითებულ პერიოდში არ არსებობდა ადმინისტრაციულ ორგანოში წარდგენილი კანონით გათვალისწინებული საპატიო გარემოება, რაც შეაჩერებდა გამოსახლების პროცესს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობამ მოსარჩელეს მიაყენა მატერიალური ზიანი, რაც გამოიხატა იმაში, რომ მან ვერ განახორციელა მესაკუთრის უფლებამოსილება და ვერ გამოიყენა საკუთრებაში არსებული ქონება მატერიალური შემოსავლის მისაღებად. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ვინაიდან საქმის მასალებით დადასტურებული არ არის ისეთი მართლზომიერი გარემოებების არსებობა, რაც გაამართლებდა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობას 2013 წლის 23 აგვისტოდან 2014 წლის 18 ივნისამდე პერიოდში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელს უნდა აუნაზღაურდეს მიუღებელი შემოსავალი, რასაც ის მიიღებდა ბინის გაქირავების შემთხვევაში, ყოველთვიურად 550 აშშ დოლარის ოდენობით, სულ 6050 აშშ დოლარი. პალატამ აღნიშნა, რომ სარჩელი, 2014 წლის 18 სექტემბრიდან გამოსახლების დასრულებამდე პერიოდში მიუღებელი შემოსავლის სახით ყოველთვიურად 550 აშშ დოლარის ანაზღაურების შესახებ, უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს, ვინაიდან საქმის მასალებით დადგენილია, რომ აღნიშნულ პერიოდში არსებობდა გამოსახლების შეჩერების მართლზომიერი საფუძვლები, შესაბამისად, მითითებულ პერიოდზე სახეზე არ არის ადმინისტრაციული ორგანოს უკანონო ქმედება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.05.2017წ. გადაწყვეტილება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ საკასაციო წესით გაასაჩივრა.

კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია და მიღებულია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების სათანადო გამოკვლევისა და შეფასების გარეშე. კონკრეტულ შემთხვევაში, სადავო ნივთი მდებარეობდა ქ. თბილისში, ... ქუჩაზე, შესაბამისად, ტერიტორიულობის პრინციპის დაცვით, ვაკე-საბურთალოს სამმართველოს I განყოფილებას გააჩნდა საქმის წარმოების უფლებამოსილება. 23.08.2013წ. ლ. კ-ის წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა ვაკე-საბურთალოს სამმართველოს I განყოფილებას უძრავ ქონება-

ზე საკუთრების ხელყოფის ან/და სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიების განხორციელების მოთხოვნით. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 24.05.2007წ. №747 ბრძანების შესაბამისად, 23.09.2013წ. ვაკე-საბურთალოს სამმართველოს I განყოფილებამ გ. კ-ის მიმართ გამოსცა გაფრთხილება, რომლითაც ხელმყოფს შეეთავაზა ნებაყოფლობით შეენწყვიტა სხვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფა. გამომდინარე იქიდან, რომ გ. კ-ისა და მისი თანმხლები პირების მიერ არ მოხდა ნებაყოფლობით უძრავი ქონებიდან გასვლა, 18.09.2014წ. ჩაინიშნა იძულებითი გამოსახლება, რაც ვერ განხორციელდა გ. კ-ის მიმე ავადმყოფობის გამო. ხელმყოფის ავადმყოფობის გამო აგრეთვე შეჩერდა 15.10.2014წ, 26.01.2015წ. და 28.10.2015წ. ჩანიშნული გამოსახლების პროცედურები.

კასატორმა აღნიშნა, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებული არ იყო კონკრეტული ვადები და ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი იყო საქმის სრული და ობიექტური შესწავლის შედეგად გამოეცა გაფრთხილება და აღნიშნულის შემდგომ დაენყო იძულებითი წესით უკანონო ხელშეშლის აღკვეთის პროცედურების განხორციელება. ლ. კ-ის წარმომადგენლის მიერ 03.03.2014წ. და 02.04.2014წ. ადმინისტრაციული საჩივრების წარდგენის შემდგომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მასალები რეაგირებისათვის გადაუგზავნა სამინისტროს თბილისის მთავარ სამმართველოს. ამდენად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ნაწილში უმოქმედობის დადგენა სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია. ზემოაღნიშნული გარემოებები სადავოდ არ გაუხდია თბილისის სააპელაციო სასამართლოს. კასატორმა სზაკ-ის 207-ე და 208-ე, სსკ-ის 412-ე და 992-ე მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ ზიანის ანაზღაურებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის სავალდებულო სახეზე იყოს ზიანი, რომელიც მიყენებულია მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, ამასთანავე, მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის უნდა არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 23.09.2013წ. გაფრთხილება, 18.09.2014წ., 15.10.2014წ, 26.01.2015წ. და 28.10.2015წ. ჩანიშნული გამოსახლების ღონისძიებები მეტყველებს იმაზე, რომ ვაკე-საბურთალოს სამმართველოს I განყოფილების მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა არ მომხდარა. ასევე, ადგილი არ ჰქონია შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან უმოქმედობასა და ვალდებულების შეუსრულებლობას. სააპელაციო პალატა სადავო გადაწყვეტილებაში ვერ უთითებს კონკრეტულ ნორმას, კონკრეტულ სამართლებრივ აქტს, რომელიც დაირღვა მოპასუხეების მიერ.

კასატორმა აღნიშნა, რომ თანხის ანაზღაურების პერიოდი პალატამ აითვალა 2013 წლის 23 აგვისტოდან მაშინ, როდესაც ლ. კ-ის წარმომადგენლის მიერ განცხადება სწორედ ამ თარიღში იქნა წარდგენილი. დაუსაბუთებელი და გაურკვეველია პალატის მიერ ვაკე-საბურთალოს სამმართველოს I განყოფილების უმოქმედობის დადგენა განაცხადის შემოტანის დღიდან, ვინაიდან დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ განაცხადის შემოტანის შემდგომ განხორციელდა მისი რეგისტრაცია და გაფრთხილების გამოცემა.

სსკ-ის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განხილულ იქნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლის შედეგად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქ. თბილისში, ... ქ. №118-ში მდებარე №47 ბინაზე, 31.07.2013წ. ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, რეგისტრირებულია ლ. კ-ის საკუთრების უფლება. მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ ის გარემოება, რომ მითითებულ უძრავ ქონებაში სარჩელის აღძვრის მომენტისათვის სამართლებრივ საფუძვლის გარეშე ცხოვრობდა გ. კ-ის ოჯახი. მოსარჩელის წარმომადგენელმა 23.08.2013წ. განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს პოლიციის I განყოფილებას და ლ. კ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან ხელმყოფთა გამოსახლება მოითხოვა. ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს პოლიციის I განყოფილების მიერ 23.09.2013წ. გაიცა „საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის შესახებ“ №1881379 გაფრთხილების ოქმი, რომლის შესაბამისად, ხელმოფ პირებს დაევაღათ უძრავი ქონების დაუყოვნებლივ, ნებაყოფლობით დატოვება. მითითებულ გაფრთხილების შეუსრულებლობის გამო 18.09.2014წ., 15.10.2014წ., 26.01.2015წ. და 28.10.2015წ. ჩაინიშნა იძულებითი წესით უკანონო ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიება – გამოსახლება, რომელიც ყველა მითითებულ შემთხვევაში შეჩერდა ხელმოყოფთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გათვალისწინებით.

ლ. კ-მა 20.06.2014წ. წარდგენილ სარჩელში აღნიშნა, რომ 11 თვის განმავლობაში ადმინისტრაციული ორგანოს დაუდევრობის გამო ვერ სარგებლობს თავისი საკუთრებით, შესაბამისად მოითხოვა მობასუხისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ ქმედების განუხორცი-

ელეზობის გამო მიყენებული ზიანის – 6050 აშშ დოლარისა და ხელმოკოფთა გამოსახლებამდე ყოველთვიურად 550 აშშ დოლარის ანაზღაურების დაკისრება.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 19.1 მუხლის შესაბამისად, საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. ზემოხსენებული ნორმიდან გამომდინარე სახელმწიფოს ეკისრება ნეგატიური ვალდებულება – არ განახორციელოს ისეთი მოქმედებები, რომლებიც იწვევს საკუთრების უფლებაში ჩარევას, ამასთანავე, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებას შეადგენს იმგვარი სამართლებრივი რეგულიაციების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფს საკუთრების უფლების ეფექტურ დაცვას. სსკ-ის 170-ე მუხლის თანახმად, მესაკუთრეს შეუძლია კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შეტოჯვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა მესამე პირთა უფლებები ანდა თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. მესაკუთრის უფლების დაცვის უზრუნველსაყოფად საქართველოს პრეზიდენტის 21.05.07წ. №317 ბრძანებულების და „პოლიციის შესახებ“ კანონის 9.1 მუხლის „ფ“ ქვეპუნქტის შესასრულებლად გამოცემული საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 24.05.2007წ. №747 ბრძანებით დამტკიცებული და სადავო პერიოდში მოქმედი „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესით“ განსაზღვრული იყო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესი, პროცედურები და პირობები, აგრეთვე აღნიშნულ პროცესში მონაწილე პირების უფლებები და მოვალეობები. სწორედ მითითებული ნორმატიული აქტით უნდა ეხელმძღვანელა სადავო პერიოდში უფლებამოსილ ორგანოს საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთი ღონისძიების განხორციელებისას. უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების დაცვა ხორციელდებოდა განცხადების საფუძველზე, რომლის კანონმდებლობასთან შესაბამისობას რეგისტრაციიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ამოწმებდა უფლებამოსილი პირი. ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიების გატარების თაობაზე უარყოფითი პასუხი განმცხადებელს ეცნობებოდა განცხადების რეგისტრაციიდან არაუგვიანეს 30 კალენდარული დღის ვადაში („წესის“ მე-3 და მე-4 მუხლები). კონკრეტულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ლ. კ-ის წარმომადგენლის განცხადებაზე რეაგირების მიზნით ქ. თბილისის მთა-

ვარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს პოლიციის I განყოფილების მიერ 23.09.2013წ. გაიცა „საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის შესახებ“ №1881379 გაფრთხილების ოქმი, რომლის შესაბამისად, ხელმყოფ პირებს დაევალოთ უძრავი ქონების დაუყოვნებლივ, ნებაყოფლობით დატოვება. აღნიშნული ოქმი ჩაბარდა სადავო მისამართზე კანონიერი საფუძვლის გარეშე მცხოვრებ პირს, თუმცა მითითებული გაფრთხილებით განსაზღვრული ვალდებულება ხელმყოფთა მიერ არ შესრულდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 23.09.2013წ. გაფრთხილების ოქმის გამოცემიდან 2014 წლის 18 სექტემბრამდე (რა დროსაც ჩაინიშნა პირველი გამოსახლების ღონისძიება) ადმინისტრაციულ ორგანოს ქმედითი ღონისძიება განმცხადებლის დასაკმაყოფილებლად არ განუხორციელებია, უმოქმედობის შედეგად მოსარჩელეს მიადგა მატერიალური ზიანი, რადგან მან ვერ განახორციელა მესაკუთრის უფლებამოსილება და ვერ გამოიყენა საკუთრებაში არსებული ქონება მატერიალური შემოსავლის მისაღებად. ზაკ-ის 208.1 მუხლის მიხედვით, სახელმწიფოს, ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ზაკ-ის 207-ე მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი. სსკ-ის 1005.1 მუხლის შესაბამისად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, სახელმწიფო (მუნიციპალიტეტი) ან ის ორგანო, რომელშიც აღნიშნული მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის დროს სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე სახელმწიფოსთან (მუნიციპალიტეტთან) ერთად, სოლიდარულად აგებს პასუხს. პალატა აღნიშნავს, რომ მატერიალური ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობისათვის სახეზე უნდა იყოს ზიანი, რომელიც წარმოიშვა თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას განხორციელებული მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, მიზეზობრივი კავშირი პირის ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის და ზიანის მიმყენებლის ბრალი. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მითითებული წინაპირობების უტყუარად არსებობა სააპელაციო პალატის გასაჩივრებელი გადაწყვეტილებით არ დადასტურებულა.

სამსახურეობრივი მოვალეობების განხორციელების შედეგად დამდგარ ზიანად მიიჩნევა ისეთი ზიანი, რომელიც დადგა პირის მიერ შრომითი საქმიანობით გათვალისწინებული ქმედებების განხორციელებისას ან სამსახურეობრივი უფლებამოსილებების გადამეტებისას. მატერიალური (ქონებრივი) ზიანი შესაძლოა გამოიხატოს ქონების დაზიანებაში, შემოსავლის მიუღებლობაში, ჯანმრთელობის დაზიანებაში, დამატებითი ხარჯების განევაში და ა.შ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გამოყოფს ზიანის ორ სახეს: ფაქტობრივად მიყენებულ (რეალურ) ზიანს და მიუღებელ შემოსავალს. მიუღებელი შემოსავალი თავისი ბუნებით გულისხმობს ეკონომიკურ დანაკარგს, რომელიც მხარემ განიცადა და რომელიც არ დადგებოდა, რომ არა ზიანის მიმყენებლის მართლსაწინააღმდეგო ქმედება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ლ. კ-ის სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის დადგენა საჭიროებს მისთვის ადმინისტრაციული ორგანოს წარმომადგენლის მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზიანის (მიუღებელი შემოსავლის) არსებობის გარკვევას.

სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისთვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მიუღებელი შემოსავალი წარმოადგენს სავარაუდო შემოსავალს, განაცდურ მოგებას, რომელიც შესაძლოა მიღებულყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შემთხვევაში და რომლის ანაზღაურებაც მოსარჩელის კომერციულ ინტერესში შედის. იმისათვის, რომ შემოსავალი მიუღებლად ჩაითვალოს, მას პირდაპირი და უშუალო კავშირი უნდა ჰქონდეს ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან. პირდაპირ კავშირში იგულისხმება მოვლენების ისეთი ლოგიკური ბმა, რომელიც არ ტოვებს შემოსავლის მიღების რეალურ შესაძლებლობასთან დაკავშირებულ ეჭვის საფუძველს. აღსანიშნავია, რომ მტკიცების ტვირთის ობიექტური და სამართლიანი განაწილება, ზიანის მიყენების ფაქტის, ასევე განცდილი ზიანის ოდენობის მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აკისრია. ამასთან, ზიანი ობიექტური მოცემულობით უნდა შეფასდეს და არა სუბიექტური დამოკიდებულებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეს უნდა წარმოედგინა მისთვის მიყენებული ზიანისა და მისი მოცულობის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები. ვინაიდან სამოქალაქო კოდექსის 411-ე მუხლი მხოლოდ იმ შემოსავლის ანაზღაურების ვალდებულებას

აკისრებს მხარეს, რომელიც ობიექტური მოცემულობითაა ნაკარ-  
ნახევი და არა პირის სუბიექტური შეფასებით (სუსგ №ას-406-383-  
2014, 17.04.2015წ.), მოსარჩელეს იმგვარი მტკიცებულებები უნდა  
წარმოედგინა, რომლებიც შექმნიდა შემოსავლების მიღებასთან  
დაკავშირებით ობიექტურ, რეალურ სურათს და არა ვარაუდს, ალ-  
ბათობას შემოსავლის მიღების თაობაზე. საქმეში დაცულია მოსარ-  
ჩელის მიერ წარმოდგენილი ლ. სამხარაულის სახელობის სასამარ-  
თლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს №002800614 ექსპერტიზის  
დასკვნა, რომლის თანახმად, ქ. თბილისში, ... №118-ში მე-5 სარ-  
თულზე მდებარე სამოთახიანი სარემონტო ბინის (მთლიანი ფარ-  
თი 104.32 კვ.მ.) ყოველთვიური საბაზრო საიჯარო ქირის მინიმალ-  
ური მთლიანი ღირებულება 03.06.2014წ. მდგომარეობით საორი-  
ენტაციოდ შეადგენს 980 ლარს. სწორედ აღნიშნული დასკვნა მი-  
იჩნია სააპელაციო პალატამ ლ. კ-ისათვის მიყენებული ზიანისა და  
მისი ოდენობის განსაზღვრისთვის საკმარის საფუძვლად, თუმცა  
სასამართლოს არ გაუთვალისწინებია, რომ მითითებული ექსპერ-  
ტიზის დასკვნით დადგენილია სადავო ფართის საიჯარო ქირის სა-  
ორიენტაციო მოცულობა დროის კონკრეტული მომენტისათვის  
(03.06.2014წ.) და არა იმ მთლიანი პერიოდისათვის, როდესაც, საა-  
პელაციო პალატის შეფასებით, მოსარჩელემ ეკონომიკური დანაკ-  
ლის განიცადა (საექსპერტო დასკვნაში აღნიშნულია, რომ შემფა-  
სებლის მიერ მიღებული ღირებულების საბოლოო მაჩვენებელი  
მოქმედია მხოლოდ შეფასების თარიღისათვის, შემფასებელი არ  
იღებს არანაირ პასუხისმგებლობას ეკონომიკური, იურიდიული და  
სხვ. ფაქტორების ცვლილებაზე, რომლებიც შეიძლება წარმოიშ-  
ვას ამ თარიღის შემდეგ და გავლენა იქონიოს საბაზრო სიტუაცია-  
ზე და შესაბამისად შესაფასებელი ობიექტის საიჯარო ღირებუ-  
ლებაზე). ამასთანავე, მოსარჩელეს არ წარმოუდგენია რაიმე მტკი-  
ცებულება რომელიც დაადასტურებდა მის მიერ უძრავი ქონების  
შემოსავლის მიღების მიზნით და არა საცხოვრებლად გამოყენე-  
ბას. მოსარჩელის წარმომადგენელმა ექსპერტიზის ეროვნული ბი-  
უროსგან მოითხოვა უძრავი ქონების საიჯარო ქირის განსაზღვრა,  
საექსპერტო დასკვნის მიხედვით ბინის (მთლიანი ფართი 104.32  
კვ. მ.) ყოველთვიური საბაზრო საიჯარო ქირის მინიმალური მთლი-  
ანი ღირებულება 03.06.2014წ. მდგომარეობით საორიენტაციოდ შე-  
ადგენს 980 ლარს. ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექ-  
სპერტიზის ეროვნული ბიუროს №002800614 დასკვნით, დადგენი-  
ლია ბინის საბაზრო საიჯარო ქირის მინიმალური მთლიანი ღირე-  
ბულება. საქმეში დაცული მასალებით არ დასტურდება ბინის მაც-  
ხოვრებელთა მიერ ფართის გათავისუფლების შემთხვევაში ლ. კ-  
ის მიერ ბინის იჯარის (და არა მაგ: ქირავნობის) ხელშეკრულების

საფუძველზე განკარგვის სავარაუდობა, მით უფრო, რომ უძრავი ქონება წარმოადგენდა საცხოვრებელ სახლს და არა კომერციულ ფართს. იჯარის ხელშეკრულების შემთხვევაში ადგილი აქვს ქონების გადაცემას სასყიდლიანი სარგებლობისათვის, განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით ნაყოფის მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფით. საკასაციო სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, ქირავნობის დროს კონკრეტული, ინდივიდუალურად განსაზღვრული, მოუხმარებადი ნივთი გადაეცემა დამქირავებელს სარგებლობაში, ხოლო იჯარის შემთხვევაში გადაეცემა ქონება, რომელიც მოიჯარეს აძლევს მატერიალური სარგებლის მიღების შესაძლებლობას, იჯარის ხელშეკრულების დადებისას, მოიჯარეს გადაეცემა ისეთი უძრავი ქონება, რომელიც იმთავითვე იძლევა ნაყოფის მიღების შესაძლებლობას (სუს სამოქალაქო საქმეთა პალატის 18.12.2015წ. №ას-738-700-2015 განჩინება). ამდენად, იჯარის ხელშეკრულება (განსხვავებით ქირავნობისაგან) ითვალისწინებს სამეურნეო დანიშნულებას, იჯარის საგნისაგან ნაყოფის მიღების შესაძლებლობას. ამდენად, საიჯარო ქირის შესაბამისად ზიანის გაანგარიშება საჭიროებდა ლ. კ-ის მიერ ბინის სწორედ იჯარის ხელშეკრულების საფუძველით განკარგვის სავარაუდობის დამტკიცებას. ამასთანავე, საექსპერტო დასკვნის საპირისპიროდ, სააპელაციო პალატა მიუთითებს, რომ მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს ის ზიანი, რასაც ის მიიღებდა ბინის გაქირავების შემთხვევაში, თუმცა ზიანის ოდენობის განსაზღვრისათვის, პალატა იმ დასკვნას დაეყრდნო, სადაც მითითებულია ბინის საიჯარო და არა ქირავნობის ხელშეკრულების დადების შემთხვევაში მისაღები ქირის ოდენობა. ზემოხსენებული გარემოებები სააპელაციო პალატის მიერ არ ყოფილა გათვალისწინებული, შესაბამისად, მიუღებელი შემოსავლის სახით არსებული ზიანის ოდენობა უტყუარად არ დასტურდება.

დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს შეფასება ადმინისტრაციული ორგანოების ბრალეულობასთან და მათი უმოქმედობის მართლწინააღმდეგობასთან დაკავშირებით. სადავო გადანაცვებიდან არ არის მითითებული კონკრეტულად რომელი ნორმატიული აქტის მოთხოვნები იქნა უგულვებელყოფილი მოპასუხეთა მიერ. აღსანიშნავია, რომ სადავო პერიოდში მოქმედი „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 24.05.2007წ. №747 ბრძანება (ძალადაკარგულია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 01.03.2016წ. №75 ბრძანებით) არ შეიცავს მითითებას საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის იძულებითი

წესით აღკვეთის ვადაზე, ასეთ ჩანაწერს არ შეიცავს აგრეთვე ამჟამად მოქმედი „საცხოვრებელი სახლიდან/ბინიდან ან/და სხვა მფლობელობიდან უკანონო მფლობელისა და მასთან მყოფი პირის/პირების გამოსახლების/გამოყვანის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 01.03.2016წ. №75 ბრძანება. სააპელაციო პალატა არ უთითებს გამოსახლების აღსრულების რა ვადა იქნა სააპელაციო პალატის მიერ მიჩნეული გონივრულ ვადად, რომლის გასვლის შემდეგ ადმინისტრაციულ ორგანოს უმოქმედობამ ზიანი მიაყენა მოსარჩელეს, სააპელაციო პალატამ აღსრულებისათვის გონივრული პერიოდის განსაზღვრის გარეშე ზიანის მიმყენებელი პერიოდი აითვალა განცხადების შეტანის დღიდან (23.08.2013წ.). განცხადების შეტანის დღიდან უმოქმედობის ვადის დადგენა და ამ პერიოდიდან ზიანის ათვლა დაუსაბუთებელია და არ ემყარება რაიმე სამართლებრივ საფუძველს. სააპელაციო პალატამ 23.08.2013წ. განცხადებაზე ერთვანი ვადაში (23.09.2013წ.) რეაგირება – ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – „საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის შესახებ“ №1881379 გაფრთხილების ოქმის გამოცემა ასევე დარღვევად მიიჩნია, თუმცა არ მიუთითა ასეთი შეფასების სამართლებრივი საფუძველი.

სააპელაციო პალატამ მართლზომიერად მიიჩნია 18.09.2014წ., 15.10.2014წ., 26.01.2015წ. და 28.10.2015წ. ჩანიშნული გამოსახლების პროცედურების შეჩერება, თუმცა პალატას არ უმსჯელია 2014 წლის 18 სექტემბრამდე პერიოდში უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიების შეჩერების მართლზომიერი საფუძველების შესაძლო არსებობის თაობაზე. სადავო პერიოდში მოქმედი „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 24.05.2007წ. №747 ბრძანება ითვალისწინებდა ამგვარი საფუძველების ჩამონათვალს. მითითებული ბრძანების 8.1 მუხლის „ე<sup>1</sup>“ ქვეპუნქტის თანახმად, საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის ღონისძიებების შეწყვეტის საფუძველი იყო უძრავ ნივთთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის გამოძიების მიმდინარეობა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. საქმეში დაცულია მესამე პირების (ლ. მ-ის, ლ. კ-ის) განცხადებები, რომლებშიც ისინი აღნიშნავდნენ ბინასთან დაკავშირებით თაღლითობის ფაქტზე გამოძიების მიმდინარეობის საკითხს. საქმეში დაცულია ლ. მ-ის განცხადება, რომელიც გამოსახლებამდე მოითხოვდა პროკურატურის და შინაგან საქმეთა ორგანოსათვის მის მიმართებებზე პასუხის გაცემამდე გამოსახ-

ლების პროცედურების შეენწყვეტას, განცხადებას თან ერთვოდა აღნიშნული ორგანოებისადმი მიმართვების ტექსტები. საქმის მასალებით დასტურდება აგრეთვე, რომ ვაკე-საბურთალოს პოლიციისათვის გამოსახლების დაწყებამდე განცხადებით მიმართული ჰქონდა გ. კ-ის, რომელმაც აღნიშნა, რომ იყო მწოლიარე ავადმყოფი, იმყოფებოდა ინტენსიური მკურნალობის პროცესში, განცხადებას თან ერთვოდა ავადმყოფობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. საქმის მასალებით დასტურდება აგრეთვე, რომ 20.10.2014წ. გ. კ-ე გარდაიცვალა. საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშემშლის აღმკვეთი ღონისძიებების შეჩერების შესახებ ოქმებით დასტურდება, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს I განყოფილების მიერ ჩანიშნული გ. კ-ის გამოსახლება თანმხლებ პირებთან ერთად ვერ განხორციელდა გ. კ-ის მიძიმე ავადმყოფობის გამო, ხოლო მისი გარდაცვალების შემდეგ გამოსახლება ვერ განხორციელდა რ. კ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. გამოსახლება შეჩერდა „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშემშლის აღკვეთის წესის“ მე-7 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტს საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ გამოსახლების შეჩერება მართლზომიერად მიიჩნია, ამასთანავე სასამართლოს არ უმსჯელია აღსრულების დამაბრკოლებელი გარემოების, აღსრულების გადადების პირობის არსებობის საკითხზე იმ პერიოდის განმავლობაში, რომელზეც მოპასუხეს დაეკისრა ზიანის ანაზღაურება მაშინ, როდესაც მოვალის ან მისი ოჯახის წევრის ავადმყოფობა ზოგადი წესის თანახმად ითვლება აღსრულების მორალის ზოგად პრინციპებთან და ნორმებთან შეუსაბამო განსაკუთრებულ ვითარებად, რომელიც არის რამოდენიმე თვით აღსრულების ღონისძიების აკრძალვის ან დროებით შეჩერების საფუძველი.

წინააღმდეგობრივია სააპელაციო პალატის მოსაზრება ზიანის ანაზღაურების პერიოდთან დაკავშირებით. სადავო გადაწყვეტილებაში სააპელაციო პალატა ერთის მხრივ, უთითებს, რომ 23.09.2013წ. გაფრთხილების ოქმის გამოცემიდან 2014 წლის 18 სექტემბრამდე (პირველი გამოსახლების პროცედურის ჩანიშვნამდე) განმცხადებლის დასაკმაყოფილებლად მოპასუხეებს რაიმე ქმედითი ღონისძიება არ განუხორციელებიათ, ხოლო მეორე მხრივ, აღნიშნავს, რომ საქმის მასალებით არ დადასტურებულა ისეთი მართლზომიერი გარემოებების არსებობა, რაც გაამართლებდა მოპასუხის უმოქმედობას 2013 წლის 23 აგვისტოდან 2014 წლის 18 ივნისამდე პერიოდში, რის გამოც სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელეს უნდა აუნაზღაურდეს მითითებულ პერიოდზე მიუ-

ღებელი შემოსავალი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელის წარმომადგენელმა 23.08.2013წ. განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის მთავარი სამმართველოს პოლიციის I განყოფილებას და ლ. კ-ის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან ხელმოყოფთა გამოსახლება მოითხოვა. უკვე აღინიშნა, რომ დაუსაბუთებელია ზიანის ანაზღაურების პერიოდის დასაწყისად 2013 წლის 23 აგვისტოს განსაზღვრა, ამასთანავე, გაურკვეველია თუ რატომ უნდა მოხდეს ზიანის ანაზღაურება 2014 წლის 18 ივნისამდე პერიოდზე მაშინ, როდესაც პირველი გამოსახლების ღონისძიება 18.09.2014წ. იყო ჩანიშნული, სააპელაციო პალატას 2014 წლის 18 ივნისამდე ზიანის ანაზღაურების პერიოდის დასაბუთებისათვის არ მოუყვანია რაიმე არგუმენტაცია. აღსანიშნავია, რომ 2013 წლის 23 აგვისტოდან 2014 წლის 18 ივნისამდე არის ათთვიანი შუალედი, თუმცა სადავო გადაწყვეტილებით მოპასუხეებს დაეკისრათ 6050 დოლარის (თითოეულ თვეზე 550 დოლარის) ანუ თერთმეტი თვის ქირის საფასური (550x11=6050). აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სადავო გადაწყვეტილება შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო შეფასებებსა და დასკვნებს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება მოკლებულია სამართლებრივ და ფაქტობრივ წინამძღვრებს, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება შეუძლებელია, რაც სსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივრის აბსოლუტურ საფუძველს ქმნის. ზემოაღნიშნული, თავის მხრივ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე ხელახალი განხილვისათვის იმავე სასამართლოსათვის დაბრუნების პირობაა. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას საქმე უნდა დაუბრუნდეს ხელახალი განხილვისთვის

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

## **დაადგინა:**

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 10.05.2017წ. გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახალი განხილვისთვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. სასამართლო ხარჯები განაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების დადგენისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **2. ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება**

### **მკურნალობისათვის განეული თანხის გადახდის ვალდებულება**

#### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-445-445(კ-18)

16 ოქტომბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** ერთჯერადი დახმარების გაცემა და მატერიალური ზიანის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ზ. გ-ემ 2017 წლის 17 თებერვალს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მოსარჩელის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას ტრავმის გამო, ერთჯერადი დახმარების სახით – 7 000 ლარის ანაზღაურების დაკისრება, ასევე მოითხოვა მიყენებული მატერიალური ზიანის (მკურნალობისათვის განეული ხარჯი) – 4 435 ლარის ანაზღაურება.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ 2006 წლის 23 მარტიდან ირიცხებოდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახმელეთო ჯარების მე-3 ქვეითი ბრიგადის 32-ე მსუბუქ ბატალიონში – დელტა ასეულში. 2007 წლის 21 ნოემბერს ერაყში, კერძოდ, მე-5 ბაზაზე სანგრების გაკეთების დროს მოხდა საარტილერიო დაბომბვა, სადაც მიიღო მარცხენა ილღის უკანა მხარეს ფეთქებადი, ნამსხვრევი ჭრილობები და ამ ჭრილობების შედეგად დაუზიანდა ხერხემალი. მოსარჩელის განმარტებით, მკურნალობის კურსს თავდაპირველად გადიოდა ერაყში, სამხედრო ჰოსპიტალში, ხოლო შემდეგ საქართველოში – გორის სამხედრო ჰოსპიტალში, საიდანაც განერის შემდეგ დაბრუნდა სამხედრო ბაზაზე. გარკვეული პერიოდის შემდეგ დაეწყო აუტანელი ტკივილები და მოითხოვა მკურნალო-

ბა, რის შედეგად გაგზავნილ იქნა გორის სამხედრო ჰოსპიტალში. არასათანადო მკურნალობის შედეგად ტკივილი გადავიდა ფეხებზე და დაიწყო კოჭლობა.

მოსარჩელე მიუთითებს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რიგებიდან გაანთავისუფლეს მოულოდნელად და ყოველგვარი გაფრთხილების, კონტრაქტით გათვალისწინებული კომპენსაციის მიღებისა და სათანადო მკურნალობის გარეშე. აღნიშნულ საკითხზე არაერთხელ მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, თუმცა დადებითი პასუხი ვერ მიიღო. მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ არის აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირი, ჰყავს ორი მცირეწლოვანი შვილი და მეორე ჯგუფის ინვალიდი მამა. თავის სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მიუთითა „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლი მე-3 პუნქტი და მოითხოვა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას სხეულის დაზიანებისათვის ერთჯერადი დახმარება 7000 ლარის ოდენობით, ასევე მოითხოვა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის ჩატარებული მკურნალობის ხარჯისა და გამოკვლევებისათვის მის მიერ გაწეული ხარჯის – 4435 ლარის ოდენობით დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ზ. გ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით ზ. გ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ზ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა; სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მიღებული ჭრილობის გამო, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, ზ. გ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ერთჯერადი დახმარების სახით – 7 000 ლარის გაცემა; მასვე დაეკისრა ზ. გ-ისათვის მატერიალური ზიანის – 4 435 ლარის ანაზღაურება;

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელის საფუძვლად მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი კვალიფიკაცია ქმნიდა საფუძველს იმისათვის, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის დაეკისრებინა მოსარჩელის მიერ მითითებული თანხა სრული ოდენობით, კერძოდ, სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის

2006 წლის 27 ივნისის №1525 ბრძანებით, რიგითი – ზ. გ-ე განვეულ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში და კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად დაინიშნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-3 ქვეითი ბრიგადის 32-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის სამტაბო და უზრუნველყოფის ასეულის დაზვერვის ოცეულის რეკოგნოსცირების ჯგუფის მზვერავად 2006 წლის 29 მარტიდან, სამხედრო წოდება „კაპრალის“ მინიჭებით. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ (მეთაური შ. ტ-ის) გაცემული ცნობით დგინდება, რომ ზ. გ-ემ (დაბ. ... წ.) 2007 წლის 21 ნოემბერს ერაყში, ვასიტის პროვინციაში, №5 საპატრულო ბაზაზე ჭურვების ჩამოყრის შედეგად მიიღო ნამსხვრევების შემავალი ჭრილობა მარცხენა ბეჭის არეში. ცნობაში მითითებულია, რომ აღნიშნული დასახიჩრება (ჭრილობა, ტრავმა, კონტუზია) მიღებულია სამხედრო სამსახურის მოვალეობის შესრულების დროს. 2008 წლის 25 ივნისს სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის მიერ, ს/ნ: 16103 მეთაურის 2008 წლის 17 ივნისის №876 მიმართვის საფუძველზე, ზ. გ-ის სახელზე გაიცა №... ავადმყოფობის მოწმობა. მოწმობის თანახმად, ზ. გ-ეს, 2007 წლის 21 ნოემბერს მიღებული აქვს ფეთქებადი, ნამსხვროვანი ბრმა ჭრილობები სამხედრო სამსახურის დროს. დიაგნოზი: ხერხემლის წელის სეგმენტის ოსტეოქონდროზი და პოლიდისკოპათია; წელის II, III, IV და V მალთაშუა შმორლის თიაქრები; წელის IV და V მალთაშუა დისკების უკანა მედიოლატერალური თიაქრები მარცხნივ; მარჯვენამხრივი წელის IV-V გავის I ფესვობრივი ტკივილების სინდრომი; ზომიერად გამოხატული, ფუნქციის უმნიშვნელო დარღვევით; ქრონიკული გასტროდუოდენიტი. მარცხენა ილღის ქვეშა მიდამოს უცხო სხეული; მოწმობაში მითითებულია, რომ დაავადება მიღებულია სამხედრო სამსახურის პერიოდში. დასკვნის სახით მიეთითა, რომ შეზღუდულად ვარგისია სამხედრო სამსახურისთვის. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 17 ივლისის №3678 ბრძანებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის სახმელეთო ჯარების მე-3 ქვეითი ბრიგადის 32-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის სამტაბო და უზრუნველყოფის ასეულის დაზვერვის ოცეულის დაზვერვის ჯგუფის მზვერავი, კაპრალი – ზ. გ-ე ჩაითვალა დათხოვნილად შეიარაღებული ძალების რიგებიდან თადარიგში 2008 წლის 25 ივნისიდან (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის სიებიდან ამორიცხვითა და ყველა სახის კმაყოფიდან მოხსნით), „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის (ავადმყოფობის გამო) თანახმად.

სსიპ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის დირექტორის 2010 წლის 20 იანვრის №1/103 წერილით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსს ეცნობა, რომ კაპრალ ზ. გ-ის სამხედრო სამსახურისათვის უფარგისობა განაპირობა ხერხემლის დაავადებამ, რაც შეეხება მარცხენა ილღის მიდამოს უცხო სხეულს, რომელიც პაციენტს მიღებული აქვს ერაცის რესპუბლიკაში სამშვიდობო მისიის შესრულების დროს, არაფიზიკური კავშირი არ აქვს დაავადებასთან, რომელმაც გამოიწვია მისი სამხედრო სამსახურისათვის უფარგისობა. წერილით ასევე ეცნობა, რომ ხერხემლის წელის სეგმენტის ოსტეოქონდროზი და პოლიდისკოპათია წელის II, III, IV და V მალთაშუა შმორლის თიაქრები, მარცხნივ, მარჯვენამხრივი წელის IV და V გავის I ფესვობრივი ტკივილების სინდრომი, ზომიერად გამოხატული, ფუნქციის უმნიშვნელო დარღვევით, ქრონიკული გასტროდუოდენტი არ იყო დაკავშირებული სამხედრო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ორგანიზაციული უზრუნველყოფისა და კონტროლის სამმართველომ განიხილა სამსახურებრივი შემონმების მასალები, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს III ქვეითი ბრიგადის 32-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის საშტაბო და უზრუნველყოფის ასეულის დაზვერვის ოცეულის დაზვერვის ჯგუფის მზვერავის, კაპრალ – ზ. გ-ის ტრავმის ფაქტთან დაკავშირებით და 2010 წლის 28 იანვარს გაიცა დასკვნა, რომელშიც ჩატარებული სამსახურებრივი შემონმებით დადგინდა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს III ქვეითი ბრიგადის 32-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის საშტაბო და უზრუნველყოფის ასეულის დაზვერვის ოცეულის დაზვერვის ჯგუფის მზვერავის, კაპრალ – ზ. გ-ის ხერხემლის დაავადება – ხერხემლის წელის სეგმენტის ოსტეოქონდროზი და პოლიდისკოპათია, წელის II, III, IV და V მალთაშუა შმორლის თიაქრები, მარცხნივ, მარჯვენამხრივი წელის IV და V გავის I ფესვობრივი ტკივილების სინდრომი, ზომიერად გამოხატული, ფუნქციის უმნიშვნელო დარღვევით, ქრონიკული გასტროდუოდენტი არ არის დაკავშირებული სამხედრო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზ. გ-ის ხერხემლის დაავადება არ ჩაითვალა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დამადასტურებელ პირობად და მის მიმართ არ იქნა გავრცელებული საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანებით გათვალისწინებული მატერიალური უზრუნველყოფის ღონისძიებები.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ გადაწყვეტილების მიღება მოხდა სადავო ურთიერთობის მარეგულირებელი სპეციალური ნორმების მოთხოვნათა გაუთვალისწინებლად და აღნიშნა, რომ სამხედრო მოსამსახურის სტატუსის მქონე პირების უფლება-მოვალეობები, მათთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის მინიჭებული სოციალური გარანტიები განსაზღვრულია საქართველოს კანონით „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“. მითითებული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს: სამხედრო მოსამსახურეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაჭრის ან დასახიჩრების შემთხვევაში, სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიეცემა ერთჯერადი დახმარება, არა უმეტეს 7 000 ლარისა. ანალოგიურ დათქმას ითვალისწინებს „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანება (მოთხოვნის პერიოდისათვის მოქმედი რედაქცია), რომლის 38-ე პუნქტი ადგენს: სამხედრო მოსამსახურეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაჭრის ან დასახიჩრების შემთხვევაში, თუ დადგენილი არ არის ამ ბრძანების 42<sup>1</sup> პუნქტით განსაზღვრული გარემოებები, სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიეცემა ერთჯერადი დახმარება შემდეგი ოდენობით: ა) მძიმე დაზიანება – 7 000 ლარი; ბ) ნაკლებად მძიმე დაზიანება – 3 000 ლარი. ამავე შინაარსის ნორმებს ადგენს საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 15 იანვრის №1 ბრძანებით დამტკიცებული, ამჟამად მოქმედი, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობების“ 47-ე მუხლი.

სააპელაციო სასამართლომ დავის გადაწყვეტის თვალსაზრისით ასევე მნიშვნელოვნად მიიჩნია, 2006 წლის 29 მარტს მოსარჩელესა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობები. ხელშეკრულების საფუძველზე „სამხედრო მოსამსახურე“ ვალდებულია იღებდა კეთილსინდისიერად ემსახუროს „სამინისტროს“ სამხედრო ქვედანაყოფებში, ხოლო „სამინისტრო“ იღებდა ვალდებულებას, რომ „სამხედრო მოსამსახურეს“ გადაუხდიდა შეთანხმებულ ხელფასს და უზრუნველყოფდა შესაბამისი პირობებით. ხელშეკრულების 5.1.7 პუნქტის საფუძველზე სამინისტრო კისრულობდა ვალდებულებას, სამხედრო მოვალეობის შესრულებისას „სამხედ-

რო მოსამსახურის“ გარდაცვალების, დაჭრის ან დასახიჩრების შემთხვევაში მას და მის ოჯახს გადაუხადოს დახმარება კანონმდებლობით გათვალისწინებული სამხედრო ან სპეციალური სარგოს ოდენობით.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სამხედრო მოსამსახურისათვის ერთჯერადი დახმარების ვალდებულება ჩნდება იმ პირობებში, თუ სამხედრო მოსამსახურე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაიჭრა ან დასახიჩრდა. სამხედრო მოსამსახურის დაჭრის პირობებში კომპენსირების ვალდებულებას ადგენს ასევე მხარეთა შორის შეთანხმებული პირობები. სააპელაციო პალატამ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადასტურებულად მიიჩნია, რომ ზ. გ-ემ (დაბ. ... წ.) 2007 წლის 21 ნოემბერს ერავში, ვასიტის პროვინციაში, №5 საპატრულო ბაზაზე ჭურვების ჩამოყრის შედეგად მიიღო ნამსხვრევების შემავალი ჭრილობა მარცხენა ბეჭის არეში. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ (მეთაური შ. ტ-ის) გაცემული ცნობით დადგენილად მიიჩნია, რომ აღნიშნული დასახიჩრება (ჭრილობა, ტრავმა, კონტუზია) მიღებულია სამხედრო სამსახურის მოვალეობის შესრულების დროს და აღნიშნულის საწინააღმდეგო მტკიცებულებები საქმეში წარმოდგენილი არ იყო შესაბამისად აღნიშნული გარემოებები ქმნიდა კანონით განსაზღვრული კომპენსაციის გაცემის საფუძველს.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითება სსიპ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის დირექტორის 2010 წლის 20 იანვრის №1/103 წერილზე, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსს ეცნობა, რომ კაპრალ ზ. გ-ის სამხედრო სამსახურისათვის უვარგისობა გამოიწვია ხერხემლის დაავადებამ, რაც შეეხება მარცხენა ილიის მიდამოში უცხო სხეულს, რომელიც ერავის რესპუბლიკაში სამშვიდობო მისიის შესრულების დროიდან აქვს პაციენტს, კავშირი არა აქვს დაავადებასთან, რომელმაც გამოიწვია ზ. გ-ის სამხედრო სამსახურისათვის უვარგისობა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მიზეზ-შედეგობრივი კავშირის კვლევა და სამოქალაქო კოდექსის 1005-ე, 992-ე, 408-ე მუხლებზე მითითებით დასკვნის გაკეთება, იმის თაობაზე, რომ ზ. გ-ეს ტრავმა, რომელმაც გამოიწვია მისი სამხედრო ძალებიდან დათხოვნა მიღებული აქვს სამხედრო სამსახურის პერიოდში, მაგრამ არა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას და დამდგარ შედეგში მოპასუხეს არ მიუძღვის ბრალი, წარმოადგენს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის შეცვლას, რამდენადაც მოსარჩელის მოთხოვნა – აუნაზღაურდეს ზიანი უკავშირდე-

ბა არა იმ გარემოებას, რომ მისი სამსახურიდან დათხოვნა მოხდა კანონდარღვევით ან/და მოპასუხეს ბრალი მიუძღვის მოსარჩელის სხეულის დაზიანებაში, არამედ მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნება იმ უდავო ფაქტობრივ გარემოებას, რომ ის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პირობებში დაიჭრა, მიიღო სხეულის დაზიანება და როგორც სამხედრო მოსამსახურე, ექვემდებარება კანონით გათვალისწინებულ კომპენსირებას.

სააპელაციო სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია ასევე მოსარჩელის მოთხოვნა მკურნალობისათვის განეული ხარჯის ანაზღაურების ნაწილში და აღნიშნა, რომ იმ პირობებში, როდესაც დასტურდება მოსარჩელის ჯანმრთელობისათვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიყენებული ზიანის ფაქტი, მოთხოვნა, ჯანმრთელობის აღდგენის მიზნით განეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე, არის საფუძვლიანი და ამ ნაწილში, სააპელაციო სასამართლომ, შესაძლებლად მიიჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილების მატერიალურ-სამართლებრივ საფუძვლად ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელ ნორმებზე მითითება. ამავდროულად სააპელაციო სასამართლომ პრინციპულად გამორიცხა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პოზიცია იმის თაობაზე, რომ სამხედრო მოსამსახურის დაჭრასა და მის ამჟამინდელ ჯანმრთელობის მდგომარეობას შორის მიზეზობრივი კავშირი არ იკვეთება.

სააპელაციო პალატამ მიუთითა სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის მიერ 2008 წლის 25 ივნისს, ს/ნ: 16103 მეტაურის 2008 წლის 17 ივნისის №876 მიმართვის საფუძველზე გაცემულ №... ავადმყოფობის მოწმობაზე, რომელშიც აღნიშნულია: ზ. გ-ეს, 2007 წლის 21 ნოემბერს მიღებული აქვს ფეთქებადი, ნამსხვროვანი ბრმა ჭრილობები სამხედრო სამსახურის დროს. დიაგნოზი: ხერხემლის წელის სეგმენტის ოსტეოქონდროზი და პოლიდისკოპათია. წელის II, III, IV და V მალთაშუა შმორლის თიაქარები. წელის IV და V მალთაშუა დისკების უკანა მედიოლატერალური თიაქარები მარცხნივ. მარჯვენამხრივი წელის IV- V გავის I ფესვობრივი ტკივილების სინდრომი, ზომიერად გამოხატული, ფუნქციის უმნიშვნელო დარღვევით. ქრონიკული გასტროდუოდენიტი. მარცხენა იღლის ქვეშა მუცლის უცხო სხეული. დაავადება მიღებულია სამხედრო სამსახურის პერიოდში. აღნიშნული დასკვნა გაცემულია სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის მიერ. „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური ნოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანების 38-ე და 39-ე მუხლები ადგენს, რომ სამხედრო მოსამსახურეს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაჭრის ან დასახიჩრების შემთხვევაში, დაზიანების სიმძიმის ხარისხს განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი. იმავე ჰოსპიტალის დასკვნის სავალდებულობაზე მიუთითებს საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 15 იანვრის №1 ბრძანებით დამტკიცებული, ამჟამად მოქმედი, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობები“. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც დიაგნოზი ფაქტობრივად არ შეცვლილა, დაუდგენელია, 2010 წელს რა ობიექტურმა გარემოებებმა გამოიწვია სამხედრო მოსამსახურის დაჭრასა და მის ჯანმრთელობის მდგომარეობას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა, მაშინ, როდესაც, კომპეტენტური სამედიცინო დაწესებულება 2008 წელს გაცემული დასკვნით ადასტურებს, რომ დაავადება მიღებულია სწორედ სამხედრო სამსახურის პერიოდში. ზემოაღნიშნულ გარემოებებზე დაყრდნობით და საქმეში წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის მკურნალობისათვის განეული ხარჯის – 4 435 ლარის ანაზღაურების თაობაზე ასევე საფუძვლიანია და ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორის მიუთითებს, რომ სააპელაციო პალატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იურიდიულად საკმარისად არ არის დასაბუთებული და ის უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალურ ინსპექციაში ზ. გ-ის ტრავმის ფაქტთან დაკავშირებით ჩატარებული სამსახურებრივი შემონმების ფარგლებში, გორის სამხედრო ჰოსპიტალიდან გადმოგზავნილ 2009 წლის 20 იანვრის №1/103 წერილის თანახმად ზ. გ-ის მიერ 2007 წლის 21 ნოემბერს ერაყის რესპუბლიკაში მიღებული ჯანმრთელობის დაზიანება არ არის დაკავშირებული ხერხემლის დაავადებასთან და ასევე აღნიშნული დაავადება არ არის დაკავშირებული სამხედრო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან.

კასატორის მითითებით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2010 წლის 28 იანვრის დასკვნის თანახმად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-3 ქვეითი ბრიგადის 32-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის სამტაბო და უზრუნველყოფის ასეულის დაზვერვის ოცეულის დაზვერვის ჯგუფის მზვერავის, კაპრალ ზ. გ-ის ხერხემლის დაავადება – ხერხემლის წელის სეგმენტის ოსტეოქონდროზი და პოლიდისკოპათია, წელის II, III, IV და V მალთაშუა შმორლის თიაქარები. წელის IV და V მალთაშუა დისკების უკანა მედიოლატერალური თიაქარები მარცხნივ. მარჯვენამხრივი წელის IV- V გავის I ფესვობრივი ტკივილების სინდრომი, ზომიერად გამოხატული, ფუნქციის უმნიშვნელო დარღვევით. ქრონიკული გასტროდუოდენიტი არ არის დაკავშირებული სამხედრო მოვალეობის შესრულებასთან.

კასატორი აღნიშნავს, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 17 ივლისის №3678 ბრძანებით ზ. გ-ე დათხოვნილ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებიდან თადარიგში 2008 წლის 25 ივნისიდან „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად (ავადმყოფობის გამო). სახმელეთო ჯარების დასავლეთ სარდლობის მე-3 ქვეითი ბრიგადის 2017 წლის 5 აპრილის №319083 წერილით ზ. გ-ეს დათხოვნისას მიეცა ერთჯერადი გასასვლელი დახმარება ავადმყოფობის გამო 603 ლარის და 16 თეთრის ოდენობით.

კასატორი მიუთითებს, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური ნოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანების 38-ე პუნქტზე და აღნიშნავს, რომ დაზიანების სიმძიმის მიხედვით ერთჯერადად გასაცემი თანხის ოდენობა განსხვავებულია, კერძოდ, მძიმე დაზიანების შემთხვევაში სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადი დახმარება გაიცემა 7000 ლარის ოდენობით, ხოლო ნაკლებად მძიმე დაზიანების შემთხვევაში 3000 ლარის ოდენობით, სააპელაციო პალატამ კი ისე მიიღო ერთჯერადი დახმარების სახით 7000 ლარის თავდაცვის სამინისტროსათვის დაკისრების გადაწყვეტილება, რომ გამოკვლეული არ ყოფილა ზ. გ-ის ჯანმრთელობის დაზიანების სიმძიმის ხარისხი და არც ამის დამადასტურებელი მტკიცებულება ყოფილა საქმეში წარმოდგენილი.

კასატორი მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე, სამოქალაქო კოდექსის 992-ე და 1005-ე მუხ-

ლებზე და აღნიშნავს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უსაფუძვლოდ დაეკისრა მოსარჩელე ზ. გ-ისათვის მატერიალური ზიანის სახით – 4 435 ლარის გადახდა, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებით დადასტურებულია, რომ ზ. გ-ის დაავადება ხერხემლის წელის სეგმენტის ოსტეოქონდროზი და პოლიდისკოპათია; წელის II, III, IV და V მალთაშუა შმორლის თიაქრები; წელის IV და V მალთაშუა დისკების უკანა მედიოლატერალური თიაქრები მარცხნივ; მარჯვენამხრივი წელის IV- V გავის I ფესვობრივი ტკივილების სინდრომი, ზომიერად გამოხატული, ფუნქციის უმნიშვნელო დარღვევით; ქრონიკული გასტროდუოდენიტი არ არის დაკავშირებული სამხედრო მოვალეობის შესრულებასთან და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა მატერიალური ზიანის ანაზღაურება, რაც მისი ბრალეულობით გამოწვეული არ ყოფილა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 10 ივლისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად; საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება მატერიალური ზიანის სახით საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის 4 435 ლარის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდება ზ. გ-ის სასარჩელო მოთხოვნა – მატერიალური ზიანის – 4 435 ლარის ანაზღაურების თაობაზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მატერიალური ზიანის სახით საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის – 4 435 ლარის დაკისრების გაუქმების მოთხოვნის ნაწილში, რამდენადაც თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დაეკისრა ზ. გ-ის მიერ გაღებული მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება, ისეთ პირობებში, როდესაც საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ დგინდება მიზეზობრივი კავშირი სამხედრო სამსახურის გავლის

დროს მიღებულ ტრავმასა და არსებულ დიაგნოზს შორის, რომლისთვისაც ზ. გ-ემ გასწია მკურნალობის ხარჯი.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ განსახილველ საქმეზე სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მოპასუხისათვის ზ. გ-ის სასარგებლოდ ერთჯერადი დახმარების – 7000 ლარისა და მკურნალობისთვის განუხილავ ხარჯის – 4 435 ლარის დაკისრება.

საქმეზე დადგენილია, რომ 2006 წლის 29 მარტს, ერთი მხრივ – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელსა და მეორე მხრივ – ზ. გ-ეს შორის დაიდო №8111 ხელშეკრულება (კონტრაქტი) თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ქვედანაყოფებში სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ. ხელშეკრულების პირველი მუხლის თანახმად, „სამხედრო მოსამსახურე“ ვალდებულებას იღებდა წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით კეთილსინდისიერად ემსახურა „სამინისტროს“ სამხედრო ქვედანაყოფებში, ხოლო „სამინისტრო“ ვალდებულებას იღებდა გადაეხადა „სამხედრო მოსამსახურეს“ შეთანხმებული ხელფასი და უზრუნველყოფდა იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სამხედრო სამსახურითა და შესაბამისი პირობებით. ხელშეკრულების მე-5 მუხლით განისაზღვრა სამინისტროს ვალდებულებანი, ხოლო მე-6 მუხლით „სამხედრო მოსამსახურის“ ვალდებულებები. ხელშეკრულების 9.1.1. პუნქტით, ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს „სამინისტროს“ მიერ „სამხედრო მოსამსახურისათვის“ წინასწარი, ერთი თვით ადრე გადაცემული წერილობითი შეტყობინების მეშვეობით „სამხედრო მოსამსახურის“ ავადმყოფობის გამო, რაც შეუძლებელს ხდის მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 27 ივნისის №1525 ბრძანებით, რიგითი ზ. გ-ე განვეულ იქნა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში და დაინიშნა კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მე-3 ქვეითი ბრიგადის 32-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის სამტაბო და უზრუნველყოფის ასეულის დაზვერვის ოცეულის რეკოგნოსცირების ჯგუფის მზვერავად 2006 წლის 29 მარტიდან, სამხედრო წოდება „კაპრალის“ მინიჭებით (შტატი №...). საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ (მეთაური შ. ტ-ის) გაცემული ცნობით დგინდება, რომ ზ. გ-ემ (დაბ. ... წ.) 2007 წლის 21 ნოემბერს ერაყში, ..., №5 საპატრულო ბაზაზე ჭურვების ჩამოყრის შედეგად მიიღო ნამსხვრევების შემავალი ჭრილობა მარცხენა ბეჭის არეში. ცნობაში მითითებულია, რომ აღნიშნული დასახიჩრება (ჭრილობა, ტრავმა, კონტუზია) მიღებულია სამხედრო სამსახურის მოვალეობის შესრულების დროს. სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს

სამხედრო ჰოსპიტალის მიერ 2008 წლის 25 ივნისს, ს/ნ: 16103 მე-  
თაურის 2008 წლის 17 ივნისის №876 მიმართვის საფუძველზე შე-  
მონმებულ იქნა ზ. გ-ე (დაბ. ... წ.), რომლის სახელზეც გაიცა №...  
ავადმყოფობის მოწმობა. მოწმობის თანახმად, ზ. გ-ეს 2007 წლის  
21 ნოემბერს მიღებული აქვს ფეთქებადი, ნამსხვროვანი ბრმა ჭრი-  
ლობები სამხედრო სამსახურის დროს. დიაგნოზის სახით მიეთითა:  
ხერხემლის წელის სეგმენტის ოსტეოქონდროზი და პოლიდისკო-  
პათია; წელის II, III, IV და V მალთაშუა შმორლის თიაქრები; წელის  
IV და V მალთაშუა დისკების უკანა მედიოლატერალური თიაქრები  
მარცხნივ; მარჯვენამხრივი წელის IV V გავის I ფეხვობრივი ტკი-  
ვილების სინდრომი, ზომიერად გამოხატული, ფუნქციის უმნიშვნე-  
ლო დარღვევით; ქრონიკული გასტროდუოდენიტი; მარცხენა ილ-  
ლიის ქვეშა მიდამოს უცხო სხეული. მოწმობაში მითითებულია, რომ  
დაავადება მიღებულია სამხედრო სამსახურის პერიოდში. დას-  
კვნის სახით მიეთითა, რომ შეზღუდულად ვარგისია სამხედრო სამ-  
სახურისათვის. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის  
17 ივნისის №3678 ბრძანებით საქართველოს თავდაცვის სამინის-  
ტროს გაერთიანებული შტაბის სახმელეთო ჯარების მე-3 ქვეითი  
ბრიგადის 32-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის საშტაბო და უზრუნ-  
ველყოფის ასეულის დაზვერვის ოცეულის დაზვერვის ჯგუფის  
მზვერავი, კაპრალ – ზ. გ-ე ჩაითვალა დათხოვნილად შეიარაღე-  
ბული ძალების რიგებიდან თადარიგში 2008 წლის 25 ივნისიდან (სა-  
ქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის სი-  
ებიდან ამორიცხვითა და ყველა სახის კმაყოფიდან მოხსნით), „სამ-  
ხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის  
მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის (ავადმყო-  
ფობის გამო) თანახმად. 2010 წლის 28 იანვრის საქართველოს თავ-  
დაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ორგანიზაციული  
უზრუნველყოფისა და კონტროლის სამმართველოს დასკვნით  
დადგენილია, რომ აღნიშნულმა სამმართველომ განიხილა სამსა-  
ხურებრივი შემონმების მასალები, საქართველოს თავდაცვის სა-  
მინისტროს III ქვეითი ბრიგადის 32-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიო-  
ნის საშტაბო და უზრუნველყოფის ასეულის დაზვერვის ოცეულის  
დაზვერვის ჯგუფის მზვერავის, კაპრალ – ზ. გ-ის ტრავმის ფაქ-  
ტთან დაკავშირებით და 2010 წლის 28 იანვარს გაიცა დასკვნა, რო-  
მელშიც ჩატარებული სამსახურებრივი შემონმებით დადგინდა,  
რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს III ქვეითი ბრიგადის  
32-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის საშტაბო და უზრუნველყოფის  
ასეულის დაზვერვის ოცეულის დაზვერვის ჯგუფის მზვერავის,  
კაპრალ – ზ. გ-ის ხერხემლის დაავადება – ხერხემლის წელის სეგ-  
მენტის ოსტეოქონდროზი და პოლიდისკოპათია, წელის II, III, IV და

V მალთაშუა შმორლის თიაქრები, მარცხნივ, მარჯვენამხრივი წელის IV და V გავის I ფესვობრივი ტკივილების სინდრომი, ზომიერად გამოხატული, ფუნქციის უმნიშვნელო დარღვევით, ქრონიკული გასტროდუოდენტი არ არის დაკავშირებული სამხედრო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე კი, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზ. გ-ის ხერხემლის დაავადება ვერ ჩაითვლება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დამადასტურებელ პირობად და მის მიმართ ვერ გავრცელდება საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანებით გათვალისწინებული მატერიალური უზრუნველყოფის ღონისძიებები.

საქმეში წარმოდგენილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის მიმართ 2008 წლის 6 მაისის ზ. გ-ის ახსნა-განმარტებაში აღნიშნულია, რომ 2007 წლის 15 ივნისს, სამშვიდობო მისიით გაემგზავრა ერაცში, კერძოდ, ვასიტის პროვინციაში, სადაც 21 ნოემბერს მეხუთე ბაზაზე ბაზის დაბომბვის დროს მიიღო მრავლობითი ჭრილობა, რის შედეგადაც გადაყვანილ იქნა ქალაქ ბაღდადში სამკურნალოდ. ამის შემდეგ მკურნალობას განაგრძობდა ქართულ „ლაზარეთში“ და 2008 წლის 28 იანვარს ჩამოვიდა საქართველოში. ასევე მიუთითა, რომ იგი გამოჯანმრთელებული იყო და ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, რაც დაადასტურა ხელმოწერით. სსიპ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის დირექტორის 2010 წლის 20 იანვრის №1/103 წერილით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსს ეცნობა, რომ კაპრალ ზ. გ-ის სამხედრო სამსახურისათვის უვარგისობა გამოიწვია ხერხემლის დაავადებამ, რაც შეეხება მარცხენა ილღის მიდამოს უცხო სხეულს, რომელიც პაციენტს მიღებული ჰქონდა ერაცის რესპუბლიკაში სამშვიდობო მისიის შესრულების დროს, არავითარი კავშირი არ აქვს დაავადებასთან, რომლის გამოც გახდა სამხედრო სამსახურისათვის უვარგისი. წერილში ასევე აღნიშნულია, რომ ხერხემლის წელის სეგმენტის ოსტეოქონდროზი და პოლიდისკოპათია; წელის II, III, IV და V მალთაშუა შმორლის თიაქრები, მარცხნივ; მარჯვენამხრივი წელის IV და V გავის I ფესვობრივი ტკივილების სინდრომი, ზომიერად გამოხატული, ფუნქციის უმნიშვნელო დარღვევით; ქრონიკული გასტროდუოდენტი არ იყო დაკავშირებული სამხედრო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან.

საკასაციო პალატა მიუთითებს „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების,

სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანების 38-ე და 39-ე მუხლებზე, რომელიც ადგენს, რომ სამხედრო მოსამსახურის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაჭრის ან დასახიჩრების შემთხვევაში, დაზიანების სიმძიმის ხარისხს განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი. იმავე ჰოსპიტალის დასკვნის სავალდებულოობაზე მიუთითებს საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2018 წლის 15 იანვრის №1 ბრძანებით დამტკიცებული, ამჟამად მოქმედი, „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის პირობები“.

საქმეში წარმოდგენილია ზემოაღნიშნული კომპეტენტური ორგანოს მიერ 2008 წლის 25 ივნისს გაცემული №... ავადმყოფობის მონშობა, რომელშიც აღინიშნა, რომ ზ. გ-ეს, 2007 წლის 21 ნოემბერს მიღებული აქვს ფეთქებადი, ნამსხვროვანი ბრმა ჭრილობები და მარცხენა ილიის ქვეშა მიდამოში ფიქსირდება უცხო სხეული, ანალოგიური შინაარსის წერილი იქნა მიწერილი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციისათვის 2010 წლის 20 იანვარს სსიპ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის დირექტორის მიერ, სადაც აღინიშნა, რომ ზ. გ-ეს ერაცის რესპუბლიკაში სამშვიდობო მისიის შესრულების დროს მიღებული ტრავმის შედეგად მარცხენა ილიის მიდამოში აღენიშნება უცხო სხეული, შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ მართებულად მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნული ტრავმა ვერ განიხილება ნაკლებად მძიმე დაზიანებად და საფუძვლიანად დააკისრა მოპასუხეს სადავო პერიოდში მოქმედი „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეთა, სახელმწიფო სპეციალური წოდების მქონე და სამოქალაქო პირთა შრომის ანაზღაურების, სოციალური დაცვისა და მატერიალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბრის №560 ბრძანების 38-ე პუნქტით გათვალისწინებული სამხედრო მოსამსახურის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაჭრის ან დასახიჩრების შემთხვევაში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ერთჯერადი დახმარების სახით გაცემა თანხა მძიმე დაზიანებისათვის – 7 000 ლარის ოდენობით.

რაც შეეხება მატერიალური ზიანის ანაზღაურების სახით საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის თანხის დაკისრებას, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება ერთჯერადად გასა-

ცემი თანხის – 7000 ლარის ოდენობით საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის დაკისრების თაობაზე მიჩნეულ იქნა საფუძვლიანად, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს მატერიალური ზიანის – 4 435 ლარის საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის დაკისრების კანონიერების შემოწმება წარმოადგენს.

საკასაციო პალატა არ იზიარებს სააპელაციო პალატის შეფასებებს, რომ მიზეზ -შედეგობრივი კავშირის კვლევა და სამოქალაქო კოდექსის 1005-ე, 992-ე და 408-ე მუხლებზე მითითებით დასკვნის გაკეთება თავდაცვის სამინისტროს არაზღაღვრელობის თაობაზე, წარმოადგენს მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის შეცვლას, რამდენადაც მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნება იმ უდავო ფაქტობრივ გარემოებას, რომ ის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების პირობებში დაიჭრა, მიიღო სხეულის დაზიანება და, როგორც სამხედრო მოსამსახურე, ექვემდებარება კანონით გათვალისწინებულ კომპენსირებას. ასევე გადაწყვეტილების მიღებისას არ იქნა გამახვილებული ყურადღება საქმეში წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურებზე, რომელსაც დაეყრდნო სააპელაციო პალატა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლების შემოწმებისას უპირველესად უნდა დადგინდეს კონკრეტულად ზიანის არსებობა, მიზეზობრივი კავშირი და ზიანის ოდენობა.

მოცემულ შემთხვევაში, სადავოა თუ რამდენად წარმოადგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ვალდებულ პირს, მოსარჩელეს აუნაზღაუროს მის მიერ მკურნალობისათვის გაღებული თანხა.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ თანხის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის სამართლებრივი შეფასებისას, უპირველესად უნდა განისაზღვროს, რომ მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა ეფუძნება დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ სამოქალაქო კანონმდებლობას. მოთხოვნის უფლების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების სათანადო შემოწმების შემთხვევაში სააპელაციო პალატას ჰქონდა შესაძლებლობა დაედგინა, რამდენად არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, მოსარჩელის სასარგებლოდ მკურნალობისათვის გაწეული თანხის გადახდის ვალდებულება, რაც პალატის მიერ არ იქნა განხორციელებული.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2008 წლის 17 ივლისის №3678 ბრძანებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული შტაბის სახმელეთო ჯარების მე-3 ქვეითი ბრიგადის 32-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონის საშტაბო და უზრუნველყოფის ასეულის დაზვერვის ოცეულის დაზვერვის ჯგუფის მზვერავი, კაპრალი – ზ. გ-ე ჩაით-

ვალა დათხოვნილად შეიარაღებული ძალების რიგებიდან თადარიგ-ში 2008 წლის 25 ივნისიდან (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პირადი შემადგენლობის სიებიდან ამორიცხვითა და ყველა სახის კმაყოფიდან მოხსნით), „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 თავის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის (ავადმყოფობის გამო) თანახმად, შესაბამისად, მხარეები არ იმყოფებიან ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობაში და 2006 წლის 29 მარტის ხელშეკრულების კანონიერება არ წარმოადგენს განსახილველი დავის საგანს, შესაბამისად, მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად 2006 წლის 29 მარტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებზე მითითება სააპელაციო პალატის მიერ უსაფუძვლოა იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულების 5.1.7 პუნქტის საფუძველზე სამინისტრო კისრულობდა ვალდებულებას, სამხედრო მოვალეობის შესრულებისას „სამხედრო მოსამსახურის“ გარდაცვალების, დაჭრის ან დასახიჩრების შემთხვევაში მას და მის ოჯახს გადაუხადოს დახმარება კანონმდებლობით გათვალისწინებული სამხედრო ან სპეციალური სარგოების ოდენობით, რაც მოცემულ საქმეზე მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს დაეკისრა ერთჯერადად 7000 ლარის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან, ხოლო სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა პირის სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის სახელმწიფოს პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ წესს ადგენს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე-209-ე მუხლები. კერძოდ, მითითებული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილი ცალსახად განსაზღვრავს, რომ სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის გამომწვევი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და

პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 326-ე მუხლზე, რომელიც მითითებითი სახის ნორმა ადგენს სახელმეკრულებო ვალდებულების მარეგულირებელი წესების გამოყენების შესაძლებლობას სხვა არასახელმეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის თანახმად, თუ სახელმწიფო მოსამსახურე განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით არღვევს თავის სამსახურებრივ მოვალეობას სხვა პირის მიმართ, მაშინ სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც ეს მოსამსახურე მუშაობს, ვალდებულია, აანაზღაუროს დაზარალი ზიანი. ამავე კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მექამე ნაწილის თანახმად კი, დაზარალებულს უფლება აქვს მოითხოვოს მკურნალობის ხარჯები.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზიანი გულისხმობს პირის სამართლებრივად დაცულ სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეულ უარყოფით შედეგებს და ეს ზემოქმედება უნდა მომდინარეობდეს ბრალეული ქმედებით. მატერიალური ზიანის ანაზღაურებისათვის აუცილებელია დადგინდეს მოპასუხის ბრალეული ქმედება, 2007 წლის 21 ნოემბერს მიღებული ტრავმისათვის მკურნალობის, მკურნალობაზე უარის ან არასათანადო მკურნალობის გამო, რამაც განაპირობა მოსარჩელის მხრიდან შესაბამისი ხარჯის გაღება. საქმეზე წარმოდგენილი 2016 წლის 21 სექტემბრის ანგარიშ – ფაქტურებით დგინდება, რომ ზ. გ-ემ სამედიცინო დაწესებულებისგან მიიღო მომსახურება, რომელიც არ არის დაკავშირებული 2007 წლის 21 ნოემბერს მიღებული ტრავმის შედეგად მარცხენა ილღის მიდამოში დარჩენილი უცხო სხეულიდან გამომდინარე წარმოშობილ დაავადებასთან. მიღებულ ტრავმასა და განეულ სამედიცინო მომსახურებას შორის კავშირის არარსებობის გარეშე შეუძლებელია მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა ზ. გ-ის სხეულის დაზიანებასა და საქართველოს თავდაცვის სა-

მინისტროს მიერ მკურნალობის ჩატარების ვალდებულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით.

საკასაციო პალატა მიუთითებს 2008 წლის 6 მაისის ზ. გ-ის მიერ გაკეთებული ახსნა – განმარტებაზე, სადაც აღნიშნულია, რომ 2007 წლის 15 ივნისს, სამშვიდობო მისიით გაემგზავრა ერაყში, კერძოდ, ვასიტის პროვინციაში, სადაც 21 ნოემბერს მეხუთე ბაზაზე ბაზის დაბომბვის დროს მიიღო მრავლობითი ჭრილობა, რის შედეგადაც გადაყვანილ იქნა ქალაქ ბალდადში სამკურნალოდ. ამის შემდეგ მკურნალობას განაგრძობდა სამხედრო ბაზაზე არსებულ ქართულ „ლაზარეთში“ და 2008 წლის 28 იანვარს ჩამოვიდა საქართველოში, რის შემდეგაც იგი გამოჯანმრთელდა და ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას, რაც დაადასტურა ხელმოწერით. ამდენად, მოსარჩელეს მკურნალობის ჩატარების პროცესთან და მის არასათანადოობასთან დაკავშირებით პრეტენზია არ ყოფილა დაყენებული და სადავოდ არ გამხდარა მისი მხრიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ შესაბამისი ვალდებულებების დარღვევის ფაქტი, რაც შესაძლოა გამხდარიყო ზიანის ანაზღაურების საფუძველი.

ამასთან, საქმეში არსებული სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის მიერ გაცემულ ცნობებში მითითებულია, რომ ზ. გ-ეს მიღებული აქვს ფეთქებადი ნამსხვროვანი ბრმა ჭრილობები სამხედრო სამსახურის დროს. 2008 წლის 25 ივნისის №... ავადმყოფობის მონმობაში დეტალურად არის ასახული სპეციალურ გამოკვლევათა შედეგები, ჩატარებულია კონსულტაციები და დიაგნოზის სახით მითითებულია როგორც ხერხემლის წელის სეგმენტის ოსტეოქონდროზი და პოლიდისკოპათია; წელის II, III, IV და V მალთაშუა შმორლის თიაქრები; წელის IV და V მალთაშუა დისკების უკანა მედიოლატერალური თიაქრები მარცხნივ; მარჯვენამხრივი წელის IV V გავის I ფესვობრივი ტკივილების სინდრომი, ზომიერად გამოხატული, ფუნქციის უმნიშვნელო დარღვევით; ქრონიკული გასტროდუოდენიტი; ასევე მითითებულია მარცხენა ილიის ქვეშა მიდამოს უცხო სხეული. ქირურგის კონსულტაციის შედეგად ზემოაღნიშნულ მონმობაში მიეთითა – „მარცხენა ილიის ქვეშა მიდამოს ფეთქებადი, ნამსხვროვანი ბრმა ჭრილობის (30.11.07) შემდგომი მდგომარეობა მცირე ზომის უცხო სხეულით რბილ ქსოვილებში, მხარის სარტყელის ფუნქციის დარღვევის გარეშე“.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, საქმეში წარმოდგენილი ზ. გ-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველი მტკიცებულებები, კერძოდ, სსიპ გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის მიერ 2008 წლის 25 ივნისის №... ავადმყოფობის მონმობა, სსიპ საქართველოს თავდაც-

ვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალის დირექტორის 2010 წლის 20 იანვრის №1/103 წერილი, იძლევა დასკვნის გაკეთების საფუძველს, რომ ზ. გ-ის დაავადებები, რომლისთვისაც მან გასწია მკურნალობის ხარჯი, არ არის დაკავშირებული მარცხენა ილიის ქვეშა მიდამოს ფეთქებადი, ნამსხვროვანი ბრმა ჭრილობის მიღებასთან და ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად იქნა ასახული შესაბამის მონმობაში, ამდენად საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ზ. გ-ის მიერ მკურნალობისათვის გაწეული და სამომავლოდ გასანევი ხარჯების ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად სახეზეა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებისა და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღების მატერიალურ-პროცესუალური წინაპირობები, რომლითაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ე ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება მატერიალური ზიანის სახით საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის 4 435 ლარის ანაზღაურების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ზ. გ-ის სარჩელი მატერიალური ზიანის – 4 435 ლარის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
4. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება;
5. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას  
დასასიჩრავის შედეგად მიყენებული ზიანის  
ანაზღაურება**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

№ბს-352-352(კ-18)

11 დეკემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ა. ტ-ემ 2016 წლის 7 მარტს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ 1993 წლის 27 ივლისის „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების საფუძველზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის ა. ტ-ის სასარგებლოდ 17 597 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელე მიუთითებდა, რომ ჭიათურის შს საქალაქო განყოფილების უფროსის 2002 წლის 21 ივლისის №72 ბრძანების თანახმად, შს ჭიათურის საქალაქო განყოფილების ... ინსპექტორი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ა. ტ-ე და ეკოლოგიის პოლიციის ქვე განყოფილების უმცროსი ინსპექტორი, პოლიციის ზემდეგი ლ. კ-ე მივლინებულ იქნენ ქ. თბილისში, ფსიქიურად დაავადებულის გადასაყვანად. ჭიათურის პოლიციის პოლკოვნიკის მიერ 2003 წლის 29 ივლისს დამტკიცებულ იქნა №1/1298 აქტი სამსახურში მომხდარი უბედური შემთხვევის შესახებ. აქტში აღინიშნა, რომ 2002 წლის 22 ივლისს, ა. ტ-ე ბრუნდებოდა ქ. ჭიათურაში, ქ. თბილისის გლდანის ფსიქიატრიული საავადმყოფოდან, სადაც გადაიყვანა ფსიქიურად დაავადებული მ. ი-ე. ქ. გორის შემოსასვლელთან თბილისის-სენაკის ცენტრალურ გზაზე ა/მანქანა, რომლითაც მგზავრობდა, მოყვა ავტოავარიაში. ა/მანქანის მძღოლი დაიღუპა, ხოლო ა. ტ-ემ მიიღო მძიმე დაზიანება. საქართველოს შს სამინისტროს ქარელის შს რაიგანყოფილების უფროსის 2005 წლის 2 ნოემბრის დადგენი-

ლებით ა. ტ-ე ცნობილ იქნა დაზარალებულად №3805831 სისხლის სამართლის საქმეზე. 2003 წლის 4 აგვისტოს საქართველოს შსს სს კომისიის მიერ გაცემული №... დაავადების მოწმობის თანახმად, დადგინდა ა. ტ-ის დიაგნოზი, კერძოდ:

ქალა ტვინის დაზარალებული ტრავმის (2002წ.) მყარი ნარჩენი მოვლენები. ინტრაკრანიალური ჰიპერტენზია. ვეგეტო-სისხლძარღვოვანი დისტონია, ხშირი კრიზებით. ანგიოპათია (ტრავმული წარმოშობის), ნეიროსენსორული სმენაჩლუნგობა. კომისიის მიერ დადგენილ იქნა, რომ ა. ტ-ე არ იყო ვარგისი სამხედრო სამსახურისათვის. შსს მთავარი სამმართველოს უფროსის, პოლიციის პოლკოვნიკის 2003 წლის 2 სექტემბრის №572 ბრძანებით, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ა. ტ-ე დაითხოვეს პირადი შემადგენლობიდან ავადმყოფობის გამო.

მოსარჩელის განმარტებით მიუხედავად იმისა, რომ 2002-2003 წლებში მოქმედი „პოლიციის შესახებ“ კანონის 31-ე მუხლის მიხედვით მოპასუხე შსს სამინისტრო ვალდებული იყო აენაზღაურებინა მიყენებული ზარალი – მკურნალობის ხარჯები, გაცემა კომპენსაცია ერთიდან ხუთ წლამდე მიღებული ხელფასის ოდენობით, სამინისტრომ სამსახურიდან დათხოვნისას ა. ტ-ეს არც მკურნალობის ხარჯები აუნაზღაურა და არც კომპენსაცია გადასცა, რისი ვალდებულებაც მას ეკისრებოდა. მოსარჩელე დარწმუნებული იყო, რომ მკურნალობის ხარჯებს და კომპენსაციას მოპასუხე მხარე გადაუხდიდა მას შემდეგ, რაც ავტოავარიის საქმის გამოძიება დასრულდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული ავარიის საქმის გამოძიება 2014 წელს დასრულდა, რომლის დადგენილების ასლი მოსარჩელეს ჩაჰბარდა მხოლოდ 2016 წლის იანვარში და აღნიშნული დადგენილების მიხედვით ა. ტ-ეს დაზარალებულის სტატუსი არ შეეცვლია, მოპასუხემ უარი უთხრა თანხების ანაზღაურებაზე იმ მოტივით, რომ მოთხოვნა იყო ხანდაზმული, რის გამოც მოსარჩელე იძულებული გახდა მიემართა სასამართლოსთვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილებით ა. ტ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ა. ტ-ემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით ა. ტ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; ა. ტ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ა.

ტ-ის სასარგებლოდ დაეკისრა 5 550 ლარის ანაზღაურება; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ „სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მიხედვით, ამ კანონის მიზანია საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების სოციალური დაცვის გარანტიების დადგენა მათ მიერ სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გადების გამო, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, შესაძლებლობის შეზღუდვის და გარდაცვალების გამო; ამასთან, ამავე კანონის მე-3 მუხლი ადგენს იმ ძირითად პრინციპებს, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელოს შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ ამა თუ იმ პირისათვის სახელმწიფო კომპენსაციის მიღების უფლების განსაზღვრისას; ეს პრინციპებია: სამართლიანობა, კანონის წინაშე თანასწორობა, მუდმივობა, კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის მიღების სახელმწიფო გარანტია; სააპელაციო პალატა მიუთითებს, რომ „სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ კანონის მიზნისა და პრინციპების უგულვებელყოფით ეთქვა მოსარჩელეს უარი სახელმწიფო კომპენსაციაზე, რაც ეწინააღმდეგება, როგორც „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონს, ასევე არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით გარანტირებულ მოსარჩელის საკუთრების უფლებას, იმდენად, რამდენადაც მოსარჩელეს გააჩნია სახელმწიფო კომპენსაციის მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი; კერძოდ, „სახელმწიფო კომპენსაციის და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მიხედვით კომპენსაციის/სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დანიშვნის მოთხოვნის უფლება აქვთ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღის (1991 წლის 9 აპრილი) შემდეგ, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-6 პუნქტით, კანონი ითვალისწინებდა პოლიციის თანამშრომლისათვის, რომელიც დაიჭრა ან დასახიჩრდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, სხეულის დაზიანების, სიმძიმის ხარისხის შესაბამისად, ეძლევა კომპენსაცია ბიუჯეტის სახსრებიდან 1-დან 5 წლამდე მიღებული ხელფასის ოდენობით.

სააპელაციო პალატის მითითებით, მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის დავას ინვესტ მხოლოდ ის გარემოება, ექცევა თუ არა

კონკრეტული დავა „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, იმ პირობებში, როდესაც სადავო არ არის მოსარჩელის სხეულის დაზიანება სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს; სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციელის ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში, დაზიანების ხარისხის შესაბამისად, მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მას ეძლევა ერთჯერადი ფულადი დახმარება შემდეგი ოდენობით – ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებისას – 4 000 (ოთხი ათასი) ლარი. მოსარჩელე მიუთითებს სხეულის დაზიანების პერიოდისათვის მოქმედი კანონის რედაქციაზე, რომლის მიხედვითაც, პოლიციის თანამშრომელს, რომელიც დაიჭრა ან დასახიჩრდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის შესაბამისად, ეძლევა კომპენსაცია ბიუჯეტის სახსრებიდან 1-დან 5 წლამდე მიღებული ხელფასის ოდენობით.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ა. ტ-ემ, სხეულის დაზიანება, რომელიც შეფასებულია ნაკლებად მძიმედ, მიიღო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს. ნიშანდობლივია, რომ სამსახურიდან დათხოვნას საფუძვლად დაედო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელიც სწორედ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მომხდარი შემთხვევის შედეგად გაუარესდა. სააპელაციო პალატის განმარტებით საქმეზე სწორი გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვანია შეფასდეს, დაარღვია თუ არა ხანდაზმულობის ვადა მოსარჩელემ. იმ პირობებში, როცა საქმეში წარმოდგენილია 2014 წლის 22 ოქტომბრის დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ, პალატა მიიჩნევს, რომ მოსარჩელეს ეს ვადა არ გაუშვია. რაც შეეხება იმ საკითხს, უნდა გავრცელდეს თუ არა, დაზიანების მიყენების დროისათვის მოქმედი კანონის რედაქცია კონკრეტულ შემთხვევაში, აპელანტის მოწინააღმდეგე მხარემაც დაადასტურა, რომ არა სარჩელის ხანდაზმულობა, სასამართლოს უნდა გაეგრცვლებინა სწორედ ის მუხლი, რომელიც ითვალისწინებდა პოლიციის თანამშრომლისათვის, რომელიც დაიჭრა ან დასახიჩრდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის შესაბამისად, კომპენსაციის გაცემას, ბიუჯეტის სახსრებიდან 1-დან 5 წლამდე მიღებული ხელფასის ოდენობით. პალატამ საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიიჩნია, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლით, კომპენსაციის ოდენობა განსაზღვრულიყო სამ წლამდე მისაღები ხელფასის ოდენობით, ხოლო საქმეში წარმოდგენილი საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2015 წლის 2 დე-

კემბრის წერილით, საბოლოოდ – 5550 ლარის ოდენობით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ. კასატორმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საკასაციო სასამართლოს მიერ ახალი გადაწყვეტილების მიღებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში ასახულ სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის განმარტებას სასარჩელო ხანდაზმულობის ვადის დაწყების თაობაზე და მიიჩნევს, რომ სასამართლომ არასწორად განმარტა კანონი, რადგან მოთხოვნის ვადის დასაწყისს წარმოადგენს მოთხოვნის დადგომის ობიექტური ფაქტორი, რომელიც განსახილველ შემთხვევაში ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტის დადგომიდან უნდა იქნეს ათვლილი და არა 2014 წლის 22 ოქტომბრიდან, როდესაც შეწყდა სისხლის სამართლის საქმის წარმოება. სამინისტროს მოსაზრებით, სისხლის სამართლის საქმის წარმოებას არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნდა იმ ფაქტის დადასტურებისათვის, რომ მოსარჩელე – ა. ტ-ის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტს ადგილი ჰქონდა სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას, რაც მისთვის შესაბამისი კომპენსაციის გაცემის საფუძველი გახდებოდა. სისხლის სამართლის წარმოების შედეგს მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა საქმისთვის მნიშვნელობა, თუ ა. ტ-ე მოითხოვდა სამინისტროს მოსამსახურის, როგორც საჯარო მოსამსახურის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას და აღნიშნული ზიანის დასადასტურებლად საჭირო იქნებოდა სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარი შედეგი. თუმცა, კასატორის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარ შედეგს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს ა. ტ-ის საქმისთვის, აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს მიერ ხანდაზმულობის ვადის დენის მომენტად არ უნდა განხილულიყო სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის საკითხი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 3 ივლისის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად; საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მათი ანა-

ლიზის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობისა და წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების საფუძველზე მიიჩნევს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება და საკასაციო სასამართლოს მიერ მიღებულ უნდა იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ა. ტ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე დადგენილია და დავას არ იწვევს შემდეგი გარემოებები: ჭიათურის შს საქალაქო განყოფილების უფროსის 2002 წლის 21 ივლისის №72 ბრძანების თანახმად, შს ჭიათურის საქალაქო განყოფილების ... ინსპექტორი, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი – ა. ტ-ე და ეკოლოგიის პოლიციის ქვეგანყოფილების ... ინსპექტორი, პოლიციის ზემდეგი ლ. კ-ე მივლინებულ იქნენ ქ. თბილისში, ფსიქიურად დაავადებულის გადასაყვანად. ჭიათურის პოლიციის პოლკოვნიკის მიერ 2003 წლის 29 ივლისს დამტკიცებულ იქნა №1/1298 აქტი სამსახურში მიღებული უბედური შემთხვევის შესახებ. აქტიში აღინიშნა, რომ 2002 წლის 22 ივლისს ა. ტ-ე ბრუნდებოდა ქ. ჭიათურაში ქ. თბილისის გლდანის ფსიქიატრიული საავადმყოფოდან, სადაც გადაიყვანა ფსიქიურად დაავადებული მ. ი-ე. ქ. გორის შემოსასვლელთან თბილისი-სენაკის ცენტრალურ გზაზე ა/მანქანა, რომლითაც მგზავრობდა, მოყვა ავტოავარიაში. ა/მანქანის მძღოლი დაიღუპა, ხოლო ა. ტ-ემ მიიღო მძიმე დაზიანება.

2003 წლის 4 აგვისტოს საქართველოს შსს სს კომისიის მიერ გაცემული №2360 დაავადების მოწმობის თანახმად, დადგინდა ა. ტ-ის დიაგნოზი, კერძოდ: ქალა ტვინის დახურული ტრავმის (2002წ.) მყარი ნარჩენი მოვლენები. ინტრაკრანიალური ჰიპერტენზია. ვეგეტო-სისხლძარღვოვანი დისტონია, ხშირი კრიზებით. ანგიოპათია (ტრავმული წარმოშობის), ნეიროსენსორული სმენაჩლუნგობა. კომისიის მიერ დადგენილ იქნა, რომ ა. ტ-ე არ იყო ვარგისი სამხედრო სამსახურისათვის. მთავარი სამმართველოს უფროსის, პოლიციის პოლკოვნიკის 2003 წლის 2 სექტემბრის №572 ბრძანებით, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ა. ტ-ე დათხოვნილ იქნა პირადი შემდგენლობისადმი, ავადმყოფობის გამო. ჭიათურის შს საქალაქო განყოფილების მიერ 2004 წლის 26 ნოემბერს გაცემული №1/3326 ცნობის თანახმად, პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ა. ტ-ე მუშაობდა ჭიათურის შს საქალაქო განყოფილების ... ინსპექტორად და მისი საშუალო ხელფასი ბოლო ერთი წლის მანძილზე შეადგენდა 115 (ას თხუთმეტი) ლარს და 64 თეთრს.

საქართველოს შს სამინისტროს ქარელის შს რაიგანყოფილების

უფროსის 2005 წლის 2 ნოემბრის დადგენილებით ა. ტ-ე ცნობილ იქნა დაზარალებულად №3805831 სისხლის სამართლის საქმეზე.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის 2015 წლის 23 სექტემბრის №2104375 წერილით ა. ტ-ის ინტერესების დამცველს ნ. დ-ეს მისსავე განცხადების პასუხად ეცნობა, რომ ა. ტ-ეს ჯანმრთელობის დაზიანება მიღებული აქვს 2002 წლის 21 ივლისს, ხოლო სამსახურებრივი შემონმების ჩატარების მოთხოვნით შს სამინისტროს გენერალურ ინსპექციას მიმართა 2015 წელს, ე.ი. ჯანმრთელობის დაზიანებიდან მე-13 წელს, რის გამოც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის და 128-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მოთხოვნის უფლება ხანდაზმულად იქნა მიჩნეული.

ხაშურის რაიონული პროკურატურის 2016 წლის 25 იანვრის №13/22-4241 წერილით ა. ტ-ის ინტერესების დამცველ ადვოკატს ნ. დ-ეს მისსავე მოთხოვნის საფუძველზე გაეგზავნა გამოძიების შეწყვეტის დადგენილება სისხლის სამართლის №3805831 საქმეზე. 2014 წლის 22 ოქტომბრის დადგენილებით სისხლის სამართლის №027100139 საქმეზე შეწყდა გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

ა. ტ-ე სარჩელით ითხოვს მოპასუხე – შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის 17 597 ლარის ანაზღაურების დაკისრებას 1993 წლის 27 ივლისის „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების საფუძველზე. მითითებული ნორმების თანახმად, პოლიციის თანამშრომელი ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო დაზღვევას. პოლიციის თანამშრომლის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციის თანამშრომლის ან მისი ახლობლისთვის მიყენებული ზარალი ანაზღაურდება სრული მოცულობით სახელმწიფო ბიუჯეტიდან. პოლიციის თანამშრომელს, რომელიც დაიჭრა ან დასახიჩრდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის შესაბამისად ეძლევა კომპენსაცია ბიუჯეტის სახსრებიდან 1-დან 5-წლამდე მიღებული ხელფასის ოდენობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ საქმეზე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის საფუძველზე აღძრული სარჩელით დავის საგანია იმავე კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების თაობაზე, რომლის ანაზღაურებისას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლით თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ თანხის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის სამართლებრივი შეფასებისას, უპირველესად უნდა განისაზღვროს, რომ მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა ეფუძნება დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ სამოქალაქო კანონმდებლობას. სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. ამასთან, 1008-ე მუხლით გათვალისწინებულია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა – დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ხანდაზმულობის ვადა არის პერიოდი, რომლის განმავლობაში უფლებამოსილ სუბიექტს შეუძლია მოახდინოს თავისი მოთხოვნის იძულებითი რეალიზაცია, რადგან ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობაშიც პირმა, რომლის უფლებაც დაირღვა, შეიძლება მოითხოვოს თავისი უფლების იძულებით განხორციელება ან დაცვა. ვადაში იგულისხმება დროის განსაზღვრული პერიოდი, რომელსაც კანონმდებელი უკავშირებს ამა თუ იმ იურიდიული შედეგის დადგომას. თავისი ბუნებით ვადა იურიდიული ფაქტია, რომლის დადგომა ან გასვლა იწვევს უფლებისა და ვალდებულების წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას. იმის გათვალისწინებით, რომ ვადის გასვლით იფარება პირის მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობა, კანონმდებელი სხვადასხვა სახის მოთხოვნებისათვის ითვალისწინებს ხანდაზმულობის განსხვავებულ ვადებს. ხანდაზმულობის ვადის გასვლით ისპობა სასამართლოს ან სხვა ორგანოს მეშვეობით პირის მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ არა სასამართლოსათვის ან სხვა ორგანოსათვის მიმართვის უფლება. მიმართვის უფლება რაიმე დროით შეზღუდული არ არის, ხანდაზმულობის ვადის გასვლა (სარჩელის კანონით დადგენილ ვადაში წარდგენის აუცილებლობისაგან განსხვავებით) არ აზრკოლებს სასამართლოსადმი ან სხვა ორგანოსადმი მიმართვის უფლებას. ხანდაზმულობის ვადის გასვლა სპობს უფლების იძულებითი განხორციელების შესაძლებლობას მატერიალური და არა პროცესუალური თვალსაზრისით. ხანდაზმულობის ვადის გასვლის მიუხედავად მოთხოვნა განხილული უნდა იქნეს და თუ გამოირკვევა, რომ არ არსებობს ხანდაზმულობის ვადის შეჩერების (სკ-ის 132-ე, 134-ე მუხ.) ან შეწყვეტის (სკ-ის 137-ე, 138-ე, 139-ე მუხ.) საფუძ-

ვლები, მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება. ამასთან, ხანდაზმულობის ვადა არ ვრცელდება კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებზე (პირადი არაქონებრივი უფლებები, მეანაბრეთა მოთხოვნები ანაბრების გამო (სკ-ის 128.2 მუხ.)), რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ხანდაზმულობის ვადის წარმოშობის საფუძველია უფლების დარღვევა, თუმცა ხანდაზმულობის ვადის დენის დაწყება უკავშირდება სუბიექტურ ფაქტორს, ანუ იმ მომენტს, როდესაც დაზარალებულმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლებების დარღვევის – ზიანის დადგომის და ზიანის მიმყენებლის შესახებ. სუბიექტურ ფაქტორს ყურადღება ექცევა იმ შემთხვევაში უკეთეს ხანდაზმულობის წარმოშობის მომენტის დადგენა ობიექტურად შეუძლებელია. საერთო წესის თანახმად, ივარაუდება, რომ დაზარალებულმა უფლების დარღვევისთანავე შეიტყო დამდგარი ზიანის შესახებ. სანინალმდევოს მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს აწევს, რადგან თითოეულმა მხარემ უნდა ამტკიცოს გარემოებანი, რომელზედაც ამყარებს თავის მოთხოვნას (სსკ-ის 102-ე მუხ.). ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტი უნდა განისაზღვროს საქმის კონკრეტული გარემოებების შეფასების შედეგად. განსახილველ საქმეში ზიანის დადგომის შესახებ მოსარჩელისათვის ცნობილი იყო ავტოავარიის შედეგად დასახიჩრების მიღების, ორგანიზმის მნიშვნელოვანი ფუნქციების დარღვევისთანავე. ამასთან, 2003 წლის 4 აგვისტოს საქართველოს შსს სს კომისიის მიერ გაცემული №... დაავადების მონობით დადგინდა 2002 წლის 22 ივლისს მომხდარი ავტოავარიით გამოწვეული ა. ტ-ის დიაგნოზი, კერძოდ: ქალა ტვინის დაზარალებული ტრავმის (2002წ.) მყარი ნარჩენი მოვლენები. ინტრაკრანიალური ჰიპერტენზია. ვეგეტო-სისხლძარღვოვანი დისტონია, ხშირი კრიზებით. ანგიოპათია (ტრავმული წარმოშობის), ნეიროსენსორული სმენაჩლუნგობა. კომისიის მიერ დადგენილ იქნა, რომ ა. ტ-ე არ იყო ვარგისი სამხედრო სამსახურისათვის. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ხანდაზმულობის ვადის ათვლის მომენტი უნდა განისაზღვროს 2003 წლის 4 აგვისტოდან. საქმის მასალების მიხედვით, ა. ტ-ემ თანხის ანაზღაურების მიზნით სამსახურებრივი შემონმების ჩატარების მოთხოვნით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას მიმართა 2015 წელს, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მომხდარი ავტოავარიით გამოწვეული დიაგნოზის დადასტურებიდან 12 წლის შემდეგ. ამდენად, არ დასტურდება მოსარჩელის მიერ არათუ სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით გათვალისწინებული სამწლიანი, არამედ აგრეთვე სამოქალაქო კოდექ-

სის 128-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის საერთო ათწლიანი ვადის დაცვა.

საგულისხმოა, რომ სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად მიუთითა „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლზე და მიიჩნია, რომ მოსარჩელის შემთხვევა ექცეოდა მოქმედი „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 51-ე მუხლის რეგულირების სფეროში. ამასთან, ხანდაზმულობის ვადის ათვლის დასაწყისად მიუთითა სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ 2014 წლის 22 ოქტომბრის დადგენილებაზე.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს დასაბუთების გაზიარების კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობა არ არსებობს, რამდენადაც „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის დებულება, რომელზეც მიუთითებს სააპელაციო სასამართლო სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად, ვრცელდება მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღების დღის (1991 წლის 9 აპრილი) შემდეგ, „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მე-11 პუნქტით და „საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპულ ან მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მოსამსახურეთა ოჯახის წევრებზე, გარდა ამ პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამდენად, აღნიშნულ ნორმაზე მითითებით ა. ტ-ის შემთხვევაზე „პოლიციის შესახებ“ 2013 წლის 4 ოქტომბრის №1444-1ს საქართველოს კანონის 51-ე მუხლით გათვალისწინებული უფლების გავრცელების შესაძლებლობა არ არსებობს.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ 2003 წლის 4 აგვისტოს საქართველოს შსს სს კომისიის მიერ №... დაავადების მონმობის გაცემით ა. ტ-ეს საბოლოოდ დაუდასტურდა „პოლიციის შესახებ“ იმ დროს მოქმედი საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული ზიანისა და ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ ფაქტის არსებობა, რაც წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლით გათვალისწინებული დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის სამწლიანი ვადის 2003 წლის 4 აგ-

ვისტოდან ათელის საფუძველს. ამდენად, საკასაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა კანონი, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენს. ამავე კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ა. ტ-ის სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 411-ე მუხლით და

#### **გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ა. ტ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სამედიცინო დანახვებზე მკურნალობისას პირის  
ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის  
ანაზღაურება**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელით**

№ბს-327-309(2კ-07)

16 მაისი, 2019 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** მორალური ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

გ. ს-ი-ბ-ემ 04.03.2005წ. სასარჩელო განცხადებით მიმართა აჭარის ა/რ უმაღლეს სასამართლოს მოპასუხეების: აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შპს „... საავადმყოფოს“ და ფიზიკური პირების (სამედიცინო პერსონალის): ჯ. ქ-ის, ჯ. ნ-ის, ზ. ო-ის, მ. ქ-ის, ი. თ-ის, ი. შ-ის, ნ. გ-ის, ხ. ჩ-ის, ც. ნ-ას, მ. ხ-ის მიმართ და მიყენებული მატერიალური ზიანის, კერძოდ: წამლებისა და სამედიცინო მომსახურების საფასურის – 15 000 ლარის, დაკრძალვის ხარჯის – 5000 ლარის, სასაფლაოს ხარჯის – 5000 ლარის და მორალური ზიანის – 500000 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 16.02.2004წ. მისი შვილი – გ. ბ-ე, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, ელექტროსადენების შეკეთების დროს ჩამოვარდა ამნიდან და მიიღო სხეულის დაზიანებები, რის გამოც გადაიყვანეს ... საავადმყოფოში. შემდგომში ავადმყოფის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა, მას დაეწყო თორმეტგოჯა ნაწლავიდან სისხლდენა, რის შესახებაც ექიმები მშობლებს არაფერს ეუბნებოდნენ. ავადმყოფი შექმნილი მძიმე მდგომარეობიდან გამომდინარე, საჭიროებდა აუცილებელ ოპერაციას, მაგრამ ექიმებმა გამოიჩინეს გულგრილობა და სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ მას. არასწორი შეხედულებებისა და გულგრილი დამოკიდებულების გამო, პაციენტს არ ჩაუტარდა აუცილებელი სამედიცინო მკურნალობა და დაენიშნა კონსერვატიული, ჰომოსტაზიური და ინფუზიურ-ტრანსფუზიური თერაპია სისხლდენის მიზეზის დაუდგენლად, რითაც მკურნალი ექიმის მიერ დაშვე-

ბულ იქნა შეცდომა, რადგან აუცილებელი იყო სასწრაფო ენდოსკოპიური გამოკვლევა. მოსარჩელის მოსაზრებით, დანიშნული კონსერვატიული მკურნალობა ჩატარდა არასრულყოფილად, ვინაიდან გ. ბ-ეს სისხლდენის დაწყების დღიდანვე ესაჭიროებოდა მულტივიქირურგიული მეთვალყურეობა. მოსარჩელე თვლის, რომ სამედიცინო პერსონალის მიერ, არასწორად შეფასდა ავადმყოფის მდგომარეობა, სათანადო ინტენსივობით არ ხორციელდებოდა სისხლის მონაცემების კონტროლი, გასტროსკოპია ჩატარდა დაგვიანებით, არ მომხდარა სათანადო რეაგირება სისხლდენის რეციდივზე, მიუხედავად იმისა, რომ მკურნალი ექიმის დღიურში არსებობდა ჩანაწერი სისხლდენის რეციდივის შემთხვევაში ოპერაციული მკურნალობის აუცილებლობის შესახებ. 10.03.2004წ. ქირურგი ჯ. ნ-ე იძულებული იყო მიეღო ოპერაციული მკურნალობის გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე სავალდებულო იყო ფიბროგასტროსკოპიის გაკეთება, რითაც შესაძლებელი გახდებოდა ოპერაციული მკურნალობის თავიდან აცილება, რადგან ოპერაციული მკურნალობა, იმ ეტაპზე მეტად სარისკო და საეჭვო იყო. მოსარჩელემ აღნიშნა აგრეთვე, რომ შპს „... საავადმყოფო“ აწარმოებდა ულიცენზიო საქმიანობას სხვადასხვა სფეროში. გ. ბ-ესთან მიმართებით არალიცენზირებული საქმიანობა განხორციელდა კარდიოლოგიასა და კლინიკურ ტრანსფუზიოლოგიაში.

აჭარის ა/რ უმაღლესი სასამართლოს 19.07.2005წ. განჩინებით საპროცესო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების გამო საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 30.09.2005წ. განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 20.01.2006წ. გადაწყვეტილებით გ. ს-ი-ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხე, შპს „... საავადმყოფოს“ დაეკისრა მოსარჩელის სასარგებლოდ 2756 ლარის ოდენობით მატერიალური ზიანის და 6000 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურება, მოსარჩელეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე ფიზიკური პირების – ჯ. ქ-ისა და სხვებისათვის, აგრეთვე აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის მატერიალური და მორალური ზიანის საკომპენსაციო თანხების დაკისრების ნაწილში უსაფუძვლობის გამო. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა გ. ს-ი-ბ-ის და შპს „... საავადმყოფოს“ მიერ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 04.07.2006წ. განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილვე-

ლად გადაეცა ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.02.2007წ. გადაწყვეტილებით გ. ს-ი-ბ-ის და შპს „... საავადმყოფოს“ სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს 20.01.2006წ. გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც გ. ს-ი-ბ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, მოპასუხე შპს „... საავადმყოფოს“ მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 6 953 ლარის ოდენობით მატერიალური და 6000 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურება, გ. ს-ი-ბ-ეს უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე ფიზიკური პირების – ჯ. ქ-ისა და სხვათა (სულ 10 პირი), აგრეთვე აჭარის ა/რ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსათვის მატერიალური და მორალური ზიანის საკომპენსაციო თანხების დაკისრების ნაწილში.

სააპელაციო პალატამ საქმის მასალებით დადგენილად ცნო, რომ ბათუმის ლიფტების სამმართველოს ელექტროშემდუღებელი გ. ბ-ე, ელექტროსადენების შეკეთების დროს – 16.02.2004წ. გადმოვარდა ავტომანქანის ამნიდან და მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება, რის გამოც სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომანქანით გადაიყვანეს შპს „... საავადმყოფოს“ ნეიროქირურგიული განყოფილების ნეირორეანიმაციის, სადაც დაუდგინდა დიაგნოზი: ქალა ტვინის ღია ტრავმა, თავის ტვინის მძიმე ხარისხის დაჟეჟილობა, თავის ტვინის ღეროს დაზიანება, სუბარახნოიდალური სისხლჩაქცევა, კეფის ძვლის ხაზოვანი მოტეხილობა. დაიწყო პაციენტის მკურნალობა, თუმცა ავადმყოფს 28.02.2004წ. დაეწყო სისხლჩაქცევა კუჭნაწლავის ტრაქტიდან. ქირურგების მიერ დაენიშნა კონსერვატიული მკურნალობა. მდგომარეობის გაუმჯობესების გამო, ავადმყოფი გადაიყვანეს პალატაში, მაგრამ 06.03.2004წ. ჯანმრთელობის გაუარესების გამო, კვლავ გადაყვანილ იქნა ნეირორეანიმაციის. პაციენტს ჩაუტარდა ფიბროგასტროსკოპია, სამჯერ – კოლონოსკოპია, დაუდგინდა სისხლდენის წყარო, თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული – აქტიური სისხლდენის გარეშე, დაენიშნა კონსერვატიული მკურნალობა (სისხლდენის შემაჩერებელი მედიკამენტები). მიუხედავად ჩატარებული მკურნალობისა, 10.03.2004წ. თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულიდან სისხლდენის გამო, მშობლების წერილობითი თანხმობით, ჩაუტარდა სასწრაფო ოპერაცია სასიცოცხლო ჩვენებით (კუჭის რეზექცია), მდგომარეობა არ გაუმჯობესდა, რასაც 14.03.2004წ. მოჰყვა პაციენტ გ. ბ-ის გარდაცვალება. მშობლების წინააღმდეგობის გამო, გვამი არ გაკვეთილა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა არ ჩატარებულა. ფაქტზე

აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, თუმცა გამოძიებით სამედიცინო პერსონალის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა არ იქნა დადგენილი, რის გამოც სისხლის სამართლის საქმის წარმოება შეწყდა.

საქმეზე წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ შპს „... საავადმყოფოში“ ავადმყოფ გ. ბ-ის მკურნალობისას სამედიცინო პერსონალის უხეში გაუფრთხილებლობით (პაციენტისადმი არასათანადო ყურადღება, სწორი დიაგნოზის დაუსმელობა) პირის ჯანმრთელობას მიადგა ზიანი, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია ავადმყოფ გ. ბ-ის გარდაცვალება. სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლით დადგენილი სამედიცინო დანესებულების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რადგან სახეზე იყო აღნიშნული ვალდებულების წარმოშობის ყველა აუცილებელი წინაპირობა: ზიანი, ქმედების არამართლობიერება, ბრალი და მიზეზობრივი კავშირი.

სააპელაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ გ. ბ-ის გარდაცვალების ფაქტზე, ბათუმის რაიონული პროკურატურის მიმართვის საფუძველზე ჩატარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის დასკვნის თანახმად, გარდაცვალების უშუალო მიზეზის დადგენა ვერ მოხდა, თუმცა ავადმყოფ გ. ბ-ის №... სამედიცინო ბარათის ჩანაწერებით დასტურდება, რომ სიკვდილის მიზეზია ძირითადი დაავადება – გასტროდუოდენალური სისხლდენა. ამავე დასკვნის მიხედვით, გ. ბ-ის მკურნალობის პროცესში, სამედიცინო პერსონალის მიერ დაშვებულია საექიმო შეცდომა, ოპერაციის ჩატარების მხრივ, რაც განპირობებული იყო კლინიკური, ენდოსკოპიური და ლაბორატორიული მონაცემების არასწორი შეფასებით. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო დანესებულებების ხარისხის კონტროლის ინსპექციის უფროსის 28.10.2004 წ. აქტით სააპელაციო პალატამ დადასტურებულად მიიჩნია, რომ გ. ბ-ის მიმართ 10.03.2004წ. ჩატარებული ქირურგიული ოპერაციის ერთადერთი მიზანი იყო სისხლდენის საბოლოო მიზეზის დადგენა და მკურნალობა წარმოებული იყო დაგვიანებით. ამასთანავე, კონტროლის ინსპექციის უფროსის – გ. ბა-ის 22.02.2005წ. №18 წერილით დადასტურდა, რომ ავადმყოფ გ. ბ-ის მკურნალობის პროცესში დაგვიანებით იყო გამოცნობილი კუჭ-ნაწლავის სისხლდენის არსებობა, ასევე დაგვიანებით იყო ჩატარებული ოპერაციული მკურნალობა.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სამედიცინო პერსონალის მიერ საექიმო შეცდომის დაშვება ოპერაციის ვადების მხრივ,

დადასტურდა აგრეთვე საქმეში არსებული თსსუ ქირურგიის განყოფილების კათედრის დოცენტის – გ. ჩი-ას წერილით, რომელშიც დეტალურად იყო აღწერილი ავადმყოფობის მიმდინარეობის დინამიკა. დასკვნაში ექიმების მიერ დაშვებულ შეცდომად მიჩნეულ იქნა სისხლდენის წყაროს დაუდგენლად კონსერვატიული, ჰემოსტეზური და ინფუზურ-ტრანსფუზიური თერაპიის დანიშვნა. დანიშნული კონსერვატიული მკურნალობა ჩაითვალა არასრულყოფილად, ვინაიდან მის სქემაში არ იყო ჩართული ანტაციდური პრეპარატები. სისხლდენის დაწყების დღიდან ავადმყოფს მუდმივად ესაჭიროებოდა ქირურგის მეთვალყურეობა, რაც არ იყო ასახული დღიურებში. აუცილებელი იყო წითელი სისხლის მონაცემების მუდმივი კონტროლი. საბოლოო დასკვნის სახით გ. ჩი-ამ აღნიშნა, რომ არასათანადოდ იქნა შეფასებული თვითონ გასტროდუოდენალური სისხლდენის ფაქტი, არასრულყოფილად იქნა გამოყენებული სისხლდენის კონსერვატიული მკურნალობის შესაძლებლობები.

სასამართლომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო დაწესებულებების ხარისხის კონტროლის ინსპექციის უფროსის 28.10.2004 წ. აქტის საფუძველზე დაადგინა, რომ შპს „... საავადმყოფო“ ეწეოდა ულიცენზიო საქმიანობას მედიცინის სხვადასხვა დარგში, არალიცენზირებული მკურნალობა განხორციელდა გ. ბ-ის მიმართაც.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებულ სუბიექტს წარმოადგენდა შპს „... საავადმყოფო“, რადგან გ. ბ-ის სამედიცინო დახმარებასთან დაკავშირებით ხელშეკრულება გაფორმებული იყო სამედიცინო დაწესებულებასთან. სკ-ის 992-ე, 1007-ე მუხლების საფუძველზე პალატამ აღნიშნა, რომ სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას (ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვ.) პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძველებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნას მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში გააჩნდა სამართლებრივი საფუძველი. სასამართლომ, საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, დაადგინა მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა, გამოიკვლია მკურნალობასა და მედიკამენტებზე დახარჯული თანხის ოდენობა, აგრეთვე დაკრძალვასთან დაკავშირებული დანახარჯები და მოპასუხეს – შპს „... საავადმყოფოს“ დააკისრა მატერიალური ზიანის ანაზღაურება 6953 ლარის ოდენობით.

სასამართლომ, სკ-ის 413-ე მუხლის გათვალისწინებით, საფუძვლიანად მიიჩნია მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაც.

პალატამ მიუთითა აგრეთვე „პაციენტის უფლების შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად პაციენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის კომპენსაციის ანაზღაურების მოთხოვნით, თუ ზიანი გამოწვეულია მცდარი სამედიცინო ქმედებებით. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ქონებრივი ზიანის კომპენსაციასთან ერთად, დაზარალებული (მოსარჩელე გ. ს. ი-ბ-ე) უფლებამოსილია მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურებაც. აღნიშნული უფლების არსებობა არ არის დამოკიდებული ქონებრივი ზიანის მიყენებაზე, უახლოესი ადამიანის (მეუღლე, მშობელი, შვილი) გარდაცვალების გამო წარმოშობილი მორალური ზიანი ექვემდებარება ანაზღაურებას. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურება დასაშვებია სახელშეკრულებო ურთიერთობების დროსაც. მოცემულ შემთხვევაში მხარეები ხელშეკრულებით იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებულნი, მაგრამ მორალური ზიანის ანაზღაურება მიჩნეულ უნდა იქნეს დელიქტურ ვალდებულებად, რადგან ზიანი წარმოიშვა არასწორი სამედიცინო მომსახურებიდან, რაც ექვემდებარება ანაზღაურებას სკ-ის 1007-ე მუხლის საფუძველზე. სასამართლომ მორალური ზიანის კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო ზიანის მიმყენებლის ბრალის ხარისხი, მოპასუხის მატერიალური მდგომარეობა, გაითვალისწინა მოსარჩელის ფიზიკური და ზნეობრივი ტანჯვის სიმძიმე, ის, რომ განცდილ მორალურ ზიანს მოსარჩელისათვის ხანგრძლივი ხასიათი აქვს და სხვა. ამასთან, პალატამ აღნიშნა, რომ, მართალია, სამედიცინო დანესებულებისა და მისი მუშაკის მიერ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული სუბიექტი შპს „... საავადმყოფო“, თუმცა მას არ ერთმევა სამედიცინო პერსონალის მიმართ რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში არ შეიძლება დადგეს აჭარის ა/რ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს პასუხისმგებლობის საკითხი, რადგან შპს „... საავადმყოფო“ წარმოადგენს „მენარმეთა შესახებ“ კანონის საფუძველზე დაფუძნებულ დამოუკიდებელ კერძო სამართლის იურიდიულ პირს, რომლის დამფუძნებლებში არ ფიგურირებს აჭარის ა/რ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო. შპს „... საავადმყოფო“ გარკვეული სამედიცინო დარგების შესაბამისი ლიცენზიის გარეშე ფუნქციონირებისათვის ასევე არ შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს,

რადგანაც ასეთი ლიცენზიის გაცემის უფლება „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის 54-ე მუხლით გააჩნია მხოლოდ საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განსახილველი დავის გადაწყვეტის დროს დაშვებული იყო პროცესუალური დარღვევა, რაც გამოიხატა გადასაწყვეტი დავის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვაში, იმ პირობებში, როდესაც მოცემულ დავაში ერთ-ერთ მოპასუხეს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანო – აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ვისგანაც მოსარჩელე, სხვა მოპასუხეებთან ერთად, სოლიდარულად ითხოვდა ზიანის ანაზღაურებას, სასკ-ის მე-2 მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას ექვემდებარებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.02.2007წ. გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს შპს „... საავადმყოფომ“ და გ. ს-ი-ბ-ემ.

კასატორმა შპს „... საავადმყოფომ“ აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გამოტანილია პროცესუალური ნორმების დარღვევით, იურიდიული დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. სასამართლომ არასწორად განიხილა მოცემული დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, ვინაიდან იგი კერძო სამართლის იურიდიული პირია, მისი დამფუძნებელი არ არის აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და შესაბამისად, მის წინააღმდეგ აღძრული სარჩელი სამოქალაქო სამართლებრივი ხასიათისაა.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ემყარება მხოლოდ 2004 წლის აჭარის ა/რ ჯანდაცვის სამინისტროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნას, რომელიც შედგენილია ავადმყოფობის ისტორიის საფუძველზე და რომლიდანაც გამომდინარეობს ექსპერტის მოსაზრება ოპერაციული ჩარევის დაგვიანების შესახებ. გ. ბ-ის გვამს არ ჩატარებია სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა და შესაბამისად, საქმეში არსებული ყველა მოსაზრება ვარაუდზეა აგებული. არსებობს ორი ქირურგის: გ. ჩ-ისა და გ. ჩი-ას ურთიერთსაწინააღმდეგე მოსაზრება ოპერაციის ვადებთან დაკავშირებით. საქმეში მოიპოვება საქართველოს ეროვნული ბიუროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის 28.11.2006წ. წერილი ექსპერტიზის ჩატარების შეუძლებლობის შესახებ. გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის საქმე გ. ბ-ის მკურნალი ექიმების მიმართ შეწყვეტილია და-

ნაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. სასამართლომ არასწორად დაადგინა სამკურნალო დაწესებულების ექიმების მიერ ულიცენზიო სამედიცინო საქმიანობის განხორციელების ფაქტი. სასამართლომ დეტალურად არ გამოიანგარიშა მატერიალური ზიანის ოდენობა და ისე დააკისრა მოპასუხეს ზიანის ანაზღაურების თანხა. ამდენად, კასატორი თვლის, რომ არსებობს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილებით გ. ს-ი-ბ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველები.

კასატორმა გ. ს-ი-ბ-ემ მიუთითა სკ-ის 1007-ე მუხლზე, რომლის თანახმად სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში, დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც. სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებების გათვალისწინებით მართებულად მიიჩნია დადასტურებულად, რომ მოპასუხე ორგანიზაციის – შპს „... საავადმყოფოს“ მუშაკების ბრალეული ქმედებისა და რიგ დარგებში საავადმყოფოს ულიცენზიოდ საქმიანობის გამო გ. ს-ი-ბ-ემ განიცადა, როგორც მატერიალური, ასევე მორალური ზიანი, თუმცა მორალური ზიანისათვის სასამართლოს მიერ განსაზღვრული საკომპენსაციო თანხის ოდენობა გონივრული და სამართლიანი არ არის. კასატორმა მიიჩნია, რომ უნდა გაუქმდეს სააპელაციო პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილება და მოპასუხეს სრულად უნდა დაეკისროს მორალური ზიანის – 500000 ლარის ანაზღაურება. საქმის მასალებით უდავოდ დადასტურდა სამედიცინო პერსონალის ბრალეული ქმედებები, რამაც პაციენტის გარდაცვალება გამოიწვია. „პაციენტის უფლებების შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პაციენტის წარმომადგენელი ალჭურვილია მცდარი სამედიცინო ქმედებებით მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებით. მორალური ზიანის კომპენსაცია უნდა იყოს გონივრული და სამართლიანი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 15.05.2008წ. გადაწყვეტილებით გ. ს-ი-ბ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; შპს „... საავადმყოფოს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; გაუქმდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.02.2007 წ. გადაწყვეტილება გ. ს-ი-ბ-ის სა-

სარგებლოდ მორალური ზიანის (6000 ლარის) კომპენსაციის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; გ. ს-ბ-ეს უარი ეთქვა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე; დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელი.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ არ დადასტურდა სააპელაციო სასამართლოს მიერ განსჯადობის წესების დარღვევით საქმის განხილვა. განსჯადობის საკითხის გადაწყვეტა არ არის დამოკიდებული მხარეთა მოსაზრებებზე, მოპასუხეთა შუამდგომლობა საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვის შესახებ არ წარმოადგენს განსჯადობის წესის შეცვლის საკმარის საფუძველს, ვინაიდან განსჯადობა ემყარება დავის იმანენტურ ბუნებას, საქმის საგნობრივი განსჯადობის ობიექტურ კრიტერიუმებს. სასკ-ის 2.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოებისათვის წარდგენილი მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების შესახებ არის ადმინისტრაციული დავის საგანი, გ. ს-ი-ბ-ემ სარჩელი აღძრა აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, შპს „... საავადმყოფოს“ და ფიზიკური პირების (მკურნალი ექიმების) მიმართ და მოპასუხეებისაგან სოლიდარულად ითხოვდა მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურებას.

საკასაციო პალატამ, სასკ-ის 407.2 მუხლის საფუძველზე, ვინაიდან წაყენებული არ ყოფილა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია, გაიზიარა სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სკ-ის 1007-ე მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას (ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვ.) პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძვლებით, ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა კასატორ შპს „... საავადმყოფოს“ მოსაზრება იმის თაობაზე, რომ სასამართლომ არასწორად დაადგინა მოპასუხის ბრალი დამდგარ შედეგში, რადგან საქმეში დაცული იყო ურთიერთსაწინააღმდეგო მტკიცებულებები – ექსპერტიზის დასკვნები. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებოდა, კერძოდ გ. ბ-ის სიკვდილის ფაქტზე ბათუმის რაიონული პროკურატურის მიმართვის საფუძველზე ჩატარდა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, რომლის დასკვნის მიხედვით იმის გამო, რომ არ ჩატარებულა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა, სიკვდილის უშუალო მიზეზის დადგენა ვერ

მოხდა, თუმცა ავადმყოფ გ. ბ-ის სამედიცინო ბარათის ჩანაწერების საფუძველზე დადასტურებულად იქნა მიჩნეული, რომ სიკვდილის მიზეზი იყო გასტროდუოდენალური სისხლდენა. ამავე დასკვნის მიხედვით, გ. ბ-ის მკურნალობის პროცესში, სამედიცინო პერსონალის მიერ დაშვებული იყო საექიმო შეცდომა ოპერაციის ჩატარების მხრივ, რაც განპირობებული იყო კლინიკური, ენდოსკოპიური და ლაბორატორიული მონაცემების არასწორი შეფასებით. სასამართლოს მიერ დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო დაწესებულებების ხარისხის კონტროლის ინსპექციის უფროსის 28.10.2004 წ. აქტი დადასტურდა მკურნალობის დაგვიანებით წარმოება. ამასთანავე, კონტროლის ინსპექციის უფროსის – გ. ბა-ის 22.02.05წ. №18 წერილით დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ ავადმყოფ გ. ბ-ის მკურნალობის პროცესში დაგვიანებით იყო გამოცნობილი კუჭ-ნაწლავის სისხლდენის არსებობა, ასევე დაგვიანებით იყო ჩატარებული ოპერაციული მკურნალობა.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა მოსაზრება სასამართლოს მიერ ავადმყოფობის ისტორიის არასათანადოდ შეფასების შესახებ, რადგან ავადმყოფობის ისტორიის საფუძველზე შედგენილ იქნა სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის კვლევის საექსპერტო და სპეციალისტთა დასკვნები. საკასაციო პალატამ ჩათვალა, რომ კასატორის მითითება გ. ჩი-ას დასკვნაზე არ ადასტურებს შპს „... საავადმყოფოს“ მოთხოვნის საფუძვლიანობას, ვინაიდან ხსენებული დასკვნის მიხედვით სამედიცინო პერსონალის მიერ არასათანადოდ შეფასდა 27.02.2004წ. დაფიქსირებული ყავისფერი გამოწინადენი კუჭის ზონდიდან, თავიდანვე არასათანადოდ იქნა შეფასებული თვით გასტროდუოდენური სისხლდენის ფაქტი, დასკვნის ავტორმა არასრულყოფილად მიიჩნია დანიშნული კონსერვატიული მკურნალობა, დასკვნის თანახმად დაგვიანებით ჩატარდა გასტროფიბროსკოპია, ე.წ. „სასონარკვეთის ოპერაციის“ ჩატარებამდე მიზანშეწონილი იყო ფაბროგასტროსკოპიის გაკეთება, რითაც შესაძლოა მომხდარიყო ოპერაციული მკურნალობის თავიდან აცილება. დასკვნის ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ გვამის ექსპერტიზის ჩატარებლობის გამო კატეგორიულად რაიმეს მტკიცება შეუძლებელია, საკასაციო პალატის მოსაზრებით ადასტურებს არა გ. ჩი-ას დასკვნის სხვა დასკვნებთან წინააღმდეგობას, არამედ დასკვნის არაკატეგორიულ ხასიათს.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ გ. ბ-ისათვის არასათანადო სამედიცინო დახმარების განწევა დასტურდება აგრეთვე თვით შპს „... საავადმყოფოს“ დირექტორის 27.09.04წ. №21 ბრძანებით, რომლის თანახმად გარდაცვლილ გ. ბ-ის მკურნალობის პროცესში დაშ-

ვებულ იქნა საექიმო შეცდომა, რაც განპირობებული იყო კლინიკური, ენდოსკოპიური და ლაბორატორიული მონაცემების არასწორი შეფასებით. აღნიშნულის გამო ხსენებული ბრძანების საფუძველზე მკურნალი ექიმი ნეიროქირურგი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, რენიმატოლოგებს გამოეცხადათ სასტიკი საყვედური, ნეიროქირურგიული განყოფილების გამგეს მიეცა შენიშვნა, ქირურგიული განყოფილების გამგეს გამოეცხადა სასტიკი საყვედური, სამკურნალო დარგში დირექტორის მოადგილეს დაევალა სასწრაფო ოპერაციული მკურნალობის დროულად ჩატარებაზე მკაცრი კონტროლის დანერგვა. ბრძანების გამოცემას საფუძვლად დაედო ქ. ბათუმის პროკურატურის წარდგინება და აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრის დასკვნა.

კასატორ შპს „... საავადმყოფოს“ მოსაზრება მედიცინის სხვადასხვა დარგში საავადმყოფოს მიერ ულიცენზიო საქმიანობის განხორციელების უსწორობის შესახებ არ იქნა გაზიარებული. პალატის მოსაზრებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო დანესებულებების ხარისხის კონტროლის ინსპექციის უფროსის 28.10.2004 წ. აქტით დადასტურდა შპს „... საავადმყოფოს“ მიერ ულიცენზიო სამედიცინო საქმიანობის წარმოება შემდეგ დარგებში: კარდიოლოგია, ქირურგია-დიაგნოსტიკურ და რეკონსტრუქციულ დარგში, პროქტოლოგია, უროლოგია, პედიატრია, ეპიდემიოლოგია, კლინიკური ტრანსფუზიოლოგია და დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზა. ავადმყოფ გ. ბ-ესთან მიმართებაში არალიცენზირებული საქმიანობა განხორციელდა კარდიოლოგისა და კლინიკური ტრანსფუზიოლოგიის მიმართულებით. ავადმყოფ გ. ბ-ის სამკურნალოდ მონვეულ სპეციალისტებს: ც. წ-ას და ე. გ-ს, არ ჰქონდათ საექიმო საქმიანობის ნებართვა – სერტიფიკატი. უმცროს ექიმებად გაფორმებული იყვნენ მ. ხ-ე – ნეიროქირურგი და ხ. ჩ-ე – რენიმატოლოგი, რომლებიც ენეოდნენ დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას. ექიმ ი. თ-ეს ჰქონდა სერტიფიკატი პედიატრიაში, თუმცა მუშაობდა ტრანსფუზიოლოგად. საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება იმის თაობაზე, რომ აღნიშნულით დაირღვა „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ (28, 54, 56 მუხ.) და „საექიმო საქმიანობის შესახებ“ (19 მუხ.) კანონების მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა აგრეთვე კასატორის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ მატერიალური ზიანის ანაზღაურების თანხა სასამართლოს მიერ სათანადო მტკიცებულებებზე დაყრდნობის გარეშე იქნა დაკისრებული. პალატის მოსაზრებით, მკურნალობის ხარჯების ანაზღაურების თანხის განსაზღვრი-

სას სააპელაციო სასამართლომ რიგ შემთხვევაში მხედველობაში მიიღო წარმოდგენილი მტკიცებულებები (ქვითრები), რიგ შემთხვევაში კი სათანადო ცნობებზე დაყრდნობით დადგინდა გ. ბ-ის მკურნალობისას გამოყენებული მედიკამენტების საბაზრო ღირებულება. გარდაცვლილ გ. ბ-ის დაკრძალვისათვის განეული და სხვა თანამდევნი ხარჯების ანაზღაურების ოდენობაზე სასამართლოს მსჯელობა აგრეთვე ეფუძნებოდა სათანადო მტკიცებულებებს.

საკასაციო პალატამ სკ-ის 1007-ე, 413-ე მუხლების საფუძველზე მიიჩნია, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების ნაწილში კასატორის შპს „... საავადმყოფოს“ საკასაციო საჩივარი საფუძველიანია, ხოლო გ. ს-ი-ბ-ის საჩივარი – უსაფუძვლო, შემდეგ გარემოებათა გამო: მორალური ზიანი არის ის სულიერი განცდა და ფიზიკური ტკივილი, რომელსაც მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად განიცდის ფიზიკური პირი. მორალური ზიანი თავისი ხარისხით და წარმოშობის საფუძველების მიხედვით შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყოველგვარი მორალური ზიანი (სულიერი ტანჯვა), თუნდაც ეჭვს არ იწვევდეს მისი არსებობა, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის ანაზღაურებაც პირდაპირ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით. ამდენად, მორალური ზიანის ანაზღაურების სივრცე სამართალში შეზღუდულია, ზიანის სრული ანაზღაურება უპირობოდ ეხება მხოლოდ ქონებრივ ზიანს. მორალური ზიანი შეიძლება რეალურად მართლაც დადგეს, მაგრამ თუ კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული მისი ანაზღაურება, იგი არ ანაზღაურდება. ამგავრი მოთხოვნის დაკმაყოფილებას კონკრეტული ნორმა უნდა დაედოს საფუძველად. აღნიშნულის შესაბამისად, საკასაციო პალატამ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის საფუძველზე აღნიშნა, რომ მეუღლის, შვილის ან სხვა ახლობლის სიცოცხლის ხელყოფის გამო მიყენებული მორალური ზიანი არ ანაზღაურდება, რადგან აღნიშნული პირდაპირ არ არის გათვალისწინებული მოქმედი კანონმდებლობით (იხ. მაგ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 24.04.02წ. №3კ-1218-01; 06.04.01წ. №3კ/242; 29.01.03წ. №3კ-1443-02; 09.11.06წ. №ას-14-1466-05წ; 27.09.06წ. №ას-105-545-06 გადაწყვეტილებები). ამასთან, სკ-ის 413-ე მუხლის თანახმად, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების უფლება გააჩნია მხოლოდ დაზარალებულს.

საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ „პაციენტის უფლების შესახებ“ კანონის მე-10 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ითვალისწინებდა მორალური ზიანის ანაზ-

დაურების მოთხოვნის უფლებას ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში, რადგან ხსენებულ ნორმაში საუბარია პაციენტის უფლებაზე უშუალოდ ან კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. კანონიერი წარმომადგენელი პირს ენიშნება კანონით გათვალისწინებულ (არასრულწლოვანების, ქმედუნარობის და სხვ.) შემთხვევებში. მოსარჩელე ვერ მოითხოვდა ზიანის ანაზღაურებას როგორც გარდაცვლილი პაციენტის წარმომადგენელი, ხოლო გარდაცვლილის ოჯახის წევრის, ახლობლის და სხვა პირის მიერ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას მითითებული ნორმა არ ითვალისწინებს. საკასაციო პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ უდავოა ახალგაზრდა შვილის გარდაცვალებით მშობლის მიერ მორალური ტკივილის განცდა, მაგრამ იგი არ ექვემდებარება მატერიალურ ანაზღაურებას, რადგან აღნიშნული პირდაპირ არ არის გათვალისწინებული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

18.10.2018წ. საკასაციო პალატას განცხადებით მომართა გ. ს-მა (საქმის მასალებით, კერძოდ: სარჩელზე თანდართული გ. ს-ის მიერ ადვოკატ ე. პ-ის მიმართ გაცემული მინდობილობით, პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსარჩელის მიერ სხდომის გადასაღებად წარდგენილი ... სამედიცინო ცენტრის მიერ გაცემული ცნობით, სააპელაციო პალატაში წარდგენილი 04.07.2006წ. №1-3870 მინდობილობით, აჭარის ა/რ პროკურატურის მიმართვით, საკასაციო სასამართლოში წარმოდგენილი – ე. პ-ის მიმართ 02.08.2018წ. გაცემული მინდობილობითა და გ. ს-ის პირადობის მოწმობის ასლით დასტურდება მოსარჩელე გ. ს-ი-ბ-ისა და განმცხადებელ გ. ს-ის იდენტურობა). განმცხადებელმა მოითხოვა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 14.05.2008წ. გადაწყვეტილების (სარეზოლუციო ნაწილის 1-4 პუნქტების) ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმება, საქმის წარმოების განახლება და მოწინააღმდეგე მხარეებისთვის მორალური ზიანის – 500000 ლარის ანაზღაურების დაკისრება. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 19.07.2018წ. №58240/08 გადაწყვეტილებით გ. ს-ი-ბ-ის საქმეზე დადგინდა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის – სიცოცხლის უფლების დარღვევა, რადგან ეროვნული კანონმდებლობით გარდაცვლილის დედას არ მიეცა მორალური ზიანისათვის სათანადო კომპენსაციის მიღების შესაძლებლობა. სასამართლომ დაადგინა, რომ ზოგიერთ ექიმს, რომლებიც აპლიკანტის შვილს მკურნალობდნენ არ გააჩნდათ სათანადო ლიცენზიები და სამედიცინო

საქმიანობას ნებართვის გარეშე ახორციელებდნენ, რამაც წარმოშვა ხარვეზები პაციენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფისას. სსკ-ის 423-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტზე მითითებით განმცხადებელმა მიიჩნია, რომ არსებობს საქმის წარმოების განახლების და საქმის ხელახლა განხილვის შედეგად მონინალმდეგე მხარეებისათვის გ. ს-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის – 500 000 ლარის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.02.2019წ. განჩინებით გ. ს-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დაკმაყოფილდა, გაუქმდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 14.05.2008წ. №ბს-327-309(2კ-17) გადაწყვეტილება (სარეზოლუციო ნაწილის 1-4 პუნქტები) მოპასუხეთათვის მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნის ნაწილში და ამ ნაწილში განახლდა საქმის წარმოება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრების საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ს-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო შპს „... საავადმყოფოს“ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გ. ს-ის სასარგებლოდ მორალური ზიანის კომპენსაციის სახით 6000 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, გ. ს-ს უნდა მიეკუთვნოს კომპენსაცია 20 000 ლარის ოდენობით, დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა დარჩეს უცვლელად, შემდეგ გარემოებათა გამო:

ეროვნული სასამართლოების მიერ საქმეზე დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: მოსარჩელის შვილი – ბათუმის ლიფტების სამმართველოს ელექტროშემდგომელი გ. ბ-ე, ელექტროსადენების შეკეთების დროს – 16.02.2004წ. გადმოვარდა ავტომანქანის ამნიდან და მიიღო სხეულის მძიმე დაზიანება, რის გამო სასწრაფო სამედიცინო დახმარების ავტომანქანით მიყვანილ იქნა შპს „... საავადმყოფოში“ ნეიროქირურგიული განყოფილების რეანიმაციაში, სადაც დაუდგინდა დიაგნოზი: ქალა ტვინის ლია ტრავმა, თავის ტვინის მძიმე ხარისხის დაჟეჟილობა, თავის ტვინის ლეროს დაზიანება, სუბარახნოიდალური სისხლჩაქცევა, კეფის ძვლის ხაზოვანი მოტეხილობა. დაინყო მკურნალობის ჩატარება.

ავადმყოფს 28.02.2004წ. დაენყო სისხლჩაქცევა კუჭნაწლავის ტრაქტიდან, ქირურგების მიერ დაენიშნა კონსერვატიული მკურნალობა. მდგომარეობის გაუმჯობესების გამო, ავადმყოფი გადაიყვანეს პალატაში, მაგრამ 06.03.2004წ. ჯანმრთელობის გაუარესების შემდეგ, პაციენტი კვლავ გადაყვანილ იქნა ნეირორეანიმაციის ცენტრში. მას ჩაუტარდა ფიბროგასტროსკოპია, სამჯერ კოლონოსკოპია, დაუდგინდა სისხლდენის წყარო, 12-გოჯა ნაწლავის წყლული აქტიური სისხლდენის გარეშე. დაენიშნა კონსერვატიული მკურნალობა (სისხლდენის შემაჩერებელი მედიკამენტები). მიუხედავად ჩატარებული მკურნალობისა, 10.03.2004წ. თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულიდან სისხლდენის გამო, მშობლების წერილობითი თანხმობით, ჩაუტარდა სასწრაფო ოპერაცია სასიცოცხლო ჩვენებით (კუჭის რეზექცია), მდგომარეობა არ გაუმჯობესდა და გ. ბ-ე 14.03.2004წ. გარდაიცვალა. საქმეში დაცული მტკიცებულებების: სასამართლო სამედიცინო ცენტრის დასკვნის, აჭარის ა/რ ჯანდაცვის სამინისტროს კომისიის დასკვნის, თსუ ქირურგიულ სნეულებათა კათედრის დოცენტის გ. ჩი-ას და აჭარის ა.რ. ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო დახმარების კონტროლის ინსპექციის უფროსის გ. ბა-ის 22.02.2005წ. დასკვნების, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომისიის 28.10.2004წ. აქტის, შპს „... საავადმყოფოს“ დირექტორის 27.09.2004წ. №21 ბრძანების ურთიერთშეჯერების საფუძველზე დადგინდა, რომ გ. ბ-ის მკურნალობის პროცესში სამედიცინო პერსონალის მიერ კლინიკური, ენდოსკოპიური და ლაბორატორიული მონაცემების არასწორი შეფასების გამო, მკურნალობა წარმოებულ იყო დაგვიანებით, დაგვიანებით იქნა გამოცნობილი კუჭ-ნაწლავის სისხლდენის არსებობა და დაგვიანებით ჩატარდა ოპერაციული ჩარევა. ამასთანავე, დადგინდა საავადმყოფოს მიერ ულიცენზიო საქმიანობის განხორციელება მედიცინის სხვადასხვა დარგში, პაციენტ გ. ბ-ის მიმართ არალიცენზირებული საქმიანობა განხორციელდა კარდიოლოგიისა და კლინიკური ტრანსფუზიოლოგიის მიმართულებით.

ეროვნულ დონეზე სასამართლო წარმოების შედეგად გ. ს-ს აუნაზღაურდა მატერიალური ზიანი – 6953 ლარის ოდენობით, ხოლო მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარი ეთქვა მოქმედი ნორმატიული მოწესრიგებისა და იმჟამად არსებული ერთიანი სასამართლო პრაქტიკის (სუს 24.04.02წ. №3კ-1218-01; 06.04.01წ. №3კ/242; 29.01.03წ. №3კ-1443-02; 09.11.06წ. №ას-14-1466-05წ; 27.09.06წ. №ას-105-545-06 გადაწყვეტილებები) გათვალისწინებით.

გ. ს-მა საჩივარი წარადგინა ადამიანის უფლებათა ევროპულ სამართალში იმ საფუძველზე, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა

კონვენციის მე-2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულება დაცვა მისი შვილის სიცოცხლე ექიმების შეცდომისაგან, სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო მისი შვილის გარდაცვალებაზე ადეკვატური რეაგირება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 19.07.2018წ. გადაწყვეტილებით (საჩივარი №58240/08) სასამართლომ დაადგინა სახელმწიფოს მიერ კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა იმ დასაბუთებით, რომ საქართველომ ვერ შეასრულა მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება – პაციენტთა სიცოცხლის დასაცავად ფუნქციურად ეფექტური მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩოს უზრუნველყოფა, ამასთანავე, ეროვნულმა სასამართლომ მოსარჩელეს არ მიაკუთვნა ადეკვატური კომპენსაცია, რადგან საქართველოს კანონმდებლობა მორალურ ზიანთან მიმართებით არ ითვალისწინებდა ნათესავეებისათვის კომპენსაციის მიკუთვნებას. 19.07.18წ. გადაწყვეტილებაში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევის შედეგად არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება პრინციპში შესაძლებელი უნდა იყოს, როგორც სამართლიანი დაცვის ერთ-ერთი ფორმა (§96). სასამართლომ აღნიშნა, რომ მსგავსი კომპენსაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს, მოქმედმა საკანონმდებლო შეზღუდვამ მოსარჩელეს ჩამოართვა მისთვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის საშუალებით მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. ევროპულ სასამართლოს არ დაუდასტურებია დავის განმხილველი სასამართლოს მიერ მტკიცებულებათა არასათანადოდ გამოკვლევა, ფაქტობრივი გარემოებების არასრულად დადგენა და სხვ., სახელმწიფოს მიერ კონვენციის ნორმების დარღვევა სათანადო საკანონმდებლო რეგულირების ჩარჩოს არარსებობის გამო დადგინდა (§§95-97).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამედიცინო პერსონალის ქმედებით გამოწვეული პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების ან გარდაცვალების შემთხვევაში, უფლებამოსილ პირს შეუძლია მოითხოვოს დამდგარი ზიანის ანაზღაურება. სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლის თანახმად, სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას (ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვ.) პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძვლებით. ზოგადი წესის მიხედვით (სკ-ის 992-ე მუხ.), ანაზღაურებას ექვემდებარება მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად წარმოშობილი ზიანი. სამედიცინო მუშაკის ქცევის მართლსაწინააღმდეგოდ მიჩნევისთვის, აუცილებელია არასათანადო სამედიცინო დახმარების აღმოჩენის ფაქტის დადგენა, რაც შესაძლოა გამოვლინდეს როგორც დიაგნოსტიკური და სამკურნალო მანიპულაციე-

ბის მეთოდურად თუ ტექნიკურად არასწორად განხორციელებაში, ასევე სამედიცინო დანიშნულების შესაბამისი დიაგნოსტიკური და სამკურნალო ღონისძიებების სავალდებულო მოცულობის შეუსრულებლობაში. სავალდებულოა ექიმის მიერ საჭირო სამედიცინო მოქმედებების დროული იდენტიფიცირება და მათი აღიარებული სამედიცინო სტანდარტების შესაბამისად განხორციელება. განსახილველ შემთხვევაში საქმეზე დადგენილად არის მიჩნეული, რომ შპს „... საავადმყოფოს“ სამედიცინო პერსონალის არალიცენზირებული საქმიანობის, საექიმო შეცდომების, დაგვიანებული და არასათანადო მკურნალობის შედეგად გარდაიცვალა მოსარჩელის შვილი – გ. ბ-ე. ამდენად, წარმოიშვა ზიანის ანაზღაურების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველი.

ზიანის ანაზღაურების ვალდებულება შესაძლოა წარმოიშვას არა მხოლოდ გარიგებიდან, არამედ დელიქტიდანაც. სამედიცინო მომსახურების განევისას პირის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველი შესაძლოა გახდეს სამედიცინო დაწესებულებასა და პაციენტს (მის წარმომადგენელს) შორის არსებული ხელშეკრულების შეუსრულებლობა/არაჯეროვანი შესრულება ან პირის კანონით დაცული სიკეთისათვის (ჯანმრთელობა, სიცოცხლე, საკუთრება) ზიანის მიყენება. განსახილველ შემთხვევაში უპირატესობა უნდა მიენიჭოს ვალდებულების წარმოშობის კანონისმიერ საფუძველს, რადგან პირის სიცოცხლის უფლებისათვის ზიანის მიყენება წარმოშობს ანაზღაურების ვალდებულებას მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობების არსებობის მიუხედავად. სწორედ კანონისმიერ ვალდებულებათა მომწესრიგებელი ნორმები იცავს პირის უფლებებს არაკანონიერი ხელყოფისაგან, სახელშეკრულებო ვალდებულებათა მომწესრიგებელი ნორმებისაგან განსხვავებით, რომელთა ძირითადი ფუნქცია მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო, მისი წინმსწრები და თანამდევი ურთიერთობების მოწესრიგებაა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საექიმო შეცდომით პირისათვის მიყენებული ზიანი შესაძლოა იყოს როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი. მატერიალური (ქონებრივი) ზიანი შესაძლოა გამოიხატოს ჯანმრთელობის დაზიანებაში, დამატებითი ხარჯების განევაში და სხვ., ხოლო მორალური (არაქონებრივი) ზიანი ვლინდება პირის მორალურ განცდებსა და სულიერ ტკივილში, რომელსაც იგი განიცდის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს შეადგენს მხოლოდ მორალური ზიანის ანაზღაურება, რადგან საქმის წარმოების განახლების შესახებ გ. ს-ის განცხადებაში ასახული მოთხოვნის ფარგლებისა და

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 19.07.2018წ. გადან-  
ყვეტილების შინაარსის გათვალისწინებით, საქართველოს უზენა-  
ესი სასამართლოს 22.02.2019წ. განჩინებით საქმის წარმოება გა-  
ნახლდა მხოლოდ მოპასუხეთათვის მორალური ზიანის ანაზღაუ-  
რების დაკისრების მოთხოვნის ნაწილში.

მორალური ზიანი არის ის სულიერი განცდა და ფიზიკური ტკი-  
ვილი, რომელსაც მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად გა-  
ნიცდის ფიზიკური პირი. უდავოა, რომ ახალგაზრდა შვილის გარ-  
დაცვალებით მშობელი განიცდის მნიშვნელოვან მორალურ ტკი-  
ვილს, რაც დაკავშირებულია განგრძობად ნეგატიურ განცდებთან  
და სტრესულ მდგომარეობასთან. აღნიშნული გარემოება დადგე-  
ნილი იქნა აგრეთვე საკასაციო პალატის 14.05.2008წ. გადანყვეტი-  
ლებითაც, თუმცა იმ ეტაპზე გ. ს-ს ვერ მიეკუთვნა სათანადო ანაზ-  
ღაურება კანონმდებლობაში შესაბამისი მოწესრიგების არარსებო-  
ბისა და იმ დროს მოქმედი ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტი-  
კის (მაგ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სა-  
მენარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 24.04.02წ. №3კ-1218-  
01; 06.04.01წ. №3კ/242; 29.01.03წ. №3კ-1443-02; 09.11.06წ. №ას-  
14-1466-05წ; 27.09.06წ. №ას-105-545-06 გადანყვეტილებები) გათ-  
ვალისწინებით. ამჟამად საკითხის გადანყვეტისათვის მნიშვნელო-  
ვანია, რომ ეროვნულ კანონმდებლობაში სათანადო რეგულირების  
არარსებობის მიუხედავად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სა-  
სამართლომ 19.07.2018წ. გადანყვეტილებაში მიუთითა გარდაც-  
ვლილის დედისათვის განცდილი მორალური ტანჯვით მიყენებუ-  
ლი ზიანის კომპენსირების აუცილებლობაზე. სასამართლომ უნდა  
იხელმძღვანელოს კონვენციით, ისევე, როგორც შიდასამართლის  
სხვა ნორმებით, ვინაიდან კონვენცია ინკორპორირებულია სახელ-  
მწიფოს სამართლებრივ სისტემაში. საქართველოს კონსტიტუცი-  
ის 4.5 მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის 7.3  
მუხლის თანახმად, საერთაშორისო ხელშეკრულებას საქართვე-  
ლოს სამართლებრივ სისტემაში კონსტიტუციის, კონსტიტუციუ-  
რი კანონისა და კონსტიტუციური შეთანხმების შემდეგ აქვს უპი-  
რატესი იურიდიული ძალა ორგანულ და მიმდინარე კანონებთან მი-  
მართებით. ამდენად, ეროვნულმა ორგანოებმა უპირატესობა უნ-  
და მიანიჭონ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას ეროვ-  
ნულ კანონმდებლობასთან მიმართებით. 27.06.2014წ. საქართვე-  
ლოს სახელმწიფოს მიერ ხელმოწერილ იქნა ევროკავშირთან ასო-  
ცირების შესახებ შეთანხმება (რაციფიცირებულია საქართველოს  
პარლამენტის 18.07.2014წ. №2495-რს დადგენილებით), რომლითაც  
საქართველომ ვალდებულია იკისრა განახორციელოს ევროკავ-  
შირის კანონმდებლობასთან დაახლოების მიმართული ღონისძიე-

ბები, რა დროსაც ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს ევროპის სასამართლოს შესაბამის გადანყვეტილებებს (146.2 მუხ.). ასოცირების ერთ-ერთ მიზნად დასახელდა მართლმსაჯულების სფეროში თანამშრომლობის გაძლიერება, კანონის უზენაესობის განმტკიცება და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემა (1.2 მუხ. „ფ“ ქვ.პ.). ამდენად, ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფომ იკისრა ვალდებულება ეროვნულ დონეზე მართლმსაჯულების განხორციელებისას (მათ შორის ადმინისტრაციულ საქმეებზე) გაითვალისწინოს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებებში ასახული მიდგომები.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზოგადი წესის მიხედვით, მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას განსაზღვრავს სასამართლო მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. ამასთან, ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა, ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს მიხედულებით წყდება, სკის 413-ე მუხლის მიხედვით, მორალური ზიანი ანაზღაურდება გონივრული და სამართლიანი ოდენობით. საკასაციო პალატა თვლის, რომ გ. ს-ის მიერ მოთხოვნილი 500000 (ხუთასი ათასი) ლარი მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნების მიმართ არაპროპორციულია. მორალური ზიანის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში იღებს ისეთ გარემოებებს, როგორცაა: დამდგარი ზიანის სიმძიმე, დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება მორალური ზიანის მიმართ, განცდების ინტენსივობა, შელახული უფლების მნიშვნელობა და სხვ.. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები, რომ მორალური ზიანის სპეციფიკის გათვალისწინებით, მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრესი მიზანი არ არის ხელყოფილი უფლების რესტიტუცია, რადგან მიყენებულ ზიანს ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. მორალური ზიანის კომპენსაციის მიზანია მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების, ნეგატიური განცდების შემსუბუქება, დადებითი ემოციების გამოწვევა. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ვერ აღუდგენს დაზარალებულს ხელყოფამდე არსებულ სულიერ მდგომარეობას, მისი მიზანია არამატერიალური სიკეთის ხელყოფით გამოწვეული ტანჯვის შემსუბუქება, ნეგატიური განცდების სიმძიმისა და ინტენსივობის შემცირება. მორალური ზიანის ანაზღაურება სასამართლოს მიერ ფულადი ფორმით განისაზღვრება ქონებრივი ზიანის ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად. მორალური (არაქონებრივი) ზიანის ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება როგორც დამდგარი ზიანის სიმძიმის, ისე ბრალის ხარისხის მიხედვით. კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ

მოპასუხეებს არ ჰქონდათ მოსარჩელის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების განზრახვა, სახეზეა გაუფრთხილებელი ბრაღი. ამასთანავე, კომპენსაციის ოდენობა არ უნდა იყოს უსაშველოდ გაზრდილი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების სახით გ. ს-ს უნდა მიეკუთვნოს – 20 000 ლარი. ამასთანავე, განსაზღვრას საჭიროებს გ. ს-ისათვის კომპენსაციის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო დაწესებულებების ხარისხის კონტროლის ინსპექციის უფროსის 28.10.046. აქტივით დასტურდება, რომ შპს „... საავადმყოფო“ აწარმოებდა ულიცენზიო სამედიცინო საქმიანობას შემდეგ დარგებში: კარდიოლოგია, ქირურგია-დიაგნოსტიკურ და რეკონსტრუქციულ დარგში, პროქტოლოგია, უროლოგია, პედიატრია, ეპიდემიოლოგია, კლინიკური ტრანსფუზიოლოგია და დროებითი შრომისუუნარობის ექსპერტიზა. ავადმყოფ გ. ბ-ესთან მიმართებაში არალიცენზირებული საქმიანობა განხორციელდა კარდიოლოგიისა და კლინიკური ტრანსფუზიოლოგიის მიმართულებით. ავადმყოფ გ. ბ-ის სამკურნალოდ მონვეულ სპეციალისტებს: ც. ნ-ას და ე. გ-ს, არ ჰქონდათ საექიმო საქმიანობის ნებართვა – სერტიფიკატი. უმცროს ექიმებად გაფორმებული იყვნენ მ. ხ-ე – ნეიროქირურგი და ხ. ჩ-ე – რეანიმატოლოგი, რომლებიც ეწეოდნენ დამოუკიდებელ საექიმო საქმიანობას. ექიმ ი. თ-ეს ჰქონდა სერტიფიკატი პედიატრიაში, თუმცა მუშაობდა ტრანსფუზიოლოგად. სადავო პერიოდში მოქმედი „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის 56-ე მუხლის მიხედვით, სამედიცინო დაწესებულებებს ეკრძალებოდა სამედიცინო საქმიანობა სათანადო ლიცენზიის გარეშე, სამედიცინო დაწესებულების სამედიცინო საქმიანობის სფერო განისაზღვრებოდა ლიცენზიაში მითითებული ჩამონათვალით. „საექიმო საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-19 მუხლის თანახმად, სახელმწიფო სერტიფიკატი იყო დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების დამადასტურებელი სახელმწიფო მოწმობა, რომელიც განსაზღვრავდა საექიმო სპეციალობას და რომლითაც პირი უფლებამოსილი იყო განეხორციელებინა დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობა. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის 28-ე მუხლი კრძალავდა სახელმწიფო სერტიფიკატის გარეშე დამოუკიდებელი სამედიცინო საქმიანობის უფლებას. აღნიშნულის მიუხედავად, შპს „... საავადმყოფომ“ განახორციელა არალიცენზირებულ დარგებში საქმიანობა, სამედიცინო პერსონალის ნაწილი მოქმედებდა სათანადო სერტიფიკატის გარეშე, მათ შორის გ. ბ-ესთან მიმართებით, მიუხედავად იმისა, რომ სამედიცინო

დანესებულებას კანონმდებლობით ერთმნიშვნელოვნად ეკისრება სამედიცინო საქმიანობის მარეგულირებელი ნორმატიულად დადგენილი სტანდარტების და წესების დაცვა („ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ კანონის 53-ე მუხ.). საქმის მასალებით ასევე დადასტურდა, რომ კლინიკური, ენდოსკოპიური და ლაბორატორიული მონაცემების არასწორი შეფასებით, მკურნალობა წარმოებული იყო დაგვიანებით, დაგვიანებით იქნა გამოცნობილი კუჭ-ნაწლავის სისხლდენის არსებობა და დაგვიანებით ჩატარდა ოპერაციული ჩარევა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სკ-ის 1007-ე, 997-ე, 396-ე მუხლებიდან გამომდინარე, პაციენტისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელი სუბიექტია უშუალოდ სამედიცინო დანესებულება, რადგან ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება იმ სუბიექტს, რომლის მუშაკიც თავისი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ზიანს აყენებს მესამე პირს. ასეთ დროს დამსაქმებელი პასუხს აგებს თავისი და არა სხვისი ბრალისთვის, რადგან მუშაკის ქმედება აღიქმება დამსაქმებლის ქმედებად, დამსაქმებლის ბრალი არასათანადო პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პირის შერჩევამი ვლინდება, საჭირო პერსონალის სფეროში მოქმედი ნორმატიული დანაწესები, არამედ საჭირო წინდახედულობის ყველა მოთხოვნა. სწორედ დამსაქმებელი განსაზღვრავს დასაქმებულის მოქმედების ფარგლებს და აქვს მისი კონტროლის ფაქტობრივი და სამართლებრივი შესაძლებლობა. სწორედ დამსაქმებელი – სამედიცინო დანესებულება და არა დანესებულების პერსონალი იღებს ვალდებულებას პაციენტისათვის დროული, ადეკვატური და თანმიმდევრული მკურნალობის ჩატარების შესახებ, თუმცა ამ ვალდებულების შესასრულებლად იურიდიული პირი – სამედიცინო დანესებულება იყენებს მის მიერვე შერჩეულ მესამე პირებს – მასთან ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფ სამედიცინო პერსონალს. აღნიშნული გარემოებებით არის განპირობებული სამედიცინო შეცდომით მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე სამედიცინო დანესებულების და არა მისი პერსონალის პასუხისმგებლობა (თუმცა აღნიშნული არ გამოორიცხავს დანესებულების მიერ რეგრესის წესით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას უშუალოდ ზიანის მიმყენებელი სუბიექტების მიმართ). განსახილველ შემთხვევაში გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ სამედიცინო დანესებულების ბრალი გამოიხატა არა მხოლოდ არასერტიფიცირებული სამედიცინო პერსონალის პაციენტთან დაშვებით, არამედ მის მიერ არაერთ დარგში არალიცენზირებული საქმიანობის განხორციელებით. ამდენად, სამედიცინო დანესებულება – შპს „... საავადმყოფო“

ვალდებულია აანაზღაუროს თავისი სამედიცინო პერსონალის არას-  
ნორი ქმედებების გამო გ. ბ-ის გარდაცვალების შედეგად გ. ს-ისათ-  
ვის მიყენებული მორალური ზიანი, თუმცა საკასაციო პალატა  
თვლის, რომ კომპენსაციის ანაზღაურება აგრეთვე აჭარის ა/რ ჯან-  
დაცვის სამინისტროსაც უნდა დაეკისროს შემდეგ გარემოებათა  
გამო:

საქართველო, ცნობს რა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასა-  
მართლოს იურისდიქციას, კისრულობს ევროპული სასამართლოს  
გადანყვეტილებების აღსრულების ვალდებულებას. ადამიანის უფ-  
ლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენ-  
ციის 46-ე მუხლის თანახმად, კონვენციის ნევრ სახელმწიფოებს  
ეკისრებათ ვალდებულება დაემორჩილონ სასამართლოს საბოლოო  
გადანყვეტილებას ნებისმიერ საქმეზე, რომლის მხარეებიც თავად  
არიან. მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობის ქვეშ, მოპასუ-  
ხე სახელმწიფო თავისუფალია აირჩიოს ღონისძიებები, რომელთა  
მეშვეობითაც ის შეასრულებს კონვენციის 46-ე მუხლიდან გამომ-  
დინარე ვალდებულებას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასა-  
მართლოს გადანყვეტილების აღსრულების მიზნით სახელმწიფო  
ახდენს ინდივიდუალურ ღონისძიებათა შერჩევას დარღვევის ბუ-  
ნებიდან, კონკრეტული ფაქტობრივი მდგომარეობიდან, დავის ინ-  
დივიდუალური მახასიათებლებიდან გამომდინარე. ამ ღონისძიე-  
ბათა მიზანია მომჩივნის უფლებების აღდგენა ყველაზე ეფექტია-  
ნი და ადეკვატური ზომების მიღების გზით. სახელმწიფო ვალდე-  
ბულია დაიცვას უფლებები და აღიაროს მათი დარღვევა არა მხო-  
ლოდ თეორიულად, არამედ სათანადო ღონისძიებების გატარებით  
უზრუნველყოს უფლების დარღვევის აღმოფხვრა.

განსახილველი დავის გარემოებებიდან, დელიქტით გამოწვეუ-  
ლი მძიმე შედეგებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის,  
რომ მხოლოდ დარღვევის ფაქტის კონსტატაცია არ არის საკმარი-  
სი არაქონებრივი სიკეთის შელახვით გამოწვეული მორალური ზი-  
ანის კომპენსაციისათვის. ადამიანის უფლებათა ევროპული სასა-  
მართლოს 19.07.2018წ. (საჩივარი №58240/08) გადანყვეტილებით  
ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია სახელმწიფოს მიერ კონვენცი-  
ის მე-2 მუხლი დარღვეულად, თუმცა სათანადო კომპენსაცია არ  
განუსაზღვრავს გ. ს-ის მოთხოვნის არარსებობის გამო (§100). ევ-  
როპულ სასამართლოს შეუძლია არ დაეთანხმოს განმცხადებლის  
მიერ წამოყენებულ მოთხოვნას სამართლიანი კომპენსაციის თაო-  
ბაზე ან მოთხოვნილი თანხა მიიჩნიოს არაგონივრულად, უფლების  
დარღვევის აღიარებას ყოველთვის არ მოჰყვება მოპასუხე სახელ-  
მწიფოსათვის კომპენსაციის დაკისრება, შესაძლოა მორალური ზი-  
ანის ანაზღაურებისთვის საკმარისად იქნეს მიჩნეული დარღვევის

აღიარების შესახებ სასამართლო გადაწყვეტილების მიღება (იხ. მაგ. „ბელდჯუდი საფრანგეთის წინააღმდეგ“ (26.02.1992წ.), §85, 86). მსგავსი მითითება გ. ს-ის საჩივართან დაკავშირებით ევროპულ სასამართლოს არ გაუკეთებია, პირიქით, სასამართლომ აღნიშნა, რომ კომპენსაციის მიკუთვნება არ მოხდა მხოლოდ მოთხოვნის არარსებობის გამო, ამასთან, სასამართლომ ხაზგასმა მოახდინა ეროვნული წესით საქმის წარმოების განახლების შესაძლებლობაზე (§101), რაც ფაქტობრივად გულისხმობს ეროვნულ სასამართლოებში საქმის წარმოების განახლებისას გ. ს-ისათვის სათანადო კომპენსაციის მიკუთვნების საჭიროებას, დამდგარი ზიანის სახელმწიფოს მხრიდან ანაზღაურებას.

მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან თანხებს საქართველოს მთავრობის შესაბამისი გადაწყვეტილების საფუძველზე გამოყოფს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (საბიუჯეტო კოდექსის 30.2 მუხ.), მხედველობაშია მისაღები, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებაზე პასუხისმგებელია მთლიანად სახელმწიფო. ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნებისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება სახელმწიფოს ორგანიზაციული სტრუქტურებიდან კონკრეტულად რომელი ორგანო განახორციელებს გადაწყვეტილების აღსრულებასაკენ მიმართულ მოქმედებებს. ზოგადად, სახელმწიფო ორგანოთა ერთობლიობა ქმნის ერთ მთლიან სისტემას. სისტემას ახასიათებს შინაგანი ორგანიზაციული, ფუნქციური ერთობა, რასაც არ ცვლის ხელისუფლების დანაწილების პრინციპი. ხელისუფლების დანაწილება უზრუნველყოფს სახელმწიფო ფუნქციების გონივრულ დიფერენციაციასა და ინსტიტუციურ გამიჯვნას. აღნიშნული პრინციპის საფუძველზე სახელმწიფოს მართვა-გამგეობაზე, კონსტიტუციისა და კანონთა აღსრულებაზე პასუხისმგებელი სახელისუფლებო შტო არის აღმასრულებელი ხელისუფლება. ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები შედიან საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში („საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონის 28.1 მუხ.). არსებული კომპლექსური სტრუქტურული დაყოფის მიუხედავად აღმასრულებელი ხელისუფლება თავისი არსით წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ერთიან შტოს. ამასთანავე, მართალია, ეროვნულ დონეზე ადმინისტრაციული ორგანოები მოქმედებენ მხოლოდ კონსტიტუციითა და კანონმდებლობით მათთვის განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, თუმცა სახელმწიფო ორგანოთა უფლებამოსილებე-

ბის მკვეთრი გამიჯვნა არარელევანტურია ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების მიზნებისთვის. ევროპული სასამართლო დარღვევას აფიქსირებს სახელმწიფოს მხრიდან და ასევე ზოგადად სახელმწიფოს აკისრებს გარკვეულ ვალდებულებათა შესრულებას. განსახილველ შემთხვევაში, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გ. ს-ის საჩივართან დაკავშირებით გამოტანილი გადაწყვეტილების შინაარსიდან იკვეთება, რომ სასამართლომ ხაზგასმა მოახდინა ეროვნულ დონეზე წარმოების განახლების და შესაბამისად, სახელმწიფოს მხრიდან კომპენსაციის ანაზღაურების აუცილებლობაზე. ამასთანავე, ევროპული სასამართლოსათვის ცნობილი იყო ეროვნულ დონეზე არსებულ სასამართლო წარმოებაში მოპასუხეებად დასახელებული სუბიექტები. აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სსკ-ის 85-ე მუხლის წესების დაცვით არასათანადო მოპასუხედ ეროვნული სასამართლოს მიერ ცნობილი არ ყოფილა, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 30.09.2005წ. განჩინებით მოპასუხე აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლის შუამდგომლობა სამინისტროს მოპასუხეთა სიიდან ამორიცხვის შესახებ არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო, სააპელაციო პალატის სხდომაზე მოსარჩელემ და მისმა წარმომადგენელმა დაადასტურეს, რომ სოლიდარულ მოპასუხედ სარჩელზე საავადმყოფოსთან ერთად არის აგრეთვე აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სწორედ აღნიშნულის გამო ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 04.07.2006წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი განსჯადობით გადაეცა ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლის სხდომაზე მოსარჩელემ დაადასტურა, რომ მის მოთხოვნაზე სათანადო მოპასუხეა აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

სოციალური სახელმწიფო არის მმართველობის ფორმა, რომელშიც სახელმწიფო ზრუნავს მოქალაქეების ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობაზე. აღნიშნული ფუნქციის ფარგლებში სახელმწიფო ქმნის პირობებს ჯანდაცვის განვითარებისათვის, უზრუნველყოფს სათანადო ხარისხის სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობას. სახელმწიფო თავის ფუნქციებს ახორციელებს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და იურიდიული პირების მეშვეობით. აღმასრულებელ ორგანოთა სისტემას ქმნის საქართველოს პრეზიდენტი, მთავრობა, აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროები და სხვ.. საქართველოს სამინისტროს მმართველობის სფერო განისაზღვრება სამინისტროს დე-

ბულებით („საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ კანონის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის 16.1 მუხ.). საქართველოს პრეზიდენტის 17.10.2001წ. №411 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების“ (ძალადაკარგულია საქართველოს პრეზიდენტის 10.06.2004წ. №210 ბრძანებულებით) სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მიხედვით, სამინისტროს მმართველობის სფეროსა და ძირითად ამოცანებს განეკუთვნებოდა ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველსაყოფად შემუშავებული სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება და ამისათვის გამიზნული საქმიანობის კოორდინაცია და კონტროლი, სამედიცინო დახმარების ერთიანი წესების, პირობებისა და ნორმატივების შემუშავება და მათი შესრულების კონტროლი, სამედიცინო დახმარების ხარისხის, მოსახლეობისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი გარანტირებული კვალიფიციური ხელმისაწვდომი სამედიცინო დახმარების, სამედიცინო კადრების მომზადების სათანადო დონის, კვალიფიკაციისა და უწყვეტი სამედიცინო განათლების პროცესის სრულყოფის უზრუნველყოფა (2.1 მუხ. „ა“, „დ.დ“, „დ.ვ“, „დ.ლ“, „დ.ჟ“ ქვ.პ.), სამინისტროს უფლებამოსილებას შეადგენდა სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლი (მე-3 მუხ. „გ“ ქვ.პ.). სამინისტრო თავისი უფლებამოსილებების განხორციელებას ახდენდა სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით, მის სისტემაში გაერთიანებული სუბიექტების მეშვეობით. სამინისტროს სისტემა შედგებოდა ტერიტორიული ორგანოებისაგან, სამინისტროს მმართველობის სფეროში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირებისაგან, სამინისტროს გამგებლობაში მყოფი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისაგან და შესაბამის სფეროში ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებისაგან (მე-4 მუხ.). დებულების მიხედვით საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არ ჰქონდა ტერიტორიული ორგანო (4.4 მუხ.), თუმცა მის სისტემაში შედიოდა აჭარის ა/რ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო (4.1 მუხ.), ამდენად, სწორედ ეს უკანასკნელი უზრუნველყოფდა აჭარაში რეგიონალურ დონეზე ჯანდაცვის სახელმწიფო პოლიტიკისა და საქართველოს სამინისტროს იმ ფუნქციების განხორციელებას, რომელიც კანონმდებლობით ცენტრალური სამინისტროს ექსკლუზიურ უფლებამოსილებას არ განეკუთვნებოდა. აჭარის ა/რ მინისტრთა საბჭოს 01.07.1998წ. №142 დადგენილებით დამტკიცებული „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დებულების“ მიხედვით ა/რ სამინისტრო უზრუნველყოფდა სახელ-

მნიფო მმართველობას ჯანმრთელობის დაცვის სფეროში, მის ამოცანებს შეადგენდა სახელმწიფოს სამედიცინო-სანიტარული პოლიტიკის განხორციელება, ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამედიცინო დახმარების ერთიანი ნესების, პირობებისა და ნორმატივების შესრულებაზე კონტროლის დანესება, სამედიცინო დახმარების ხარისხის უზრუნველყოფა, მოსახლეობის კვალიფიციური დახმარების უზრუნველყოფა, სამედიცინო დანესებულებათა სამკურნალო-პროფილაქტიკურ საქმიანობაზე კონტროლი, ა/რ სამინისტროს ერთ-ერთი ფუნქცია იყო სამედიცინო დანესებულებაში მკურნალობის ხარისხის კონტროლის განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება. ამდენად, მართალია, ა/რ სამინისტრო სადავო პერიოდში არ იყო სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის გამცემი ორგანო, თუმცა მას ჰქონდა რიგი ფუნქციები, რომელთა ჯეროვანი განხორციელება შესაძლებელს გახდიდა მოსარჩელის შვილისათვის არალიცენზირებული და არაკვალიფიციური სამედიცინო დახმარების განევის გამორიცხვას. საქმის მასალებიდან არ იკვეთება, რომ ა/რ სამინისტრო სათანადოდ ახორციელებდა კანონმდებლობით მისთვის დაკისრებულ ფუნქციებსა და ამოცანებს, არ დასტურდება სამედიცინო დანესებულებებში მკურნალობის ხარისხის კონტროლის განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავება, ასეთი ღონისძიებების პრაქტიკული განხორციელება, კვალიფიციური სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას არა მხოლოდ აქტიური ქმედებების შედეგად, არამედ უმოქმედობის დროსაც, უკეთუ პირს ეკისრება კონკრეტული ვალდებულება და მისი შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება განაპირობებს შედეგის დადგომას – ზიანის წარმოშობას. განსახილველ შემთხვევაში დასტურდება, რომ ზიანის დადგომა გარკვეულწილად განაპირობა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მასზე დაკისრებული საჯარო-სამართლებრივი ვალდებულების შეუსრულებლობამ, სწორედ ა/რ სამინისტროს მართლსაწინააღმდეგო უმოქმედობამ წარმოშვა მძიმე შედეგის დადგომის ხელშემწყობი პირობები. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ აჭარის ა/რ ჯანდაცვის სამინისტრომ, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების შტოს ნაწილმა, შპს „... საავადმყოფოსთან“ ერთად, სოლიდარულად უნდა უზრუნველყოს გ. ს-ისათვის სათანადო კომპენსაციის ანაზღაურება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ გ. ს-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ საფუძვლიანია, რის გამოც შპს „... საავადმყოფოსა“ და აჭარის ა/რ ჯან-

მრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოლიდარულად უნდა დაეკისროთ გ. ს-ის სასარგებლოდ კომპენსაციის – 20 000 ლარის ანაზღაურება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე და 411-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. შპს „... საავადმყოფო“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.02.2007წ. გადაწყვეტილება გ. ს-ის სასარგებლოდ შპს „... საავადმყოფოსათვის“ მორალური ზიანის – 6000 ლარის დაკისრების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. გ. ს-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
5. შპს „... საავადმყოფოსა“ და აჭარის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გ. ს-ის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ 20000 (ოცი ათასი) ლარის ანაზღაურება;
6. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 09.02.2007წ. გადაწყვეტილება;
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6  
ტელ.: (995 32) 299 72 23  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)